ყოველკვირეული

სპეცნომერი

N23/751/ 6 - 12 ივნისი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან



## რას გადააყოლეს რეალურად თამარ სანიკიძე?

12



# აშშ-ს ელჩის რევოლუციური სცენარი!

21

# ბიძინა ივანიშვილის სკანდალური ინტერვიუ

10

## „ალია“: ისევ დაგვცინით, ბატონო ბიძინა!



კი, მაშინ ერთი დამთხვეული კაცი, მართლა უზურპატორი მიხეილ სააკაშვილი მართავდა ქვეყანას, კი, თქვენ უზურპატორობას ვერ დაგწამებთ, მაგრამ აქაც იტყუებით. დღესაც ერთი კაცი მართავს ამ ქვეყანას და ეს კაცი თქვენ ხართ!

შე კაი კაცო, ქვეყნის მმართველ პარტიასა და კოალიციას აფინანსებ თავიდან ბოლომდე, მისი დამფუძნებელი ხარ, ეს დოკუმენტურად არის დადასტურებული და როგორ ხარ რიგითი მოქალაქე?

## გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი მიშას ვერ აჯობებს“

„რაც მთავარია, ამ ხალხმა ბიძინა ივანიშვილისგან ვერ მოისმინა ბოდიში შეცდომებზე“

13



მამუკა ახვლედიანი: „სასამართლო სისტემის განვითარების სტრატეგიულ გეგმას ისევ მურუსიძე ქმნის!“

20



ზვიად ჩიტიშვილი: „ჩვენ, რუსეთში მცხოვრები პატრიოტი ქართველები, მზად ვართ, გამოვისყიდოთ მიწები აფხაზეთში, ოსეთში და ნელ-ნელა დავიწყოთ ხალხის უკან დაბრუნება!“

8



## როგორ გაუყიდა მეუფე პეტრემ მეგობარს სახლი მოტყუებით?!

ამერიკის მეგობართა კლუბის პრეზიდენტი „ალიასთან“ 24-წლიან დუმილს არღვევს !

6



## „ციხის ოფიცერმა დამინახა, რომ „ალიას“ ვკითხულობდი და სასტიკად მცემა!

თვალის ნერვი დამიზიანდა, რომელიც გლაუკომაში გადაიზარდა, ცალი თვალი მაშინვე დავკარგე“

26

## რა ქონებით ტოვებს პოსტს თამარ სანიკიძე?



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრ თამარ სანიკიძეს ბოლო დეკლარაცია მიმდინარე წლის 6 იანვარს აქვს შევსებული.

დეკლარაციის თანახმად, მინისტრი უძრავი ქონების სახით ბათუმში 88 კვ.მ ფართობის ბინას ფლობს.

მის საკუთრებაშია ავტომობილები BMW X5, Nissan Patrol და Toyota Land Cruiser.

რაც შეეხება სანიკიძის საბანკო ანგარიშებს, მას გასულ წელს „თიბისი ბანკის" სადებეტო ანგარიშზე 10470 აშშ დოლარი ერიცხება, ამავე ბანკის საკრედიტო ანგარიშზე კი 7 600 ლარი.

„თიბისი ბანკში" აქვს მინისტრს 7 600 ლარის ოდენობის სესხიც (გასავლი 48.64 ლარი).

გასავლის გრაფაში თამარ სანიკიძეს 2 000 ლარი აქვს მითითებული, რომელიც რესტორნის ხარჯს წარმოადგენს.

მინისტრს სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემოსავალის სახით მიღებული აქვს 81 250 ლარი.

რაც შეეხება თამარ სანიკიძის პოსტიდან მოხსნის მიზეზებს, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ბიძინა ივანიშვილის მიერ „რადიო თავისუფლების" ჟურნალისტ სალომე ასათიანისთვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ, საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილი ძალიან გაალიზიან იმ ფაქტმა, რომ სალომე ასათიანი განათლების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის ნატა ასათიანის დაა. გათავისუფლების ეს მოტივი თამარ სანიკიძემ გამორიცხა.

არსებობს ვარაუდი, რომ სანიკიძის გათავისუფლებაში საქართველოს მესამე პრეზიდენტმა ითამაშა თავისი როლი. საკითხი ეხება ბათუმში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" პედაგოგებისთვის ჩატარებულ ტრენ-



ინგს, სადაც პედაგოგებთან შეხვედრას მიხეილ სააკაშვილი „სკაიპით" შეუერთდა.

კიდევ ერთი ვერსიით, სანიკიძე თსუ-ში განვითარებულ მოვლენებს გადაჰყვა. (ნიუპოსტი)

**●თავად თამარ სანიკიძემ — კარგია, ლოგიკურად ასეც უნდა მომხდარიყო, უკვე 4 წელი გავიდა, რაც თანამდებობაზე ვარ და „ვსიოვო"...**

**ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? „ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა"... ვხუმრობთ, კაცო, განა მართლა!..**

**რა ოთხი წელიწადია და როგორც ამბობენ, „ნაცების" გაფუჭებულის გაგრძელების ოთხი წელიწადიო და აჰა, ბატონო, დასრულდა კიდეც ლოგიკურად.**

## „შუსუსუმ" - ხელკეტებით კი არ უცემიათ ერთმანეთი, „პროსტა" აგინესო

შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციის მაღალჩინოსნებს შორის დაპირისპირებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. უწყების განმარტებით, ინციდენტის შემდეგ მასში მონაწილე პირები გათავისუფლებული არიან თანამდებობიდან, რაც შეეხება ხელკეტებით ცემის ფაქტს, სამინისტროს ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ სიტყვიერ დაპირიპირებას.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება 2016 წლის 7 მაისს, ქალაქ ონში შს სამინისტროს მოსამსახურეებს - ზაზა ჩუბინიძესა და პავლე ბუბულაშვილს შორის მომხდარი კონფლიქტის თაობაზე. შედეგად: ტყიბულის რაიონული სამმართველოს უფროსი ზაზა ჩუბინიძე და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსი პავლე ბუბულაშვილი დათხოვნილი იქნენ შს ორ-




განოებიდან; იმერეთის, რაჭალეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს შეეფარდა დისციპლინური სახდელი - თანამდებობიდან ჩამოქვეითება: ხოლო დირექტორს გამოეცხადა შენიშვნა. ეს უკანასკნელი, ასევე, ჩამოქვეითებულია თანამდებობიდან, - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

**●ახლა ეს ამბავი იმედია, სამაგალითო იქნება დანარჩენებისთვის და თუ სმის თავი არ აქვთ, რჩევას კიდევ გავუმეორებთ — ღვინოს შეეშვით, ყურძენს მიეძალეთ და ნუ არცხვენთ პოლიციელის მუნდირს!**

## უთოს რომ ჩართავთ, იქაც თუ სააკაშვილი დაგხვდათ, არ გაგიკვირდეთ

ბათუმში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" პედაგოგებისთვის ჩატარებულ ტრენინგზე, სადაც ისინი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „სკაიპით" გაესაუბრნენ, აჭარის განათლების მინისტრის მოადგილე ვლადიმერ მგალობლიშვილი აფასებს და აცხადებს, რომ დაუშვებელია პედაგოგების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის.

– აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო მიუღებლად მიიჩნევს საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიზების მცდელობას. მიუღებელია ასეთი მეთოდით, კერძოდ, მოტყუებით პედაგოგების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. მოვუწოდებთ „ნაციონალურ მოძრაობას", მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი არასამართლებრივი და თაღლითური ქმედებებისგან და ვთხოვთ, შესაბამის ორგანოებს, მოახდინონ რეაგირება, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, - განაცხადა ვლადიმერ მგალობლიშვილმა.

ტრენინგზე მყოფი პედაგოგების განცხადებით, 2016 წლის 28 მაისს, ქალაქ ბათუმში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" მარიამ რამინაშილმა გამართა ტრინინგი, რომლის თემა მასწავლებელთა პროფესიული გამოცდებისთვის მომზადება იყო.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან" ასმათ დიასამიძე წინასწარ დაუკავშირდა სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს და პირადად მოიწვია ტრენინგზე.

არსებული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც მედიამ დატოვა საკონფერენციო დარბაზი, მონაწილეების განმარტებით, მათ „სკაიპით" ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ჩაერთო, რომელმაც პედაგოგებს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების მიმართულებით „ნაციონალური მოძრაობის" ხედვები გააცნო და მოუწოდა, 2016 წლის არჩევნებზე „ნაციონალურ მოძრაობას" მხარი დაუჭირონ.

(pia.ge)

**●ოჰოჰოჰო, როგორი კდემამოსილია ვლადიმერ მგალობლიშვილი - „ნაციონალურ მოძრაობას" მოუწოდებს, არ ითაღლითოთო.**

**ვაახ, იქნებ ისიც უთხრას, სუნთქვას თავი დაანებეთო, იზამენ? ჰოდა, ეგრე არ მოეშვებიან ეგენი თაღლითობა-მამაძაღლობას.**

**არ თქვას ახლა ვლადიმერ მგალობლიშვილმა — აბა, მეტი რა ვთქვა, დედის გინებას ხომ არ დავიწყებო? პასუხი ასეთი გვაქვს და არა მარტო თქვენთვის, პატივცემულო ვლადიმერ — თავის დროზე რომ გაგენძრიათ ერთი ადგილი თქვენს გუნდთან ერთად, ახლა „ნაციონალური მოძრაობა" ეგეთი „თაღლითობებს" ველარ იზამდა! კიდევ ერთი — სადაც საჭიროა, იქ უნდა იგინოთ, „კანეჩნა"!**

## მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი: „ასეთი ვარ, როგორიც ვარ"



პირველად იყო წერილი და წერილის მერე იყო სატელევიზიო ინტერვიუ, რომელმაც კაი გემრიელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ძალიან ბევრ თემას შეეხო ყოფილი პრემიერი, თუმცა დასაწყისშივე თქვა — „მე ვარ მოქალაქე და ვარ ასეთი, როგორიც ვარ".

ისე, მაგარია, ალბათ, როცა მოქალაქეს იმხელა ძალაუფლება აქვს, რომ შეუძლია, ვთქვათ, პრემიერი გადააყენოს, პარლამენტარები მიჭირხვნოს, შეუნდოს იმას, ვისაც თავის დროზე არც ისე ცოტა დანაშაული აქვს ჩადენილი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ჰო, კიდევ ესეც — აღფრთოვანებული იყოს საკუთარი თავით და ამბობდეს: ნახეთ, რა კარგად გპასუხობთ, უპრეცედენტო რამ მოვახდინე მსოფლიოს მასშტაბით...

„პრემიერის ცვლილებაში მონაწილეობა მქონდა, მაგრამ არა ისე, რომ ვიღაცას ჯარით და პოლიციით ვაწვებოდი. შეიძლება მე ვაძლევდი რჩევას, რომელიც გაითვალისწინეს, მაგრამ შეეძლოთ, არ გაეთვალისწინებინათ.

რა, ირაკლი ღარიბაშვილი მე ძალით გადავაყენე, თქვენ გგონიათ? მე ვმონაწილეობდი და მას ჰქონდა კონსულტაციები ჩემთან... ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანას კარგად მართავდა".

აბა, ჯარი და პოლიცია რად უნდოდა ღარიბაშვილის გადაყ-



ენებას? ეტყობა, ყველამ გადასარევად იცის, რომ თქვენს გადაკიდებას, სჯობს, რიყის ქვით სავსე ტომარა გადაიკიდოს და ისე იაროს დუნიაზე.

ისე, თუ კარგად მართავდა ქვეყანას, რატომ გადადგა ან რატომ მიიღეთ მონაწილეობა პრემიერის ცვლილებაში, გაფიცებთ ყველაფერს?

„უპრეცედენტო რამ შევქმენი ქვეყანაში, სადაც არავის წასვლა აღარ უნდა, როცა მოდის. უპრეცედენტო რამ მოხდა მსოფლიოში და ამაზე არავინ აქცენტს არ აკეთებს, როგორ მოხდა, რომ მოვედი, გადავალაგე როგორც ვთქვი და ზუსტად იმ დროის შუალედში, რაც ვთქვი, გადავდექი ჩემი სურვილით, ხელისუფლების ზენიტში მყოფი პიროვნება".

ზენიტში ყოფნას არც ახლა უნდა უჩიოდეთ, ბატონო ბიძინა, აკი თავად ამბობთ, რომ პრემიერის ცვლილების პროცესშიც კი ვმონაწილეობდიო და ამაზე მეტი ზენიტი რაღა უნდა იყოს?

„შავგულიძემ იკადრა და პოლიტპატიმრად დაასახელა გიგი უგულავა, რომელიც არის ძირითადი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილიც პატიმარი რომ ყოფილიყო, მასაც პოლიტპატიმრად დაასახელებდა...

ზეწოლა მურუსიძეზე მოდიოდა „ნაციონალური მოძრაობისგან", მათგან მართული მედიისა და ენეჯეობისგან, მან მოახერხა და თავი დააღწია „ნაციონალური მოძრაობის" ზეწოლას. სწორედ ეს აღიზიანებს „ნაციონალურ მოძრაობას".

**●აი, თქვენ თავად როგორ კა-**



**დრულობთ, რომ თუნდაც მურუსიძეს „აპრავებთ", ბატონო ბიძინა? მასე ვაშაძემაც „დაიძვრინა თავი" „ნაცმოძრაობისგან", ხაჩიძემ, კუბლაშვილმა და მოდი, დავივიწყოთ ყველაფერი, ფეხებზე დავიკიდოთ და დავნიშნოთ მაღალ თანამდებობებზე, რა პრობლემაა? სადაც პრემიერის შეცვლის პროცესში შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება, არც ეს იქნება ალბათ, დაბრკოლება. თუმცა ამბობთ — ძალაუფლება არ მაქვსო:**

**„ჩემი ძალაუფლება მხოლოდ ისაა, რომ ხალხი მენდობა და ხალხს აქვს ჩემზე დამოკიდებულება როგორც აქვს და ჩემს სიტყვას აქვს ფასი. ჩემი ძალაუფლება გახლავთ მხოლოდ ხალხის ნდობა და სანამ ამას ვგრძნობ, ვალდებული ვარ, ამ ხალხს ვემსახურო".**

**თავადაც არ გიყვართ საკუთარ ქველმოქმედებაზე საუბარი და გადავდოთ ეს თემა. ჰოდა, აბა, დანარჩენი რაში ემსახურეთ ხალხს? ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" აღარ არის ქვეყნის სათავეში, ეს შედეგი ისევ ხალხის დახმარებით დადეთ, შემდეგ კი დაიხურეთ ქუდი და წახვედით და დატოვეთ გუნდი, რომელმაც პირდაპირ უნდა ითქვას — ჩაისვარა!..**

## facebook




**ცოტნე გამსახურდია:**

ვუყურე ბიძინა ივანიშვილს სალომე ასათიანთან. არ დავიწყებ ახლა ნიუანსების ჩამოთვლას და დაკონკრეტებას იმიტომ, რომ არ მინდა რესპოდენტისათვის შანის მოგებაში ჩამომართვათ. რესპოდენტისათვის, რომლს სახელსაც არაერთი კარგი საქმეც უკავშირდება. ფაქტია, რომ ეს ეთერი დიდი ანგარიშით ჟურნალისტის სასარგებლოდ დასრულდა.

მახსენდება ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლამდე და დასაწყისში. ვადარებ დღევანდელს და ვრწმუნდები, რა მძიმე შედეგები მოაქვს პოლიტიკოსისთვის თვითტკბობას და თვითიზოლაციას განსაკუთრებით საქართველოში: ძირითადად ლაქიებისა და გუნდრუკის მკმეველთა გარემოცვაში. ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს მისი გონების შექმნილ ჯურღმულში, საიდან ამოსვლა ძალზე ძნელიაო, ამბობდა ამაზე აინშტაინი...

პარდონ, გული მერევა ამ ლაქიებისა და ხელის ბიჭების აღფრთოვანებულ, ცარიელ მონოლოგებს რომ ვკითხულობ, რომელსაც ისინი პრინციპში ყველა ხელისუფალს უძღვნიდენ; ან, როგორც მინიმუმი, მათ, ვინც ჭირდებოდათ.არ დავიწყებ ჩამოთვლას, თუ ვინმემ იცანით საკუთარი თავი, უბრალოდ მოშორდით ჩემი საფრენდეთიდან!

ობიექტურობისთვის ვიტყვი, რომ დღევანდელი ეთერი უდაოდ არის ივანიშვილის დამსახურება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მე ვერ წარმომიდგენია სააკაშვილი მსგავს როლში რამოდენიმე წლის წინ, და არა მგონია, აქ ვცდებოდე. თუმც ეს სულაც არ არის საკმარისი!

და ბოლოს: ბატონო ბიძინა, სასტიკი აუცილებლობა საუკეთესო მასწავლებელია. დარწმნებული ვარ, ეს კარგად იცით. დააფასეთ სალომესნაირი ადამიანები, პროფესიონალები, ისინი ჯურღმულიდან ამოსვლაში გეხმარებიან - თქვენც, ჩვენც, და ქვეყანასაც! ჯურღმულიდან, რომელშიც ის დამოუკიდებლობის პირველი დღიდან არის სწორედ ხსენებული ლაქიების კონფორმიზმის, მაამებლობის თუ მომხვეჭელობის გამოისობით...

**Salome Asatiani Respect!**

გიორგი ხუციშვილი - პროფესიონალი კი არა არარაობაა. პირველი ტყუილისთვის - ადამიანს რაზეც შეუთანხმდი იმაზე უნდა ილაპარაკო. მეორე ჩვეულებრივი იაფფასიანი პიარ ჟურნალისტიკა - ხალხს უჭირს, ამას შია იმას ცივა. მესამე საუბარი იმაზე რის აზრზეც არ არის - ესე თქვეს ესე ამბობენ. მეოთხე - ეპიკური კითხვა ნარკომანებზე.

ცოტნე გამსახურდია - რას ქვია, შეუთანხმდი, ეს საკუთარი სმზარეულოა? ჰო, ეგაა იაფფასიანი შენთვის დ. ვილაცისთვის ძალიან აქტუალურია, დაპირებების ფონზე მით უფრო. მაგის გარდ ვერაფერ დაინახე? :)))) ერთი კითხვა დაასახელე, სადაც "აზრზე არ იყო" :))))

გიორგი ხუციშვილი ვითომ სასწაული რამე ვთქვი. თავად რამდენ გადაცემაში ყოფილხართ რომ წინასწარ არ უთქვამთ გადაცემის და საკითხების შინაარსი?

ცოტნე გამსახურდია -გადაცემის შინაარსი კი, და კითხვების შინაარსი - არსად!

გიორგი ხუციშვილი - ხოდა უზარმაზარი წერილი რომ დაწერა და რომ ეუბნები მასთან დაკავშირებით მექნება კითხვებიო და მერე რომ გადადიხარ ნარკოპოლიტიკაზე სასაცილოც აღარაა

ცოტნე გამსახურდია -უი, ჩაქრი შენა :)))))

## facebook



**იუნა შაფათავა:**

მოკლედ... ეს ინტერვიუ მახსენებს ჩემი და ტრანსგენდერის "დიალოგს" გია ჯაჯანიძის თარგმანში. რამდენჯერ ვთქვი - ვერ გადაუტანია საქართველოს გოთვერან-პალატას,რომ ყველაზე მდიდარია და არ წავიდა საქართველოდან. მილიონი წლის წინ, ივანშვილის ადგილას, გადავუფრენდი საქართველოს და ექსკრემეტებს დავაყრიდი თავზე.... მილიონი წელი,წავიდოდი და ჩემი და ჩემი ოჯახის სიაოვნებისთვის ვიცხოვრებდი. ოქროს კანონია,ოქროსი და პლატინის: ქართველს მაშინ უყვარხარ, როცა დედას უტყნავ. მხოლოდ მაშინ გცემს ქართველი პატივს. დაგიკლავთ ერთმანეთი და გადაგიტ*ნავთ, ვიტყოდი მის ადგილას სიამოვნებით და გავფრინდებოდი,თბილ ქვეყნებში,სამუდამოდ და ქართულადაც აღარ ვილაპარაკებდი.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ექსკლუზივი

„ქართული ოცნების“ ყოფილმა დეპუტატმა, თამაზ მეჭიაურმა „თავი მოაბა“ ახალი პარტიის შექმნას. მისი პარტიის სახელწოდება გახლავთ: „თამაზ მეჭიაური – თავისუფალი საქართველოსთვის“. უკვე შეიქმნა საინიციატივო სანდრო ბრეგაძე, დავით ფაცაცია („ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ყოფილი ხელმძღვანელი), ჯემალ სეფიაშვილი (კომპოზიტორი). აი, ეს გახლავთ ის ხუთეული, რომელიც წარუძღვება პარტიას ნათელი მომავლისკენ.

„ალიასთვის“, ასევე, ცნობილი გახდა, რომ ჯერჯერობით საუბრები მიდის საკრებულოს წევრის, სოსო მანჯავიძისა და ადვოკატ თურია, რომელიც, სავარაუდოდ, შეუერთდება ახალ პარტიას. ეს იქნება ბლოკი თუ პიროვნული შეერთება, ჯერ გადასაწყვეტია. ამავე პარტიაში შესვლა უნდათ ლევან მამალაძეს, ემზარ კვიციანს და სულხან მოლაშვილს. თუმცა, სავარაუდოდ, მოლაპარაკებები

# ვინ უერთდება პარტიას — „თამაზ მეჭიაური — თავისუფალი საქართველოსთვის“?!




ჯგუფი, ანუ პოლიტსაბჭო, რომლის წევრებიც, ასევე, იქნებიან საარჩევნო სიის ხუთეულში – რასაკვირველია, თავმჯდომარე და სიის პირველი ნომერი იქნება თავად თამაზ მეჭიაური, ხოლო შემდეგ მოდიან: ლალი მოროშკინა, შალვა ხაჭაპურიძის თაობაზე. არ არის გამორიცხული, ეს ორი ადამიანი, განსხვავებული მოსაზრებების გამო, მეჭიაურის პარტიაში ვერ მოხვდეს. იგივე მეჭიაურთან მოლაპარაკებებს მართავს „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღაბოლომდე არც კი მივა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი – ეს პიროვნებები აქამდე „პატრიოტთა ალიანსთან“ იყვნენ დაახლოებულნი, ახლა კი „პლასტინკა“ გადაატრიალეს და მეჭიაურთან დაძმაკაცება გადაწყვიტეს...

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

## facebook

**სანდრო ბრეგაძე:**



არაფორმალური მმართველობა საქართველოში... ყველაზე დიდი საშინელება და ფაქტორი რაც საქართველოს ლუპავს და დალუპავს არაფორმალური მმართველობაა. ალბათ ბევრ თქვენთაგანს გაგიკვირდეთ მთავრობის ყოფილი წევრისგან ამის აღიარება, მაგრამ დადგა სიმართლის თქმის დრო და უნდა ვაღიარო, რომ საქართველოს მართავს არა პრეზიდენტი, არა პრემიერი, არა პარლამენტი,არამედ არაფორმალური მმართველი, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, რომ მის ჭკუაზე იარონ და მისი ნება-სურვილი აასრულონ. არაფორმალური მმართველი ერევა ქვეყნის შინაურ და საგარეო საქმეებში, მისი ნებართვით ინიშნებიან და იხსნებიან მინისტრები, პრემიერ-მინისტრები და სხვა დიდი თანამდებობის პირები. ის ყველგანაა და მისი მზერა ყველგან წვდება.ყველაზე მთავარი ისაა, რომ არაფორმალური მმართველი პირველ რიგში ემსახურება უცხო ქვეყნის ინტერესებს და ეს ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. დღეს საქართველოს ფაქტობრივად ის მართავს და ყველა სხვა თანამდებობის პირი ნომინალურ ფიგურად ქცეულა მასთან შედარებით. თუ გვინდა საქართველო ღირსეულ, დემოკრატიულ და განვითარებულ ქვეყანად ვაქციოთ აუცილებელი და პირველი რიგის ამოცანაა შეწყდეს არაფორმალური მმართველობა ქვეყანაში, ხოლო ქვეყანა მართონ იმათ ვისაც მხარს უჭერს და დაუჭერს საქართველოს მოსახლეობა. ალბათ გაინტერესებთ თუ ვინაა ქვეყნის არაფორმალური მმართველი???---საქართველოს არაფორმალური მმართველი ბატონი იან კელია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი!!!!!!!!!

## facebook

**ირინა სარიშვილი:**



ჩემი მოხსნა იყო დროული და გონივრულიო — განათლების აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა ბრძანა. არა, არც მე და არც ბევრი სხვა რბილად რომ ვთქვათ აღფრთოვანებული არ ვყოფილვართ ამ ქალბატონის განათლების მინისტრობით, მაგრამ ჯერ ერთი, ბოლმის გამო ეროვნული გამოცდების წინ განათლების მინისტრის გადაყენება არაფერში არ წერია და ვერაფერს შეცვლის და მეორეც, ყველაზე მთავარი რამაც დამაფიქრა: მგონი ვაზელინის რაღაც ახალ, ჯერ შეუსწავლელ სახეობასთან გვაქვს საქმე ბევრად საშიში გვერდითი მოვლენებით!

## facebook

**გიორგი ონიანი:**



საქართველო და ბიძინა ივანიშვილი არის ზეთი და წყალი, ეს ერთობა ვერასდროს შედგება და ვერასდროს მოიტანს პოზიტიურ შედეგს, ვერ გააუმჯობესებს მოქალაქეების ცხოვრების პირობებს, ვერ გააერთიანებს საქართველოს, ვერ დააახლოვებს ევროპულ ოჯახს და ვერ მოგვიტანს კეთილდღეობას, სწორედ ამიტომ 2016 წლის 8 ოქტომბერს ეს ხელოვნური ერთობა უნდა დასრულდეს.

## იან კელი კმაყოფილია, ხალხო — დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!!!



ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, იან კელი პოზიტიურად აფასებს კორცხელთან დაკავშირებულ რეაგირებას.

– აშშ საქართველოს მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია. საქართველოს ხელისუფლებაც და მოსახლეობაც ყოველდღიურად ვხედავთ და ვგრძნობთ ამერიკის მხარდაჭერას თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით. ცხადია, აშშ-ის ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს ყურადღებით ვისმენთ და აღვიქვამთ, როგორც მეგობრის, კეთილისმსურველის პოზიციას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ ზუსტად და არასწორი ინტერპრეტაციის გარეშე იცოდეს ელჩის მოსაზრება, - განაცხადა კალაძემ.

მისი თქმით, აშშ-ის ელჩი იან კელი პოზიტიურად აფასებს კორცხელთან დაკავშირებულ რეაგირებას.

– რაც შეეხება „რუსთავი 2"-ის საქმეს, იან კელიმ ხაზი გაუსვა და პირველ რიგში შეეხო სასამართლოს დამოუკიდებლობის და პროცესის ობიექტურობის მნიშვნელობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ელჩმა აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია ნებისმიერი საქციელი, რომელიც ჩრდილს მიაყენებს სასამართლო მოხელეს ან მთელ ინსტიტუტს, ისევე, როგორც ეს ხდება მის ქვეყანაში, - განაცხადა კახა კალაძემ. (pia.ge)

**● ახლა, თუ იან კელი კმაყოფილია, გულზე ლოდი მოშორდებოდა უამრავ ადამიანს!..**

**ეეჰ, „ოცნება", „ოცნება", მის ქვეყანაში უოტერგეიტის სკანდალიც მოხდა, რაც პრეზიდენტის გადადგომითა და ჩინოვნიკების დაკავებით დასრულდა. რაც შეეხება საქართველოს, აქაც რომ დაახლოებით მსგავსი ბრალდებები აქვს ნაპრეზიდანტალსა და მის ნაზირ-ვეზირებს, ხელი ვერ ახლეთ — ესაოდა დასავლეთი შეშფოთდებაო.**

**ისა და — მერაბიშვილ-ახალაია-უგულავას დაკავებით რატომ არ არის იან კელი კმაყოფილი? ააა, დიპლომატია ბატონი ელჩი და აბა, ამას ხმამაღლა როგორ დააფიქსირებს? მაშ, ახალგაზრდებს რომ საციხოდ აქვთ საქმე, აქ დიპლომატია აღარ მუშაობს, არა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 13 ივნისს დაღუპულთა ხსოვნის საპატივცემულოდ, სიმბოლურად, მარადმწვანე ხეები დაირგო



ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე, ვარაზის ხევისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე მდებარე კუნძულზე 13 ივნისს დაღუპულთა ხსოვნის საპატივცემულოდ, სიმბოლურად, მარადმწვანე ხეები დაირგო. ილექსის ჯიშის 23 ხის დარგვაში მონაწილეობა თბილისის მერ დავით ნარმანიასთან ერთად, დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა მიიღეს.

– 13 ივნისის სტიქიის დროს დაღუპულთა და დაკარგულთა სახელობის ხეები დავრგეთ. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ეს ადამიანები არასდროს დავივიწყოთ და აღნიშნული ტერიტორია იქნება კონკრეტული ადგილი, სადაც ყოველთვის მოვალთ და მოვიგონებთ მათ სახელებს, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

13 ივნისის სტიქიის შედეგად, სულ 21 ადამიანი დაიღუპა, ორი კი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. სწორედ მათი ხსოვნის საპატივცემულოდ ვერეს ხეობას 23 მარადმწვანე, განსაკუთრებული ჯიშის ხე შეემატა. (ნიუპოსტი)

## თბილისში სასულიერო პირებმა მუსიკალური ფესტივალი ჩაშალეს



როკმუსიკის ორდღიანი ფესტივალი თბილისი JAM Fest 2016, რომელიც ზაჰესში 4 ივნისს დაიწყო, დაწყებიდან მალევე მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა მრევლთან ერთად ჩაშალეს.

ფესტივალზე მყოფმა ერთ-ერთმა პირმა, ცვატა ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ სასულიერო პირები და მათთან ერთად მყოფი მოქალაქეები კონცერტის შეწყვეტას ითხოვდნენ, მათი მთავარი არგუმენტი კი ის იყო, რომ „ახლოს სასაფლაოა" და „მუსიკის ხმა ეკლესიამდე ისმის".

ცვატა ბერძენიშვილის თქმით, ადგილზე მისული იყვნენ პოლიციელები, არ მომხდარა ფიზიკური დაპირისპირება. როგორც ორგანიზატორებმა დამსწრეებს განუცხადეს, შესაძლოა, ჩაშლილი ფესტივალი ალტერნატიულ ადგილზე ჩაატარონ.

ფესტივალის ჩაშლის იმავე მიზეზებზე საუბრობენ იქ მყოფი სხვა პირებიც. ედიტა ბადასიანი „ფეისბუკზე" წერს, რომ ფესტივალის ტერიტორიაზე ჩაქრა შუქი, მიზეზი კი არავის დაუსახელებია. (on.ge)

**● ამდენი ახალგაზრდა, არასრულწლოვანი რომ თავს იკლავს, ათასი საშინელი სექტის წევრი ხდება, იქნებ, ამ ამბასაც ასე ოპერატიულად მიხედოს ვინმემ, არ შეიძლება?!**



## ვაახ, არჩევნებზეც რომ სეტყვამ დასცხოს, მერე სად მიდიხართ, პატივცემულო გიორგი?



რუსთაველის გამზირზე, სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ დაფუძნების ღონისძიება დასრულდა.

– წვიმის მიუხედავად როცა ამდენი ხალხია, ხომ ხვდებით, რომ ეს საოცარ ენერგეტიკას ნიშნავს. გაცილებით მეტი ხალხი იქნებოდა, რომ არა სეტყვა, მაგრამ, მაგრები ვართ. ერთად ვდგავართ და აუცილებლად გავიმარჯვებთ, - განაცხადა გიორიგი ვაშაძემ ღონისძიების დასრულების შემდეგ. (ipress.ge)

**●კაცოუ, ბუნებამაც არ დაგინდოთ, თუ ხედავთ თქვენ, ჯერ არ მოსულხართ და უკვე დაისეტყვეთ და რომ მოხვალთ (მეტი არაა ჩემი მტერი), ვულკანმაც თუ ამოყო თავი სოლოლაკიდან, ხალხს რა პასუხს აძლევთ?**

## Die Welt - რატომ არ უჭერს მხარს გერმანია საქართველოს ვიზალიბერალიზაციას




Die Welt-ში გამოქვეყნებულ სტატიაში იმ მიზეზებზეა საუბარი, რის გამოც გერმანია საქართველოსთვის, უკრაინისა და კოსოვოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების წინააღმდეგ გამოდის. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კრიმინოგენული ვითარების გაუარესება სახელდება.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა, პარლამენტში გამართულ დახურულ სხდომაზე განაცხადა, რომ გერმანიაში აქტიურობენ ქართული კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც ძირითადად, ბინების ძარცვით არიან დაკავებული.

გამოცემის თანახმად, სწორედ ამიტომ გერმანია და საფრანგეთი მუშაობენ ე.წ. შეჩერების მექანიზმზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უვიზო რეჟიმის შეჩერებას გულისხმობს.

გამოცემის თანახმად, ევროკავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები არ დათანხმდებიან საქართველოსთვის, უკრაინისთვის, კოსოვოსა და თურქეთისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებას, სანამ ე.წ. შეჩერების მექანიზმი ძალაში არ შევა. გარდა ამისა, გერმანიას სურს, თითოეული ქვეყნისთვის უვიზო რეჟიმი ეტაპობრივად დაწესდეს.

უვიზო რეჟიმის დაწესების წინააღმდეგია გერმანიის ფინანსთა ყოფილი მინისტრი, ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრი, პერ შტაინბრიუკი, რომელიც აცხადებს, რომ სანამ ევროზონაში პრობლემები არ მოგვარდება და ევროპა მიგრაციულ კრიზისს თავს არ დააღწევს, უნდა დაწესდეს მორატორიუმი ევროზონაში გაწევრიანებზე, ევროკავშირის გაფართოებასა და ნატოში ახალი ქვეყნების მიღებაზე. (ნიუპოსტი)

**●თავის დროზე არ იცოდნენ, რა მდგომარეობაც იყო კრიმინოგენული თვალსაზრისით, ამდენ პირობას რომ იძლეოდნენ? მერე ვიღაც იტყვის — ერთი ევროპის ოხერი დედაც ვატირეო და მაშინათვე დაძიძგნიან — რუსეთუმეა, პუტინისტია, ასეთია და ისეთიაო...**

**ამდენ პირობას რომ გაძლევენ, მერე კი უნამუსოდ მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს აკეთებენ: ჩვენ თქვენთან ვართ, გაღიარებთ, თავზე დაგფოფინებთო, როგორღა დავუჯეროთ?!**

## უცნაური იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ისტერიკა სჭირს ივანიშვილს და სალომე ასათიანის დაზე უნდა იყაროს ჯავრი, რომელიც განათლების მინისტრის დაახლოებული პირია



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი სერგო რატიანი განათლების მინისტრის ცვლილებას ეხმიანება. დაპუტატის თქმით, როცა ქვეყანაში არის მძიმე ეკონომიკური კრიზისი და სიღარიბე, განათლების მინისტრის ცვლილება სრულიად გაუგებარია.

– იმ ფონზე, როდესაც არის მძიმე ეკონომიკური კრიზისი, შესაბამისად, არის უმუშევრობა, სიღარიბე და ძირითადი პრობლემები არის ეს, განათლების მინისტრის ცვლილება, როცა არ იცვლება განათლების პოლიტიკა, არის სრულიად გაუგებარი, ცოტა ცინიკური მთავრობის მხრიდან. გარდა ამისა, მართლაც უცნაური იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ინტერვიუს შემდეგ ისტერიკა სჭირს ბიძინა ივანიშვილს და სალომე ასათიანის დაზე უნდა იყაროს ჯავრი, რომელიც არის განათლების მინისტრის დაახლოებული პირი, - განაცხდა რატიანმა. (news.ge)

## კორცხელის ინციდენტში ბრალდებულებს სასამართლომ გირაო შეუფარდა

კორცხელის ინციდენტში ბრალდებულ ექვს პირს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გირაო შეუფარდა. აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოს ბრალდების მხარემ მიმართა.

ცნობისთვის, აღნიშნულ საქმეზე, ხულიგნობის მუხლით, ბრალდებულები არიან ნოშრევან წურწუმია, გიორგი გიგაური, გრიგოლ ტყემალაძე, გიორგი გოგიძე და ვლადიმერ გეგეშიძე.

მათ გირაოს სახით 7 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ, ხოლო ვლადიმერ გეგეშიძეს 10 ათასლარიანი გირაოს გადახდა დაეკისრა. (news.ge)

## განმეორდება თუ არა თბილისში ძლიერი სეტყვა



თბილისში ძლიერი სეტყვა მოვიდა. სეტყვა 10 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. მას ძლიერი წვიმაც მოჰყვა. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების სამმართველოს უფროსმა დოდო გვაზავამ განაცხადა, სეტყვა დაფიქსირდა თბილისის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ, აღმაშენებლის გამზირზე, ვაკეში, ვერასა და საბურთალოზე, გარეუბნებში კი ძლიერი წვიმა იყო. მისივე თქმით, დედაქალაქში განმეორებით სეტყვა მოსალოდნელი არ არის.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, აღმოსავლეთ საქართველოში არამდგრადი ამინდები, რომელსაც შესაძლებელია ახლდეს წვიმა და სეტყვა, კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

## მიხეილ, შედი კარავში, ოღონდ აღარ გამოხვიდე!!!



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი სამუშაო კაბინეტს ოდესა-რენის გზაზე კარავში გადაიტანს. როგორც სააკაშვილი „ფეისბუკზე“ წერს, მისი კაბინეტი კარავში მანამდე იქნება განთავსებული, სანამ სარემონტო სამუშაოები 100 პროცენტით არ დაფინანსდება.

– ყველა სამუშაო შეხვედრას და მიღებას კარავში გავმართავ და მას იქამდე არ დავტოვებ, სანამ სამუშაოების 100 პროცენტით დაფინანსება არ იქნება უზრუნველყოფილი. კმარა ადამიანების დაცინვა, - წერს სააკაშვილი.

სააკაშვილი აცხადებს, რომ გაეცნო სამუშაოებს და მათი დაფინანსებით არ არის კმაყოფილი. აღნიშნული საკითხის შესახებ სააკაშვილი ამ დღეებში უკრაინის პრემიერ-მინისტრს შეხვდება. (რეპორტიორი)

**●არა, რა, ამომრჩევლის დაბოლებაში ბადალი არ ჰყავს ამ ადამიანს!**

**ისე, აქ რომ ბრძანდებოდა, მაშინაც კარავში რომ ემუშავა, რას ამოისუნთქებდა ქვეყნის ბიუჯეტი, წარმოგიდგენიათ?**



## კავშირი თქვენს სამყაროსთან — უკვე 4.5G ქსელით

მაგთიკომი MAGTICOM

მოხარულები ვართ, გაცნობოთ, რომ დღეიდან „მაგთიკომმა“ 4.5G (LTE-Advanced) ქსელით ოპერირება დაიწყო.

პირველად საქართველოში, მხოლოდ „მაგთი“ გთავაზობთ 4.5G ქსელს და უსწრაფეს ინტერნეტს.

„მაგთიკომის“ მომხმარებლები დღეიდან თავად გამოცდიან ინტერნეტის მკვეთრად გაზრდილ სიჩქარესა და ხარისხს.

**ამას განაპირობებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა:**

- **ამა წლის, 31 მაისს შეძენილი 800 MHz სიხშირეთა სპექტრი, რომლის კომბინაციამ არსებულ 1800 MHz სიხშირულ სპექტრთან (LTE 800 და LTE 1800) „მაგთიკომს“ 4.5G (LTE-Advanced) ქსელის გამართვის შესაძლებლობა მისცა.**
- **ქსელში ასობით ახალი საბაზო სადგურის დამატებით, დღეისთვის საბაზო სადგურების ჯამურმა რაოდენობამ 4493 შეადგინა.**

„მაგთიკომი“ ქართულ ბაზარზე, ტრადიციულად, ლიდერობს ინოვაციური უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, საბაზო სადგურების რაოდენობით, რაც განაპირობებს დაფარვის ვრცელ და ინტენსიურ არეალს, სტაბილურად მაღალ ხარისხსა და საიმედო ქსელს.

ამას ემსახურება „მაგთიკომის“ 1000-ზე მეტი ინტელექტუალურ-ადამიანური რესურსი, რომელიც თავის საქმეს მაღალი პროფესიონალიზმითა და სიყვარულით თქვენთვის აკეთებს.

ჟურნალისტური გამოძიება

# როგორ გაუყიდა მეუფე პეტრემ (პაატა ცაავა) მეგობარს

## ამერიკის მეგობართა კლუბის პრეზიდენტი 24-წლიან დუმილს

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

„ყოველკვირეულ ალია“ №22-ში გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიება სათაურით — „ჭყონდიდის ეპისკოპოსს, მეუფე პეტრეს ძალადობაში ამხელენ... რატომ გაითქვა მეუფემ სახელი, როგორც „დონ პეტრემ“, რატომ ეშინია მარტვილის მოსახლეობას მისი?!“

მარტვილის მოსახლეობა შველას ითხოვს და საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუკი საპატრიარქო მეუფე პეტრეს ჭყონდიდის ეპარქიას არ ჩამოაცილებს!!! ამ მასალას მოჰყვა ძალიან მძაფრი რეაქცია. ჩვენს რედაქციაში არ წყდება ზარები, სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ. მეუფე პეტრეს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე და განაწყენებული ხალხი ჰყავს. მეორე უკიდურესობა კი ისაა, რომ მარტვილის ეპარქიამ გადაწყვიტა არაქრისტიანული მეთოდებით იბრძოლოს ჩვენს წინააღმდეგ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენ შევეცადეთ, დაგვეცვა ჟურნალისტური ეთიკა და ვყოფილიყავით ობიექტურები, მეუფე პეტრეს ვთხოვეთ ინტერვიუ, ასევე გავუგზავნეთ კითხვები, რაზეც უარი განაცხადა და იღუმენია გამყრელიძის საშუალებით შემოგვითვალა, რომ ის ცილისწამებას მდუმარებით ხვდება...

მეუფე პეტრეს მიმართ კონკრეტული ადამიანები გამოთქვამენ საკუთარ გულისტკივილს. როგორც ჩანს, ისინი იძულებული გახდნენ, ემხილათ საეკლესიო პირი, ქრისტიანი არის მიმტევებელი და ყოველთვის ერიდება სასულიერო პირის მხილებას, მაგრამ რას ვიღებთ საპასუხოდ ჭყონდიდის ეპარქიისგან, რაში გამოიხატება მეუფის მდუმარება?

კვანძი უცნაურად იხსნება. იღუმენია გამყრელიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს:

„მეცოდება ყველა ჟურნალისტი, რომელიც მზად არის, 30 ვერცხლის საფასურად დაწეროს და გაავრცელოს ცილისმწამებლური შეკვეთილი წერილები...“

„ალიაში“ გამოქვეყნებული წერილის სულისჩამდგმელ გიორგი ანდრიაძეს და შორენა თეთრუაშვილს ქრისტესმიერი სიყვარულით შევახსენებ, რომ უფალი მეფობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიას და ჭეშმარიტების დამცველ მღვდელმთავრებს!.. და ვურჩევ აღიარებითა და სინანულის გზით გადაირჩინონ საკუთარი სული... რამდენიმე ხნის წინ ჩვენთან პირად საუბარში ასეთი ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნებით იმუქრებოდა გიორგი ანდრიაძე, თუ მის მოთხოვნას არ დავაკმაყოფილებდით. ასე რომ, ამ ორი პერსონის დაცვით თავს ნუ შეიწუხებს ზოგიერთი მათი დამცველი. მინდა აღვნიშნო, რომ გიორგი ანდრიაძე, შორენას მარჯვენა ხელია, თუ პირიქით შორენა — გიორგისი, ამას არა აქვს მნიშვნელობა, როცა მათთვის ეკლესია და სამშობლო მხოლოდ ფულით და ძალაუფლების განისაზღვრება. პირადადაც მითქვამს და კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ ეს ორი პერსონა არის ჩემი ქვეყნისა და ჩემი ეკლესიის მტერი, შორენას მორჩილება არ არის ჩემი საყვარელი სულგრძელი პატრიარქის მორჩილება...“

ძვირფასო მკითხველო, როგორც ხედავთ, აქ ვითარება იმაზე დრამატიზებულია, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.

შორენა თეთრუაშვილი გახლავთ პატრიარქის პირადი მდივანი, რომელსაც იღუმენია დედა თამარი (გამყრელიძე) მოიხსენიებს ეკლესიის მტრად... ფაქტობრივად, გამოდის, რომ ჭყონდიდის ეპარქია პატრიარქს ებრძვის.

დედა თამარს კი ქრისტესმიერი სიყვარულით შევახსენებ, ნუ იდარდებს ჩემზე და ნუ შევეცოდებით, ვინ იყიდება 30 ვერცხლად და ვინ აქვეყნებს ცილისმწამებლურ შეკვეთილ წერილებს, ეს უფალმა უკეთ უწყის, ხოლო ჩვენი მხრიდან, შევეცდებით ამის დამტკიცებას და ვიმედოვნებთ, რომ უფალი შეგვეწევა, ვამხილოთ ფარისევლები...

ამ ნომერში „ალია“ აპირებდა, გამოექვეყნებინა დოკუმენტები და ინტერვიუები იმ ადამიანებთან, ვისაც მეუფე პეტრემ მიწის ნაკვეთები დაათმობინა. ამ ადამიანებმა სამართალს ვერ მიაგნეს. ჭყონდიდის ეპარქიამ რომ არ იფიქროს, რომ მიკერძოებულად მხოლოდ მარტვილის მრევლის პრეტენზიებით დავინტერესდით, დროებით ვაჩერებთ ამ მასალას იმ იმედით, რომ მეუფე პეტრე ინტერვიუს მოგვცემს. ახლა გთავაზობთ



**ილია ზუკაკიშვილი: „მეუფე პეტრეს (პაატა ცაავას) სადაც უნდა, როგორც უნდა — საპატრიარქოში, ან სინოდის კომისიაზე გავიტანოთ ეს საკითხი. თქვას, რომ აზერბაიჯანის უშიშროების დაკვეთით არ უმუშავია!“**

**სკანდალურ ინტერვიუს ამერიკის მეგობართა კლუბის პრეზიდენტთან ილია ზუკაკიშვილთან, რომელმაც ჩვენს წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის შემდეგ 24-წლიანი დუმილი დაარღვია და დღეს პირველად შეიტყობთ დამალულ სიმართლეს მეუფე პეტრეს (ცაავა) შესახებ.**

**— ჩემთვის დაუჯერებელი იყო ინფორმაცია, რომ მეუფე პეტრემ (ერისკაცობაში პეტრე ცაავამ) მეგობარს სახლი მოტყუებით გაუყიდა და ღია ცისქვეშ დატოვა. ინფორმაციის გადამოწმება დავიწყე და კვალმა თქვენამდე მომიყვანა. გაგვარკვიეთ, ვინ არის პეტრე ცაავა, რა მოხდა რეალურად?**

– ნინო, მოდი, ჩვენი ინტერვიუ ერთი პირობით დავიწყოთ, მე ვიტყვი სიმართლეს და არაფერს, სიმართლის გარდა!.. შემიძლია, დავიფიცო ხატზე, ბიბლიაზე და ყველაფერ იმას, რაც ქართველებს წმინდა გაგვაჩნია, რომ ვიტყვი მხოლოდ სიმართლეს. ეს ისტორია 24 წლის წინათ მოხდა, მე არასოდეს, არსად ამაზე არ მისაუბრია ძალიან ვიწრო წრის გარდა, მედიის არც ერთი საშუალებისთვის ინტერვიუ არ მიმიცია და თქვენთან ვარღვევ 24-წლიან დუმილს. ვცდილობდი, მხოლოდ ჩემი ოჯახის ტკივილად დარჩენილიყო ის, რაც მოხდა. სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ ეს პიროვნება, ადრე თუ გვიან, გამოჩნდებოდა და პატიებას მაინც მთხოვდა, მით უმეტეს, სასულიერო ცხოვრებაში მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და ამ პოზიციიდან გამომდინარე, უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი და სულ ცოტა, ბოდიში მოეხადა. ყოველ წელს, მიტევების დღეს ველოდი მას, რაც არ გააკეთა. ისტორია კი დაიწყო ასე: დაახლოებით 1992 წელი იყო, მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი, „მეორე არხის“ რეჟისორად, ორი საავტორო გადაცემა მქონდა. პარალელურად ვსწავლობდი ინსტიტუტში და ხელფასზე ვცხოვრობდით. როგორც ყველას, იმ პერიოდში ჩვენს ოჯახსაც უჭირდა, ცუდი დრო იყო. ისე მოხდა, რომ ჩემი არასრულწლოვანი ძმა წვრილმანი ხულიგნობისთვის დაიჭირეს, ჩემს ოჯახს მისი ციხიდან დახსნის საშუალება არ ჰქონდა, პოლიცია 2000 დოლარს ითხოვდა თავისუფლების სანაცვლოდ. თუ საქმე პროკურატურასა და სასამართლოს გადაეცემოდა, შესაბამისად, თანხაც გაიზრდებოდა. მაქსიმალურად ვიყავი გადართული ჩემს სამუშაოზე, რომ რაც შეიძლება ბევრი სარეკლამო შეკვეთა ამეღო და ძმის გამოსახსნელი ფული შემეგროვებინა. ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, – დამკვეთია მოსული, ბევრი გადაღება მაქვს და თუ სურვილი გაქვს, დაელაპარაკეო. რა თქმა უნდა, შევხვდი ამ ადამიანებს, ერთ-ერთი მათგანი იყო პაატა ცაავა (მეუფე პეტრე). აღმოჩნდა, რომ მათ რეკლამა კი არა, დოკუმენტური ფილმის შეკვეთა უნდოდათ. დოკუმენტური ფილმის შინაარსის შესახებ პირველ დღეს ჩემთვის არაფერი უთქვამთ. მათ მკითხეს, ხარ თუ არა თანახმა, კონკრეტული თანხის სანაცვლოდ ეს ფილმი გადაიღოო. ვკითხე, რამდენი იქნებოდა ჩემი ჰონორარი. პაატა ცაავამ მითხრა, რომ ამ ფილმში 2000 დოლარს გადაიხდიდა. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა და ჩემი ფიქრები გადავიდა ჩემს ძმაზე. ვიფიქრე, ამ ფილმს გადავიღებ და ჩემს ძმასაც დავიხსნი-მეთქი... პაატა ცაავა ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი აღმოჩნდა, დეტალურად გამომკითხა, ვინ ვიყავი, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, როგორც ხდება ხოლმე ქართველებში და არც გამკვირვებია დეტალებით მისი დაინტერესება. დედაჩემი წარმოშობით სამეგრელოდანაა და ეს რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა. ერთი სიტყვით, პაატა ცაავა დარწმუნდა, რომ არ ვიყავი ის, ვისი ნდობაც არ შეიძლებოდა. მის პიროვნებაში ეჭვი არ შემპარვია, რადგან საეჭვო ადამიანები ტელევიზიაში არ დადიან ისეთ რამეებზე, რასაც ქვემოთ გაიგებთ. მხოლოდ მეორე დღეს შემატყობინეს, რომ დოკუმენტურ ფილმს ვიღებდით არა საქართველოში, არამედ სომხეთში... არც ამისთვის მიმიქცევია ყურადღება, დავთანხმდი, სადაც გინდათ, იქ წავიდეთ და გადავიღოთ-მეთქი.

**— რა უნდა გადაგეღოთ სომხეთში?**

– როგორც პაატა ცაავამ მითხრა, უნდა გადაგვეღო სომხეთის ღირსშესანიშნაობები და კადრში უნდა აღგვებეჭდა ფაქტები, როგორ ვითარდება სომხეთის სახელმწიფო, როგორ ცხოვრობს ხალხი და ა.შ. ჩემს პრობლემებზე ვიყავი ფოკუსირებული და ნამდვილად არ მიფიქრია რაიმე ცუდზე.

**— როგორ წარგადგინათ პაატა ცაავამ, ვინ იყო მაშინ?**

– მოძველბიჭო ტიპს უფრო ჰგავდა, მაგრამ მითხრა, რომ ბიზნესმენი იყო... მას ახლდა მეგობარი, რომელიც ჩემთვის ნაცნობი პიროვნება არ იყო. პაატამ მითხრა, რომ სამ დღეში უნდა წავსულიყავით, მაგრამ წასვლის დრო გაიწელა, არადა მე ჩემი პრობლემა მქონდა მოსაგვარებელი და კონკრეტული ვადები დამითქვა პოლიციამ, რომ ფული მიმეტანა ძმის გამოსახსნელად. ჩემი პრობლემის შესახებ პაატა ცაავა საქმის კურსში ჩავაყენე და ავუხსენი, თუკი პოლიციაში ფულის მიტანას დავაგვიანებდი, თანხა გაორმაგდებოდა, თან იყო ცაავას ასეთი პირობა, რომ მე დამონტაჟებული კასეტა უნდა მიმეცა მისთვის, რის შემდეგაც გადამიხდიდა გასამრჯელოს. ამასობაში ჩვენი წასვლის დრო ძალიან გაიწელა, პაატამ მითხრა, რომ ფულს ელოდებოდა, ამასობაში ძალიან დამიახლოვდა, ჩემს ოჯახში ამოვიდა, დედაჩემი გაიცნო, მეგრულად საუბრობდნენ და ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. პაატამ დედაჩემი დაამშვიდა, არაფერი არ ინერვიულოთ, თქვენს შვილსაც გამოვიყვანთ, სერიოზულ დოკუმენტურ ფილმს ვაკეთებთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. მოკლედ, შორს რომ არ წავიდეთ, რამდენიმე კვირაში მისივე მანქანით „რენო-მოსკვიჩით“ წავედით სომხეთში. დანიშნულ ადგილზე საღამოხანს ვიყავით, შევედით რესტორანში სავახშმოდ, შემახვედრა ვიღაც სომეხ ჟურნალისტს, ალბათ, რომ დავრწმუნებულიყავი, რამდენად სერიოზულ ფილმს ვიღებდი სომხეთზე და მეორე დღეს მეუბნება: ილია, ახლა ჩვენ მივდივართ ყარაბახში. ეს ის პერიოდია, როცა ყარაბახში ომია და მახსოვს, ძალიან გამიკვირდა, რადგან ჩვენს გეგმებში ეს არ შედიოდა. გადავედით ყარაბახში. Vხედავ, აფეთქებებია, ძალიან კარგად მახსოვს პაატა ცაავას იმ დონეზე ჰქონდა გარკვეული იქ ყველაფერი სომხურ მხარესთან, რომ არაფერი გასჭირვებია, დროებით რწმუნებულსაც იცნობდა და შევიდა გამგეობაში. კაბინეტში მასთან ერთად შევედი და წარმადგინა, დაგვაბინავეს ერთ-ერთ დაბომბილ ძველ სასტუმროში და იმავე ღამეს პაატა ცაავას ვეკითხები, – აქ რა უნდა გავაკეთოთ? პაატა მპასუხობს, – ჩვენ უნდა შევიდეთ ციხეებში და უნდა გადავიღოთ აზერბაიჯანელი პატიმრები და მათგან ინტერვიუები უნდა აიღოო. კონკრეტულად კი უნდა მეკითხა, როგორ ექცევიან სომხები აზერბაიჯანელ პატიმრებს, რა პრობლემები აქვთ და ა.შ. ეს ამბავი მაშინვე ცუდად მენიშნა, მივხვდი, ჩემს თავს კარგი ამბავი არ ხდებოდა. ჩვენ ვიყავით სამ ქალაქში: შუში, აგდამი, ფიზული და პატიმრები იქ გადავიღეთ.

**— პაატა ცაავამ გადაღებული კასეტა ვისთან და სად მიიტანა?**

– მაშინ არ ვიცოდი, ვისთან მიჰქონდა კასეტა. რომ ჩამოვედით, პაატა მეუბნება, – ილია, დაუმონტაჟებელი მასალა მომეციო. მე შევახსენე პირობა, რომ დამონტაჟებული მასალა უნდა წაეღო ჩემგან და გამიკვირდა, მაშინ მხოლოდ ტელევიზიაში იყო სამონტაჟო და დაუმონტაჟებელ მასალას ვერსად გამოიყენებდა. ამაზე მიპასუხა, გადავხედავ და ზუსტად გეტყვი, რა მინდა და როგორ უნდა დაამონტაჟოო... რა თქმა უნდა, კასეტა მივეცი იმ პირობით, რომ მეორე დღესვე დააბრუნებდა. მოკლედ, მეორე დღეს, როგორც თქვენ არ გინახავთ ჩინეთის იმპერატორი, ისე გაქრა პაატა ცაავა ჩემი ცხოვრებიდან. თავისთავად, მისი ძებნა დავიწყე, ჩემდა სამწუხაროდ, მას კი ჰქონდა შესწავლილი ჩემი პიროვნება, მაგრამ მე არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა. მეგრული კილოთი ლაპარაკობდა და არ დაუმალავს, რომ სენაკიდან იყო, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, სად ცხოვრობდა. მის ძებნაში დრო გადიოდა, პოლიციელების მხრიდან ფულის მიტანის ვადა იწურება... როგორც იქნა, მივაგენი პაატა ცაავას, ძალიან შეშინებული ჩანდა... მე მას ჩემი სიცოცხლე ვანდე, მან კი მომატყუა. ყარაბახიდან რომ ჩამოვედით, მივხვდი, რაც ხდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიანი იყო...

**— რას მიხვდით, რომ პაატა ცაავა აზერბაიჯანის უშიშროებასთან იყო შეკრული და მათ დავალებას ასრულებდა?**

– სამწუხაროდ, ასეა... ახლა გავაგრძელებ ფაქტების მოყოლას... პაატა მიხვდა, რომ მე მისი გამშვები აღარ ვიყავი და აღარც ცდილობდა ჩემგან გაქცევას, მაწყნარებდა, ვისაც ველოდები, ხაზზეა და ანაზღაურებას მიიღებო... დაიგინა, დაიფიცა და ყველა ამოიწყვიტა. კიდევ ერთხელ რომ შემოსულიყო ჩემთან ნდობაში, გუშინდელი დღესავით მახსოვს, მითხრა, საცოლე მყავს, რაღაც პრობლემები მაქვს მასთან, ავჭალაში ცხოვრობს და გამომყევიო. დავეთანხმე. ის გოგო პირადად არ მინახავს, პაატა იმ გოგოს სახლში მარტო ავიდა, თუმცა დღესაც თვალდახუჭული მივაგნებ იმ კორპუსს, რადგან ჩემდაუნებურად დავიმახსოვრე, პაატას აღარ ვენდობოდი და მაქსიმალურად ვცდილობდი მის ირგვლივ ყველა ინფორმაციის მოძიებას. ამასობაში სამი კვირა გავიდა, რაც ჩემი ძმა პოლიციის განყოფილებაში ჰყავთ და დამიმატეს სამი დღე ფულის მისატანად. პაატა

ცაავას უკვე ძალიან მკაცრად მოვთხოვე, რომ, თუკი მკაფიოდ არ ამიხსნიდა, რა ხდებოდა და გასამრჯელოს არ მომიტანდა... ცემით დავემუქრე და ვუთხარი, შენ ხარ საეჭვო პიროვნება, ყველანაირი ნდობის ძაფი გაწყვიტე, მე თვითონ შემახვედრე იმ ხალხს-თქო. ცაავა ისე შეშინდა, გამოსავალს ვერ ხედავდა, ჩამსვა მანქანაში და მითხრა, წავედით, ოღონდ არა სომხეთში, არამედ აზერბაიჯანშიო... გზაში ვეკითხები, რატომ მივდივართ აზერბაიჯანში, როცა ფილმი გადავიღეთ სომხეთში. ის მეუბნება, რომ ამ ფილმის დამკვეთი იყო აზერბაიჯანული მხარე, მაშინ ხმას ავუწიე, პაატა ამიხსენი, რა თამაშს თამაშობ, რა შარში გამაყოფინე თავი-მეთქი... მანქანაში მხოლოდ ორნი ვიყავით, გავთვალე, ში უფლებას არავინ მოგვცემდა, აზერბაიჯანელი პატიმრები გადაგველო. მოკლედ, კასეტაზე აღიბეჭდებოდა ყველა აზერბაიჯანელი პატიმრის სახე, ამ მასალას აჩვენებდა აზერბაიჯანის ხელისუფლება მათ მშობლებს და აღარ დაიწყებოდა ალიევზე იერიში, რისი საშიშროებაც იყო, რომ ჩვენი შვილები ვერ იპოვეთო... ამით აზერბაიჯანელმა მხარემ საკუთარ მოსახლეობას დაუმტკიცა, რომ მათი უშიშროება კარგად მუშაობდა და მათ შვილებზე დარდობდნენ... ამ მასალის გადაღების მთავარი აზრი თურმე ეს იყო... როცა რეალობა შევიტყვე, ძალიან დავიძაბე. ამის მიუხედავად, ვუთხარი, წავიდეთ აზერბაიჯანში და შევხვდეთ იმ ადამიანებს-მეთქი... აზერბაიჯანში 40 წლის მამაკაცი დაგვხვდა, პაატამ ბინაში ვცხოვრობდით. ერთხელაც, მეგობრები ვორონცოვზე ხინკლის საჭმელად წავედით და რას ვხედავ, პაატა ცაავა მოდის მანქანით, გადავუდექი, გადმოვიყვანე მანქანიდან და მოვთხოვე პასუხი, სად იყო ამდენი ხანი... მითხრა, დედაჩემი იყო ცუდადო... რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ ხელიდან დამისხლტა. გადის დრო, ტელევიზიიდან შეერთებულ შტატებში მიწევს ოფიციალურად წასვლა ფილმის გადასაღებად, დავბრუნდი და ვაგრძელებდი ჩვეულებრივ ცხოვრებას გაჭირვებით, მაგრამ ბოლმა მახრჩობდა. ჯერ ერთი, ისეთ რამეზე მოვაწერე ხელი, რომ ჩემი პირადი სიცოცხლე დავდე სასწორზე, მეორე ის, რომ უბინაოდ დავრჩით.... მესამე ის, რომ ამის გამო დედაჩემმა ისე ინერვიულა, ინფარქტი მიიღო. მეოთხე ის, მითხრა, – ილია, მეუფეს როგორ ელაპარაკებიო... მამა დემეტრე დაიხარა და თაყვანი სცა მეუფეს, როგორც ხდება ხოლმე... მამა დემეტრემ ეს ამბავი არ იცოდა. ამ ამბის მოყოლას აზრი არ ჰქონდა და არც არაფერი მითქვამს. პაატა ცაავას ვუთხარი, ტელეფონის ნომერი მომეცი, შევხვდეთ და დავილაპარაკოთ, სალაპარაკო ბევრი გვაქვს-მეთქი. ამ ნომერზე დავრეკე და როგორც ჩანს, მეუფემ არასწორი ნომერი მომცა. მოგვიანებით, მეგობრებმა გამაფრთხილეს, მეუფე პეტრეს „ნაციონალური მოძრაობის" გავლენიანი ფიგურები მფარველობენ, მიხეილ სააკაშვილის შვილის ნათლიაა და ფრთხილად იყავი, რამე არ გაგიჩალიჩონო... პაატა ცაავა ეპისკოპოსის ფორმაში რომ ვნახე, თითქოს ჩემში

# სახლი მოტყუებით და როგორ დატოვა ლია ცისქვეშ?!

## არღვევს და „ალიას" სკანდალურ ისტორიას უყვება!





რომ შეიძლება მისი მხრიდან ინციდენტი მომხდარიყო და მეგობარი არ წამიყვანია, ვიფიქრე, მისი ოჯახიც არ გავაუბედურო, თუ შარი მიწერია, მე შევწირავ თავს-თქო. პაატა ცაავა მიხვდა, რომ ჩემი მხრიდან საშიშროება ემუქრებოდა და გამომიტყდა, რომ აზერბაიჯანის ძალიან ზედა ეშელონების უშიშროება არის ამ საქმეში ჩართული, ამის გამხელა შემეშინდა, რადგან შეიძლება უარი გეთქვა და მასალის გადასაღებად არ გამომყოლოდიო... ვკითხე, რატომ ენდობი აზერბაიჯანის უშიშროებას, რომ გადავალთ აზერბაიჯანის საზღვარზე, საფრთხე არ დაგვემუქრება-მეთქი?!. მოვთხოვე, ეჩვენებინა ჩემ მიერ გადაღებული კასეტა და მითხრა, რომ მასალა უკვე აზერბაიჯანის უშიშროების ხელში იყო... მანქანა გავაჩერებინე, ვუთხარი, გადმოსულიყო და დაწვრილებით მოეყოლა, რაში დასჭირდა აზერბაიჯანის უშიშროებას ეს მასალა და რა იყო მასალის დანიშნულება. მინდა მთელი ინფორმაცია თქვას, სანამ საზღვარზე გადავალთ. პაატა მეუბნება, – მე ვერ გეტყოდი, რა დანიშნულებით მივდიოდით ყარაბახში, რადგან შეიძლება ისე დავემარხეთ, პატრონიც ვერ გვიპოვიდა, შენთან ერთად მეც გავრისკე, მეც ფული მჭირდებოდაო. თურმე რა ყოფილა... აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი რომ მიდიოდა, ჯარისკაცების ნაწილი გარდაიცვალა და ნაწილი დაიკარგა. როგორც პაატა ცაავამ მითხრა, აზერბაიჯანის უშიშროებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მათი ჯარისკაცები ციხეში ისხდნენ, მაგრამ ამ ინფორმაციის ფაქტობრივი დამადასტურებელი მასალა არ გააჩნდა. აზერბაიჯანული უშიშროების ჩანაფიქრი იყო ის, რომ ნეიტრალური მხარე – საქართველოს წარმომადგენელი გადაიღებდა ვითომ დოკუმენტურ ფილმს სომხებზე, რეალურად რაც მე ვნახე, ცაავას სომხებთანაც ჰქონდა საქმე მოგვარებული, სხვა შემთხვევა-

მითხრა, ეს ადამიანი აზერბაიჯანის უშიშროების თანამშრომელიაო, მას აზერბაიჯანულადაც შეუძლია საუბარი, შეიძლება დამალოს და თქვას, რომ ეს ტყუილია, მაგრამ მე გეუბნებით, რომ აზერბაიჯანული ენა იცის. მას მოვთხოვე, მითარგმნე, რაზე საუბრობთ-მეთქი. მითხრა, ფული მალე იქნებაო... დავრწმუნდი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართალს მეუბნებოდა და რომ ფული მართლა აზერბაიჯანულ მხარეს უნდა გადაეცა მისთვის. საკუთარი თვალით დამანახა და საკუთარი ყურით მომასმენინა, რომ მას აფინანსებდა აზერბაიჯანის უშიშროება. პაატას ვუთხარი, რომ დრო აღარ მრჩებოდა, ფულის გამოგზავნას ვეღარ დაველოდებოდი. ამ დროს მთავაზობს, – მოდი, შენი ბინა გავყიდოთ, ჩემს ნათესავს უნდა ბინის ყიდვა, კლიენტის მოძებნაში დრო აღარ დაგეხარჯება, ხოლო როგორც კი ფულს მომცემენ, დაგიმატებ და კარგი ბინა ვიყიდოთო. სხვა გამოსავალი არ იყო და მას რომ არ შეეთავაზებინა, საბოლოო ჯამში, მაინც ამის გაკეთებას ვაპირებდი, ჩემს პატარა ძმას ციხეში არ დავტოვებდი. ვარკეთილში გვქონდა სამოთახიანი გარემონტებული ბინა. მოგეხსენებათ, ამ უბანში მაშინ ბინების ფასი მერყეობდა 2700-3000 დოლარის ფარგლებში და პაატა ცაავამ ისე მოახერხა, რომ თავის ნათესავზე ეს ბინა მიმაყიდვინა 1600 დოლარად, დანარჩენი 400 დოლარი მეზობლებში ავაგროვე და ჩემი ძმა ციხიდან დავიხსენი. ამის შემდეგ დაველოდე, როდის მომცემდა ჩემს კუთვნილ ფულს პაატა ცაავა, ოჯახს მხოლოდ ეს ერთი ბინა გვქონდა... პაატა ცაავას წყალობით, აგერ უკვე 24 წელია, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ...

**— რატომ გაგიჭირდათ პაატა ცაავას მოძებნა?**

– მართალი გითხრათ, ძებნა არ შემიწყვეტია. პლეხანოვზე ნაქირავებ

რომ მე და ჩემი ძმა ობლობაში ვიზრდებოდით, მამა არ გვყავდა, პატარა ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. გაჭირვება ჩვენთვის იმდენად ახლობელი იყო, შეგუებული ვიყავი ასეთ ცხოვრებას, კონცენტრირებული ვიყავი იმაზე, როგორ გამოვსულიყავით მდგომარეობიდან და აღარ მიფიქრია, მომეძებნა პაატა ცაავა და მომეთხოვა მოსათხოვი... სიმართლე გითხრათ, დედაჩემს არ უკადრებია პოლიციაში მისვლა და პაატა ცაავაზე საჩივრის დაწერა. დრო რომ გავიდა, ახლობელი შემხვდა და მითხრა, რომ პაატა ცაავამ ფულში გადააგდო. ეს ქალაქი პატარაა, არაფერი იმალება და თაღლითები უცბად იშიფრებიან. მოკლედ, პაატა ცაავას თბილისში თაღლითის სახელი ჰქონდა.

**— რატომ არ დააწერინეთ ცაავას ხელწერილი, რომ თქვენი ვალი ჰქონდა და უნდა გაესტუმრებინა?**

– ხელწერილი რომ დაეწერა, მერე რა?!. რა აზრი ჰქონდა, მაინც არ გადაიხდიდა... მოკლედ, პაატა ცაავა ისე გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, თითქოს ცამ ჩაყლაპა. მახსოვს, 2004-2005 წელი იყო, მხვდება პატრიარქის პირადი მდივანი შორენა თეთრუაშვილი. მან იცის ჩემი დამოკიდებულება პატრიარქის მიმართ და მეუბნება, – ილია, შენ რადგან ამერიკა გიყვარს და ამერიკულ წიაღში ხარ, ახლა ჩამოდის ამერიკის მიტროპოლიტი და პატრიარქთან ერთად შენც წამოდიო... რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მარშრუტიც მითხრა, რომ მივდიოდი ტაბახმელაში და მეორე ბოდბეში. ტაბახმელაში იმართებოდა სასულიერო კონფერენცია და ამ კონფერენციას ვიღებდი... შესვენებისას მამა დემეტრეს ვესაუბრები, ამ დროს ვილაცა მხარზე ხელს მადებს, ავხედე და ვხედავ ანაფორაში გამოწყობილ პაატა ცაავას... ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, გაკვირვებულმა ვკითხე, – პაატა შენ ხარ?!. მახსოვს, მაშინ მამა დემეტრემ

რაღაც დაინგრა, შეხედულებები შემეცვალა. მეგობრებთან სულ ვსვამდი კითხვას, ნეტავ, თუ არსებობს სამართალი... ადამიანი, რომელმაც მთელი ჩემი ოჯახი შიმშილისთვის და სასიკვდილოდ გაწირა, მოგვატყუა, ვის გამოც დედაჩემს ინფარქტი დაემართა, დღეს არის პატივსაცემი, საზოგადოება მას მეუფეს ეძახის და მრევლი ალსარებას აბარებს... ბოლოს პაატა ცაავას შევხვდი 2009 წელს გასვენებაში, გარდაცვლილი დეპუტატის ნაული ჯანაშიას ჯიპით მოვიდა, ტელეფონის ნომერი ისევ გამოვართვი და იქვე გადავამოწმე, მას შემდეგ რამდენჯერმე დავურეკე და არ მიპასუხა...

**— პატრიარქს ეს ამბავი არ მოუყევით?**

– პატრიარქს რამდენიმე დღის წინაც შევხვდი, ვისაუბრეთ, მაგრამ არასოდეს ჩამითვლია საჭიროდ, ამ თემაზე მესაუბრა, ეს ამბავი რომ მომეყოლა, ამით პატრიარქს გულს ვატკენდი, რადგან მისი ხელდასხმულია პაატა ცაავა ეპისკოპოსად... ვილაცამ პატრიარქი შეცდომაში შეიყვანა, როცა ცაავა ეპისკოპოსად აკურთხა.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ძალიან დიდი ხმაური ატყდება, ასევე, მზად იყავით იმისთვის, რომ პირადად თქვენზე ზეწოლა განხორციელდება. ასევე, მე ვარ მზად, რომ როგორმე გავუმკლავდე შემოტევებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შეიძლება პაატა ცაავამ კრიმინალური სამყარო გამომიგზავნოს, ამისთვისაც მზად ვარ... თავისთავად, პაატა ცაავა ყველაფერზე უარს იტყვის, მაგრამ ყველაფერი დაწვრილებით მოგიყევით და თქვენი გაზეთით ვაცხადებ – დღემდე მაქვს ეჭვი, რომ პაატა ცაავა არის უშიშროების კადრი. უშიშროება მაშინ ცდილობდა, ყველა ეკლესიაში ჩანერგილი ადამიანი ჰყოლოდა და სავარაუდოდ, მათ შორის იყო პაატა ცაავა. მის ისტორიას რომ გადახედოთ, როგორ გახ-

### სენსაციური გამოძიება

და ეპისკოპოსი, აუცილებლად გაჩნდება ეჭვი, რადგან სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ძალიან მოკლე დროში გახდა ეპისკოპოსი. 24 წელი გავიდა და ემოციის ბოლო ნაპერწკალი ჩაქრა. ჩემს თავს ვეუბნები, – ილია, ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე და ყველაფერი ხდება. ვეცადე, პაატა ცაავას საქციელი გამემართლებინა ამ სიტუაციაში, მაგრამ საკუთარ თავს ვეუბნები, – ხომ ხედავ, ეკლესიაში წავიდა, ალბათ, მოინანია, მაგრამ ჩემი შინაგანი ხმა მპასუხობდა, – მან შენ მოგატყუა და არ ეცადა შენს მოძებნას და შენდობის თხოვნას. ადამიანობას, ჩემს შვილებს, ქვეყანას ვფიცავ, პაატა ცაავას ბოდიში რომ მოეხადა და პატიება ეთხოვა, ჩავეხუტებოდი და ვეტყოდი, შენ არაფერ შუაში ხარ, ორივე მოტყუებული ვართ-მეთქი, იქით დავაწყნარებდი... მაგრამ მან ეს არ გააკეთა...

განსაკუთრებით ბოლო შვიდი წელია ველოდები ამ დღეს, როდის მოვა პაატა ცაავა ჩემთან. ის ხომ ჩვენი სინოდის წევრია, ის ხომ ეპისკოპოსია, მეუფე პეტრეს ხომ აქვს რაღაცა შანსები, რომ გახდეს ჩვენი ქვეყნის პატრიარქი. ხვალ-ზეგ რომ პაატა ცაავა მოგვევლინოს პატრიარქად, გეკითხებით, რა იქნება მერე?!. ვინც მეუფე პეტრეს პატიებას სთხოვს, თავის გულისნადებს ანდობს, ვინც მასში წმინდანს ხედავს, ის ადამიანი ხომ არის ცოდო, როცა რეალურად პაატა ცაავა არის თაღლითი. მოდით, ერთი წუთით დავივიწყოთ ჩემი ისტორია, შევხედოთ ამ საკითხს სხვა პრიზმაში. ჩვენს ქვეყანაში ცუდი კანონები გვაქვს, მაღალი იერარქიის სასულიერო პირის დაკითხვა არ შეიძლება. ამით შენ უნთებ მწვანეს, რომ გადაცდომები ჩაიდინოს. სასულიერო პირიც ჩვეულებრივი ადამიანია, აქვს ცდუნებები და შეიძლება კანონი დაარღვიოს. ახლა თქვენი გაზეთით პირდაპირ ვაცხადებ, მეუფე პეტრეს (პაატა ცაავას) სადაც უნდა, როგორც უნდა, ნებავს საპატრიარქოში, ნებავს, სინოდის კომისიაზე, გავიტანოთ ეს საკითხი, თუ ნებავს, მარტვილში ჩავაკითხავ და დაველაპარაკები, მითხრას, რომ ეს არ გაუკეთებია და ჩემთან ერთად არ ყოფილა, ეშმაკს არ სძინავს და კიდევ ვიტოვებ ბევრ საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით... და თუკი გაბედავს და უარყოფს ამ ინფორმაციას, მერე ვიცი, როგორ დაველაპარაკები და რას შევახსენებ... ერთმა მამაომ მითხრა, მას ისეთი სტატუსი აქვს, ნუ განიკითხავო... მე მას ვუთხარი, – ნუ გეშლებათ, მამაო, მხილებასა და განკითხვას შორის არის დიდი სხვაობა, როცა ფარისეველს ამხელ, ეს არის მხილება და არა განკითხვა...

**— მოდი, მივცეთ მეუფე პეტრეს კიდევ ერთი შანსი, მე და თქვენ დავურეკოთ მას და ავუხსნათ ინტერვიუს გასვლამდე, რომ თქვენ ხართ ჩემი რესპონდენტი და კითხვებზე გვიპასუხოს...**

– თუ თქვენს ზარს ახლა მეუფე უპასუხებს, დამელაპარაკება და მთხოვს შენდობას, გთხოვთ, რომ ეს ინტერვიუ აღარ გაუშვათ...

**P.S. რედაქცია შეეცადა მეუფესთან დაკავშირებას, რა თქმა უნდა, მან არ გვიპასუხა და გავუგზავნეთ სმს-შეტყობინება, რომ გვსურდა ილია ზუკაკიშვილის შესახებ საუბარი... მეუფემ ასევე უპასუხოდ დატოვა ჩვენი სმს-შეტყობინება. შემდეგ დავუკავშირდით დედა თამარს, რომელიც არის მეუფესთან დამაკავშირებელი პირი. ფაქტობრივად, მან მიმალანძღა და კატეგორიული ტონით ამიკრძალა, აღარასდროს დამერეკა მისთვის. ამ ზარის შემდეგ, არაქრისტიანული ბრძოლა გამომიცხადეს, რაც გამოიხატება ჩემს განკითხვაში და არა მხილებაში...**

**გაგრძელება იქნება...**

Facebook ამბები

facebook



**ხათუნა ხოფერია (ია ანთაძის ამ წერილზე):**

არასოდეს მივცემდი უფლებას ჩემ შვილებს მოესმინათ ია ანთაძის სასწავლო კურსი!!!!..

რას ნიშნავს "რესპოდენტის კომფორტის ზონიდან გაყვანა"..???

ან რა არის რესპოდენტისთვის კომფორტის ზონა?...

რატომ უნდა ჩაითვალოს უცოდინრობა, მოუმზადებლობა, უზრდელობა ჟურნალისტის წარმატებად?

რამ აღაფრთოვანა ია ანთაძე? იქნებ საკუთარმა არარეალიზებულმა სურვილმა? საკუთარი პროვინციალური აზროვნების დაფარვის უსუსურმა მცდელობამ? თუ თავისი პროფესიული უპირატესობის წარმოჩენის ვნებამ?

გამოიყვანო ადამიანი კომფორტის ზონიდან ძალიან ადვილია თუ საკუთარი თავის და პროფესიის უპატივცემულობას შეურიგდები! იამ ეს მოახერხა!

არასოდეს ვყოფილვარ მისი "წვდომებით' აღფრთოვანებული, მაგრამ ამჯერად, ნამდვილად გამაკვირვა! ია ანთაძემ "კომფორტის ზონიდან" გამომიყვანა!... )))))))))))))))....

facebook




**ცოტნე გამსახურდია განათლების ახალ მინისტრზე:**

მგონი, არ ჩანს ცუდი კაცი ეს... ;) გამეხარდა ის დედაკაცი რომ გაუშვეს - კი აშენდა საშვილიშვილოდ, მაგრამ სჯობს გვიანო, მოგეხსენებათ...

ჰო, თავად ჩანაწერის შინაარსზე ვიტყვი, რომ როდესაც პირადად მე ქართველებს ვაკრიტიკებ ან მეტიც, ვლანძღავ, საკუთარ თავსაც ვგულისხმობ ხშირად. და უფრო მეტადაც... თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანმა ძალიან ბევრი რამე - ავი და კარგი - სუბიექტური თვითშეგრძნებიდან იცის...

---

**წარმატებულები**

# ზვიად ჩიტიშვილი: „ჩვენ, რუსეთში მცხოვრები პატრიოტი ოსეთში და ნელ-ნელა

## „დიდი შანსია, ჩვენი დევნილები დავაბრუნოთ ცხინვალსა

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„ალია“, რუბრიკაში „წარმატებულები“, წარმოგიდგენთ მოსკოვში მოღვაწე წარმატებულ ქართველ ბიზნესმენს ზვიად ჩიტიშვილს, რომლის სახელსაც ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე უკავშირდება, რაც ფართო აუდიტორიისთვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. სულ ახლახან, 9 აპრილს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი სამშობლო“ დაარსდა, რომელიც დევნილებისგან შედგება. პარტიის ყრილობამ ისე ჩაიარა, რომ არც ერთ მედიასაშუალებას არ გაუშუქებია. ამ პარტიის ლიდერი გახლავთ 44 წლის ზვიად ჩიტიშვილი. იგი საქართველოში რეგისტრირებული პარტიების ერთადერთი ლიდერია, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს — საქართველოს და რუსეთის. ამ უჩინარი პატრიოტის სახელს უკავშირდება მცხეთაში ქართულ-ოსური ეკლესიის მშენებლობა, სადაც წირვა-ლოცვა მიმდინარეობს ოსურ ენაზე, ხოლო სამების ტაძრის უკან, ქართულ-აფხაზური ეკლესიის მშენებლობა მისი წამოწყებულია. ზვიად ჩიტიშვილი გახლავთ დედით ოსი, იგი ქართველებსა და ოსებს შორის უჩინარი ხიდია. ეს არის პიროვნება, რომელიც ქართველებსა და მოძმე ოსებს შორის ურთიერთობას უყრის საძირკველს... და არამხოლოდ მოძმე ოსებს, გავლენიან აფხაზებთანაც აქვს მას რეგულარული ურთიერთობა და სწორედ ზვიად ჩიტიშვილის სახელს უკავშირდება სამეგრელო-აფხაზეთის საზღვართან 19 მაისს ვერაგულად მოკლული გიგა ოთხოზორიას მკვლელის, რაშიდ კანჯი-ოღლის დაკავება. რას აკეთებს იგი საქართველოსთვის, რა ხედვა აქვს დაკარგული ტერიტორიებისა და ურთიერთობების აღსადგენად? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი თავად ისაუბრებს.**

**— სულ ახლახან დააფუძნეთ პოლიტიკური პარტია „ჩვენი სამშობლო“ ლოზუნგით — „სიმართლის დროა“... თქვენ შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით, გარდა ერთისა, რომ ამ ბოლო დროს თქვენი სახელი დაუკავშირდა გიგა ოთხოზორიას მკვლელის დაკავებას.**

— საშინელი ტრაგედია დატრიალდა, ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ გიგა ოთხოზორიას ოჯახს. სოფელ ხურჩაში დატრიალებული ტრაგედია სხვა არაფერია, თუ არა ბინძური პროვოკაცია და ჩვენთვის ზურგში მახვილის ჩაცემა. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ჩვენს სამშობლოში“, ქართველებთან ერთად, გაწევრიანებულები არიან აფხაზები, ოსები. ჩვენმა პარტიამ მომხდარი საგანგებო პრესკონფერენციით გააპროტესტა. 24 მაისს სასწრაფოდ ჩავფრინდი მოსკოვში და მრგვალ მაგიდასთან შევხვდი გავლენიან აფხაზებს, ოსებს, რუსებსა და ქართველებს. ამ შეხვედრაზე რიგითი აფხაზები გავლენიან აფხაზებს ისეთ მწვავე შეკითხვებს უსვამდნენ და ისე მკაცრად სთხოვდნენ პასუხს მომხდარის გამო, რომ გაოცებული დავრჩი. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ აფხაზები, რუსები და ოსები უკვე მზად არიან ქართველებთან შესარიგებლად. გავლენიანი აფხაზი ძმებისგან მივიღე პირობა, რომ მკვლელი რაშიდ კანჯი-ოღლი უმკაცრესად დაისჯება და ხელს არ დააფარებენ. ბიბლიაზე მაქვს დაფიცებული, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქის და ყველა იმ ადამიანის გასაჭირი, ვისაც საქართველო უყვარს, იქნებოდა პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის გასაჭირი და ამასვე ვპირდები გიგა ოთხოზორიას ოჯახს. თქვენ შეგიძლიათ, გადაამოწმოთ და ნახოთ, 2012 წლის შემდეგ ორმხრივი შეხვედრა ქართველებსა და აფხაზებს შორის გალის ფორმატში არ შემდგარა და ეს შეხვედრა ჩვენი პარტიის გაკეთებულია. აფხაზეთის მხარეს ვთხოვეთ, ქართული მხარისთვის დაემტკიცებინა, რომ არ აპირებენ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმის მიჩქმალვას და თაროზე შემოდებას. პასუხად მივიღე, რომ მზად იყვნენ, ქართულ მხარეს შეხვედროდნენ და ელოდებიან შესაბამისი დოკუმენტების მიღებას. ოთხოზორიას მკვლელს არავინ გამოუშვებს, მაგრამ, თუ საქმე ჩაიშლება და მკვლელი უმკაცრესად არ დაისჯება, დამნაშავე იქნება ქართული მხარე. ესე იგი მათ არ მიაწოდეს საჭირო დოკუმენტები.

**— რამ გადაგაწყვეტინათ პოლიტიკაში მოსვლა?**

— ჩემს ძარღვებში ქართული და ოსური სისხლი ჩქეფს, ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო, არ მაქვს უფლება, მშვიდად ვიჯდე და დაველოდო, კიდევ რამდენი სისხლი დაიღვრება. ჩვენ ვართ ძმები და სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ ურთიერთობა. ჩემს შესახებ რომ ბევრი არაფერი იცით, არც მიკვირს, რადგან ვამჯობინებ, საქმე უხმაუროდ ვაკეთო. ვიბრძოდი აფხაზეთის ომში...

**— აფხაზეთის ომში როგორ აღმოჩნდით?**

— მოსკოვიდან ჩემი მშობლების მოსანახულებლად ჩამოვედი, ომის საშინელი კადრები ვნახე, როგორ ხოცავდნენ ქართველებს. უკან გასაბრუნებელი ბილეთი ჩავაბარე და ჯინსებით აღმოვჩნდი ომის წინა ხაზზე. მოხალისეთა რაზმში ჩავეწერე და ოჩამჩირეში ვიბრძოდი ბოლომდე. ბიძაშვილი ბიძაშვილს ესროდა და ეს იყო საშინელი ტრაგედია. ათი დღე მშივრები ვიყავით და მაშინ გავიგე დამპალი თოვლის გემო, რომელსაც მატლი ჰქონდა გაჩენილი. ამ მატლიან თოვლს ვჭამდით, რომ არ გამოვფიტულიყავით. აფხაზეთის ომის შემდეგ თითქმის სამი ათეული წელია გასული და ხორცი და თევზი არ მიჭამია. ჩვენი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი რომ გამოდის და ამბობს, ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსები 900 დღის მანძილზე ვირთხებს და კატებს ჭამდნენო, ეს არის მინისტრი, რომელმაც არ იცის, აფხაზეთისა და ცხინვალის ომის დროს საკუთარი ქვეყნის ჯარი რას ჭამდა. ეს არ იცის და ლენინგრადის ბლოკადაზე ლაპარაკობს... ვიყავი პირველი ის ახალგაზრდა, რომელმაც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის ჯარში მსახურებაზე. 14 წლიდან ვმუშაობ, ოთხი ძმა ვართ, 90-იან წლებში ჩემი ნათესავები იძულებული გახდნენ, ოსეთში წასულიყვნენ. სულ ვფიქრობდი, რის გაკეთება შემეძლო ჩვენი ურთიერთობის აღსადგენად. ძალიან აქტიური ვიყავი, საჩხერეში მიწისძვრა რომ მოხდა, თითქმის ბავშვი ვიყავი, ბრიგადა შევქმენი, მივდიოდით ოჯახებში და ვეხმარებოდით. 2008 წლის აგვისტოს ომმა დიდი გარდატეხა მოახდინა ჩემში, მაშინ ღვთის წყალობით ჩემი ნათესავები გადაურჩნენ დაბომბვას. ვცდილობდი, ჩემი საკუთარი ფინანსური სახსრებით და ენერგიით დავხმარებოდი საქართველოს და კონკრეტულ შედეგებსაც მივაღწიე. ჩვენ ვართ ის ძალა, ვისაც შეუძლია მოძმე ხალხთან შერიგება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან მივიღეთ კურთხევა, დავიწყეთ მოლაპარაკება ქართველ და ოს მოსახლეობასთან და დავითანხმეთ, რომ ახალდაბადებულ ბავშვებს ერთმანეთს მოანათვლინებენ, ამით განახლდება ისევ ნათესაური კავშირები და სულიერ დებსა და ძმებს შორის ომის საშიშროება აღარ იქნება. ბებრის ციხესთან პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ავაშენე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ეკლესია გაიხსნა 6 მაისს, წმინდა გიორგის დღესასწაულზე. თითოეულ ბლოკში, რომლითაც ეს ეკლესია აშენდა, ოსებისა და ქართველების ფიცია ჩატანებული, უფალს შევფიცეთ, რომ ჩვენს შორის ძმათა მკვლელი ომი აღარ იქნება. პატრიარქი ყოველთვის ამბობს, ამქვეყნიდან ისე არ წავალ, საქართველოს გამთლიანება ერთად არ ვიზეიმოთო... მერწმუნეთ, ეს დრო შორს არ არის. 2015 წლის 19 აგვისტოს, ფერიცვალებაზე, პატრიარქმა მთხოვა ოსი ხალხის ჩამოყვანა, ერთად დავსხდეთ და ეს დღე ერთად აღვნიშნოთო. რა თქმა უნდა, ეს კურთხევა სიხარულით მივიღე და ორასამდე ოსი ჩამოვიყვანეთ, მათ შორის იყვნენ მებრძოლები, დეპუტატები, მინისტრები, მათი მოადგილეები... ასეთი შეკრება არასდროს მომხდარა, პატრიარქმა მცხეთაში, დედათა მონასტერში სადღესასწაულო ტრაპეზი დაგვახვედრა, დალოცა ჩვენი შერიგება, მეორე დღეს კიდევ შევიკრიბეთ და ოსურად დავილოცეთ. ქართველმა და ოსმა მებრძოლებმა შეფიცეს, რომ ერთმანეთის სისხლს აღარ დაღვრიან და ჩვენ შორის იქნება მშვიდობა. ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ და რომელიმე პარტიას ამ საქმეების ერთი პროცენტიც რომ გაეკეთებინა, ტელევიზიებში გაუთავებლად იქნებოდა ლაპარაკი. ამდენ საქმეს ვაკეთებ და იგნორს მიკეთებენ, არ დაგიმალავთ და ამის გამო გულდაწყვეტილი ვარ. 2013 წელს შერიგების პროგრამა მქონდა ჩამოტანილი და ვამბობდი, რომ ოსური მხარე შერიგებისთვის მზად იყო, თუმცა არც მაშინ მომაქცია ვინმემ ყურადღება. 2016 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, პატრიარქმა სვეტიცხოველში მიმიწვია და მას ვუთხარი, რომ ვაპირებდი პარტიის შექმნას, რომლის მიზანიც იქნებოდა დიდი შერიგება. პატრიარქმა დაგვლოცა. 9 აპრილს ფილარმონიაში პარტიის ყრი-





**„დავიწყეთ მოლაპარაკება ქართველ და ოს მოსახლეობასთან და დავითანხმეთ, რომ ახალდაბადებულ ბავშვებს ერთმანეთს მოანათვლინებენ, ამით განახლდება ისევ ნათესაური კავშირები და სულიერ დებსა და ძმებს შორის ომის საშიშროება აღარ იქნება“**

ლობა ჩავატარეთ და ჩვენი ყრილობა არც ერთმა მედიასაშუალებამ არ გააშუქა. არადა, ეს იყო მნიშვნელოვანი დღე და იცით, რატომ? ერთად იდგნენ აფხაზები, ოსები და ქართველები. იქ იყო ქალბატონი, რომელსაც ოჯახიდან ამ ომში 18 ადამიანი ჰყავს დაღუპული. იქ იყო ქართველი ქალბატონი, რომელსაც აფხაზებმა შვილის თვალი გადააყლაპეს. შვილდაღუპული დედები გადაეხვივნენ და ერთმანეთს შენდობა სთხოვეს. გამწარებულ დედებს ესმით, რომ ჩვენს მომავალ თაობას არ უნდა დავუტოვოთ გახლეჩილი და დაპირისპირებული საქართველო. ჩვენ ყოველთვის ერთნი ვიყავით და უნდა აღვადგინოთ ურთიერთობები. დიდი შანსია, ჩვენი დევნილები დავაბრუნოთ ცხინვალსა და აფხაზეთში, ამ შანსს თიბილოვს, რომ ეს არ უნდა გაეკეთებინა.

**— თქვენ ბრძანებთ, რომ არის შანსი, დევნილები ცხინვალსა და აფხაზეთში დააბრუნოთ... როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?**

– ჩვენ, რუსეთში მცხოვრები პატრიოტი ქართველები მზად ვართ, გამოვისყიდოთ მიწები აფხაზეთში, ოსეთში და ნელ-ნელა დავიწყოთ ხალხის უკან დაბრუნება. აფხაზეთის, ოსეთისა და რუსეთის მთავრობას ვარწმუნებთ, რომ აუცილებელია, ურთიერთობა აღდგეს, მერწმუნეთ, თუ ერთად დავდგებით, მიზანს მივაღწევთ და ქვეყანას გავამთლიანებთ. ასიათასობით ჩემნაირი გულანთებული ქართველია რუსეთში, ჩვენ საერთო სატკივარი გვაერთიანებს, წმინდა ადგილები და უჩვენებენ რუსეთის სხვადასხვა არხზე. რუსეთის ყველა ეკლესიაში ვაპირებთ მომლოცველებისთვის ბროშურების დადებას, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ და ყველა წმინდა ადგილი მოილოცონ. ამ ზაფხულს ვაპირებთ ორი მილიონი ტურისტის ჩამოყვანის ორგანიზებას, რუსეთის ტურიზმის პრეზიდენტთან შეთანხმება მიღწეულია და მის განცხადებას უახლოეს მომავალში მოისმენთ... თუ რას იტყვის ის ქალბატონი, ეს სიურპრიზად დავტოვოთ.

**— საქართველოს ხელისუფლებასთან გაქვთ კონტაქტი? რა იციან თქვენი გაკეთებული საქმეების შესახებ?**

– არა, არ მაქვს კონტაქტი, ამდენ

## ნოსტალგიებულები

კადრებისკენ; აუცილებლად უნდა შევისწავლოთ სააკაშვილის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გადაცემული ქართული პასპორტების საკითხი; უცხოეთში დაბადებულ ქართველებს და მათ შორის ევროპაში გადახვეწილ 700 ათას ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს პასპორტები უნდა მივცეთ; მიწა უნდა გაიყიდოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეზე და ისიც, არა საზღვრისპირა ზოლში; სასარგებლო წიაღისეული – ხე-ტყე, მდინარეები, ტბები, საზღვრისპირა მიწის ზოლი, მთლიანად უნდა გადავიდეს სახელმწიფოს საკუთრებაში; სახელმწიფომ ეს სიმდიდრეები უნდა გამოისყიდოს.

# ქართველები, მზად ვართ, გამოვისყიდოთ მიწები აფხაზეთში, დავიწყოთ ხალხის უკან დაბრუნება!“

## და აფხაზეთში, ამ შანსს ხელიდან ნუ გავუშვებთ!“



**„შერიგების მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი და მისი უწყება რას აკეთებს, კაცმა არ იცის, ან როგორ უნდა წავიდეს შეხვედრებზე ოსებთან, როცა ერთი ახლობელიც არ ჰყავს ოსი“**

ხელიდან ნუ გავუშვებთ. რუსეთში ბევრი წარმატებული ქართველი ვცხოვრობთ, ბევრი საქმის დადებითად გადაწყვეტა შეგვიძლია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისგან ვგრძნობთ ხელის შეშლას, რაც ძალიან ცუდია. საქართველოში დამკვიდრებულია ასეთი სტერეოტიპი, ვინც რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ის საქართველოს მტერთან შეკრულია, ყველას ერთ ქვაბში ხარშავენ, ფაქტების გარეშე ცილს სწამებენ იმ ადამიანებს, ვისაც გული ერჩის, რომ გამთლიანებული საქართველო ნახოს. რა ჰგონიათ, ვინმეზე ნაკლებად მიყვარს ჩემი სამშობლო?!. ჩვენს პარტიაში გაწევრიანებული არიან ძალიან გავლენიანი ეთნიკური აფხაზები და ოსები, თიბილოვმა რეფერენდუმი რომ გადადო რუსეთთან შეერთებაზე, რომელიც სექტემბერში უნდა ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, ეს ვინ გააკეთა?!. ამ საკითხზე ჩვენი პარტიის წევრებმა იმუშავეს და არგუმენტირებულად დაუმტკიცეს

როგორმე აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. რუსები ძალიან ბევრ რამეზე არიან თანახმა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება თავის თავს არ ეკუთვნის და ეს არის საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა. რუსეთის საპატრიარქოდან მღვდელმსახურებმა უწმინდესი შვიდი ოქროს ხატი ჩამოაბრძანეს და ჩვენს ეკლესია-მონასტრებს შესწირეს. ხატები საქართველოში ხომ განაბაჟებინეს, რაც კანონით აკრძალულია და შემდეგ ისიც გვითხრეს, ხატები, რომელიც ეკლესიას შესწირეთ, ჩამოხსენით და ჯარიმა გადაიხადეთო(?!). საქმეში კათოლიკოს-პატრიარქი ჩაერია და პრობლემა მოგვარდა. ვეკითხები ხელისუფლებას, ეს არის ჩვენი პოლიტიკა და დიპლომატია? ასე ვაპირებთ რუსეთთან ურთიერთობების გაგრძელებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?!. ხატები რომ ჩამოვაბრძანეთ, ჩამოყვანილი გვყავდა რუსი ჟურნალისტები, რომლებმაც გადაიღეს საქართველოს

საქმეს ვაკეთებ და ჩემი პიროვნებით არავინ დაინტერესებულა. შერიგების მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი და მისი უწყება რას აკეთებს, კაცმა არ იცის, ან როგორ უნდა წავიდეს შეხვედრებზე ოსებთან, როცა ერთი ახლობელიც არ ჰყავს ოსი. საოცარ რამეს გეტყვით, ორჯონიკიძეში შეინარჩუნეს ქართული სკოლა, რამდენჯერაც საქართველოს მთავრობას სთხოვეს წიგნებით დახმარება, იმდენჯერ უარი მიიღეს. მე ჩამაქვს ქართული წიგნები, ვლადიკავკაზში წმინდა ნინოს ეკლესიაში, სადაც პატრიარქი მოინათლა, იმ ეკლესიის აღდგენა დავიწყე. ეს რომ ოსებმა გაიგეს მითხრეს, – ზვიად, ჩვენ თვითონ აღვადგენთ ეკლესიას და ქართველებს ჩაგაბარებთო, ეს არ არის დიდი მიღწევა?!.

**„ათი დღე მშივრები ვიყავით და მაშინ გავიგე დამპალი თოვლის გემო, რომელსაც მატლი ჰქონდა გაჩენილი. ამ მატლიან თოვლს ვჭამდით, რომ არ გამოვფიტულიყავით. აფხაზეთის ომის შემდეგ თითქმის სამი ათეული წელია გასული და ხორცი და თევზი არ მიჭამია. ჩვენი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი რომ გამოდის და ამბობს, ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსები 900 დღის მანძილზე ვირთხებსა და კატებს ჭამდნენო, ეს არის მინისტრი, რომელმაც არ იცის, აფხაზეთისა და ცხინვალის ომის დროს საკუთარი ქვეყნის ჯარი რას ჭამდა“**

**— აქამდე გქონიათ პოლიტიკაში შემოსვლის მცდელობა?**

– დიახ, 2012 წელს, თუმცა მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ დამარწმუნა, რომ ისინი დიდი გეგმებით მოდიოდნენ და მათთვის ხელი არ უნდა შემეშალა.

– რა არის თქვენი პარტიის პროგრამის ძირითადი თეზისები?

– მკითხველი რომ არ გადავღალოთ, მხოლოდ რამდენიმე, ძირითად თეზისს გეტყვით: სახელმწიფოს მთელი ყურადღება მიმართული უნდა იყოს პროფესიონალი და გამოცდილი

საქართველოს დევნილმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს ორმაგი მოქალაქეობა, რაც იქნება იმის გარანტია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ქართველი კაცი შევა, დაბრუნდება და დაფუძნდება. აუცილებლად უნდა აღდგეს და გაიხსნას ერგნეთის ბაზრობა, ოსეთის მხარე მზად არის ბაზრობისთვის მიწა გამოყოს. ექვსჯერ ვიყავით ჩამოსული და ხელისუფლებას შევთავაზე ერგნეთის ბაზრობის აღდგენა, მაგრამ ექვსჯერვე ჩაშალა საქართველოს ხელისუფლებამ ეს პროექტი; საქართველომ აუცილებლად უნდა დაიბრუნოს რუსული ბაზარი; იმ ქართველ ბიზნესმენებს, რომლებსაც რუსეთში სურთ საქმიანობა და საქართველოში დოვლათის შემოტანა, ჩემი კავშირებით პირადად დავეხმარები ბიზნესვიზების მოპოვებაში; ასეულობით მილიონერი უნდა შემოვიყვანოთ საქართველოში, რომ ქვეყანა სწრაფად ავაღორძინოთ; საქართველოში აუცილებლად დავწევთ საპენსიო ასაკს; მრავალშვილიან დედებს დავუნიშნავთ ხელფასს; საპატრიარქოში შეიქმნება ფონდი და პატრიარქს შესაძლებლობა ექნება, მრავალშვილიან ქართველ დედას ხელფასი გადაუხადოს, ამ ფონდის შესაქმნელად ჩვენ უკვე ვმუშაობთ. ალბათ, უცნაურად მოგეჩვენებათ, თუ გთხოვთ, რომ სტატიის ბოლოს გამოაქვეყნოთ ჩემი პირადი ტელეფონის ნომერი: 595-105-105, ყველა ზარს ვუპასუხებ. ვისაც ექნება სურვილი, ჩემს პარტიაში გაწევრიანდეს, დამიკავშირდნენ, კონკრეტული დეტალებით დაინტერესებულებს კი ნებისმიერ კითხვაზე ვუპასუხებ.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

facebook



**გია გაბრიჭიძე:**

გუშინდელი "ინტერვიუს" შემდეგ, ძალიან ბევრი განსხვავებული შეფასებები გავრცელდა. ზოგი აქებდა სალომე ასათიანის მაღალპროფესიონალიზმს, ზოგი კი პირიქით. ყოველგვარი ზედმეტი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, რომ ინტერვიუ არ შედგა. არ შედგა, რადგანაც პირველ რიგში ჟურნალისტის მხრიდან არ იყო შესრულებული ინტერვიუს რამდენიმე ფორმატიდან არც ერთი (ახლა არ ჩამოვთვლი). მათ ვინც იტყვის, რომ ის ჟურნალისტია და უფლება აქვს თავისი გადაცემა ისე წაიყვანოს როგორც უნდაო, ვუპასუხებ, რომ ფეხბურთელიც თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ხელით თამაშის უფლება არა აქვს (ვრცელ ახნებს არ გავაკეთებ არც აქ და არც ქვემოთ). ვიტყვი, რომ ჟურნალისტი და ტელეგადაცემის წამყვანი ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორ მზარეული და მიმტანი (მაგრამ ქართულ მედიაში რატომღაც ამ ბოლო დროს, ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული სპეციალობა, ერთმანეთთან ასოცირდება). მე არ მინახავს მისი არცერთი გადაცემა და არ მინდა ერთი გადაცემით რაიმე შეფასებები გავაკეთო, მაგრამ ის რაც ვნახე, იყო სამოსანი პირველკურსელის „გაკეთებული" გადაცემა. ახლა კი ძალიან მოკლედ „ქართულ ჟურნალისტიკაზე": ყოველგვარი პათეტიკის და განმარტებების გარეშე ვიტყვი, რომ ჟურნალისტიკა ზუსტად ისეთივე პროფესიაა, როგორიც ჯარისკაცის პროფესია. სამხედრო საქმეში არსებობს სიტყვა დეზერტირი, რომელიც შიშის გამო გარბის. არსებობს სიტყვა მოღალატე, რომელიც მსუქანი ლუკმის გამო ღალატობს თავის საქმეს. აქაც გთხოვთ პათეტიკაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ქართულ ჟურნალისტიკაში ბევრია დეზერტირი და მოღალატე, რომლებიც გაურბიან ჟურნალისტის უმთავრეს მოვალეობას - სიმართლის თქმას!

facebook



**კახა ძაგანია:**

ზოგიერთს ჰგონია, რომელი ჟურნალისტიც უფრო მაგრად მოუშლის ნერვებს და გააჩუმებს რესპოდენტს, უფრო მაგარია. ერთმა ცნობილმა ფილოსოფოსმა თქვა: „ხმა ამოიღე, რომ დაგინახო", თუ მოიწვიე, ალაპარაკე რომ დავინახოთ ვინ არის :)))

**კახა კუკავა ივანიშვილის ინტერვიუზე:**



არც ვიცი ვინ უნდა დავთაგო "ქართული ოცნებიდან" ან ლატენტური ქოცებიდან. პრინციპში ბოლომდე დაემსგავსნენ მიშისტებს, ყველაფრის გამრთლება რომ შეუძლიათ...

ის სიუჟეტი მახსენდება მიშას (იგივე ბიძინას) ნაკლი რომ არ ქონდა..

**ქეთევან გოგიაშვილი:**



ნუ ვიცით, რა, ასე უცბად და უკანმოუხედავად ერთმანეთის გამეტება ნურც ლანძღვისა და ნურც დიდებისთვის! ჯერ ნორმალურს გენიალურის თვალისმომჭრელ იარლიყს ვაკრავთ და ტაშისკვრაში ხელისგულებს ვიტყავებთ ხოლმე, მერე კი, თუ გაბედა და აი, ამ ჩვენმა "გენიალურმა" ჩვენსავე წარმოსახვაში შექმნილ სცენარს ოდნავ მაინც გადაუხვია, ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვინ უფრო მარჯვედ ესვრის ქვას ჩასაქოლად, ზურგში მოარტყამს თუ ეგრევე გულში!

ყველას გვეჩვენება, რომ ამას ობიექტურობის სახელით ვაკეთებთ მაშინ, როცა ჩვენი "ობიექტივი" მხოლოდ იმ მხარის ნაკლოვანებების აღმოსაჩენადაა მიმართული, პოტენციურ მტრად რომ მოვიაზრებთ ხოლმე, მეორე მხარეს კი იმდენად თვალშისაცემ და ანგარიშგასაწევ რამეებს ვტოვებთ უყურადღებოდ, საქმეში სრულიად ჩაუხედავი ადამიანის შეუიარაღებელ თვალსაც რომ არ გამოეპარება. მერე კი, ვიპოვით რა ერთმანეთთან დავის ცხელ-ცხელ საბაბს, ყველა საქმესა და საზრუნავზე ფიქრს შევეშვებით, ოღონდ კი ჩვენგან განსხვავებულ აზრს დღე მოვუსწრაფოთ, ჩანასახშივე გავანადგუროთ. ვიბრძვით სტატუსით და კომენტარებით, დაცინვითა და უშვერი სიტყვით, სხვისთვის აკრძალული და ჩვენთვის დასაშვები ილეთებით, რომ კიდევ უფრო დავაუძლუროთ ერთმანეთი, რაც შეიძლება ნაკლები რომ დაგვრჩეს საერთო, რომ "ჩემი" "ჩვენსას" დავამჯობინოთ...

არაფერს ვაკონკრეტებ. ვინც იცის, რაზე ვწერ, მიხვდება და ვინც არ იცის, ვურჩევ გარკვევასაც ნუ ეცდება, დროის დაკარგვად არ ღირს ნამდვილად. თვითონაც ვწუხვარ, თავი რომ ვერ შევიკავე და ისტერიის მორიგმა ტალღამ ამიყოლია. ეტყობა, ინტერნეტიც ისეთივე საფრთხედ იქცა ჯანმრთელი აზროვნებისათვის, როგორც თავის დროზე - ტელევიზია!

# ბიძინა ივანიშვილის



ინტერვიუ



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

**2 ივნისს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, გადაცემაში „ინტერვიუ“, რომელიც ჟურნალისტ სალომე ასათიანს მიჰყავს, ბიძინა ივანიშვილი იყო მიწვეული. „ალია“ ამ სკანდალურ ინტერვიუს სრულ, საგაზეთო ვერსიას გთავაზობთ მნიშვნელოვანი კომენტარებით.**

სალომე ასათიანი: „მე თბილისში ვიმყოფები და გადაცემა სწორედ საზოგადოებრივი არხის სტუდიიდან გთავაზობთ... დღეს ჩვენი სტუმარია ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, როგორია მისი როლი და ფუნქცია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორ ალიქვამს თავად ის საკუთარ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გავლენის ბერკეტებს? რა პერსპექტივები აქვს „ქართულ ოცნებას“, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიას? ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით ჩვენს სტუმარს ბიძინა ივანიშვილს...

**შე კაი კაცო, ქვეყნის მმართველ პარტიასა და კოალიციას აფინანსებ თავიდან ბოლომდე, მისი დამფუძნებელი ხარ, ეს დოკუმენტურად არის დადასტურებული და როგორ ხარ რიგითი მოქალაქე?**

– მოგესალმებით ბატონო ბიძინა...

ბიძინა ივანიშვილი: „მოგესალმებით, მივესალმები ჩვენს ტელემაყურებელს.

სალომე ასათიანი: „მოდით, თავიდანვე ამ დიდი, ფართო შეკითხვით დავიწყოთ, თქვენი პოზიციის თუ ფიგურის თქვენეული შეფასება მოვისმინოთ თუ შეიძლება, თქვენ დიდი ხანია უკვე აღარ გაქვთ ოფიციალური პოლიტიკური პოსტი, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის აზრით კვლავაც ინარჩუნებთ ბერკეტებს და გავლენას პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რაც თქვენ დიდწილად დაადასტურეთ კიდევაც ბოლო, მორიგ წერილში საქართველოს მოქალაქეებისადმი, რომელსაც ჩვენ აუცილებლად შევეხებით ამ ინტერვიუს მსვლელობისას, მაგრამ თავდაპირველად, ვის ვესაუბრებით დღეს ჩვენ?“

ბიძინა ივანიშვილი: „მოქალაქეს...“

სალომე ასათიანი: „მხოლოდ?“

ბიძინა ივანიშვილი: „მოქალაქეს... რა თქმა უნდა, მოქალაქეს. “

სალომე ასათიანი: „თქვენ თვლით, რომ რიგითი მოქალაქე ბრძანდებით?“

ბიძინა ივანიშვილი: „მოქალაქე ეს არ არის პატარა მცნება, ეს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულს...“

სალომე ასათიანი: „კი მაგრამ, საქართველოს რამდენ მოქალაქეს აქვს იმდენი გავლენა, ფინანსური იქნება ეს თუ პოლიტიკური, რამდენიც თქვენ?“

ბიძინა ივანიშვილი: „ეს უკვე ცალკე თემაა, მაგრამ მე მოქალაქის რანგში წარმოგიდგებით დღეს, სხვა სტატუსი არ გამაჩნია...“

**„ალია“:**

**ინტერვიუს დასაწყისშივე ცრუობს ბიძინა ივანიშვილი. ის არის ქვეყნის მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი პარტიის, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი მთავარი დამფინანსებელი. ის, ასევე, აფინანსებს მთელ კოალიციას. უფრო დავაკონკრეტებ. ჯერ ექვს პოლიტიკურ პარტიას აფინანსებდა ერთდროულად და ახლა ხუთს აფინანსებს. წარმოიდგინეთ, კაცი ამჟამად 5 პარტიის 10 რეგიონულ და 73 რაიონულ ოფისს ინახავს, ამ ოფისების თანამშრომლებს ხელფასებს უხდის, სხვას თავი დავანებოთ, მარტო ეს რამხელა ხარჯია? და ამ ხარჯების გამწევი ადამიანი ამბობს, რიგითი მოქალაქე ვარო. არა, ეს ყველაფერი მისი ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი ფაქტებია — ის პოლიტიკური მოღვაწეა და ამით უკვე განირჩევა რიგითი მოქალაქეებისგან. რატომღაც ივანიშვილს ჰგონია, რომ სახელმწიფო პოსტია აუცილებელი იმისთვის, რომ რაიმე ოფიციალური სტატუსი ჰქონდეს. შე კაი კაცო, ქვეყნის მმართველ პარტიასა და კოალიციას აფინანსებ თავიდან ბოლომდე, მისი დამფუძნებელი ხარ, ეს დოკუმენტურად არის დადასტურებული და როგორ ხარ რიგითი მოქალაქე? რა, ეს ყველაფერი სტატუსის საფუძველი არ არის?**

სალომე ასათიანი: „თქვენ ბრძანდებით კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და თქვენს ხელში არის ძალიან დიდი ფინანსური ძალაუფლება თავმოყრილი, თავად თქვენ როგორ ფიქრობთ, ერთი ადამიანის ხელში თავმოყრილი ფინანსური და პოლიტიკური ბერკეტები, ისეთი, როგორიც თქვენ გაქვთ, რამდენად უქმნის საფრთხეს, რამდენად გამოვლინდება ისეთი ქვეყნის ცხოვრებაში, როგორიც საქართველოა? თქვენ თუ გიფიქრიათ ამაზე, რომ თქვენ ძალიან დიდი ძალაუფლებას ფლობთ?“

ბიძინა ივანიშვილი: „ნუ ეხლა, ძალიან დიდ ძალაუფლებას ვფლობ, ამაზე ვფიქრობდე არა მგონია, მაგრამ ის, რომ საფრთხეს უქმნის და სიტყვა „საფრთხე“ მე მგონი არ არის მაინცდამაინც თანხვედრაში, თუ ჩემს პიროვნებას იცნობთ და ჩემს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე ადრეც მოგისმენიათ, სიტყვა „საფრთხე“, მე მგონი გადაჭარბებულია, გასაგებია, რომ ესეთი ვარ, როგორიც ვარ... მაგრამ მთავარი ისაა, რომ მთელ ჩემ მოღვაწეობაში ვერ ნახავთ ვერცერთ ხაზს, თუ „რუსთავი-2“-ს არ მოუსმენთ, სიცრუის მანქანას, ვერცერთ ხაზს ვერ ნახავთ, რომ ქვეყნის საწინააღმდეგოდ რამე გამეკეთებინოს, მე ვფიქრობ, რომ მთელი ცხოვრება სინდისით ვცხოვრობდი, არათუ კანონს ვემორჩილებოდი, სინდისს ვუხმობდი ყოველთვის. ამ მხრივ მე ვერ წარმომიდგენია სიტყვა „საფრთხე“ რატომ უნდა ვიხმაროთ, როდესაც ჩვენ ამ ქვეყნის შვილები ვართ, მე გამაჩნია ვთქვათ, ჩემი წარსული, რაღაც შემიქმნია ჩემი ცხოვრებით და ვფიქრობ, რომ მაქსიმალურად მოვახმარო ჩემს ხალხს და ჩემს ცხოვრებას... და ხიფათის შემცველი რატომაა, ვერ წარმომიდგენია ეს...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, ალბათ აქ საუბარი უფრო იმაზე არ არის, თქვენს პიროვნებაზე, ან თქვენს მიზნებზე თუნდაც... საკუთრივ სტრუქტურა, 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ გადაეცა მართლაც რეალურად ერთ ან რამდენიმე ადამიანზე მორგებული ქვეყანა. არ იყო არც ძალაუფლების დანაწილება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, დემოკრატიული ინსტიტუტები... მდიდარი ადამიანები დასავლეთის ქვეყნებშიც ასრულებენ ხშირად აქტიურ როლს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ იქ სხვა ტრადიციებია, იქ ინსტიტუტებია განვითარებული, იქ ბევრი მილიარდერია, თქვენ ერთი ბრძანდებით და სწორედ აი, ამ ვითარებაში, როცა არ არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები, არ არსებობს დამაბალანსებელი სხვა ძალაუფლების წერტილები, თქვენ შესაძლოა ეხლა კარგი

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

**მალხაზ თოფურია:**

პენისი მაბია! მაშასადამე კაცი ვარ! ნიკა გვარამია ნიკალოზ ისეთი მაბია შენ და გაბუნიამ მხარზე, რომ გაიდოთ "ლენინი შაბათობაზე" სურათის ასლი იქნებით, ....და მერე უფრო დიდი "კაცები": გამოჩნდებით)



**ნიკა გვარამია ივანიშვილის ინტერვიუზე:**



ცოტა ჟურნალისტის უცნაურობაზეც - პლანის მოწევაზე აზრს რომ კითხავ ივანიშვილს და ქვეყნის დემოკრატიის მომავლისთვის გადამწყვეტ რ2ის საქმეზე - არა, მინიმუმ უცნაურია.

ასეთი პრიორიტეტების სისტემა მეგონა მარტო "გირჩს" ქონდა :)

მიზნები გქონდეთ, მაგრამ თავისთავად სტრუქტურა რომ არ არსებობს ასეთი, რომ თქვენ გაქვთ ასეთი გავლენები, ეს ვიგულისხმე სწორედ...

ბიძინა ივანიშვილი: „გასაგებია... მაშინ, გავაგრძელებ მეც, რომ... გაიხსენეთ კარგად, გადმომეცა ქვეყანა და ერთმა კაცმა, ან რამდენიმე კაცმა გადავინაწილეთ ძალაუფლება, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაგრამ რა გადმომეცა, მოდით, ის ქვეყანა გავიხსენოთ ჯერ, როგორი ქვეყანა გადმოვიბარეთ ჩვენ 2012 წელს, არჩევნებში გამარჯვების შემდგომმოკლედ, აღწერილი მაქვს მე ჩემს წერილში... თქვენ გაეცანით ჩემს წერილს ალბათ...

სალომე ასათიანი: „რა თქმა უნდა...“

ბიძინა ივანიშვილი: „ძალიან საინმოდიოდა, ეს ხალხი განკარგავდა, ყვაოდა ელიტარული კორუფცია, როგორც მოგახსენეთ, ადამიანის უფლებები იყო ნოლს ქვემოთ დასული, ვისაც, როგორც უნდოდა, ისე იქცეოდნენ, იჭერდნენ, ართმევდნენ, ციხეებში უშვებდნენ, ციხეებში აწამებდნენ, კლავდნენ, ქუჩაში ხალხი ველარ გამოდიოდა, ელემენტარული სულ ბოლო მახსოვს...

**„ალია“:**

**„ნაციონალთა“ სისასტიკე და საშინელი მმართველობა მეც კარგად მახსოვს, ბატონო ბიძინა, კი, მაშინ ერთი დამთხვეული კაცი, მართლა უზურპატორი მიხეილ სააკაშვილი მართავდა ქვეყანას, კი, თქვენ უზურპატორობას ვერ დაგწამებთ, მაგრამ აქაც იტყუებით. დღესაც ერთი კაცი მართავს ამ ქვეყანას და ეს კაცი იმას არ აკეთებთ, ამისთვის უკვე ათასჯერ გითხრათ მადლობა ქართველმა ხალხმა.**

სალომე ასათიანი: „რა მოხდა მაშინ, ჩვენ ამაზე აუცილებლად ვისაუბრებთ, რამდენად შეფასდა ეს ყველაფერი, რაც ხდებოდა...“

ბიძინა ივანიშვილი: (აგრძელებს საუბარს) „არა, არა... თუ რა გადავიბარე, საიდან შეგახსენებთ, იმას შეგახსენებთ, რა დროს მოვედი და მერე იმ პასუხისმგებლობაზე ვისაუბროთ, რაც დამეკისრა, როდესაც გადავიბარე...“

სალომე ასათიანი: „თუმცა ეგ ახსოვს საქართველოს მოქალაქეებს, მე მგონი დამეთანხმებით...“

ბიძინა ივანიშვილი: „შეხსენება ცუდი არაა და თქვენთვისაც კარგია,

*ინტერვიუ*

ში მოვიდოდი და ამას ვამბობდი მუდამ...“

**„ალია“**

**აქაც ცრუობს ბიძინა ივანიშვილი. მისი ცხოვრების წესისთვის პოლიტიკა უცხო არც ადრე იყო. 1996 წელს ივანიშვილი აფინანსებდა რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატის, ბორის ელცინის საარჩევნო კამპანიას, ის ერთ-ერთი უმსხვილესი დამფინანსებელი იყო ელცინისა და მის გამარჯვებაში სოლიდური წვლილი შეიტანა. „მეამაყება, რომ ელცინის საარჩევნო შტაბის წევრი ვიყავი და მის საარჩევნო კამპანიას ვაფინანსებდი“, — განაცხადა მოგვიანებით ივანიშვილმა. ახლა, რუსეთის მოქმედი პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის წევრი და კამპანიის დამფინანსებელი რომ იქნება კაცი, გამ-**

# სკანდალური ინტერვიუ




ტერესოდ აღვწერე და გავიხსენე ჩემი პირველი განცხადება, შემდგომი განცხადებებიც, სადაც მე აღვწერდი სიტუაციას, საქართველოს მოსახლეობას მე მგონი კარგად ახსოვს რაც იყო სიტუაცია, ძალიან მოკლედ რომ გადმოგცეთ, უზურპირებული იყო ხელისუფლება, სწორედ რომ ერთი კაცის ხელში იყო, ერთი გუნდი მართავდა ქვეყანას, ერთი გუნდის ხასიათზე და ერთი კაცის ხასიათზე იმართებოდა ქვეყანა, კორუფცია, რომელიც ვთქვათ, ელიტარულ კორუფციას ვეძახდით, ეს ხალხი ინაწილებდა არა მარტო ძალაუფლებას, არამედ ბიზნესზეც ძალადობა და ძირითადი სიმდიდრე, საიდანაც შე-

**თქვენ ხართ. თქვენ გემორჩილებათ ხელისუფლების სამივე შტო — საპარლამენტო, აღმასრულებელი და სასამართლო. ერთადერთი, ვისაც ვერ მართავთ, პრეზიდენტი მარგველაშვილია, მაგრამ, რაც ჩამოვთვალე, იმასთან შედარებით, პრეზიდენტის არსებული ძალაუფლება გინდ ყოფილა და გინდ — არა. ძალაუფლება მაშინაც და ახლაც ერთი კაცის ხელშია, სახელმწიფო ინსტიტუტები და ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელები მხოლოდ ბუტაფორიაა და მეტი არაფერი, თქვენი ნების გარეშე ქვეყანაში ხეს ვერ გადარგავს კაცი და მეტი რაღა ერთმმართველობა გინდათ? ნუ, სააკაშვილი რომ ატრიალებდა ქვეყანაში საშინელებებს და**

> **კი, მაშინ ერთი დამთხვეული კაცი, მართლა უზურპატორი მიხეილ სააკაშვილი მართავდა ქვეყანას, კი, თქვენ უზურპატორობას ვერ დაგწამებთ, მაგრამ აქაც იტყუებით. დღესაც ერთი კაცი მართავს ამ ქვეყანას და ეს კაცი თქვენ ხართ!**

რომ აქედან არ დავიწყოთ, რამეთუ გადაბარების შემდგომ გინდათ, რომ პასუხი ვაგო და რა გადავიბარე, ჯერ ის გავიხსენოთ... მდგომარეობა იყო აუტანელი, საქართველოში ცხოვრება შეუძლებელი იყო ნორმალური ადამიანისთვის და წერილშიც კარგად ვიხსენებ და იქ არავითარი თვალთმაქცობა არაა, როდესაც უხერხულობასაც გამოვთქვამ, რომ წასვლას ვაპირებდი და მართლაც, ესეთი ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, რომ ხალხი ჩურჩულით საუბრობდა და არავის არაფრის უფლება არ ჰქონდა... ყველაფრის უფლება ჰქონდა ერთ კაცს და ერთ გუნდს, არავის არაფრის უფლება არ გააჩნდა, ადამიანის უფლებები, რაზეც მორგებული უნდა იყოს სახელმწიფო მთლიანად და დემოკრატიული სახელმწიფოს როლი და ფუნქციაც ეს გახლავთ, იყო ნულს ქვემოთ დასული....“

სალომე ასათიანი: „სწორედ ამას ვამბობ...

ბიძინა ივანიშვილი: „ასეთ სიტუაციაში სწორედ გაუსაძლისი მდგომარეობის პირობებში რომ ვნახე, რომ შეუძლებელი იყო რომელიმე პარტიის მხარდაჭერით შეცვლილიყო სიტუაცია, გადავწყვიტე და მოვედი იქ, სადაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, ჩემი ცხოვრების წესით, რომ პოლიტიკა-

**აგებინეთ ერთი, ამ კაცის ცხოვრების წესისთვის პოლიტიკა მიუღებელი როგორღა იქნება? გარდა ამისა, ივანიშვილი აფინანსებდა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას და მისივე თქმით, ეს 2007 წლის ჩათვლით გრძელდებოდა, ის იმდენად ღრმად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, რომ სააკაშვილის გარემოცვის წევრები ჭკუასაც კი ეკითხებოდნენ. მეტიც, ხშირ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაშიც მონაწილეობდა. თავად აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს მან გადააფიქრებინა უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტიდან ვანო მერაბიშვილის მოხსნა, ასევე, 2007 წელს გიგა ბოკერიას გადააფიქრებინა ცხინვალში სამხედრო შეჭრა. ახლა, კაცი რომ ამდენს მოახერხებს, ამხელა გავლენა რომ აქვს პრეზიდენტსა და სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთ ლიდერზე, ის პოლიტიკაშია, აბა, სად არის? უბრალოდ, როგორც ახლა, მაშინაც ჩრდილში იყო, არანაირი სახელმწიფო სტატუსი არ ჰქონდა და გარკვეულ პროცესებს მართავდა.**

**ბიძინა ივანიშვილი იყო ქართულ პოლიტიკაში და დღესაც არის — 2008 წლამდე არაფორმალურად იყო პოლიტიკაში, შემდეგ წავიდა, 2011 წელს ოფიციალური სტატუსით დაბრუნდა, 2014 წელს წავიდა პრემიერის პოსტიდან, მაგრამ კვლავ დარჩა არაოფიციალური სტატუსით. აი, ეს გახლავთ სიმართლე.**

გაგრძელება გვ. 32



**facebook**

**მალხაზ თოფურია:**

ჩვენ თუ იმედი დავარბიეთ, პრეზიდენტი ხო გადადგაო.... ხშირხშირად

გვაყვედრიან.....შემოვდივარ წინადადებით რუსთავი 2 დავარბიოთ და მარგველაშვილი გადადგეს)))



**facebook**

**თამაზ ჭეიშვილი:**

შენიშვნა , გვარამიას! სოფლის მოსახლეობა დამეთანხმება,რომ ტყემლისგან ჩირი ჯერ არც ერთ თაობას არ უნახავს და საქართველოში არ გაუკეთებიათ(შეიძლება გვარამია ახერხებს!თუმცა,ეს ფიზიკურად შეუძლებელია...თყემალი არ ხმება,ის ლპება ამინომჟავების სიჭარბის გამო!)

!თქვენ, გარდა იმისა რომ არაკომპეტენტური ბრძანდებით,ცრუობთ და „ტყემალზეც ზიხართ„ ბატონო ნიკ!






**facebook**



**სალომე ასათიანი:**

მოკლე განმარტება მინდა გავაკეთო. ინტერვიუს ჩაწერამდე იყო შეთანხმება, რომ ვისაუბრებდით ბიძინა ივანიშვილის წერილზე და დამატებით სხვა საკითხებზეც. წინა დღეს პირადად ველაპარაკე მისი პრესცენტრის წარმომადგენელს, გიორგი უძილაურს. ვუთხარი, რომ წერილის მიღმა ვისაუბრებდით ივანიშვილის ძალაუფლებაზე და კულტურის პოლიტიკაზე, კერძოდ საყდრისზე და პანორამა თბილისზე. წერილიდან - ქართული ოცნების პერსპექტივებზე, სასამართლოს თავისუფლების ხარისხზე, წინა ხელისუფლების ავტორიტარული მემკვიდრეობის სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებაზე, საგარეო ურთიერთობებზე. ყველა ამ თემაზე მივიღეთ თანხმობა. ასევე გვქონდა ნებართვა დაგვესვა საკუთრივ საუბრის პროცესში, სპონტანურად გაჩენილი კითხვები, ყველა ამ თემის გარშემო. წინასწარ ფორმულირებული შეკითხვები არ გაგვიგზავნია, რადგან ამას არასოდეს ვაკეთებთ, მაგრამ თემები, რომლებსაც შევეხეთ, იყო შეთანხმებული. არ ვიცი რა მოხდა, გადასცეს თუ არა სტუმარს ეს საკითხები და რატომ გამოვიდა ასე. სავარაუდოდ, მათ სხვაგვარად ესახებოდათ წერილზე საუბარი. თუმცა, წერილს ნამდვილად შევეხეთ, ციტატებიც მოვიტანეთ და წერილში წამოჭრილი საკითხების გაშლაც ვთხოვეთ. ეს გადაცემა ჩაფიქრებულია როგორც "ჰარდ თოქი" (თავს არ ვაიგივებთ, მაგრამ გვსურს ასეთები ვიყოთ). თამაშის წესებია, რომ მე სტუმრის ოპონენტის როლი უნდა ვიტვირთო და კრიტიკული კითხვები უნდა დავსვა. ესეც პირადად ავუხსენი როგორც გიორგი უძილაურს, ისე სტუმარს, ჩაწერის დაწყებამდე. ამაზეც მითხრეს, რომ გადაცემა იციან და სწორედ ამიტომ მოისურვეს ჩვენთან სტუმრობა. ყველა ამ ფაქტორის გათვალიწინებით უცნაურია ის, რაც მოხდა.

"ქაღალდებში ქექვისთვის" კი ბოდიშს გიხდით. უცებ გამიჭირდა საჭირო ციტატის მოძებნა და ცოტა დრო დამჭირდა ამისთვის. გადაცემა ეთერში გავიდა ხელუხლებლად, ჩავწერეთ როგორც პირდაპირი ეთერი, არც პაუზები და საერთოდ არც ერთი წამი არ შეგვიცვლია. იმედია მაპატიებთ შექმნილ დისკომფორტს.

# რას გადააყოლეს რეალურად თამარ სანიკიძე?




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


პრემიერ-მინისტრმა თამარ სანიკიძე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტიდან გადააყენა. გიორგი კვირიკაშვილს არ დაუკონკრეტებია, რამ გამოიწვია განათლების მინისტრის შეცვლა, თუმცა აღნიშნა, რომ თამარ სანიკიძე მმართველ გუნდს არ ემშვიდობება და მის სამომავლო მანდატზე საზოგადოებას უახლოეს მომავალში ეცნობება. თამარ სანიკიძის ადგილს ალექსანდრე ჯეჯელავა დაიკავებს, ის პრემიერმა მედიასა და საზოგადოებას უკვე წარუდგინა...

მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ სანიკიძის გადაყენება უკავშირდება წინა საღამოს საზამაუზე სალომე ასათიანთან ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს. საქმე ისაა, რომ სალომე ასათიანის და, ნატა ასათიანი თამარ სანიკიძის პიარია. როგორც ამ ვერსიის ავტორები ამბობენ, სალომე ასათიანზე გაბრაზებულმა ივანიშვილმა სალომეს დაზე და მის მინისტრზე იძია შური...

მოკლედ, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება და არც ისაა გამორიცხული, ეს, უბრალოდ, დროში დამთხვევა არ იყოს.

**და მაინც, რას გადააყოლეს რეალურად თამარ სანიკიძე?**

**„ალიას" „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის" ხელმძღვანელი, დათო ფერაძე ესაუბრა:**

**— თამარ სანიკიძის მინისტრობის პერიოდი უამრავ ისეთ შეცდომას მოიცავდა, რამაც დაანგრია საგანმანათლებლო სისტემა. ჩვენ, ამ ხნის მანძილზე, ვამხილეთ სანიკიძე კორუფციაში — ამ ნაწილში კი, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. კონსულტანტთა საქმე.**

საქმე ეხებოდა კონსულტანტთა ჯგუფს, რომლის არალეგალური უფროსიც არის განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, ხოლო ამ ჯგუფის მიერ სკოლებისთვის შეწერილი ხარკი – მილიონობით ლარი მიედინებოდა სანიკიძემდე.

ასევე, სანიკიძე ნეპოტიზმში ვამხილეთ, როდესაც სამინისტროს აპარატში, რესურსცენტრებსა და სკოლის დირექტორთა პოსტებზე, ნეპოტისტურად, კანონმდებლობის დარღვევით დაინიშნენ ადამიანები.

ასევე, სანიკიძეს ვამხელდით პროფესიონალთა დევნაში, განსხვავებული აზრისა და შეხედულების გამო, დაუსაბუთებელი და უხვი პრემიების გაცემაში, ბიუროკრატიულ ხარჯებში. ალბათ, გახსოვთ, როდესაც დავითვალეთ, მარტო სანიკიძის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს დღეში 600-666 ლარი უჯდებოდა. გამოვააშკარავეთ ე.წ. ოდეერები და მათი ზონდერმეთაური ალექსანდრე ონოფრიშვილი, რომელიც შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსია და უშიშროების აგენტია შევარდნაძის დროიდან მოყოლებული. უშუალოდ „ალიასთან" არაერთხელ ვისაუბრეთ ონოფრიშვილი-სანიკიძის დანაშაულებრივ ქმედებებზე, მათ მიერ ბინძურად შეთითხნილ საქმეებზე, მინისტრის აპარატში დასაქმებულ გამყალბებლებზე. ასევე, ვამხილეთ მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, რომელიც თავის დროზე ფინანსური მაქინაციებისა და ყალბი ატესტატების გაცემის გამო გაუშვეს სკოლის დირექტორობიდან. და რაც მთავარია, ვაპროტესტებდით არასწორ, უპერსპექტივო, უგუნურ საგანმანათლებლო პოლიტიკას, სრულიად გაუმართლებელ და აბსურდულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის დაკანონებას, არასწორ საფინანსო პოლიტიკას... შესაბამისად, პრემიერის რევერანსი გაუმართლებელია. პრემიერმა, როდესაც სანიკიძე გადააყენა, თქვა, რომ სანიკიძემ რეფორმები ჩაატარა და მადლობის მეტი რა გვეთქმისო. აი, ასეთი მიდგომა არის კორუფციის, დამნაშავეობის წამახალისებელი.

**— რას ეფუძნებდა პრემიერის ეს განცხადება?**

– კვირიკაშვილი დიპლომატია და ბოლომდე არ გაწირა და არ აწყენინა სანიკიძეს, ამიტომაც სანიკიძისადმი გადახდილი მადლობა არ იყო მთლად რიხიანი, თუმცა, ნორმალურ ქვეყანაში დამნაშავეებს მადლობას არ უხდიან. ეს არაადეკვატური და სრულიად გაუმართლებელია. მიუხედავად ამისა, კარგია, რომ გვიან, მაგრამ ჩვენს ბრძოლას მოჰყვა შედეგი, თუმცა ეს მცირედია და მე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ სანიკიძე და მისი ამფსონები სამაგალითოდ დაისაჯონ!

**— მაინც, რას გადააყოლეს სანიკიძე რეალურად და ამ ხნის განმავლობაში როგორ ახერხებდა პოსტის შენარჩუნებას?**

– ჩემი ინფორმაციით, არაერთხელ იდგა საკითხი სანიკიძის გადაყენების შესახებ, ღარიბაშვილსაც ჰქონდა მისი გადაყენების რამდენიმე მცდელობა. თუმცა, ვერ შეძლო რამდენიმე ფაქტორის გამო და ამაზე ადრე ვისაუბრე – სანიკიძის მამის გავლენით, რომელიც „ქართულ ოცნებას" წინასაარჩევნოდ ეხმარებოდა. როდესაც კვირიკაშვილი გაპრემიერდა, მაშინვე დაიწყო ლაპარაკი სანიკიძის მოხსნაზე. მართლა ცუდად ჰქონდა საქმე, მაგრამ, როგორც ხმა გამოვიდა, სანიკიძე შანტაჟის გზას დაადგა. იმ პირთა დასახელებით დაიმუქრა, ვინც ბინძურ საქმეებში ლობირებდა. იყო სხვა პრობლემაც, ანუ ვინ იქნებოდა შემცვლელი. როგორც ვიცი, მთავრობაში ცვლილებები ისედაც დაგეგმილი იყო, ამის აუცილებლობას 8 ივნისს წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყება ქმნიდა. ანუ, სავარაუდოდ, სანიკიძე შესაძლოა, მაინც მოეხსნათ წინასაარჩევნოდ, 7-ში ან 8-ში. სანიკიძის ოფიციალური ვიზიტიც კი იყო დაგეგმილი უცხოეთში, რომელიც ამ დღეებში უნდა შემდგარიყო.

**— მაშინ, რატომღა დააჩქარეს, 4-5 დღით ადრე რატომ მოხსნეს?**

– აქ რამდენიმე ფაქტორია. ერთ-ერთი იყო 2 ივნისის საპროტესტო აქცია, როდესაც საპროტესტო მარში მოეწყო. ავტომანქანით შემოვუარეთ თბილისის სკოლებს და პედაგოგებს მოვუწოდებდით, გავერთიანებულიყავით სანიკიძის წინააღმდეგ, ვითხოვდით წინასაარჩევნოდ მასწავლებელთა სამთავრობო რესურსად გამოყენების აკრძალვას, სკოლების პოლიტიზაციის შეწყვეტას და სანიკიძის გადაყენებას.

ამას წინ უსწრებდა სამეურვეო საბჭოების არჩევასთან დაკავშირებული უამრავი დარღვევაც, რომლებიც საჯარო გავხადეთ.

როგორც შემატყობინეს, სანამ ჩვენ სკოლების შემოვლა დავამთავრეთ, ექსმინისტრ სანიკიძეს უკვე მოსთხოვეს პასუხი, რა ხდებოდა.

ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ამჟამად მიმდინარე სამი საგამოძიებო საქმე, რომელიც ჩემი საჩივრის საფუძველზე სანიკიძის წინააღმდეგ დაიწყო პროკურატურამ. ესაა ჩემი პოლიტიკური ნიშნით დევნა, ე.წ. „ოდეერების" საქმე და კორუფციულ „კონსულტანტთა საქმე", რომელზეც ზემოთ ვისაუბრე.

ამ ყველაფერს კი დაემატა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავიდა და რომელიც ექსმინისტრ თამარ სანიკიძის პრესსამსახურის ხელმძღვანელის – ნატა ასათიანის, რომელიც გახლდათ სანიკიძის დილეტანტი და ყურმოჭრილი „პიარშიკა", დას, სალომე ასათიანს მიჰყავდა. როგორც მეუბნებიან, ამ გარემოებამ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა სანიკიძის გადაყენების საქმეში.

საერთო ჯამში, ხელისუფლება, როგორც იქნა, მიხვდა ჩვენი გზავნილების არსსაც. მიხვდა, რომ სანიკიძის დატოვება მინისტრად მართლაც ნიშნავდა პედაგოგთა ნულ ხმას მომავალ არჩევნებში და ნულოვანი რეიტინგის მქონე და საძულველი მინისტრის გადაყენებით სასკოლო საზოგადოებას ცოტა მიეალერსა.

**— რაც შეეხება ახალ მინისტრს, რა იცვლება მისი მოსვლით?**

– ახალი მინისტრი, ერთი შეხედვით და პირველი შთაბეჭდილებით, საინტერესო, განათლებული, მოტივირებული ადამიანი ჩანს, მაგრამ ვერაფერს გეტყვით იმაზე, როგორი მინისტრი იქნება. შესაძლოა, პიროვნული თვისებები და უნარები საკმარისად აქვს, მაგრამ ამ დამყაყებულმა სისტემამ არ მისცეს გასაქანი. თუმცა, საქმის კეთების ნება და ამბიციაც ბევრს ნიშნავს. ახალ მინისტრს წამოსცდა თუ გააზრებულად თქვა, არ ვიცი, მაგრამ, დიდ საკადრო ცვლილებას არ ვაპირებთო. ეს არის დაუშვებელი. სანიკიძის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული ყველა ჩინოვნიკი, მინისტრის მოადგილეები გიგაური, ნატრიაშვილი, ზემოხსენებული ონოფრიშვილი და მისი თანამშრომლები უპირობოდ და დაუყოვნებლივ არიან გასაშვები. არა მარტო გასაშვები, არამედ უნდა დაისაჯონ, თუმცა დასჯაზე მინისტრი ველარ იფიქრებს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ კვირიკაშვილის განხორციელებული ცვლილება ფასადური ყოფილა და ეს იქნება ჩემი უნდობლობის პირველი საფუძველი. მინისტრმა ყველაფერი უნდა გააკეთოს სანიკიძისგან დევნილი პროფესიული კადრების უკან დასაბრუნებლად, სასამართლოს მიერ გამართლებული დირექტორების სკოლაში დასაბრუნებლად და უნდა შეაჩეროს მასწავლებელთა პროფესიული სქემის მოქმედება. ამის გაკეთება ნამდვილად არაა რთული. სხვა მასშტაბურ ცვლილებას კი, როგორც გითხარით, ის ვერ მოახერხებს მოცემულ მცირე დროში. სანიკიძის მავნებლობა ყოველდღიურად იზრდებოდა და ეს გავლენას ახდენდა საარჩევნო ელექტორატზე. მიხვდნენ მთავრობაში და არჩევანი შეაჩერეს რაფინირებულ ადამიანზე, ახალ სახეზე, რომელიც, ნეგატივს არ შექმნის. თუ საქმეს ვერ გააკეთებს, ვერც გაფუჭებას ვერ მოასწრებს და მთავრობის რეიტინგის ვარდნას ცოტათი მაინც წააშველებს ხელს თავის სფეროში. თუმცა, ვიმეორებ, ზემოთქმული აუცილებელი ღონისძიებების გატარება მისადმი ნდობას გაზრდის. მე არ ვარ ჩასაფრებული. მზად ვარ კონსტრუქციული ურთიერთობისთვის, თანამშრომლობისთვის, დიალოგისთვის, პირადი დახმარებისთვის. თქვენ იცით, რომ სანიკიძესთან იმთავითვე შეუძლებელი იყო დიალოგი, შემდეგ კი ჩემთვის პირადად დაუშვებელიც გახდა. ლოგიკის მიხედვით, ბატონი ჯეჯელავა დიალოგზე უნდა წამოვიდეს. თუ ის ხსენებულ საკადრო ცვლილებებს განახორციელებს, ეს გამიზრდის ნდობას. თუ სანიკიძის პოლიტიკას გააგრძელებს, მაშინ, კი იცით, რასაც ვიზამ...



**„არადა, სანიკიძის ოფიციალური ვიზიტიც კი იყო დაგეგმილი უცხოეთში, რომელიც ამ დღეებში უნდა შემდგარიყო"**




**„ალია" ინფორმაციის გადასამოწმებლად თამარ სანიკიძის პრესსამსახურის ხელმძღვანელ ნატა ასათიანთან დაკავშირებას შეეცადა, თუმცა ასათიანმა ჩვენს სატელეფონო ზარებსა და სმს-ზეც ირონიულად გვიპასუხა, რასაც ფოტომასალის სახით გთავაზობთ.**

[illegible]

## Facebook ამბები



**სანდრო ბრეგაძე:**

რომელ ეროვნულობაზეა საუბარი,როდესაც ერის 90% ფულზე გაყიდულ მანქურთადაა ქცეული!!!!!!!!იქითაც და აქეთაც უცხოელი ელჩების უტყვი მონები და შევარდნაძის ნაშიერები, ხოლო ერი მათი შემყურე ბრბო, რომელსაც პროტესტი გრძნობაც დაუკარგავს!!!!!!! გილოცავთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს!!!!!



**სალომე ასათიანი:**

უკვე მალე წავალ თბილისიდან და მომავალი კვირიდან ჩვეულებრივ რეჟიმში გავაგრძელებ მუშაობას. ძალიან მნიშვნელოვანი, რთული და საინტერესო გამოცდილება მივიღე. ვიცი, რომ შესაძლოა რაღაცეებს სათანადოდ ვერც გავართვი თავი, თუმცა მაქვს უნარი საკუთარ შეცდომებზე ვისწავლო. ციტატებს მაინც ნამდვილად ცალკე ფურცელზე ჩამოვწერ ხოლმე აწი :)) საერთო ჯამში ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ყველაზე მთავარი დასკვნა, რომელიც გამოვიტანე, არის ის, რომ სიტყვის თავისუფლება მართლა უზენაესი ამბავია. ეს დიდი ხანია ვიცი, მაგრამ ასე ცხადად, რეალურად, არასოდეს დამინახავს. რა პრობლემებიც უნდა გვქონდეს პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში, რამდენი სირთულეც უნდა იყოს წინ, ფაქტია -- ის, რომ დღეს საზოგადოებრივ არხზე ცენზურის მცდელობის გარეშე გავიდა კრიტიკული ინტერვიუ ივანიშვილთან, ძალიან დიდი ძალაუფლების მქონე ფიგურასთან, ეს თვისებრივი ცვლილებაა დადებითისკენ. და დიახ, ბევრჯერ გავიმეორებ -- რამდენიმე წლის წინ პირადად მე ამას ვერც კი წარმოვიდგენდი.

facebook



**მერაბ შათირიშვილი:**

მეჭიაურს, არა შურით, არა პირადი უკმაყოფილებით (ღმერთმა დამიფაროს მაგ დონემდე დავეშვა), არამედ გულწრფელი დამოკიდებულებით, იმით, რომ სხვა უგუნურებს არ მოუვიდეთ თავში, დაუპირისპირდეს საკუთარ გუნდს, ან თუნდაც შეეცადოს ისარგებლოს ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერით, მეგობრულად მოვუწოდებ: თამაზ, გენაცვალე, შენ, ჩემგან და სხვებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების" სიკეთეებით საკმაოდ ისარგებლე, შენ, ჩემგან და სხვებისგან განსხვავებით, მყარად დუმდი, როცა „ქართული ოცნება" კოჰაბიტაციაში შედიოდა „ნაც-მოძრაობასთან" და - როცა, ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდა ( რისთვისაც მე დავტოვე „ქართული ოცნება") და,შენ, ახალი არაფერი გითქვამს პროდასავლურსა თუ ნატოს შესახებ - რესპუბლიკელების „ხიტრობებსა" და ანტისახელმწიფოებრიობაზე; ათასჯერ მითქვამს შენამდე მეც და სხვებსაც ამის შესახებ და, არ გირჩევ, „ახალი" უაზრობის გაკეთებას, საქართველო ისედაც ფასიანი პატრიოტებითა და მედროვე „თევზისმჭერებითაა" სავსე... შენ, ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით წარმოჩინდი პარლამენტში, „ქართული ოცნების" სახელით გახდი „სახელიანი" და, თუ ძმა ხარ, გაუფრთხილდი ამ სახელს, ნუ ჩავარდები ხიბლში, პირდაპირ გეტყვი, შენ, არ ხარ ლიდერი, ერთი კაი ქართველი ხარ და, შეინარჩუნე ეს ერთი კაი ქართველობა, ნუ გგონია, რომ, ამღვრეულ წყალში ვინმე თევზს დაგაჭერინებს, დადექი იქ, სადაც იდექი, მიიყვანე ბოლომდე 2012 წელს დაწყებული ბრძოლა, რომელიც შენ და შენმა „უმრავლესობამ" კოჰაბიტაციურ ვასვასში გაცვითეთ და სასწორზე შეაგდეთ... დაფიქრდი, თამაზ, გენაცვალე!..

facebook



**გიორგი გუგავა:**

„ივანიშვილის საარჩევნო ეპისტოლე" ტყუილი, ტყუილი, ტყუილი და პირში სტაფილოს წვენი)))

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

# გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი მიშას ვერ აჯობებს"

## „რაც მთავარია, ამ ხალხმა ბიძინა ივანიშვილისგან ვერ მოისმინა ბოდიში შეცდომებზე"

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ბიძინა ივანიშვილის წერილიდან სკანდალურ ინტერვიუმდე აჟიოტაჟი არ წყდება, საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო, ერთნი აკრიტიკებენ რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტს სალომე ასათიანს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს მიცემული პირობა დაურღვია და მისთვის საინტერესო თემაზე დაუსვა კითხვები, ივანიშვილი გამუდმებით მიუთითებდა სალომე ასათიანს, რომ მოუმზადებელი დახვდა რესპონდენტს და ფურცლებში ქექვა არ უნდა დაეწყო სასურველი ციტატების მოსაძებნად.

> სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ ბევრი ჟურნალისტი სალომე ასათიანის ადგილას თავს ვერ გაართმევდა ასეთ რთულ რესპონდენტს გასძლოლოდა და სულიერი წონასწორობა დაეცვა. რა თქმა უნდა, არიან სალომეს ფანები და თვლიან, რომ მსგავს მდგომარეობაში ბიძინა ივანიშვილი არც ერთ ჟურნალისტს არ ჩაუგდია. ფაქტი ერთია, რომ სალომე ასათიანის გადაცემის პროდიუსერებმა ვერ უზრუნველყვეს ჟურნალისტი ხელსაყრელი პირობებით, რომ მას საშუალება მისცემოდა, ფურცლებში არ ექექა.

მოკლედ, რაც მოხდა მოხდა, ერთი რამ ფაქტია, თავად სალომე ასათიანმა დაადასტურა, რომ მედია თავისუფალია ხელისუფლებისგან. მსგავსი რამ წინა ხელისუფლების პირობებში რომ მომხდარიყო, ადვილი წარმოსადგენია, რა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ჟურნალისტი, ტელევიზიას კი არა, ქვეყანას დაატოვებინებდნენ.

**ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი „ალიასთან" ინტერვიუში გასული კვირის ქრონიკას აფასებს და ჩვენთან საუბარში მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუსთან დაკავშირებით და ექსპრემიერს ურჩევს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაბრუნდეს და აირიდოს მოსალოდნელი საფრთხე დასავლეთიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ივანიშვილის მიმართ ამოქმედდეს სანქციები, როგორც არაფორმალური მმართველის წინააღმდეგ, რადგან დასავლეთში ასეთი მმართველობა მაფიასთან აღიქმება.**

**ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩევლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ექსპრემიერის პოზიცია ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით, როცა განაცხადა: „ლევან მურუსიძეზე განხორციელებული ზეწოლა მიანიშნებს, რომ მან „ნაციონალური მოძრაობის" წნეხისგან თავის დაღწევა მოახერხა..." ხუხაშვილის პოზიცია კი ასეთია:**

– ინტერვიუსას რაც ხდებოდა, სრული აბსურდი იყო. ერთი მხრივ, იყო პრეტენზიები თამაშის წესებზე, ხოლო ჟურნალისტი რესპონდენტს ეუბნებოდა, რომ ამ მოედანზე მისი თამაშის წესებით არ თამაშობენ და ამ კინკლაობაში ჩაიარა ინტერვიუმ. ერთ-ერთი, რაც ინფორმაციული და ძალიან მძიმე მოსასმენი იყო ჩემთვის, ეს გახლდათ მურუსიძის გამართლება. მინდა ბიძინა ივანიშვილს ვუთხრა ძალიან მარტივი რამ, რომ მისი მურუსიძეზე ასეთი საუბარი „ნაციონალურ მოძრაობას" კი არ აშორებს მათთან, არამედ ძალიან აახლოებს და ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს. 2012 წლის არჩევნები ჩვენ მოვიგეთ იმიტომ, რომ ჩვენს დროშაზე სანდრო გირგვლიანის ტრაგედია ეხატა და უნდა გვახსოვდეს, არც ბიძინა ივანიშვილს მოუგია ეს არჩევნები და არც ერთ ჩვენგანს. ეს ბრძოლა დაიწყო ირინა ენუქიძემ და ჩვენ მისი დაწყებული საქმე მივიყვანეთ ბოლომდე. მურუსიძის ასეთი გამოსვლები ყოველდღიური ინტერვიუები და ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მურუსიძის გამართლება, ეს არის მთელი ამ პროცესის შეურაცხყოფა... მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილს არ ესმის, თუ რა ფენომენია მურუსიძე, ეს არ არის ერთი პიროვნება, არამედ მურუსიძე გახლავთ იმ გარყვნილი სისტემის კრებითი სახელი, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა. ამ ქვეყანაში უმთავრესი საფრთხე, სააკაშვილის სახელი და გვარი კი არ იყო, არამედ საფრთხე იყო მათ მიერ შექმნილი სისტემა, რომელიც აკეთებდა თავის შავ საქმეს. დღეს კი მურუსიძე გამოდის, ღმერთს გვეფიცება და გვეუბნება, რომ კანონი მაშინ სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას არ აძლევდა და ყველამ კარგად იცის, რა როლი ითამაშა მან გირგვლიანის და არა მარტო მისი მკვლელების სასამართლო პროცესზე. ის, ფაქტობრივად, სიმართლის ფალსიფიკატორია.

**— იყო ერთი სერიოზული თემაც, როცა ივანიშვილმა თქვა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ყოველ ექვს თვეში ერთხელ მიდიოდა მასთან და თურმე ეკითხებოდა, ბატონო ბიძინა, გავაგრძელო პრემიერ-მინისტრობა, თუ გადავდგე? ეს იყო ასევე მძიმე მოსასმენი, რადგან ამ დამოკიდებულებით გაირკვა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს საფრთხე ემუქრება და დამოუკიდებელი მმართველები ამ ქვეყანას არ ჰყავს, ფაქტობრივად, მან აღიარა, რომ არის არაფორმალური მმართველი, თავად ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრებს.**

> – ივანიშვილის ამ ნათქვამზე გამეღიმა, ეს კიდევ ერთხელ აკნინებს ღარიბაშვილს, როგორც ფიგურას. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც ექვს თვეში ერთხელ მიდის და ეკითხება, წავიდეს თუ არა პრემიერის პოსტიდან. ვფიქრობ, რომ ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერობა უნდოდა და ამას სულაც არ ეკითხებოდა იმ მიზნით, რომ ერთი სული ჰქონდა როდის გადამდგარიყო, უბრალოდ, ამ კითხვით უმტკიცებდა ივანიშვილს ერთგულებას,

ღარიბაშვილს ჰქონდა ლიდერობის ამბიცია, მაგრამ ესმოდა, რომ მისი ბედი მთლიანად დამოკიდებული იყო ივანიშვილზე და ამ კითხვით მიანიშნებდა, რომ მზად იყო, გადამდგარიყო, როცა ივანიშვილი ჩათვლიდა საჭიროდ.

**— მეოთხე წელია, ივანიშვილმა ვერ შეძლო, არამოდურად ექცია „ნაციონალური მოძრაობა" და ეს დამნაშავე ძალა სათანადოდ დაესაჯა. 2012 წლიდან დღემდე, საპრეზიდენტო შუალედურ თუ საპარლამენტო არჩევნების წინ გვიცხადებს, რომ ბოლო რესურსს დახარჯავს და „ნაციონალურ მოძრაობას" ხელისუფლებაში არ მოუშვებს და თუ „ნაციონალებს" ხმას მისცემთ, ბუა მოვა და შეგჭამთო... ახლა ვეკითხებით მის ხელისუფლებას, უმაღლესი ტრიბუნიდან გვიმტკიცებენ, რომ ეს არის დამნაშავე ძალა, თუ დამნაშავე ძალაა, რატომ არ დასაჯეს, რასაც თავად „ნაციონალები" ითხოვენ და რატომ შევიდნენ მათთან გარიგებაში, რასაც კოაბიტაცია დაარქვეს?**

– პოლიტტექნოლოგიურად გასაგებია ივანიშვილის პოზიცია – ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია, ანუ „ნაციონალია", მაგრამ რა განსხვავებაა მასა და სააკაშვილს შორის ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიშაც ასე აკეთებდა, ვინც მას ვაკრიტიკებდით, ყველას რუსეთის აგენტს გვეძახდა. შუას გაკრეფა ხდება სხვადასხვა პოლიტიკური ნიშნით. თუ ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ აირჩიოს სამიზნე, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა და მოახდინოს მისი დისკრედიტაცია და „ნაციონალებთან" გაიგივება, ამას ვერ გააკეთებს, რაც არ უნდა მაგარი იყოს, მე ვაკრიტიკებ ხელისუფლებას და ვის უნდა მოუბრუნდეს ენა, ჩემზე თქვას, „ნაციონალებთან" მაქვს კავშირი. ჩემნაირი ძალიან ბევრია ამ საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ივანიშვილს ჰგონია, რომ ეს არის შესრულებადი ამოცანა და ვინც ხელისუფლებას გააკრიტიკებს, ყველას „ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერის იარლიყს მიაწებებს. არ გამოუვა, „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმს ვებრძოდი მაშინაც, როცა არათუ მარტო ბიძინა ივანიშვილი, მთელი ქართული ელიტა ხმას არ იღებდა და ამ ბრძოლაში მარტო ნამდვილად არ ვიყავი, მე და ჩემნაირებს ვერ მოგვერევა ვერანაირი ძალა და ამ იარლიყს ვერ მოგვაწებებს ვერავინ. ჩვენც გვექნება არგუმენტირებული კითხვა მათ მიმართ, სად იყვნენ 2011 წლამდე და რას აკეთებდნენ ისინი. თქვენ მკითხეთ, რატომ ვერ მოახერხა ივანიშვილმა, არამოდური გაეხადა „ნაც-მოძრაობა" და ეს პარტია, როგორც დანაშაულებრივი ძალა დაესაჯა, მე გეტყვით, რაც მოხდა, რადგან ვიყავი ამის თანამონაწილე, 2013 წლის დასაწყისში ხელისუფლებაში მოვედით და „ნაციონალური მოძრაობის", როგორც დანაშაულებრივი ძალის გასამართლების მომხრე ვიყავი, ვამბობდი, რომ ჩვენ გვქონდა მაღალი საზოგადოებრივი ნდობა, არავის დაჭერა არ გამიხარდებოდა, მაგრამ, რადგან ჩვენ ვადასტურებდით, რომ ქვეყანას მართავდა რეჟიმი, რომელიც სჩადიოდა უამრავ დანაშაულს, უნდა გამოგვეტანა პოლიტიკური ვერდიქტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო დიდი ამნისტიის გამოცხადება. ამას ჰაერიდან არ ვლაპარაკობ, მსოფლიოში არის ძალიან დიდი გამოცდილება ამასთან დაკავშირებით, არის პრეცედენტები, როდესაც რეჟიმები ხელისუფლებიდან მიდიოდნენ და არის მაგალითები, ამის შემდეგ როგორ ხდებოდა საზოგადოების გამთლიანება. დანაშაულს ერთი და ორი კაცი კი არ სჩადიოდა, არამედ



**„არც ბიძინა ივანიშვილს მოუგია ეს არჩევნები და არც ერთ ჩვენგანს. ეს ბრძოლა დაიწყო ირინა ენუქიძემ და ჩვენ მისი დაწყებული საქმე მივიყვანეთ ბოლომდე. მურუსიძის ასეთი გამოსვლები ყოველდღიური ინტერვიუები და ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მურუსიძის გამართლება, ეს არის მთელი ამ პროცესის შეურაცხყოფა..."**

გაგრძელება გვ. 14

ექსპერტი



მეცამეტე გვერდიდან

ბევრი ადამიანი იყო დასასჯელი, ამიტომ ჩემი შეთავაზება „ქართული ოცნებისთვის“ გახლდათ ასეთი: გამოგვეტანა პოლიტიკური ვერდიქტი, რომელსაც მოჰყვებოდა საშუალო და დაბალი დონის ადამიანების ამნისტირება, რომლებიც პოლიტიკურ დანაშაულში იყვნენ ექვმიტანილები. ამით მოხდებოდა საზოგადოების გამთლიანება, მაგრამ პოლიტიკური ვერდიქტის გამოტანა მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ ეს ფურცელი გადაგვეშალა და წინ გაგვეხედა, საზოგადოებაც შეგვერიგებინა.

მაშინ ამას რომ ვამბობდი, კოალიციაში ყველა მეკამათებოდა, მათ შორის, ივანიშვილიც. ამ აზრზე იყო, რომ ჩვენ დასავლეთი გვთხოვს კოაბიტაციას და იძულებული ვართ, კოაბიტაციის რეჟიმში ვიცხოვროთო. რაც, ჩემი აზრით, იყო ფატალური შეცდომა. დღეს კითხვას ვსვამ, – კი ბატონო, შეიძლება ჩვენ დასავლეთში გვთხოვდნენ კოაბიტაციას „ნაცმოძრაობასთან“, როგორც პოლიტიკურ ძალასთან, მაგრამ სისტემასთან კოაბიტაცია ხომ არავის უთხოვია. დღევანდელმა ხელისუფლებამ კი კოაბიტაცია მოახდინა სისტემასთან, რომლის გამოვლინებაა კოლექტიური მურუსიძე გაბნეული საჯარო სექტორში, რამაც, საბოლოო ჯამში, კორცხელის აბსოლუტურ უაზრო წამგებიან ცემა-ტყეპამდე მიგვიყვანა. დღევანდელმა ხელისუფლებამ კომფორტი იგრძნო სააკაშვილის მახინჯ ნეგატიურ სისტემაში და ამ ინსტრუმენტებზე არ თქვა უარი, შეისისხლხორცა და ცდილობს, თავადაც გამოიყენოს სააკაშვილის მახინჯი ინსტრუმენტები,

მაგრამ ძალიან ცუდად გამოსდით, რადგან როცა სააკაშვილი ამ ინსტრუმენტებს იყენებდა, შედეგსაც იღებდა. რა თქმა უნდა, ეს იყო დანაშაული, მაგრამ პოლიტიკურ შედეგს დებდა. დღევანდელი ხელისუფლება კი რას შვრება? ცემა-ტყეპის ფონზე აგებს არჩევნებს. კორცხელში არჩევნები რომ მოეგოთ, კიდევ შეიძლებოდა ამ ცემა-ტყეპის აზრი გაგვეგო, მაგრამ 400-კაციან სოფელში ამხელა აყალმაყალის ატეხო და არჩევნები წააგო, ამაზე სამარცხვინო რა შეიძლება იყოს?!.

**— კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა განცხადება გააკეთა და დაარტყა ხელისუფლებას, მთავრობაში მოძველბიჭო ელემენტები არსებობენო. ვინ იგულისხმა პრეზიდენტმა, კახი კალაძე, რომელსაც ჰბრალდება კორცხელში მოჭიდავეების ჩაყვანა?**

– პრეზიდენტმა ვინ იგულისხმა, ჯობია თავად თქვას, მაგრამ შემიძლია ამ განცხადების პათოსი დავადასტურო. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც არანაირ სიმახინჯეზე უარს არ ამბობენ, კონკრეტულად იმ სპეცსაშუალებებზე, რაც სააკაშვილისგან მემკვიდრეობით მიიღეს. როდესაც შენ ამ ურჩხულის მართვას იწყებ, ეს ნიშნავს, რომ ამას შენ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ კი არ გამოიყენებ, არამედ აამუშავებ ყველა პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი ადამიანების მოძლიერება „ქართულ ოცნებაში“ არ გამორიცხავს სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის სრულად აღდგენას. საბედნიეროდ, ამ ეტაპზე ეს საშიშროება ნაკლებად არის, მაგრამ, თუკი მათ ისწავლეს ამ ურჩხულის მართვა, ამ შემთხვევაში დადგება საკითხი, საერთოდ რით სჯობია ეს ხელისუფლება წინას.

**— ივანიშვილის კრიტიკოსთა შორის აღმოჩნდა გუბაზ სანიკიძე, რომელმაც ამ წერილის ავტორს სულ უვიცი ეძახა. თქვა, რომ ამ წერილით ძალიან დაპატარავდა ივანიშვილი. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკურ პროცესებში ღიად ჩაერთო. როგორ გგონიათ, ივანიშვილი გახდება იძულებული, რომ ლიდერის ფუნქცია იტვირთოს და ღიად დაბრუნდეს პოლიტიკაში?**

– გეტყვით, როგორ დაიწერა ეს წერილი. მასზე სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდა სხვადასხვა ჯგუფი და ეს არ იყო ერთი კონკრეტული ჯგუფის გაკეთებული წერილი. ამ წერილში ერთიანი ხაზი, სიმართლე გითხრათ, ვერ დავინახე, წერილის დიდი ნაწილი ეთმობოდა „ნაცმოძრაობას“ და მათ სისხლიან ცხრა წელს. ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, რომ მთლიანად დახარჯავს მთელ რესურსს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში „ნაციონალები“ არ დაბრუნდნენ, რაღაცნაირად ირიბად, ყოველ შემთხვევაში „ნაციონალების“ დაბრუნების პრევენციას უკავშირდება. ასეთი ფრაზები მახსოვს ბადრი პატარკაციშვილისგან, მაშინ, როდესაც ის იყო დევნილობაში და ძალიან მძიმე ემოციურ მდგომარეობაში.

ბადრი პატარკაციშვილისგან გასაგები იყო მისი განცხადება, რომ ბოლო რესურსს დახარჯავდა „ნაციონალების“ წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ამ შინაარსის განცხადება ჩემთვის ძალიან დამთრგუნველი იყო. ისმება კითხვა, რატომ არის ასეთი განცხადების გაკეთება საჭირო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან? ივანიშვილს არ ესმის, რომ მისი მთავარი პრობლემა დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ კი არ არის, არამედ არის ხალხი. „ნაციონალები“ და „ქართული ოცნება“ ჯამურად, თამაშგარე მდგომარეობაში და უმცირესობაში არიან, ხელისუფლების მთავარი პრობლემაა ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მათ ბიძინა ივანიშვილმა იმედი გაუცრუათ და ისინი არიან უმრავლესობაში.

აი, ამ ადამიანებისთვის ბიძინას წერილში არაფერი მოიძებნა. თუ შენ გინდა იმედგაცრუებული ადამიანი უკან მოაბრუნო, უნდა აუხსნა, რატომ ვერ მოახერხე, რა შეგეშალა და ბოდიში მოუხადო, მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია, შექმნა იმის თეორიული საფუძველი, რომ ეს ადამიანები შენკენ შემობრუნდნენ, ხოლო მშრალი ციფრები, რომლითაც კეთილდღეობის ვირტუალური სურათი გინდა რომ დახატო, ამით იყო დაკავებული მიშა სააკაშვილი და ამ მხრივ, ბიძინა ივანიშვილი მიშას ვერ აჯობებს, დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს იმის უნარი, რომ ვირტუალური შესაძლებლობები შექმნას, ეს კი არა, რასაც ნამდვილად აკეთებენ, იმის დისტრიბუციასაც ვერ ახდენენ. აქედან გამომდინარე, ამ ველზე გასვლა აბსოლუტურად გაუგებარია, მით უმეტეს, რომ ამომრჩევლისთვის

კეთილდღეობის ინდიკატორი ციფრები კი არა, მაცივარია, რომელსაც გამოაღებ და შიგნით რაღაცას ან იპოვის, ან ვერა... შესაბამისად, ამ ადამიანებს ბიძინა ივანიშვილისგან სჭირდებათ ახსნა, რატომ მოხდა იმედგაცრუება, რა არის ამის მიზეზი, რატომ ვერ მიიღეს ის, რასაც მათ დაჰპირდათ. რაც მთავარია, ამ ხალხმა ბიძინა ივანიშვილისგან ვერ მოისმინა ბოდიში შეცდომებზე. თუკი ივანიშვილი შეცდომებზე ბოდიშს მოიხდიდა, აი, ეს გაუჩენდა ამ ხალხთან რაღაც შანსს, მან ეს ვერ შეძლო.



„ხელისუფლების მთავარი პრობლემაა ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მათ ბიძინა ივანიშვილმა იმედი გაუცრუათ და ისინი არიან უმრავლესობაში. აი, ამ ადამიანებისთვის ბიძინას წერილში არაფერი მოიძებნა“

როგორც გვპირდება, რეგიონებში დაიწყებს სიარულს. მას არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ დახვდება ის ვითარება, რაც მანამდე ხვდებოდა. მე ვფიქრობ, რეგიონებში ივანიშვილს ის ადამიანები დახვდებიან, რომლებზეც ახლა გელაპარაკეთ. თქვენ მე მკითხეთ, გახდება თუ არა ივანიშვილი იძულებული, რომ ღიად ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში და ხელში აიღოს პოლიტიკური თანამდებობა და გიპასუხებთ, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ შანსებზე და იმაზე, რას ვურჩევდი ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს, მე ვფიქრობ, რომ მის წინაშე დღეს არის მრავალფეროვანი რისკები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ასევე ერთ-ერთი სერიოზული რისკი გახლავთ ის, რომ არაფორმალური მმართველის იმიჯი აქვს, დასავლეთის თვალში კი ეს არის უსერიოზულესი რისკი. შესაბამისად, მცირედით მაინც რომ დააზღვიოს ეს რისკები და „ქართული ოცნების“ შანსები გაზარდოს, დღესვე უნდა დაბრუნდეს „პრემიერ-მინისტრად“. მოახდინოს საკუთარი თავის ფორმალიზება, რომ მოხსნას კითხვები და რისკები აიცილოს თავიდან. პრემიერ-მინისტრის რანგში აწარმოოს

ექსპერტი



საარჩევნო კამპანია, მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს იქნება უნივერსალური საშუალება, მაგრამ მოხდება რეაბილიტაცია და რაც მთავარია, დასავლეთის მხრიდან საფრთხე მოეხსნება, შეიძენს გარკვეულ იმუნიტეტს და ვერ განხორციელდება ის, რაც ახლაა მოსალოდნელი დასავლეთის მხრიდან...

**— და რა არის მოსალოდნელი? თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლებელია დასავლეთმა სანქციები აამუშაოს ივანიშვილის წინააღმდეგ?**

– დასავლეთში ძალიან არ მოსწონთ ქვეყნის არაფორმალური მართვა, ეს არის ტაბუირებული თემა, ეს მათ მენტალიტეტში მაფიოზურ რაღაცებთან ასოცირდება. აქედან გამომდინარე, თუ „ნაციონალებმა“ და სხვა ოპონენტებმა მოახდინეს ვითარების საკმარისად ესკალირება და კრიზისის ფორმირება, თუნდაც პოსტ-საარჩევნო პერიოდში, ამ შემთხვევაში რჩება თეორიული შანსები, რომ ივანიშვილი აღმოჩნდეს სერიოზული სანქციების ქვეშ, ხოლო ფორმალური სტატუსი ამ სანქციებისგან მას დაიცავდა.

**— აშშ-ს ელჩი იან კელი ქართველებს მოგვიწოდებს, რომ ხელისუფლებას ხელში არ ჩავუგდოთ „რუსთავი 2“ და თურმე ჩვენი ღირსების საქმეა ამ ტელევიზიის სადარაჯოზე დგომა. ეს გახლავთ ორმაგი სტანდარტის კლასიკა, როგორ გვაიძულებენ, ვაპატიოთ „ნაციონალებს“ სისხლიანი დანაშაულები, რასაც „უპრავებდათ“ „რუსთავი 2“, და დღეს გავიდეთ მათ დასაცავად. ფიქრობთ, რომ აშშ საქართველოში რევოლუციურ სცენარს ამზადებს და საბაბად გამოიყენებს „რუსთავი 2“-ის საქმეს?**

– „რუსთავი 2“-ის საკითხი არის თემა, რომელიც, ჩემი აზრით, მთლიანობაში აწყობს და აძლიერებს თვითონ „რუსთავი 2“-ს და „ნაციონალურ მოძრაობას“ და პრინციპში, ხელისუფლების ყველა ოპონენტს. სასამართლო ამ თემას ოქტომბრამდე ვერ გაიტანს, შესაბამისად, ეს იქნება ანტისახელისუფლებო კამპანიის ხერხემალი. თუ ვივარაუდებთ, რომ ხელისუფლებაში ვიღაცას ამ თემასთან შეხება აქვს მეორე მხარის სასარგებლოდ, მე ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი არის პროვოკატორი და ჩანერგილია იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაასუსტოს ხელისუფლება.

დღესდღეობით ხელისუფლება არ არის იმდენად მყარი, რომ რევოლუცია გახდეს საჭირო, სამწუხაროდ, საკმაოდ სუსტი და ავტორიტეტდაკარგული ხელისუფლება გვყავს, რომელიც სისტემურ კრიზისსაც კი ვერ გაუძლებს და ისე ჩამოიშლება, რომ რევოლუცია საჭირო არ გახდება.

ის, რომ ხელისუფლება არ არის აგრესიული, კარგია, მაგრამ ცუდია, რომ მათ კრიზისის მენეჯმენტი არ შეუძლიათ. პატარა, ლოკალურ კრიზისსაც კი ვერ მართავენ და ათას სისულელეს აკეთებენ და თუ მოხდა სერიოზული კრიზისის ფორმირება, ბუნებრივია, ამას ხელისუფლება ვერ გაუძლებს.

ასე რომ, ყველა ვარიანტში ივანიშვილი იძულებულია, ღიად შემოვიდეს პოლიტიკაში, მას აუცილებლად სჭირდება იმუნიტეტი, სხვა შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი ცუდად დასრულდეს მისთვის.



**ნიკა გვარამია:**

**სალომე ასათიანმა, სიტყვის თავისუფლებააო, დაასკვნა???**

**ამიტომ არ კითხა რ2ზე არაფერი, ესე იგი, კი არ გამორჩა.**

**ამას გარდა, Salome Asatiani ცენზურა იმიტომ არ შეეხო შენს ინტერვიუს, რომ ივანიშვილს გონია, რომ გაგანადგურა და თვითონ კარგად გამოჩნდა.**

**ასე რომ, სიტყვის თავისუფლება და უცენზურობა კი არა, არაადეკვატური მანიაკის მმართველობა გვაქვს. პრაღიდან არ ჩანს კარგად, ეტყობა.**



**ირინა სარიშვილი:**

**თქვენი არ ვიცი და მე ტელევიზიით ხალხთან საუბარს მოწყურებულ ივანიშვილს განუსაზღვრელი დროით დავუთმობდი ეთერს, თან ისე რომ რესპოდენტიც თავად ყოფილიყო და ჟურნალისტიც. თანამედროვე ტექნიკა იძლევა ამის საშუალებას. მით უმეტეს როცა ივანიშვილს სრულიად განსხვავებული გამომეტყველება აქვს როცა შეკითხვას სვამს (კმაყოფილი ღიმება თითქოს გამოგიჭირა) და როცა პასუხობს (ჩაღრმავებული ცას აპყრობილი თვალებით). მე რომ მკითხოთ, ივანიშვილის ყველაზე მძაფრი კრიტიკაც კი არაფერია ასეთ "ინტერვიუსთან" შედარებით თან რაც შეიძლება ხშირად. აჩვენეთ ეს კაცი მსოფლიოს და საქართველოსთან ომი აღარ იქნება — უბრალოდ გადაგვხურავენ!**

Facebook ამბები



**მიხეილ ჯიბუტი (ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლაზე):**

ბატონო ბიძინა .....გავკადნიერდები და შეგახსენებთ თუ მუსურიძე და კუბლაშვილი რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ ის ხალხი რაღა იყო ვისაც ეგენი ასამართლებდნენ.....!!! მაგათ ვერ გააკეთისშობილებთ... ეგენი როგორც ერთ დროს თქვენი მოწონებული მარგველაშვილი ცხვრის ქურქში გადაცმული ტურები ( შაკალი ) არიან.... ეგ ახლაა რომ გაიტრუნენ თორემ თუ ჩაიჩოქეთ ოდესმე.... მოგესევიან........... მოგესევიან და .........ძალიან მაგარი კაცი ხარ მაგრამ... ვერ დაგეთანხმები და მომკალი თუ გინდა........... ((



**გიორგი გუგავა:**

მართალს ამბობს ბიძინა, საქართველოში კი არ აქვს ბიზნესი საქართველოა მისი ბიზნესი))) სერიიდან - შუშის სასახლის ზღაპრები: "კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ არანაირი ბიზნესინტერესი საქართველოში არ მაქვს."



**შალვა ნათელაშვილი მანანა კობახიძის მიერ ივანიშვილის ილია ჭავჭავაძესთან შედარებაზე:**

ქალბატონო მანანა, პატარა განსხვავება მაინცაა. ის მგზავრის წერილები იყო დიდი ილიას შესრულებით, ეს თაღლითის ჩანაწერებია, ივანიშვილის გამოცდილებით.

ღია ცის ქვეშ



ეთერ ბალაძე
593 15-64-47

# რა ბედი ელის უსახლკაროდ დარჩენილ ათასობით ადამიანს და რატომ აძლევს მათ მერია მხოლოდ სამთვიან თავშესაფარს?

ხელისუფლების განცხადებები ეკონომიკის აღმავლობისა და ადამიანთა დასაქმების შესახებ უკვე ცინიზმში გადადის. დაუსაქმებელ და ულუკმაპურო ადამიანებს უსახლკაროებიც ემატებიან, რომელთა რიცხვმა არა თუ იკლო, არამედ იმატა. რამდენიმე დღის წინ, უსახლკაროებმა ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს და სახელმწიფოსგან თავშესაფარი მოითხოვეს. გაღატაკებული ფენა, რომელსაც ახლა თავზე ჭერიც კი არ აქვს. ბედის ანაბარაა მიტოვებული. ამ ადამიანებს ქუჩაში სძინავთ და ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ მათ დაეხმაროს, დაკავებული ფართებიდანაც ქუჩაში ყრის... ასე იყო კონსტიტუციის ქუჩაზე, ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელში გამოთავისუფლებულ სართულზე 12 ქალი შვილებიანად შევიდა და შენობის მობინადრეებს განუცხადა, აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ სახელმწიფო ჭერს არ მოგვცემსო. მობინადრეებმა კი, რომლებსაც გამოთავისუფლებული ფართი მათთვის სურდათ, „შემოჭრილ“ ქალებს ჯერ თავად შეუტიეს, მერე პოლიცია გამოიძახეს. პოლიციამაც ისინი შენობიდან ისევ ქუჩაში გამოყარა. ქუჩაში გამოყრილების ბედი კი არავის უკითხავს. ამ კატეგორიის ადამიანებს ქალაქის მერია თავშესაფარს მხოლოდ სამი თვით აძლევს და შემდეგ ისევ ქუჩაში ყრის, მათ ბინებში სხვა უსახლკაროებს ასახლებს. მარტოხელა დედები შვილებით სად უნდა წავიდნენ? ამაზე არავინ ფიქრობს. ან რა ლოგიკაა სამთვიანი თავშესაფარი?

**„ალია“ უსახლკაროებს ესაუბრა.**

**ლილი ნ., მარტოხელა დედა:**

– შვილებიანად ღამეს სკამზე ვათენებთ. თუ ვინმეს ბედმა გაუღიმა და მათი შვილები ბავშვთა სახლმა მიიღო, შვებაა. თუ არა და, ბევრი ჩვენგანი თავის მოკვლაზე ფიქრს იწყებს... ერთი სამშვილიანი დედა პოლიციამ ღამის სამ საათზე შეაჩერა, როცა ხიდიდან გადახტომას აპირებდა.

— **საიდან არის ამდენი უსახლკარო დედა?**

– საუბედუროდ, უსახლკარონი არა მარტო დედები არიან. მაგრამ დედის ხვედრი, რომელიც შვილთან ერთად ქუჩაში დარჩა, საშინელებაა! თუ ვინმეს აინტერესებს, ეს რატომ ხდება, მიმოიხედოს ირგვლივ და ნახავს, რამდენი უნამუსო, ლოთი, მოძალადე ადამიანია ირგვლივ. საუბედუროდ, ჩვენ ასეთი ადამიანების გვერდით ცხოვრება გვერგო წილად. ზოგ ჩვენგანს ლოთმა ქმარმა გაუყიდა ბინა, ზოგს სცემდნენ, ზოგს აწამებდნენ, ველარ გაუძლო და სახლიდან წამოვიდა.

ამაზე საშინელი შემთხვევებიც არის. ერთი ქალი ორი შვილით სახლიდან იმიტომ წამოვიდა, რომ ქმარი საკუთარმა დედამ წაართვა. ქუჩაში რომ დაწანწალებდნენ, ისევ ისეთს შეეცოდა, თავადაც რომ კიბის ქვეშ ცხოვრობს, და თავისთან მიიყვანა. ბავშვები მათხოვრობდნენ. ბავშვთა საქველმოქმედო სახლში დარეკა ვიღაცამ და მათ შეიფარეს. ბევრს კი შემფარებელი არ ჰყავს, თავშესაფრიდან თავშესაფარში დადის და როცა ყველგან ყოფნის ვადა ამოეწურება, მერე აღარ იცის, რა ქნას.

**ნანა გ., მარტოხელა დედა:**

– ლტოლვილთა საცხოვრებლიდან საავადმყოფო გადავიდა. ვიფიქრეთ, ხელისუფლება ახლა მაინც დაფიქრდება ჩვენს ბედზე-მეთქი. მან კი პოლიცია გამოუშვა. მათ რომ თრევა-თრევით ჩამოვყავდით კიბეზე, აქეთ ლტოლვილები გვირტყამდნენ, აქ შემოსვლა როგორ გაბედეთო. არადა, თვითონ ამ სახლში იმდენი ბინები აქვთ, აქირავებენ. ტელევიზიებმა კი ისე გადმოსცეს, ვითომ ჩვენ ქუჩის ქალები ვიყოთ და სადღაც შევცვივდით. ასე არ არის, ყოველი ჩვენგანი დილის 6 საათიდან 3-4 ადგილზე მუშაობს, რომ შვილები არჩინოს. ზოგი ჩვენგანი ასე ნაცემი იმ ბავშვთა საქველმოქმედო სახლს მიადგა, სადაც მათი შვილები არიან შეფარებული. აბა, სად წასულიყვნენ? თავიანთ შვილებს ლუკმა გაუყვეს. არადა, ის სახლი თავადაც შემოწირულობით არსებობს.

მართალია, უსახლკაროებს თავშესაფარი არ აქვთ, მაგრამ მთავარია, რომ მერია მათ თავშესაფარს ჰპირდება და როდის აშენდება საცხოვრებელი სახლები, არავინ იცის. გამოსახლება მოხდა მელიქიშვილის ქ. №49-ში მიმდებარე ობიექტიდანაც... გამოსახლებული სოციალურად დაუცველი და უსახლკარო ოჯახები შენობის მიმდებარედ, ღია ცის ქვეშ იმყოფებიან და ქუჩაში ათენებენ ღამეს. სახალხო დამცველი თბილისის მერს დავით ნარმანიას მიმართავს, რომ დაინტერესდეს ამ ადამიანების ბედით და დაეხმაროს მათ.

გამოსახლებულ პირებს შორის არიან ხანდაზმული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არასრულწლოვანი პირები, რომელთა მიმართ სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. გამოსახლებულთა უმრავლესობა ამ დრომდე ქუჩაში რჩება. ქუჩაშია მათი კუთვნილი ავეჯი, შეშის ღუმელი და სხვა ნივთები. მოქალაქეთა განმარტებით, ამ დროისთვის ბინის ქირით არასრულწლოვანი პირებისგან შემდგარი მხოლოდ 2 ოჯახი დააკმაყოფილეს.

მთაწმინდის გამგეობამ აღნიშნული ორი ოჯახი (ჯამში, 7 ადამიანი) ხელოვნურად გააერთიანა და თავისი ინიციატივით შეურჩია საერთო, 20 კვ.მ ფართის ბინა დასაქირავებლად. დანარჩენ პირებს (10 ოჯახი), მათივე განმარტებით, მხოლოდ 1 თვის ვადით ბინის ქირით უზრუნველყოფა შესთავაზეს, რაზეც მათ უარი განუცხადეს. შედეგად, გამოსახლებული პირების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ რჩება, ვინაიდან მათ თავშესაფარი არ გააჩნიათ.

მოკლედ, უსახლკაროების მცირე ნაწილი მერიამ დააბინავა, უმეტესობა კი თავშესაფრის გარეშე დატოვა... მას შემდეგ, რაც 2013 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ მოსკოვის პროსპექტზე უსახლკაროებისთვის პირველი თავშესაფარი გახსნა. თავდაპირველად თავშესაფარი 23 კარავს წარმოადგენდა, რომელთაგან თითოეული 10 ადამიანისთვის იყო გათვალისწინებული და იქ განთავსებული უსახლკაროები საკვებით, შეშის ღუმელით, ტელევიზორითა და სარეცხი და ჰიგიენის საშუალებებით მერიამ სრულად უზრუნველყო.

2015 წლის დეკემბერში კი მერიამ ლილოს დასახლებაში ახალი თავშესაფარი ააშენა, სადაც კარვებში მცხოვრები 200-მდე ადამიანი გადაიყვანა. თავშესაფარი მთლიანობაში 240 ადამიანზეა გათვლილი და ის მხოლოდ საკუთარი სურვილით მისულ ადამიანებს მიიღებს.

მართალია, მერიამ უსახლკაროთა თავშესაფარზე თითქოს იზრუნა, მაგრამ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში უსახლკაროს სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს კანონი არ განსაზღვრავს და თუ არსებობს, ისეთი ბუნდოვანია, რომ შეიძლება ადამიანი იყოს უსახლკარო, მაგრამ მასზე დაყრდნობით ვერ მიიღოს უსახლკაროს სტატუსი.

უსახლკაროთა რიცხვი კი, გარდა ლილოს ერთადერთ თავშესაფარში განთავსებული 200-მდე ადამიანისა (არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით კი, თითქოსდა ასეთი თავშესაფარი, დედაქალაქში 1100-ია, ხოლო რეგიონებში 2000-ზე მეტი), თბილისში მდებარე ყოფილი კარვების ქალაქი არ არის ერთადერთი ადგილი, რომელსაც მიუსაფრები დღესაც თავს აფარებენ. არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში უსახლკაროთა ყველაზე დიდი რაოდენობაა, რაც კი ოდესმე ყოფილა...



**„შვილებიანად ღამეს სკამზე ვათენებთ. თუ ვინმეს ბედმა გაუღიმა და მათი შვილები ბავშვთა სახლმა მიიღო, შვებაა. თუ არა და, ბევრი ჩვენგანი თავის მოკვლაზე ფიქრს იწყებს...“**



სალომე გოგოხია
595 14 22 25



ჩვენს ქვეყანაში შერჩევითი სამართალი ჯერ არ დასრულებულა. „რუსთავი 2“-ის საქმე, რომელსაც ხელისუფლება ორ სუბიექტს შორის კერძო სამართლებრივ დავას უწოდებს, სასამართლო ასტრონომიური სისწრაფით განიხილავს. ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივი მოქალაქეების სამართლებრივი დავები, რომელიც ასევე, კერძო სახისაა, წლობით ჭიანურდება. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა კი, საბოლოოდ ისეთ დროს ხდება, როცა საქმე ზოგჯერ აქტუალობას კარგავს და აზრი აღარ აქვს მის განხილვას. საუბარია ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებზე. მოსამართლეები საქმის გაჭიანურების მიზეზად მოუცლელობას ასახელებენ. ეს პრობლემაც რეალურია, თუმცა მის მოგვარებაზე შესაბამისი უწყებები რატომღაც არ ფიქრობენ.

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის პერიოდი კრიტიკას ვერ უძლებს“ – ამგვარად აფასებს შექმნილ სიტუაციას არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი: „ჩვენი საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე, გეტყვით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სახელშეკრულებო დავა უკვე 2 წელია, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება, მაგრამ ამ დრომდე პირველი სხდომაც არ არის ჩანიშნული. ასევე, ქონებაჩამორთმეულ საქმეებზე დავა წელიწადი და ხუთი თვეა გრძელდება და პირველი სხდომა ჯერ არ არის ჩანიშნული. ზოგადად, დავების, სადაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის განსაკუთრებული ინტერესია, განხილვა გაჭიანურებულია. ერთ მოსამართლეს, საშუალოდ, 500-700 საქმე აწერია. გასულ თვეს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. შესაბამისად, მათი ყველა საქმე სხვა მოსამართლეებს გადაეწერათ. ამჟამად, მათ ხელში 1 200-დან 1 500-მდე საქმეა. ეს არის ანომალია. ამაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და იუსტიციის სამინისტრომ ძალიან მკვეთრი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, რაც გულისხმობს სამართლებრივი რეგულაციების დაუყოვნებლივ ამოქმედებას. ვფიქრობ, ელექტრონული საქმის წარმოების პრინციპის ამოქმედება, რომელიც გერმანიაში წარმატებულ სისტემად მიიჩნევა, საერთო სასამართლოებში არსებულ ქაოსურ მდგომარეობას დაარეგულირებს... აუცილებელია ახალი მოსამართლეების შერჩევა, სამდივნოების დაკომპლექტება, რაც ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთი გამოსავალია. სხვა შემთხვევაში გვექნება ის ვითარება, რაც ახლაა. 2012 წლის შემდეგ, ალბათ, ქართული სასამართლო სისტემა ერთადერთი ინსტანცია აღმოჩნდა, სადაც მოსამართლეები თავად არღვევენ საქმეთა განხილვისთვის დადგენილ 3, 6 თუ 9-თვიან ვადებს“.

### ვინ ზრუნავს?!

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე ჩვენთან კომენტარში აცხადებს: „რაც არ უნდა გავზარდოთ მოსამართლეების რაოდენობა, თუკი დარბაზების პრობლემა არ მოგვარდა, ეს შეღავათს არ მოგვცემს. ეს არის პრობლემა. რომ გადახედოთ რამდენი ადამიანი მონაწილეობს კონკურსში და რა კონტინგენტიდან გვიწევს მოსამართლეების არჩევა... მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მოსამართლის, ვისაც ვადა გასდის და გამოცდილია, სასამართლო სისტემაში ხელახალი გადანიშვნა მოხდეს. საბჭოში ჩემი მუშაობის პერიოდში ყველაზე მეტი მოსამართლე დაინიშნა, რაც ამ 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა. ზოგადად, მოსამართლეების ასე მარტივად დანიშვნა არ ხდება. გამოცდა უნდა ჰქონდეს ჩაბარებული, იუსტიციის უმაღლესი სკოლა დამთავრებული. გარდა ამისა, საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის კომპრომისია საჭირო, ვინაიდან, მოსამართლის დანიშვნას 10 ხმა სჭირდება. ამ მიმართულებით პერსპექტიულად თუ ვიმუშავებთ, ეს საკითხი მოგვარდება. იმედი მაქვს, რომ წლის ბოლომდე თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეების განხორციელება უფრო მეტი ინტენსიურობით დაიწყება და საზოგადოება რაღაც შეღავათს იგრძნობს“.

# „თითო მოსამართლეს 1 200-დან 1 500-მდე საქმე აწერია! ეს არის ანომალია!“

**ლევან მურუსიძე: „რომ გადახედოთ, რამდენი ადამიანი მონაწილეობს კონკურსში და რა კონტინგენტიდან გვიწევს მოსამართლეების არჩევა...“**





Facebook ამბები

![facebook]



**ია ანთაძე, 3 ივნისი:**

სალომე ასათიანის ინტერვიუს ბიძინა ივანიშვილთან აუცილებლად შევიტან ჩემს სასწავლო კურსში.

ეს იყო ინტერვიუ ძალიან საინტერესო დრამატურგიით. სალომე ასათიანმა შეძლო და საჯაროდ, ყველას თვალწინ, კომფორტის ზონა დაატოვებინა ბიძინა ივანიშვილს. ჩვენ პირველად ვნახეთ ასეთი ივანიშვილი - როდესაც მას მოუხდა, ინტერვიუს პროცესში შეეცვალა ტაქტიკა: შეტევიდან დაცვაზე გადასულიყო და, ბოლოს, საერთოდ „ჩაკეტილიყო“. ჟურნალისტებთან, ექსპერტებთან, ოპონენტებთან ურთიერთობაში წარმმართველი როლის აღება საკუთარ თავზე, მწვავე კამათში გამარჯვება და ბოლო წერტილის დასმა ყოველთვის იყო ბიძინა ივანიშვილის სტილი. ზოგადად, მისი ცხოვრების მთავარ მიღწევად ჩანდა, რომ მუდმივად, ყველაზე მძიმე სიტუაციებშიც კი, ივანიშვილი ახერხებდა, დარჩენილიყო კომფორტის ზონაში.

და აი, სალომემ პირველმა შეძლო, რომ რესპონდენტი საჯაროდ გამოდევნა ამ ტრადიციული კომფორტის ზონიდან; პირველმა არა მხოლოდ ჟურნალისტებს შორის, არამედ, ზოგადად პირველმა იმ პირებს შორის, ვისაც ბიძინა ივანიშვილი საჯარო სივრცეში შეხვედრია. თუ ეს იყო მისი, როგორც ჟურნალისტის ამოცანა, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ეს რთული ამოცანა სალომემ წარმატებით შეასრულა. ასევე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ამოცანის შესრულებისთვის შეასხა მაყურებლებმა ხოტბა მას, როგორც ჟურნალისტს.

აქვე უნდა ვიკითხოთ - რატომ არის მიჩნეული, რომ ყველაზე წარმატებული სწორედ ის ინტერვიუებია, სადაც ჟურნალისტი ახერხებს, რომ რესპონდენტს კომფორტის ზონა დაატოვებინოს?

გუშინდელი ინტერვიუს კონტექსტში ახსენეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ინტერვიუ ფროსტსა და ნიქსონს შორის. ეს იყო ინტერვიუ, სადაც ფროსტმა შეძლო და ამბიციურ ნიქსონს დაატოვებინა კომფორტის ზონა, ოღონდ, შედეგი იყო ის, რომ ნიქსონმა (პირველად უოტერგეიტის სკანდალიდან სამი წლის შემდეგ) ბოდიში მოუხადა ამერიკელ ხალხს.

ფროსტმა შეძლო, რომ ნიქსონს ათქმევინა ის, რისი თქმაც თავად ნიქსონს უნდოდა და, ამავე დროს, ათქმევინა ისიც, რისი თქმაც მას ნამდვილად არ სდომებია.

სალომე ასათიანმა შეძლო, რომ ბიძინა ივანიშვილს არ ათქმევინა ის, რისი თქმაც მას უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, რომ ეთქმევინებინა ის, რისი თქმაც მას არ უნდოდა.

ასე რომ, ზოგჯერ ჟურნალისტები ახერხებენ, რესპონდენტს დაატოვებინონ კომფორტის ზონა იმისთვის, რომ ის ბოლომდე გახსნან; ზოგჯერ კი ჟურნალისტები ახერხებენ, რესპონდენტს დაატოვებინონ კომფორტის ზონა იმისთვის, რომ ის ბოლომდე ჩაკეტონ - ეს არის განსხვავება კარგ და ცუდ ინტერვიუს შორის.

ბიძინა ივანიშვილის ტაქტიკამ, რომ კითხვებზე აღარ ეპასუხა, ჩემი აზრით, სალომესაც დაატოვებინა კომფორტის ზონა, როგორც ჟურნალისტს. ინტერვიუს ბოლო ნაწილში ის - ძალიან გამოცდილი ინტერვიუერი - იძულებული გახდა, კითხვები ჩაეკითხა და ასე - ცალმხრივ რეჟიმში დასრულებინა გადაცემა. ვფიქრობ, სალომესთვისაც არანაკლებ მძიმე იყო კომფორტის ზონიდან გამოსვლა, ვიდრე ბიძინა ივანიშვილისთვის. არ მგონია, რომ თავად სალომე ასათიანი გუშინდელ არშემდგარ საუბარს თავის პროფესიულ წარმატებად აღიქვამდეს.

მე ამ ინტერვიუს დავარქმევდი „ორმხრივი მარხცის ინტერვიუს“, რომელიც (ფროსტისა და ნიქსონის ღრმა ურთიერთობისგან განსხვავებით) დასრულდა მეტყველი კადრით - როცა სალომე მოწყენილი ზის და უყურებს ფეხზე წამომდგარ რესპონდენტს, რომელიც უხერხული მოძრაობით ცდილობს ინტერვიუსთვის საჭირო ატრიბუტებისგან გათავისუფლებას.

არჩილ გამზარდია - ივანიშვილს, როგორც რესპონდენტს, მოქნილობა აკლია და ნებისმიერი პრესკონფერენცია, რომელიც მას ჩაუტარებია, მისი დისკომფორის ზონაა, ამიტომ "კომფორტის ზონის" დატოვება განსაკუთრებული მიზანი არ ყოფილა. ვფიქრობ, წამგებიანიცაა, რადგან თავდაცვაზე ორიენტირებულ სტუმარს ვერ გახსნი, არადა ჟურნალისტმა სწორედ რომ უნდა გახსნას რესპოდენტი და არა ჩაკეტოს. ცუდია, რომ რინგად აღიქმება ეს პროცესი და მერე ვინ ვის აჯობა სიხისტეში, იმის შეფასებას აკეთებს მაყურებელი, ბიძინამ "მოუგო" თუ "ჟურნალისტმა".. ეს არასწორია, სხვადასხვა "წონითი" კატეგორიებია და "ჯიბრი" კი არა, გახსნაა საჭირო.

**იუნა შაფათავა:**

შოკში ვარ. მშენებლობიდან მშენებლობაზე დავდივარ და გული მისკდება -ეს პენოპლასტით აშენებული უამრავი უზარმაზარი კორპუსი რა საშინელებაა...ეკონომიურად აშენებული ეს ფურთხით და პენოპლასტით და ცარიელი ბეტონით აშენებული მახინჯი ქალაქი,ხვალ ერის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას დიიიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ....სადაა კანონო უსაფრთხო და ჯანმრთელობსთვის არასაზიანო სტანდარტის საცხოვრებელი სახლების შენებაზე? ნამუსი არ გაქვთ ადამიანებო,1 კაპიკად აშენებთ და 500$ ად რომ ყიდით??? ხელოვნურად გაბერილი ფასები უძრავი ქონების ბაზარზე რა არის ?????? და დადგება მერე ამხელა პრარაბი კაცი და მიმტკიცებს რომ ფურთხით აშენებული, ცარიელი ცივი ბეტონით ნაშენი სახლი კარგია!!!! რევმატიზმიქ სუფთა! არ გიყვართ ეს სიმართლე და ეს ხალხი რამ დაადებილა რააააამ !!!



Facebook ამბები

facebook



**ირინა სარიშვილი:**

მანანა კობახიძეს ივანიშვილის წერილმა ილია ჭავჭავაძე გაახსენა... სამჯერ მაინც გადაეფურთხებინა, რამე არ მოწიოს კაცს. გავა დროვო და მერე უფრო მიხვდება ყველა ეს ვინ გვყავსო.

ხოდა სანამ ეს დრო გავა წინწამურის გზას მეერიდოს მაინც ბიძინეი ურჩიეთ!

სტატუსი: სუპერვაზელინიანია

facebook




**თამაზ ჭეიშვილი:**

„უმადური, გათათქარიძებული ერი ამ კაცის განადგურებაზე ოცნებობს" – რობერტ სტურუა

,,გათათქარიძებულები,,! ძლიერი ნათქვამია! ის 2 000 000, საქართველოდან „გასიდელკებული„ ქართველიც შედის ,,გათათქარიძებულებში„? არა მგონია! ისინი იქ მძიმე შრომას ეწევიან,რა თათქარიძე,რისი თათქარიძე? აქ დარჩხა 3 000 000 - მდე...აქედან,ალბათ ყველა არ ,,გათათქარიძებულა,, ...ვივარაუდოთ,ასე „აქ დარჩენილთა 61% ,,გათატქარიძელდა,,! საერთო ჯამში,ჰიპოტეტურად ,,გათათქარიძ- გაუმადურებულა„ რაღაც 39%!

აარა ბატონებო,ეს არ არის ერი! გადავრჩენილვართ!

ისე,ხუმრობა იქით იყოს და ჩამომითვალეთ,ან ერთი მილიარდერი დამისახელეთ მსოფლიოში, საკუთარი სახსრებით თავისი ქვეყანა თითქმის თავიდან რომ აეშენებინა(ჯარიან პლიციელებიანად) და ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 39% რატომღაც აგინებდეს„ - ,,რატომ კარგი აგიგია,შე გათახსირებულოვო„?!

არა რა,პარადოქსების ქვეყანაა ეს ჩვენი ,,დერეფანი,,! უმადურობის ,,სკვაზნიაკი,, უბერავს! მააგრა უბერავს!

ჭანჭურ თამაზაური (ან, თამაზ ჭინჭარაული).



ეთერ ბალაძე
593 15-64-47

# ნახევარი მილიონი ადამიანი „ოცნების" ხელისუფლებამ შიმშილით სიკვდილისთვის გაიმეტა!

**მართალია, მთავრობის წარმომადგენლები თვითკმაყოფილები ამბობენ, რომ სიღარიბე დაძლეულია და უმუშევრობა შემცირდა და ამისთვის სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებსაც იშველიებენ, მაგრამ ჩვენი რესპონდენტები, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, დასაქმებისა და სიღარიბის შემცირების შესახებ „ალიასთან" საუბარში სულ სხვანაირად ფიქრობენ.**

**სიმონი, 35 წლის, თვითდასაქმებული:**

– პროდუქტებს ვყიდულობ და ვყიდი, მაგრამ ბევრი არ მრჩება, თავი გაგვაქვს, თანაც მე სეზონურ პროდუქტებს ვყიდი, ისე ხდება, რომ მერე რამდენიმე თვე უმუშევარი ვარ, ხან რა საქმე დავიწყე, ხან – რა, მაგრამ მუდმივი სამუშაო არ მაქვს. მუშის საქმეც არაა ადვილი საშოვნელი. ელიავაზე ვდგავარ ხოლმე, რომ იქნებ რამე გამოჩნდეს და პურის ფული მიანც მივიტანო სახლში, ძნელია დღეს სამუშაოს პოვნა.

**— დროებითი სამუშაო ადვილი საპოვნელია?**

– ადვილი კი არა, ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არ არის სტაბილური, გარდა ამისა, თუ 2 თვე ვმუშაობ და 4 თვე სახლში ვზივარ. შემდეგ ისევ ვეძებ სამუშაოს. ასე, სულ სამსახურის ძებნაში ვარ.

**რომანი, 30 წლის, დროებით დასაქმებული:**

– თვითდასაქმებული ვარ, მშენებლობაზე ვმუშაობ, ჩემი სამუშაო მუდმივი არ არის, წელიწადში 5 თვეს ვმუშაობ, 7 თვე კი უმუშევარი ვარ. სტაბილური სამუშაო და შემოსავალი არა მაქვს. სულ სამუშაოს ძიებაში ვარ, რომ ოჯახი შევინახო.

**ლუსა, 50 წლის, უმუშევარი:**

– რესტორანში ვმუშაობდი, თეფშებს ვრეცხავდი, რამდენიმე თვე ვიმუშავე და მერე მეპატრონემ დამითხოვა. ახლა ისევ სამუშაოს ვეძებ. სამწუხაროდ, ჩვენი დასაქმება მეპატრონეების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მთავარია, სამსახურის შენარჩუნება შეძლო.

**— ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ უმუშევრობა შემცირდა...**

– ვინ ამბობს ამას? პირიქით, უფრო იმატა, 3 თვე დასაქმებული ვიყავი, მერე დამითხოვეს, ამიტომ დასაქმებული მქვია? დასაქმებული ის არის, ვისაც სტაბილური შემოსავალი აქვს. ოჯახში ხუთნი ვართ და ერთი ადამიანიც ვერ მუშაობს, მეც დამითხოვეს და რანაირად არის შემცირებული? წინა წლებთან შედარებით ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რაც კი რამ ძვირფასი ნივთი მქონდა, გავყიდე, რომ თავი გადამერჩინა. ახლა გასაყიდიც აღარაფერი დამრჩა.

**ლუბა დარჯანია, აფხაზეთიდან დევნილი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი:**

– უმწეოთა პროგრამიდან ამომაგდეს, ამ ხელისუფლებამ უფრო მეტად გამაუბედურა, არ მეგონა, ბიძინა თუ ამას იკადრებდა. ძალიან ვნანობ, რომ ამათ ხმა მივეცი. სამოთახიანი ბინის გამო შემწეობის თანხა შემიჩერეს. საცხოვრებელი ფართი რა შუაშია? კედლებს ხომ არ შევჭამ? სააგენტოში მივედი და მითხრეს, ქულები არ გამოგივიდაო, ხელახლა განცხადებით ერთი წლის შემდეგ შემიძლია მივმართო და ერთი წელი რა ვჭამო? ან რა სოციალური პოლიტიკაა? ამ ხელისუფლებამ შიმშილისთვის გაგვიმეტა.



**ამაში დამნაშავეა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო! სწორედ მის რეფორმებს ეწირება ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე**





**„ამ ხელისუფლებამ უფრო მეტად გამაუბედურა, არ მეგონა, ბიძინა თუ ამას იკადრებდა!"**

**„ალია" უფლებადამცველ მამუკა ტუსკაძეს ესაუბრა.**

**— ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსაშვილი ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში აცხადებს, რომ ნახევარი მილიონი ადამიანით შემცირდა სიღარიბის დონე, ხოლო დასაქმებულია 1 780 000, აქედან მილიონამდე თვითდასაქმებულია. რამდენად რეალურია ეს ციფრები?**

– ეს არის ტყუილი და დღევანდელი ხელისუფლების უბედურება, სიღარიბე შემცირდა? პირიქით, ადამიანები კიდევ უფრო გაღარიბდნენ... თუ სააკაშვილი ხელოვნურად აღარიბებდა ამ ხალხს, ართმევდა,

**„რატომ არავინ ეკითხება ეკონომიკის მინისტრს, სად წავიდა ის ნახევარი მილიონი ადამიანი, რომელიც სიღარიბის ბაზას მოაკლდა? სად დასაქმდნენ? სადმე იღებენ ხელფასს? ეს ადამიანები საშიმშილოდ გაწირეს"**

ალატაკებდა, ფულს გირაოსა თუ საპროცესოებში ახდევინებდა, სახლებს იპოთეკებში ადებინებდა, ამ მთავრობამ წართმეულის დაბრუნება ვერ შეძლო, პირიქით, ადამიანები უმწეოთა პროგრამიდან ამოაგდო, სწორედ ნახევარ მილიონ ადამიანს შემწეობის ფულადი დახმარება მოუხსნეს. ამის შემდეგ გამოდის ეკონომიკის მინისტრი და უსინდისოდ აცხადებს, რომ 500 000 ადამიანით სიღარიბე შემცირდა...

ადამიანებს, რომლებსაც შემწეობის თანხა მოეხსნათ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გამდიდრდნენ, მინისტრი ამბობს, რომ ამ ადამიანების შემოსავალმა საარსებო მინიმუმს გადააბიჯა, საიდან? დასაქმდნენ ეს ადამიანები? რატომ არავინ ეკითხება ეკონომიკის მინისტრს, სად წავიდა ის ნახევარი მილიონი ადამიანი, რომელიც სიღარიბის ბაზას მოაკლდა? სად დასაქმდნენ? სადმე იღებენ ხელფასს? ეს ადამიანები საშიმშილოდ გაწირეს. რატომღაც ეს არავის არ აინტერესებს, იმიტომ, რომ წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა.

**— ანუ ნახევარი მილიონი ადამიანი, რომელიც სიღარიბის პროგრამას მოაკლდა უმუშევარი დარჩა?**

– რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს იმიტომ კი არ მოუხსნეს შემწეობის თანხა და სიღარიბის პროგრამიდან იმიტომ კი არ ამოიღეს, რომ ისინი დასაქმებული არიან. არამედ იმიტომ, რომ ქულების დათვლის სისტემა შეიცვალა. სარეიტინგო ქულები ასწიეს და გამომდინარე აქედან, ნახევარი მილიონი ადამიანი პროგრამიდან ავტომატურად ამოვარდა. ეს საამაყო კი არა, სამარცხვინო ციფრებია, რომ 500 000 ადამიანი ბედის ანაბარა დატოვეს, 60-ლარიანი დახმარებით ეს ადამიანები პურს მაინც ყიდულობდნენ, ახლა კი ულუკმაპუროდ დატოვეს. ნახევარი მილიონი ადამიანი „ოცნების" ხელისუფლებამ შიმშილით სიკვდილისთვის გაიმეტა!

**— უმუშევრობის შემცირება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ხარჯზე მოხდა?**

– ეკონომიკის მინისტრი თვალში ნაცარს აყრის მოსახლეობას, სიღარიბის პროგრამა „გაცხრილეს" და ამის ხარჯზე შეამცირეს უმუშევრობა, რაც ალოგიკურია. თუკი სტატისტიკა შეიცვალა და 1 მილიონი ადამიანიდან ახლა სოციალურ დახმარებას ნახევარი მილიონი იღებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე ნახევარი მილიონი დასაქმდა, ან სხვა შემოსავლები გაუჩნდა, არც ერთ მათგანს სხვა შემოსავლები არ აქვს.

**— თვითდასაქმებულები 1 მილიონია?**

– თვითდასაქმებული გაცილებით ნაკლებია. სახელმწიფო აბსოლუტურად უმეცარია, რადგანაც სოფლის მოსახლეობა, რომელიც ნაკვეთს ამუშავებს თვითდასაქმებულად ითვლება. ეს რა აღრიცხვის ფორმაა? მათ არასტაბილური შემოსავალი აქვთ. გლეხს რა შემოსავალი აქვს? მხოლოდ სეზონური. მცირე ბიზნესშიც არ არის სტაბილური შემოსავალი და ეს გახლავთ ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა და ციფრებით მანიპულირება. არაფერი სახეირო არ გაკეთებულა სოციალური თვალსაზრისით. პირიქით, უმუშევრობამ და სიღარიბემ იმატა. ამაში დამნაშავეა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, სწორედ მის რეფორმებს ეწირება ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე, ის ადამიანები, რომლებიც უმწეოთა პროგრამიდან ამოიღეს, შიმშილისთვის გასწირეს...

*მეთერთმეტე გვერდიდან*

სალომე ასათიანი: „სწორედ იმიტომ, რომ ასეთი სისტემა შეგხვდათ და ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო, ალბათ პირველ რიგში თავად „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომ შეიცვლებოდა ხელისუფლება, სტრუქტურულად ესეთი სისტემა რომ ჩაიბარეთ, სადაც მართლაც არ არის დაბალანსება ძალებს შორის...“

ბიძინა ივანიშვილი: (არ აცლის) „ეხლა ვნახოთ დღეს რა არის, ამის შემდგომ რა გავაკეთეთ, რა მოვახერხეთ და ხიფათს, რომელიც გამოითქმება იმაში, საფუძვლიანად თქვენ დაასაბუთეთ, რომ ერთ კაცშია თავმოყრილი ძალაუფლება... ძალაუფლება, ჩემში თავმოყრილი, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ და შევახსენებ ჩვენს მაყურებელსაც, ჩემი ძალაუფლება მხოლოდ არის ის, რომ ხალხი მენდობა და ხალხს აქვს ჩემზე დამოკიდებულება ისეთი, როგორიც აქვს და ჩემს სიტყვას აქვს ფასი და არა ის ფინანსები, ვთქვათ, რომელიც არანაკლები გააჩნიათ ამ გუნდს, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში რაც კი იწარმოებოდა საქართველოში, ერთ გუნდში გადაინაწილეს... “

სალომე ასათიანი: „კი, მაგრამ, თქვენ გასული ხართ საკონსტიტუციო ჩარჩოდან..“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემი ძალაუფლება გახლავთ მხოლოდ ხალხის ნდობა, სანამ ამას ვგრძნობ, მე ვალდებულება გამაჩნია, რომ ამ ხალხს მოვემსახურო და ის მე, რაც შემიძლია, აუცილებლად გადავცე მათ...“

სალომე ასათიანი: „რა თქმა უნდა, ამავე დროს, ხომ უნდა განვითარდეს...“

ბიძინა ივანიშვილი: (არ აცლის აზრის დამთავრებას) „განვითარდეს და როგორ განვითარდეს, ამაზე ახლა ვისაუბროთ...“

სალომე ასათიანი: (აგრძელებს) „უნდა განვითარდეს პოლიტიკური ცხოვრება, თქვენ თუ შეგიძლიათ გადაწყვეტილების მიღებაში მიიღოთ მონაწილეობა, ყველაფერი ეს მოხდეს კანონს მიღმა, ეს პრობლემად არ გესახებათ, საკონსტიტუციო ჩარჩოდან გასული გავლენიანი პირი, რომელსაც...“

ბიძინა ივანიშვილი: (გაკვირვებული ეკითხება) „საკონსტიტუციო ჩარჩოდან გასული“ რას ნიშნავს?

სალომე ასათიანი: „თქვენ ოფიციალური პოსტი აღარ გაქვთ, თქვენ აღარ ბრძანდებით ოფიციალურად გადაწყვეტილების მიმღები...

ბიძინა ივანიშვილი: „მე მოქალაქე ვარ და ყველა კანონს ვემორჩილები, აბსოლუტურად ამ ქვეყნის და არცერთ კანონს არ ვარღვევ, ამას ძალიან პრინციპულად ვუყურებ...

სალომე ასათიანი: „მაგრამ გაქვთ ბერკეტები და გავლენა და ძალაუფლება მმართველ გუნდზე...“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემი გავლენა არის მხოლოდ ხალხის ნდობა... “

სალომე ასათიანი: „მმართველ გუნდზე თქვენ ხომ ახდენთ გავლენას?“

ბიძინა ივანიშვილი: „მხოლოდ ხალხის ნდობა, არანაირი ბერკეტი მე არ გამაჩნია, რომ მმართველ გუნდზე რაიმე დამატებითი გავლენა მოვახდინო, მე არა მყავს ჩემი პოლიცია, ჩემი ჯარი, არაფერი არ გამაჩნია ჩემი პიროვნების მეტი. ხალხის ნდობა, მხოლოდ ესაა ჩემი, ეს სახიფათოა ესე? ესა გაქვთ მხედველობაში?“

**„ალია“**

**„ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს“ — ეს აქსიომაა. უკვე მოგახსენეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ მთავარი დამფინანსებელია, ვინც აფინანსებს პოლიტიკურ ძალას, ის მართავს კიდეც მას, თუ ამის სურვილი აქვს. შესაბამისად, ივანიშვილს პოლიტიკურ ბერკეტებზე ხელი მიუწვდება და ისევ „გვაბოლებს“, რომ მისი გავლენა მხოლოდ ხალხის ნდობაა. მოდით, დავუშვათ, რომ მართალია ივანიშვილი და მისი გავლენა მართლა ხალხის ნდობაზეა დამოკიდებული, განვსაჯოთ აბა, რამდენად მართალი და ლოგიკურია მისი ნათქვამი. ასევე, რამდენად ეფექტურად იყენებს ამ ხალხის ნდობას ქვეყნის სასიკეთოდ.**

**ბიძინა ივანიშვილი გაიგივებულია „ქართულ ოცნებასთან“ და ეს ასეც უნდა იყოს. მეტიც, ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ერთმანეთზე არიან მიბმულები. დღეს „ქართულ ოცნებას“ ძალზე დაბალი რეიტინგი აქვს, „ნაციონალების“ შეკვეთილი კვლევების შედეგებს არ ვგულისხმობ, ივანიშვილმა არაობიექტურობა რომ არ დამწამოს, ამას ყველაზე უტყუარი კვლევებიც ადასტურებს, მაგალითად, რიგითი ხალხის აზრი, ასევე, თავად ამ კოალიციის არაერთი ლიდერი აცხადებს, რომ კოალიციამ სწორედ ხალხის ნდობა დაკარგა, გაფლანგა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში წარმატების მიღწევა გაუჭირდება. კიდევ სხვა მაგალითის მოყვანაც შემიძლია იმის დასტურად, რომ კოალიციის რეიტინგი ძალიან დაბალია. თუ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ერთია, შესაბამისად, ივანიშვილის რეიტინგიც დაბალია და მის მიმართ ხალხის ნდობაც გაუფასურებული. დიახ, ხალხი არც ივანიშვილს ენდობა და არც მის კოალიციას. რატომღაც მგონია, რომ ამ კაცს პირფერი გარემოცვა უმტკიცებს, რომ მთელი საქართველო მასზე ლოცულობს და მის ერთ შეძახილზე მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება, როგორც ეს 2012 წელს იყო. დიახ, ბიძინა ივანიშვილი 2012 წელშია ჩარჩენილი და თუ „შუშის სასახლიდან“ გამოვა, ხალხში გაივლის და გაიკითხავს, მის მიმართ ხალხის ამ გაუფასურებულ და დაკარგულ ნდობასაც დაინახავს და იგრძნობს.**

**ბიძინა ივანიშვილს თუ ხალხის ნდობა ისევ აქვს, ამის დამტკიცება მას ძალიან მარტივად შეუძლია. პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მისი ხათრითაა არჩეული, მაგრამ ეს კაცი საქართველოს მტერ ფსევდოლიბერალურ ძალებს შეეკრა და ქართველ ხალხს დაუპირისპირდა. ხალხს აღარ უნდა პრეზიდენტად მარგველაშვილი, ის მათ ნებას ეწინააღმდეგება. მარგველაშვილი ივანიშვილსაც დაუპირისპირდა, მის პოლიტიკურ გუნდსაც და თანაც, არაერთხელ. მოკლედ, გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებით, ხალხისა და ივანიშვილის ნეგატიური განწყობა ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, მას აქვს უნიკალური შანსი, დაამტკიცოს, რომ ხალხი ისევ ენდობა. ადგეს, გამოვიდეს და მოუწოდოს გიორგი მარგველაშვილს, რომ გადადგეს პოსტიდან. თუ მისი ძალაუფლება ხალხის ნდობას ემყარება, ამ შემთხვევაში, ხალხი დაუდგება გვერდით და მარგველაშვილს მართლა ერთად მოიშორებენ, მაგრამ ამას არ აკეთებს ივანიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს არ მოსწონს მარგველაშვილი, ივანიშვილის დაძახილზე მის წინააღმდეგ არ გაილაშქრებს და ეს სწორედ იმიტომ, რომ ხალხი ივანიშვილს აღარ ენდობა. ბიძინა ივანიშვილი სახალხო ლიდერიდან სახელისუფლებო ლიდერად იქცა, ის მხოლოდ ერთი პოლიტიკური გუნდის ლიდერია და არა — მთელი ხალხისა. ივანიშვილი ლიდერის მასშტაბებში დაპატარავდა, რადგან მის მიმართ ხალხის ნდობა შემცირდა და ამის დანახვა არ უნდა.**

სალომე ასათიანი: „ხალხის ნდობა, ძალიან დიდი კაპიტალია, რომლითაც მანიპულაციაც შესაძლებელია, მაგრამ სხვა რამეს ვგულისხმობ... მმართველ პარტიაზე, მმართველ კოალიციაზეც ხომ შეინარჩუნეთ გავლენა...

ბიძინა ივანიშვილი: „როგორ შევინარჩუნე?“

სალომე ასათიანი: „თქვენ კიდევ მონაწილეობდით ხოლმე კრიტიკულ დროს, ძალიან ბევრი მოქალაქის აზრით პრემიერ-მინისტრებიც თქვენი გადაწყვეტილებით შეიცვალა ამ ქვეყანაში, აღქმა, ყოველ შემთხვევაში არის ისეთი. მოქალაქემ არ იცის ვინ იქნება ანგარიშვალდებული, ვის უნდა მოსთხოვოს პასუხის კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე, როცა ესეთი ბუნდოვანია საკუთრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესიც...“

ბიძინა ივანიშვილი: „გავიგე... მე კიდევ გავიმეორებ... მე მგონი სულაც არ არის ბუნდოვანი, ყოფილი პრემიერ-მინისტრის და... ჩვენ თუ საუბარში მოვახერხეთ და შევეხეთ ზოგიერთ მომენტებს, მე გავიხსენებ რამდენად ვთქვათ, ჩემ რჩევებს არ ისმენდა ხშირად... დღევანდელი პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი კიდევ უფრო პრინციპულია და კიდევ მეტი გამოცდილება აქვს საკუთარი მოღვაწეობით, მენეჯმენტის და სხვადასხვა დარგის განათლება გააჩნია, აბსოლუტურად პრინციპულია და ნურავის აქვს იმის ეჭვი, რომ ვთქვათ, ვურეკავ ყველადღე კვირიკაშვილს და მითითებებს ვაძლევ, ღმერთმა დამიფაროს, ამას არ ვაკეთებდი არც ღარიბაშვილის დროს, მასაც ჰქონდა კომპეტენცია და მშვენივრად მართავდა ქვეყანას, ასევე მაღალი კომპეტენცია გააჩნია კვირიკაშვილს. არ ხდება ისე, რასაც გიხატავენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, არ ხდება ის, რაზეც საუბრობენ „რუსთავი-2“–დან...

სალომე ასათიანი: „ამაზე ხომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ საუბრობენ, ძალიან ბევრი ანალიტიკოსიც საუბრობს, ბევრი თქვენი თანაკლასელი...“

ბიძინა ივანიშვილი: „მართავს და აბსოლუტურად... ის, რომ მე შეიძლება დამირეკოს და შემეკითხოს, ვთქვათ, ამაში არაფერი დანაშაული არაა, მთელ მსოფლიოში ხდება მსგავსი რამ. ან შეიძლება ვთქვათ იშვიათად შეხვედრაც მთხოვოს და რაღაც საკითხებზე ჩემი აზრი მოისმინოს, ამაში არაფერი სახიფათო არაა... მე არ მაქვს არავითარი ბერკეტი და მას აქვს აბსოლუტური განწყობა, რომ გადაწყვეტილებას ღებულობს მხოლოდ კვირიკაშვილი, გარწმუნებთ...“

**„ალია“**

**კიდევ ერთი ტყუილი ივანიშვილისა. მას აქვს ძალიან დიდი გავლენა „ქართულ ოცნებაზე“, გიორგი კვირიკაშვილი კი ამ პარტიის თავმჯდომარეა. კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკში“ გენერალური დირექტორის მოადგილე იყო და სწორედ ივანიშვილმა მოიყვანა ხელახლა პოლიტიკაში, 2011 წლიდან გვერდში ჰყავს. ჯერ ეკონომიკის, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა და მის გარეშე ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებს კვირიკაშვილი. თავადვე აღიარებს, რომ გიორგი კვირიკაშვილს ხვდება და მის აზრს ისმენს. ახლა, ნუ დამიწყებს ვინმე იმის მტკიცებას, რომ გიორგი კვირიკაშვილი მართლა დამოუკიდებელი პოლიტიკოსია, როგორც ამას ივანიშვილი გვიმტკიცებს. დაწყებული ირაკლი ღარიბაშვილით, დამთავრებული გიორგი კვირიკაშვილით, ყველა ყოფილი თუ მოქმედი დიდჩინოსანი, ვინც ივანიშვილის ბიზნესიდან მოვიდა ხელისუფლებაში, ვინც უშუალოდ ივანიშვილმა დასვა მაღალ პოსტებზე, აბსოლუტურად ყველა მისი უსიტყვო მორჩილი იყო და არის. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ ეს ადამიანები ოდესმე, ერთხელ მაინც დაპირისპირებოდნენ ივანიშვილს. დაპირისპირებას ვინ ჩივის, მის სიტყვას ძირს არ უშვებენ, თუ რაიმე აბსურდს იტყვის ივანიშვილი, მისი ნათქვამის „გათეთრებაში“ ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს ვალდებულება ივანიშვილის მიმართ, ეს მორჩილება, სავარაუდოდ, წარსულიდან მოსდევს ამ ხალხს. ივანიშვილი მათი უფროსი იყო „ქართუ ჯგუფის“ სტრუქტურებში მუშაობისას და დღემდე მათი უფროსია, მისი გავლენიდან ვერ გამოდის ვერც ერთი და მათ შორის, კვირიკაშვილიც. წარსული ვალდებულების გარდა, კვირიკაშვილსაც და სხვებსაც, სადღეისოც აქვთ. ბიძინა ივანიშვილი ისე მოხსნის ხელისუფლებაში მოსულ „ქართუ ჯგუფის“ კადრებს, როგორც მისი ბიზნესსტრუქტურის რიგით მენეჯერს ათავისუფლებს. დიახ, მისთვის პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი არაფრით აღმატებული არ არის, დავუშვათ, „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორისგან, თუ ბანკის მმართველის მოსახსნელად ივანიშვილს ერთი ბრძანების დაწერა მაინც დასჭირდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გადასაყენებლად, ამადაც არ გაირჯება — ერთ ხელს აიქნევს და იქვე დასრულდება კვირიკაშვილის კარიერა, როგორც თუნდაც ირაკლი ღარიბაშვილისა დასრულდა. ეს რაც შეეხება „ქართუ ჯგუფის“ კადრებზე ბიძინა ივანიშვილის გავლენას.**

**ივანიშვილს სახელისუფლებო ბერკეტები რომ აქვს, ამის შესახებ „ალიას“ თავად საპარლამენტო უმრავლესობის წევრები უყვებოდნენ სხვადასხვა დროს. კი, მაგრამ, რატომ ავიწყდება ივანიშვილს, მთელმა ქვეყანამ რომ იცის ეს ამბები? ეს ის ბიძინა ივანიშვილი არ არის, ხან მინისტრთა კაბინეტის წევრებს, ხან საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს მისავე ურეკის რეზიდენციაში რომ მოუყრის ხოლმე თავს და კონკრეტულ მითითებებს აძლევს? გია ვოლსკის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერობიდან მოხსნა და ზვიად კვაჭანტირაძის დანიშვნა ამ პოსტზე ურეკში არ გადაწყდა? სოლოლაკში, „შუშის სასახლეში“ არ ეახლა შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ივანიშვილს და იქ არ შეთანხმდნენ, რომ ჭიკაიძეს პოსტი უნდა დაეტოვებინა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ, რადგან, თუ პოსტზე დარჩებოდა, ეს მთელ მმართველ გუნდს დააზარალებდა? სულ ახლახან, „შუშის სასახლეში“ შეხვდა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ახალ სახეს, დავით კოღუაშვილს და კოღუაშვილმა იქ მიიღო დასტური, რომ „ქართული**

*გაგრძელება გვ. 22*

Facebook ამბები



**თეიმურაზ ვაშაყმაძე:**

რაღაც შეიცვალა გახმაურებულ ინტერვიუს შესახებ დამოკიდებულება, მეტადრე აქტიურობს ჟურნალისტები და სალომე( ესე ქვია ამ გოგოს) ასათიანს მაღალი დონის ჟურნალისტად მიიჩნევენ და ამ ინტერვიუს კი ბიძინას გაშიშვლებად,

ქალბატონო ჟურნალისტებო, მინდა ერთი აქსიომა შეგახსენოთ, ქვეყანაში , თუ ჟურნალისტიკის დონე მაღალია შესაბამისად პოლიტიკოსებიც ესევე მაღალი კლასიაა, აბა დავაკვირდეთ დღევანდელ ან კი ბოლო 25 წელს, ცოტა უხერხულობას არ განიცდით, ეკა ბესელია,მანანა კობახიძე, გუგული მაღრაძე და სხვა ეს ნულები რომელთაც ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს უშუალოდ ესეთ ნანუკების, მაიკოების, აქუების, ხოფერია გრიგოლია გეგელიების პლინტუსზე მეტად დაბალი დონე განაპირობებს, რაც მეტი იქნება ესეთი ასათიანები ჟურნალისტიკაში მით მეტი ბესელიები და გოგორიშვილები გ ვ ე ყ ო ლ ე ბ ა პარლამენტში,,ვიმეორებ, ჩემთვის ივანიშვილის პოლიტიკა მიუღებელია, ცხადია ასევე ანგაჟირებული რუსთავი 2და ნაციონალები, თუმცა კი ნაციონალების თავგასული ლიდერის არაადექვატური ქცევები, ვიმეორებ ყოველივე ჟურნალისტიკის შედეგია, გეყოლება ეს ტრაპაიძეები გვეყოლება მურმან დუმბაძეები, ქალბატონებო და ბატონებო ქვეყანაში სადაც ყველაზე ძლიერ ჟურნალისტად ითვლება გრიგოლია იმ ქვეყანას მომავალი არ აქვს, ან კი რატომ უნდა ქონდეს მომავალი,მაიკო ასათიანისა თუ სალომე ასათიანის შექმნილ ანალიტიკურ პროგრამებს?




**კ ა ხ ა ძაგანია:**

ნათელაშვილი 30 წლის წინ ჩემთან სახლში პირველად, რომ შემოვიდა, "ნასკში" ჩატნეული "შნუროკით" მაშინ მართლა კარგი ბიჭი იყო, ბევრი ვეცადე ესეთივე, რომ დარჩენილიყო, მაგრამ ბოლოს მაინც გამისხლტდა ხელიდან (არცერთ სიყვას არ ვაზვიადებ, მართლა განვიცდი)



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

მე არ მინდა თავხედობა, უვიცობა, უნიჭობა, არაპროფესიონალიზმი და უზრდელობა ფინანსდებოდეს საქართველოს ბიუჯეტიდან!!!!

საქართველოს მოსახლეობა არ იმსახურებს ასეთ უნიჭობას რაც დღეს ვიხილეთ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაცემა ინტერვიუში.



**ანი დარსალია:**

ბატონო ბიძინა წარსული, რომ გვახსოვს ამიტომ ავირჩიეთ ქართული ოცნება 2012წელს ისიც გამარჯვება ახლანდელი ოპოზიციური პარტიის მოპოვებული კადრების დახმარებით ! თუმცა ქართული ოცნების 4 წლიანი მმართველობა კრახით დასრულდა და ეს არ იყო ჩვენი მოსახლეობის ოცნება !



**დემურ გიორხელიძე:**

მორჩა კინო!.. ოქტომბრის მეორე ნახევრამდე სერიოზულ საუბარს საჯარო სივრცეში ვწყვეტ... ხვალის შემდეგ აღარც ინტერვიუებს მივცემ არც პრესასა და არც ტელევიზიებს... საქართველოში მორიგი გაყრუების პერიოდი დგება - ბაქი-ბუქი და მესიანური განცხადებები, განწყობა - ჩემი ''ყოჩი-უფროსი/ჩემი ყველაზე მაგარი/ ხალხს რომ უყვარს'' და ყველას სჯობს დუნიაზე, - განხილვა-შეფასებას არ ექვემდებარება... მე-5 წრეზე წავიდა ქვეყანა... აბა, დროებით!.. ერთი დღის შემდეგ ფბ ჩემს მიერ მაგისტრანტებისთვის სრულიად ახალი სალექციო კურსებისა და მომდევნო კურსების შესახებ საუბარს, ლიტერატურასა და მუსიკას დაეთმობა!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



## თემურ შაშიაშვილი:

# „ეს კანონი მიიღეს ივანიშვილის გავლენით, ზეწოლით თუ ხათრით... ახლა იძახიან, შეგვეშალა, შევცდითო“



„ერთ-ერთ ფულიან პარტიას ფოტოგრაფი ჩამოუყვანია ტალინიდან, არჩევნებამდე უნდა დარჩეს აქ და უხდიან 300 ათას დოლარს“

„ალიას“ ესაუბრება მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი, **თემურ შაშიაშვილი:**

**— ბატონო თემურ, თქვენ ბიძინა ივანიშვილის წერილი წაიკითხეთ?**

– წავიკითხე და გული მწყდება... მე არ ვარ ბიძინა ივანიშვილისადმი მტრულად განწყობილი, ეს არის პიროვნება, რომელმაც ბევრი გააკეთა საქართველოსთვის და ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ის შევიდა იმ სფეროში, რომელიც არ იცის. ადამიანებს არ იცნობს, პიროვნებებს არ იცნობს, ადრეც ვთქვი და ვიმეორებ:

> ვინც კი წარმოგვიდგინა, ყველაზე იძახის, შევცდიო. მოიყვანა გამოუცდელი პრემიერ-მინისტრი, ამტკიცებდა, წარმატებულიაო და ეს კაცი საერთოდ გაქრა, არსად აღარ ფიგურირებს. თუ წარმატებული იყო, მაშინ სად არის? პრეზიდენტში შევცდით, დედაქალაქის მერში შევცდით, ვინ გაგვიმართლა? არავინ!

შეიძლება იცოდე საბანკო საქმე, ბიზნესი, ბუღალტერია, მაგრამ პოლიტიკა სხვა რამეა – ბანკირის თვალით ყურება პოლიტიკაში, არის დამღუპველი.

**— ახლა რამდენიმე თვეში ვდგებით კიდევ რის საშიშროების წინაშე? შეიძლება ისევ შეცდეს ბევრ რამეში?**

– არაფერის საშიშროების წინაშე არ ვდგებით, ყველა საშიშროება უკვე თავს დაგვატყდა. ბატონი ბიძინა იძახის, კადრების საკითხში არ ვერევიო, ერევა კი არა, თავად მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები არიან დიდ გაუგებრობაში და მარჩიელობენ, რა მოეწონება ან არ მოეწონება ივანიშვილს. მითხარით ერთი პიროვნება, რომელიც მისი ბანკიდან ან მისი გარემოდან არ დაინიშნა თანამდებობაზე, მე არ ვიცნობ ასეთ ხალხს. თავის დროზე შეურაცხყოფაც მოგვაყენა, როცა თქვა, ვინც კარგი იყო, ყველა მოვიყვანე პარლამენტშიო, ვინც გარეთ ხართ, ვინ ხართ, საერთოდ ვერ გავიგეო. იმის გამო, რომ გარეთ დარჩენილებს დამოუკიდებელი აზრი გვაქვს, ტაშს არ ვუკრავთ, ფეხქვეშ არ ვეგებით, ვერ ვუმღერებთ, ვერ ვუცეკვებთ, გვჭირს ამისთანა უბედურება და გადაკეტილი გვაქვს ყველა გზა. მარტო ჩვენზე არ არის საუბარი, ინტელიგენციაც გარიყულია. ამას წინათ ერთი ცნობილი პიროვნება შემხვდა და მეუბნება, ყველა სოფელი ფეხით შემოვიარე, ესენი რომ მოსულიყვნენ, მართლაც მოვიდნენ და მას მერე თვალით არავინ მინახავსო. ყველა ასეთ მდგომარეობაშია.

> კი, მაგრამ ამ ხალხმა თავი რომ გადადო, არ უნდა მოიკითხო, სად არიან, რას აკეთებენ და როგორ არიან? ამ ცნობილმა ადამიანებმა რა მიიღეს? ისინი თავის დროზე დადიოდნენ და დაპირებებს არიგებენ. ახლა ეს პიროვნება მეუბნება, ქუჩაში ველარ გამოვდივარ, რაღაცებს რომ გვპირდებოდი, ახლა რას დადიხარ გაჩუმებული, ხმას რატომ არ იღებო? არ შეიძლება, ასეთ მდგომარეობაში ჩააყენო ადამიანები!

კიდევ ერთი საკითხი: ყველა თანამდებობის პირში შევცდით, ამ პარლამენტარებმა მიიღეს კანონები და ახლა იძახიან, შეგვეშალა, შევცდითო. თუნდაც ანტიდისკრიმინაციული კანონი ავიღოთ, ახლა ყველა ლაპარაკობს, არ გვინდოდა, მაგრამ მაინც მიგვაღებინესო. ეს კანონი მიიღეს ივანიშვილის გავლენით, ზეწოლით თუ ხათრით. ეს არის საქმე?! რაც უფრო მეტი ფულიანი შემოდის პოლიტიკაში, მით უფრო იბოჭება სიტუაცია და მძიმდება მდგომარეობა.

**— ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა საკითხებს და ბოლოს ისევ მივდივართ ამერიკელებამდე, თუ არ მიიღებდნენ ამგვარ კანონებს, მაშინ თბილისში მოაწყობდნენ „მაიდანს“, აგერ იან კელის განცხადება არ ნახეთ?**

– ვერაფერს ვერ მოგვიწყობენ, თუ ამერიკის ელჩის განცხადებებს პოლიტიკოსები დაუპირისპირდებიან. ბოლოს და ბოლოს, ღირსება ხომ უნდა გქონდეს? ამავე ელჩის მიერ გაბრიყვებული ნიკა გვარამია რა განცხადებებს აკეთებს, ეს რას ჰგავს? ღირსეული პასუხი გასცა პრემიერ-მინისტრმა, კაცი რომ იყოს, კომენტარს გავაკეთებდიო. აი, აქამდე მიიყვანეს საქმე! თუ ჩვენ საქართველოს არ დავიხსნით მორჩილებისგან, მაშინ არაფრის ღირსნი არ ვართ. თავის დროზე ამერიკელებმა მეც შემომთავაზეს რაღაცები, ქუთაისს „შაშინგტონი“ ერქვა, ღონისძიება არ ტარდებოდა საელჩოში, რომ არ მივეწვიე, მაგრამ, როგორც კი დაინახეს, ეს ადამიანი ეროვნულ განწყობაზეაო, შორს დაიჭირეს. მე ყველა მეზობელთან და ყველა ქვეყანასთან მინდა კარგი ურთიერთობა, მაგრამ არა ქართული ინტერესების საზიანოდ. ახლა გავიგე, ერთ-ერთ ფულიან პარტიას ფოტოგრაფი ჩამოუყვანია ტალინიდან, არჩევნებამდე უნდა დარჩეს აქ და უხდიან 300 ათას დოლარს.

**— ალბათ, მას სხვა ფუნქციებიც აკისრია, თორემ ისეთი რა ფოტოგრაფია, რომ 300 ათასი გადაუხადონ?**

– ამხელა ფულს რომ იხდი, ხომ გასაგებია, რაც მოხდება? როცა ამდენი იხარჯება, ეს ფული რომ საქართველოში არ არის მოპოვებული, ხომ ვიცით? შეიძლება, გარედან შემოსულმა შავმა ფულმა აქ ეროვნული საქმე გააკეთოს? მე ისიც მოვისმინე ერთ-ერთი პარტიის ლიდერისგან, ვაიმე, ამერიკის ელჩი შემხვდაო, მხარს მიჭერსო. დღეს ძალიან ბევრი დარბის ამ ელჩის გარშემო. სანამ საქართველოში არ იქნება ეროვნული თანხმობის პარლამენტი, მანამდე არაფერი გვეშველება.

**— ეს რას ნიშნავს?**

– ჩვენ უახლოეს ხანში გამოვიტანთ ამ კონცეფციას. დღეს პარტიებს გარეთ უფრო ღირებული ადამიანები არიან, ვიდრე პარტიებში.

**— ხომ იცით, რომ ჩვენთან კონცეფციები და პროგრამები საერთოდ არ აინტერესებთ?**

– გეთანხმებით, დღეს ჩვენ რაღაც სხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მიდის გინება, ლანძღვა, არ აქვს მნიშვნელობა, კაცია, ქალია, ბავშვია. ხალხს ეს მოსწონს.

**— მეც მაგას ვამბობ.**

– საერთოდ, ბრმად ტაშის დამკვრელებმა დააქციეს ეს ქვეყანა. ხომ არ შეიძლება, ამ მარაზმს ვუყუროთ მუდმივად? თუ ჩვენ არ დავამთავრებთ, არასოდეს არ დამთავრდება და ვიცხოვრებთ ქაოსში!



**ინგა გრიგოლია:**

შემდეგი ინტერვიუს წინ საგანგებო წარმომადგენელ-მრჩეველები ჟურნალისტს ბიბლიაზე დააფიცებინებენ, რომ არც ერთ შეუთანხმებელ კითხვას არ დასვამს...ზუსტად ვიცი, ვინ იქნება შემდეგი, ვისაც ინტერვიუს მისცემს.



**გია გაბრიჭიძე:**

გვარამია ზის ჩახდილი ტელევიზორთან და კაშპიროვსკის უყურებს, რაღაცის გასადიდებლად. შემოკუსკუსდა გაბუნია - გამოდი, პრიშჩიკი არ ეგონოს სუ არ გაგიქროსო



# მამუკა ახვლედიანი: „სასამართლო სისტემის განვითარების სტრატეგიულ გეგმას ისევ მურუსიძე ქმნის! ისევ ის დაგვიწერს, როგორ უნდა ვიცხოვროთ მომდევნო ათი წლის განმავლობაში!“




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


2 ივნისს „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ადრინდელი ნათქვამი, რომ ოდიოზური მოსამართლე, ლევან მურუსიძე სისტემის მსხვერპლი იყო და ახლა საჭირო კაცია. მისი თქმით, ამხელა ზეწოლა მურუსიძეზე „ნაციონალური მოძრაობისგან“, მისგან მართული მედიისა და არასამთავრობოების მხრიდან, მიანიშნებს იმაზე, რომ მან მოახერხა, თავი დაეღწია ზეწოლისთვის. ივანიშვილის უცნაური ლოგიკით, ეს ადამიანი გმირი გამოდის. როდესაც ივანიშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს შეხვდა და მისგან დაპირება მიიღო, სავლე პავლედ გადავიქცევიო, ჩვენ მაშინ კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არაერთხელ დავწერეთ, რომ კუბლაშვილმა ეს პირობა არ შეასრულა. შემდეგ შეხვდა მურუსიძეს და მისგანაც იგივე დაპირება მიიღო...

**არის თუ არა ეს ქართული სასამართლოს რეფორმა? მოსულა თუ არა სიტყვაზე ნდობა, როცა საქმე სასამართლოს ეხება? რატომ შეინარჩუნა ივანიშვილმა დამნაშავე მურუსიძე და რატომ ჩააბარა მას თითქმის მთელი სისტემა? მეტიც, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი ამბობს „ალიასთან“, ახლა იგივე მურუსიძე ზის და წერს ქართული სასამართლოს განვითარების სტრატეგიას:**

**— ბატონო მამუკა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი კუბლაშვილსა და მურუსიძეს შეხვდა, მაშინ თქვენ ჯერ კიდევ ამ სისტემაში იყავით და გეკავათ მაღალი თანამდებობა, როგორ ფიქრობთ, ამ ადამიანებმა პირობა რომ დადეს, წინა ხელისუფლების გავლენისგან გავთავისუფლდებითო, მცდელობა მაინც ჰქონდათ, წნეხი მოეშორებინათ?**

– თქვენ როგორ ფიქრობთ, მოლაპარაკებების შედეგად ასეთი რაღაცები ხდება?!

**— მე ვფიქრობ, რომ ძაღლის კუდს მხოლოდ სამარე ასწორებს.**

– ზუსტად ასეთია ჩემი პასუხიც...

> დავუშვათ, კუბლაშვილმა და მურუსიძემ პირობა დადეს, გამოვსწორდებით, ხვალიდან სხვანაირები გავხდებითო, მერე რა უნდა მომხდარიყო, მათ სხვები უნდა გამოესწორებინათ? ერთ-ორ კაცს რატომ უნდა გადაეწყვიტა მთელი სისტემის ბედი, მათ რა უფლებით დადეს პირობა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იქნებოდა?

**— ივანიშვილს ჰქონდა ილუზია, რომ ახალ გარემოში მოსამართლეებიც გაკეთილშობილდებოდნენ და პროკურორებიც.**

– ეგ შეუძლებელია... როდესაც ადამიანი 10 წლის განმავლობაში რაღაცას აკეთებს, მას შემდგომში სურვილი ექნება, რომ ყველაფერი შეცვალოს? მე ახლა წმინდა ადამიანური თვალსაზრისით ვმსჯელობ. მურუსიძეს სხვა ფორმა არც უძებნია, რაც ჰქონდა შექმნილი 10 წლის განმავლობაში, მისთვის არის აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი. მან არ იცის, როგორ ხდება სასამართლოს მართვა და არც აინტერესებს, მიაგნო თავისას და მორჩა.

> 3 ივნისს სასტუმრო „მარიოტში“ გამართა შეხვედრა, სადაც ითქვა, რომ უნდა შეიქმნას, დაიწეროს სასამართლოს განვითარების სტრატეგია. მივედი, მეც დავესწარი და უბრალოდ გამეცინა, ამათ სტრატეგიულ გეგმაზე როგორ უნდა იმუშაონ? არ ვიცი, ალბათ, უნდოდათ, ელჩებთან სურათები გადაეღოთ, თორემ ვინ წერს ამ სტრატეგიას? ვინც წინა ათი წელიწადი შექმნა, იმათ უნდა იმუშაონ მომდევნო ათი წლის განვითარებაზე!

**— რა თქვეს, რა უნდა დავწეროთო?**

– ახლა იწყებენ მუშაობას და პომპეზური შეხვედრებით აჩვენებენ, რომ ყველა მათთანაა, არასამთავრობოებიც და სამთავრობოებიც.

**— თქვენ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ისე ესწრებოდით?**

– არა, მიწვეული არ ვიყავი, ჩემი სურვილით მივედი. იქ იყვნენ სამინისტროების წარმომადგენლები და არასამთავრობო კოალიციის წევრები. ესენი ახდენენ დემონსტრირებას, რომ ყველაფერი კარგადაა, ვმუშაობთ, საქმეს ვაკეთებთ, გეგმებს ვქმნით და არ არსებობს პრობლემა.

**— ანუ ისევ ლევან მურუსიძე გვიწერს სასამართლო სისტემის განვითარების სტრატეგიულ გეგმას?**

> – დიახ, ისევ მურუსიძე წერს და ეხმარება ნინო გვენეტაძე. ასევე, მათთან არის ჩინჩალაძეც. აი, ეს ადამიანები ქმნიან გეგმას, როგორ უნდა ვიცხოვროთ მომდევნო ათი წლის განმავლობაში!

**— თქვენ ასე დაუკითხავად რომ მიხვედით, რა რეაქცია ჰქონდათ?**

– ერთი საათით ადრე დაამთავრეს შეხვედრა, მე ვფიქრობ, ეს ჩემმა ფაქტორმაც გამოიწვია, აშკარად უსიამოვნო განწყობა დაეუფლათ. აქამდე კიდევ ჰქონდათ ერთი შეხვედრა, იქაც ვიყავი და გამოვთქვი ძალიან ბევრი შენიშვნა, იუსტიციის საბჭო ნინო გვენეტაძესთან ერთად რაღაც უზარო წინადადებებს აყენებდა. ამჯერად სიტყვის თქმის საშუალება არ მომეცა, რადგან მიწვეული არ ვიყავი, მიკროფონთან ვერ მივედი. მე ახლა პირდაპირ ვაცხადებ: ეს ადამიანები სასტუმროებში პომპეზურ შეხვედრებს არ უნდა მართავდნენ, ისინი მანდ არ უნდა ისხდნენ, მათი ადგილი სხვაგანაა და სხვები უნდა უსვამდნენ შეკითხვებს, ადრე რას აკეთებდნენ და როგორ აკეთებდნენ!

**— ივანიშვილი ამბობს, მოსამართლეებს ხელფასები 70-80 პროცენტით გავუზარდეთო, მანამდე რამდენი იყო და ახლა რამდენია?**

– არა, ამდენით არ გაზრდილა, იყო 2200 ლარი და გაიზარდა სადღაც 30 პროცენტით.

**— რაღა დაგიმალოთ და ვერ ამოვხსენი, ამ ხელისუფლებას რაში სჭირდება ასე დაჟინებით ოდიოზური ფიგურები სასამართლოში, რატომ ეფარება ივანიშვილი მურუსიძეს, თუ რაიმე დაკვეთების შესრულებაზეა საუბარი, მათ მიერ დაწინაურებული და ხელდასხმული ადამიანი უფრო უკეთესად არ გააკეთებდა იგივეს?**

– მე არ ვიცი, ვის რა საჭიროება და ვის რა ურთიერთობები აქვს. აქ გასათვალისწინებელია, ინფორმაცია, ვის როგორ მიაქვს, რა ინტერესებია და ასე შემდეგ. ამ თემაზე ვრცელი საუბარი არ მინდა, მე სწორედ ამას მოვერიდე, სწორედ ამ თემებს გავეცალე, არ მინდოდა, ეპიცენტრში ვყოფილიყავი. ეს ყველაზე სახიფათო პროცესია, თუ რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი სასამართლოში პროცესებს მართავს, ძალიან ცუდი იქნება ქვეყნისთვის და ძალიან ცუდად დამთავრდება. მე არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ასეა, მაგრამ, თუ ხელისუფლება არ დაფიქრდება, ვნახავთ, რასაც მივიღებთ. ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, თუ მომავალშიც სირაქლემას პოზაში ჩადგება, მაშინ იქნება არა მხოლოდ კითხვის ნიშნები, არამედ ფაქტებითაც დადასტურდება, რომ საეჭვო ინტერესები არსებობს. ამ ეტაპზე თავს ვიკავებ დეტალებზე, ჯერ კიდევ ვფიქრობ, ხელისუფლება გამოფხიზლდება.

**— მურუსიძეს ზეპირსიტყვიერად მაინც არ უთქვამს, რას უპირებს სასამართლო სისტემას, ანუ რა იდეები აწუხებს?**

– არაფერი არ დაუკონკრეტებია, უნდა ვიმუშაოთო. ეს არის ფარსი, სტრატეგიული დოკუმენტები ასე არ იქმნება, შეიძლება რამდენიმე კაცი დაჯდეს და იმუშაოს, მაგრამ, როდესაც 50-100 კაცზეა ლაპარაკი, ბუნებრივია, ეს კეთდება მხოლოდ საჩვენებლად. ამით მოსამართლეებს ეუბნებიან: იყავით იმედიანად, ჩვენ არსად არ მივდივართ, რასაც გეტყვით, შეასრულეთ.

**— შიგნით რა ხდება, როგორ ინიშნებიან მოსამართლეები და საერთოდ, რა პროცესი მიდის? ჩემი ინფორმაციით, არ ჩქარობენ, დროულად არ ნიშნავენ მოსამართლეებს, უამრავი ვაკანტური ადგილია და ასე შემდეგ.**

> – დიახ, ასეა, არ ჩქარობენ, ალბათ, უნდათ, თავიანთთვის სასურველი ადამიანები დანიშნონ. ეს ისეთი შანსია, შეიძლება სხვა დროს არ მიეცეთ, ახლა გაახანგრძლივეს კიდეც ერთი კვირით საბუთების მიღება, ამბობენ, ხალხმა დოკუმანტაცია ვერ მოიტანა სრულყოფილადო. არადა, ამ ყველაფერს სჭირდება 15 წუთი. არა, აქ სხვა რამეშია საქმე – სიებს აზუსტებენ, რომ დანიშნონ თავიანთთვის სასურველი ადამიანები. პროცესები ისე ჭიანურდება, რაიმე სახის რეფორმაზე საუბარიც კი ზედმეტია.





**ივანიშვილმა თქვა, მოსამართლეებს ხელფასი 70-80 პროცენტით გავუზარდეთო. სინამდვილეში 2200 ლარი იყო და გაიზარდა სადღაც 30 პროცენტით!“**

---

Facebook ამბები

facebook



**გოგი ლორთქიფანიძე:**

ეს პატივცემული კაცი - ბიძინა ივანიშვილი- იხარჯება, აკეთებს საქმეს...ბევრს მოწონს, ზოგს არა... წერს თავის მოსაზრებებს და ეს ძალიან კარგია და მისაღებია... ზოგი მომწონს, ზოგი არა და ეს ჩემი პირადი აზრია

მარა... პატივცემულო კერპთაყვანისმცემლებო... აცადეთ რა ამ კაცს რასაც აკეთებს და ბოლოს გამოჩნდება რა და როგორ...

თქვენ კი თქვენის ზედმეტი და გულამოსკვნილი თაყვანისცემით ... მინიმუმ დისკომფორტს მაინც ნუ უქმნით პროცესს და დისკრედიტაციას ნუ უწევთ ამ ყველაფერს...

მოიწონე ლაითად და მეტანიების გარეშე

ვერა?..

facebook



**ქიბარ ხალვაში გაბუნიას „არჩევანს“ ეხმაურება:**

ვილაცამ გააკეთა რეპლიკა, იმდენი მოახერხეს რომ ამდენი განსხვავებული ადამიანი ერთად შეგვკრიბესო. ჩემთვის აბსოლუტურად ერთნაირები არიან, ტყუპებივით..... ყოველ დღე უფრო მეტად და მეტად ემსგავსებიან ლტოლვილ გუბერნატორს...

facebook



**გიორგი გუგავა:**

"წერილი თანამოქალაქეებს" ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა და ისე საოცნებოდ აქვს აღწერილი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა ალბათ ფრანგებს მიმართავს)))

Facebook ამბები

facebook



**ლევან გუდაძე:**

ქართულადაც დავწერ, რომ ვინმე ნაბოზვარმა მერე სიტყვა აუგი არ გაიმართლოს.. ქართულმა საზოგადოებამ მე მიღალატა და შემაქცია ზურგი. ქართულმა საზოგადოებამ შეაქცია ზურგი და უღალატა ჩემ ოჯახს.. ამდენად არავინ გაიკვირვებს ალბათ თუ ამ საზოგადოებას არასდროს ვაპატიებ და თუ არც რაიმე მინდა გვქონდეს საერთო მასთან.. ობიექტური მიზეზების გამო, იძულებული ვარ, უკანონოდ ანულირებული საქართველოს მოქალაქეობა დავიბრუნო და დავბრუნდეთ საქართველოში, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენი იქ ყოფნით ბრდზენი ქართველი ერი შევაწუხოთ, არა რათქმაუნდა, მაგრამ იმიტომ, რომ პასპორტები ავილოთ და პირველივე შესაძლებლობისთანავე გავცილდეთ წილხვედრს, უკვე სამუდამოდ.. ასე უკეთესი იქნება ყველასთვის.. სულ ეს არის..

facebook



**ირინა სარიშვილი:**

აბა მოგროვდით კვირიკაშვილის სიდინჯით, პროფესიონლიზმით და გაწონასწორებულობით აღფრთოვანებულები :)

„გვარამია კაცი რომ იყოს პასუხს გავცემდიო''.... არავინ მოგაგონათ? ერთი ცმუკვა აკლია და ეგარი რა.

პრემიერის ამ თავხედობასაც ზუსტად იგივე მუშტარი ყავს, რაც ხელისუფლების დაკვეთილ ცემას...

კვირიკაშვილის მიწისქვეშათი გადასვლით და დაჩოქებით გულაჩუყებულებს და მისი ვიზუალით აღტაცებულებს გთხოვთ კონსულტაციები გაიაროთ ნებისმიერ საშუალო დონის ფსიქოლოგთან, რომელიც უცბად აგიხსნით მისი ფსიქიკის და ფიზიონომიის თავ

ისებურებებს (პროფესიონალი თაღლითის).

აქ უარგუმენტო კომენტარების დადებას ასე აჯობებს ისევ თქვენთვის :) .

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# აშშ-ს ელჩის რევოლუციური სცენარი!

**ახლა ჩვენ რომ თავმოყვარე ერი ვიყოთ, საელჩოსთან აშშ-ს დროშებს უნდა ვწვავდეთ!**





**შესაძლოა, საქმე სამოქალაქო ომამდეც მივიდეს. თუ ასე მოხდა, მერე ამერიკის საელჩო განზე გადგება და სანამ ერთმანეთს არ გავწყვეტთ, მანამ საქმეში არ ჩაერევა**

**ამერიკის ელჩმა, იან კელიმ, „რუსთავი 2"-ის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ეს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევაა და მეტი არაფერი. მოდით, ჯერ ელჩის ეს განცხადება ვნახოთ:**

**„ნება მიბოძეთ, გავაკეთო ორი ძალიან ზოგადი კომენტარი. იმის გამო. რომ ეს არის მიმდინარე სასამართლო პროცესი, არ მინდა ვილაპარაკო საქმის განხილვის დეტალების შესახებ. მაგრამ ნამდვილად მინდა, გავაკეთო ორი ძალიან ზოგადი კომენტარი — ერთი თვითონ პროცესის შესახებ და იმაზე, ამ კონკრეტულ საქმეში რა დევს სასწორზე. პირველ რიგში, თვითონ პროცესის შესახებ: რა თქმა უნდა, დემოკრატიის მთავარი საფუძველი არის კანონის უზენაესობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა და მთელი პროცესის ობიექტურად წარმართვა. ამიტომ მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი საქციელი, რომელიც ჩრდილს მიაყენებს სასამართლო მოხელეს ან მთელ ინსტიტუტს, არის სრულიად მიუღებელი, მიუღებელი იქნებოდა ამერიკაში და მიუღებელი უნდა იყოს აქ. რაც შეეხება მეორე საკითხს, ნება მიბოძეთ, გავიმეორო ძალიან ზოგადი მოსაზრება. ყველაზე მეტად რაც არ მინდა, არის ის, რომ ჩავერთო სასამართლოს საქმის განხილვის დეტალებში. ეს ჩემთვის ნამდვილად არ იქნება მართებული. ნება მიბოძეთ, ყველასთვის ნათელი რომ იყოს, რატომ ვფიქრობ ასე, ნება მიბოძეთ, ეს ამერიკულ კონტექსტში განვიხილო. თუ არჩევნების წელს — და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ამერიკაში წელს არჩევნების წელია — წამყვანი ოპოზიციური ტელევიზია ისეთ სასამართლო საქმეში იქნებოდა ჩართული, რაც ამ ტელევიზიის მფლობელობისა და მენეჯმენტის შეცვლას გამოიწვევდა, ეს აღიქმებოდა, როგორც სრულიად დაუშვებელი და მიუღებელი ამბავი. შესაბამისად, ხელისუფლების სამივე შტო, სამოქალაქო საზოგადოება და მედია ყველაფერს გააკეთებდნენ იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო არჩევნების წელს, ძალიან მარტივი მიზეზის გამო — არჩევნები შეიძლება ლეგიტიმური იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველას მიუწვდება ხელი მედიაზე. და ეს არის ტელევიზიის საქმე, რომელიც არის ოპოზიციის ხმა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს იქნებოდა სრულიად მიუღებელი — წამყვანი ოპოზიციური ტელევიზიის მფლობელობისა და მენეჯმენტის შეცვლა — და იმედი მაქვს, ეს მიუღებელი იქნება აქ, საქართველოშიც".**

თავმოყვარე სახელმწიფოს მესვეურნი ადგებოდნენ და ამერიკის საელჩოს საპროტესტო ნოტას გაუგზავნიდნენ, შესაძლოა, უფრო ქმედითი ზომებისთვისაც მიემართათ, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ხომ თავმოყვარეობა არ გააჩნიათ.

იან კელი ამბობს, თუ „რუსთავი2"-ს შეეცვლება მეპატრონე და მენეჯმენტი, ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა მოითმინოს და ტოლერანტული არ უნდა იყოსო. მანამდე ამბობს, ასეთი რამ ამერიკაში რომ მომხდარიყო საარჩევნო წელს, არც ამერიკელები იქნებოდნენ ტოლერანტულებიო. რას ნიშნავს დიპლომატიურ ენაზე ნათქვამი „ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა მოითმინოს"? ეს არის პირდაპირი მოწოდება, თუ „რუსთავი 2" დღევანდელ მეპატრონეებს სასამართლოს გზით წაართვეს, მაშინ საზოგადოების ის ნაწილი, ვინც თვლით, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლოა, ადექით და ქუჩაში გამოდით, რევოლუცია მოაწყვეთ, დაამხვეთ ხელისუფლება და ამერიკა ამ ყველაფერს „გაგიპრავებთო". დიახ, ეს არის „რუსთავი 2"-ის რეალური მეპატრონეების, „ნაცმოძრაობის" ლიდერებისა და მათი მხარდამჭერებისადმი ღია მოწოდება, თუ მათ „რუსთავი 2" სასამართლოს გზით წაგართვეს, მის შესანარჩუნებლად რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ბარიკადებიც მოაწყვეთ, ხალხიც დახოცეთ, რევოლუციაზეც წადით და ამერიკის ხელისუფლება თქვენ გვერდითააო. ცხადია, თუ „რუსთავი 2" ქიბარ ხალვაშს დაუბრუნეს და ამას უმართავი პროცესები მოჰყვა, იან კელი ბეისბოლის ბიტით არ დადგება ტელეკომპანიის ოფისთან, რომ იქ ხალვაშის წარმომადგენლები არ შეუშვას, მაგრამ ვინც დადგება, იმ ხალხს – დემოკრატიის დამცველებად, დამოუკიდებელი მედიის ჭირისუფლად, გიგა ბოკერიასა და „თავისუფალი ზონის" „ზონდერებს" კი გმირებად წარმოაჩენს.

ახლა ვნახოთ, რა კომენტარები გააკეთეს პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა ამ განცხადებაზე. იან კელის მოწოდებას „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლები დიდი ღრიანცელით შეხვდნენ. სოციალურ ქსელში პირდაპირ ამბობენ, ამ განცხადების შემდეგ ყველაფერი დასრულებულია, სასამართლო „რუსთავი 2"-ს ძმებ ყარამანიშვილებს დაუტოვებს და ქიბარ ხალვაშს არ დაუბრუნებსო. იქვე ამბობენ, თავად ბიძინა ივანიშვილი ჩაერევა საქმეში, რომ ასე მოხდეს, მოსამართლეებს აიძულებს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება გამოიტანონ, თორემ მასაც, ევროპა-ამერიკაში მის ბიზნესსაც და მთელ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეექმნებათო. მართალია ეს ხალხი, ეს განცხადება, ყველაფერთან ერთად, იყო მკაფიო გზავნილი ხელისუფლებისთვის, თუ „რუსთავი 2"-ს „ნაცმოძრაობას" არ დაუტოვებთ, მაშინ სახალხო პროტესტს მხარს დავუჭერთო. ამერიკის საელჩოს მხარდაჭერილი სახალხო პროტესტი კი კარგად გვახსოვს 2003 წელს.

„ეროვნული ფორუმის" წევრი, ანი მიროტაძე ამბობს, რომ დიახ, გამოვლენ ქუჩაში და არავის შეარჩენენ თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლას! „ლეიბორისტები" ისედაც ჩუსტებით სხედან უკვე „რუსთავი 2"-ის ოფისში და ერთი დაძახება უნდათ. ალასანიას პარტია აცხადებს, რომ უაპელაციოდ მხარში დაუდგებიან „რუსთავი 2"-ს და თუ საჭიროა, ქუჩაშიც გამოვლენ... მოკლედ, ყველა ოპოზიციურ თუ ე.წ. ოპოზიციურ პარტიას ეს სცენარი მეტ-ნაკლებად აწყობს... თუ რამეა, მღვრიე წყალში პატარა თევზებს მაინც დაიჭერენ.

მოკლედ, იან კელის ამ განცხადების შემდეგ, სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ქვეყანაში, მისი ეს ნათქვამი პოლიტიკური პროცესების კატალიზატორია. თუ „რუსთავი 2"-ს არჩევნებამდე სასამართლო ქიბარ ხალვაშს დაუბრუნებს, მაშინ „ნაციონალები" და მათი მხარდამჭერები ქუჩაში გამოვლენ და ამ ტელევიზიისა და თავისუფალი სიტყვის დაცვის საბაბით, რევოლუციურ პროცესს ააგორებენ, რაც, მაქსიმუმ, ხელისუფლების დამხობით დასრულდება და ამას ამერიკის ხელისუფლება მხარს დაუჭერს, თუ ხელისუფლებამ იყოჩაღა და ვერ დაამხვეს, სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია და შესაძლოა, საქმე სამოქალაქო ომამდეც მივიდეს. თუ ასე მოხდა, მერე ამერიკის საელჩო განზე გადგება და სანამ ერთმანეთს არ გავწყვეტთ, მანამ საქმეში არ ჩაერევა.

## »» უტრაკო ყარაჩოხელები!!!

ჩვენ რომ ნორმალური და თავმოყვარე ერი ვიყოთ, ახლა ამერიკის საელჩოსთან უნდა ვიდგეთ, საქართველოდან იან კელის გაგდებას ვითხოვდეთ და პროტესტის ნიშნად აპრობირებულ მეთოდს ვიყენებდეთ – აშშ-ს დროშებს ვწვავდეთ. აი, ამ ამბავს მთელი მსოფლიო მედია გააშუქებდა, ამ იდიოტური განცხადების შემდეგ, იან კელის გაიწვევდნენ და ეს გაფრთხილება იქნებოდა ამერიკის ხელისუფლებისთვის, რომ სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ასე უხეშად და პირდაპირ ჩარევას მისმა ელჩებმა თავი უნდა დაანებონ. თუმცა, ჩვენ რა ხანია, დაკარგული გვაქვს თავმოყვარეობა და თავისუფლების განცდა და მარტო „ფეისბუკში" ვპოსტავთ მრისხანე ტექსტებს, რომ ამერიკის ელჩმა ეს როგორ გაგვიბედა, ჩვენ, 16-საუკონოვანი ქრისტიანული კულტურის მქონე ერს, ჩვენ, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, რუსთაველის, ილიასა და ვაჟას შთამომავლებს! დაბოლოს, აუცილებელია მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსის ეს სტროფი: „კოლუმბი რომ შუა ზღვაში ამერიკას დაეძებდა, მაშინ ქართლში ვახტანგ მეფე კანონების კოდექსს წერდა".

ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს! ამ „კლავიატურის ლომებს", ბაქიბუქი რომ ააყენეს „ფეისბუკში" და ამერიკას უკვე ომი გამოუცხადეს ინტერნეტით, ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს შევახსენებ გენიალური „დათა თუთაშხიადან" რომელიც ჩვენი, ქართველების, უტყუარი დიაგნოზია: „ერი დაემსგავსა საშოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს – ძოვოს. ჩვენი ერთადერთი ფუნქციაა – ვჭამოთ, ვსვათ, შვილები ვზარდოთ. გათავდა... რანი ვართო, რომ ბრძანეთ, უდიდეს ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: საშოვარს გადაგებული გათითოკაცებული, ყოფილი ერი..."

აი, სულ ეს ვართ და მეტი არაფერი – უტრაკო ყარაჩოხელები!!!

*მეთვრამეტე გვერდიდან*

**ოცნების" გამსვლელ სიაში იქნებოდა საპარლამენტო არჩევნებისას. ტელევიზიებმა რამდენჯერ დააფიქსირეს ივანიშვილის სოლოლაკის რეზიდენციაში შესულ-გამოსული სახელისუფლებო ლიდერები მას შემდეგ, რაც პრემიერი აღარ არის, ეს აღარ ახსოვს? რა არის ეს, თუ არა ძალაუფლება და სახელისუფლებო ბერკეტები? ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყანას მართავს მაფიოზური მეთოდებით, კულუარებიდან, ის არის „რუხი კარდინალი" — მაქსიმალური ძალაუფლებითა და ნულოვანი პასუხისმგებლობით. ხოდა ამიტომაც დაკარგა ხალხის ნდობა!**

სალომე ასათიანი: „რამდენად იყო თქვენი გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრების ცვლილება?"

ბიძინა ივანიშვილი: „არცერთ მინისტრს, გარდა ეკონომიკის მინისტრისა, უფრო ხშირად მიწევს ეკონომიკის მინისტრთან, ერთი მიზეზით მხოლოდ, რომ ყველაზე მეტად ვცდილობ ეკონომიკას დავეხმარო და ყველაზე კარგად ეს მიმართულება ვიცი. სხვა მინისტრებთან არავითარი შეხება არა მაქვს..."

სალომე ასათიანი: „ცვლილება პრემიერ-მინისტრების თქვენი გადაწყვეტილება იყო?"

ბიძინა ივანიშვილი: „მე მქონდა რა თქმა უნდა მონაწილეობა ამაში, მაგრამ არა ის, რომ მე ვიღაცას ჯარით და პოლიციით ვაწვებოდი.

> **„ალია"**
> **რაში სწირდებს ჯარი და პოლიცია ბიზინა ივანიშვილს, როცა მის ნებას წინ არავინ აღდგომია დღეს მმართველ პოლიტიკურ გუნდში? დილით რომ რაღაცას იტყვის, საღამოს უკვე გაკეთებულია, მინისტრია თუ უმრავესობისდეპუტატი, ყველა თვალებში შესციცინებს.**

სალომე ასათიანი: „აი, რა ფორმის მონაწილეობა გქონდათ?"

ბიძინა ივანიშვილი: „მე ვაძლევდი რჩევას, რჩევას, რომელიც შეიძლება გაითვალისწინა, რომელიც შეეძლო არ გაეთვალისწინებინა..."

სალომე ასათიანი: „რამდენიმე დღით ადრე ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა ძალიან ასეთი მიზანსწრაფული სიტყვით, მან შეაფასა განვლილი პერიოდი, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, შემდეგ ის გადადგა მოქალაქეებისთვის ძალიან მოულოდნელად..."

ბიძინა ივანიშვილი: „ნორმალურია ეს, კარგია ძალიან, რა არ მოგწონთ მერე აქედან? მე ძალით გადავაყენე, თქვენი აზრი ესაა?

სალომე ასათიანი: „მე გეკითხებით ბატონო ბიძინა..."

ბიძინა ივანიშვილი: „არა, ეს ნორმალური პროცესია, კითხვა სადაა?

სალომე ასათიანი: „რა არის ნორმალური პროცესი?"

ბიძინა ივანიშვილი: „რომ მე ვთქვათ შემეძლო მერჩია, რომ ვთქვათ, თუ მას ჰქონდა ეს განწყობა და განცდა და შემეკითხა, შეიძლებოდა მეთქვა, რომ უკეთესია და კარგია..."

სალომე ასათიანი: „ურჩიეთ, თუ არ ურჩიეთ?

ბიძინა ივანიშვილი: „ბატონო?"

სალომე ასათიანი: „თქვენ რა ურჩიეთ მას გადადგომა?"

ბიძინა ივანიშვილი: „მე ვმონაწილეობდი და მას ჰქონდა კონსულტაციები ჩემთან..."

სალომე ასათიანი: „ისე, თავის გადაწყვეტილება იყო..."

ბიძინა ივანიშვილი: „აბა, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ?.. აი, ძალით როგორ შემეძლო?

სალომე ასათიანი: „გეკითხებით ბატონო ბიძინა, მე თქვენგან უნდა მოისმინონ მოქალაქეებს, ჩემი წარმოდგენები არ აინტერესებს მაყურებელს...

ბიძინა ივანიშვილი: „ზრდასრული ადამიანი, აბსოლუტურად პრინციპული, განათლებული, ძალიან ერუდირებული ღარიბაშვილი, რანაირად შეიძლებოდა, რა მექანიზმებით შემეძლო მე მეიძულებინა თუ მას არ უნდოდა წასულიყო თანამდებობიდან? მე ვფიქრობ, რომ მან გააკეთა ძალიან ღირსეული ნაბიჯი..."

სალომე ასათიანი: (ღიმილით, ნიშნისმოგებით) „ურჩიეთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „იქნებ მეც ვინმემ მაიძულა, ესე თუ წავიდა... მე ვიღა მაიძულა წასვლა? მე ხომ წავედი?

სალომე ასათიანი: (დაჟინებით ეკითხება) „მას უნდოდა წასვლა და თქვენ ურჩიეთ? ესე იყო?"

ბიძინა ივანიშვილი: „ის ხომ ჩემი გუნდი წევრი იყო და თანაც, ძალიან დიდხანს ვიცნობდი ღარიბაშვილს... ღარიბაშვილი არ გამიცვნია მე პოლიტიკაში, ახალი პოლიტიკოსები ძალიან ბევრი გავიცანი..."

სალომე ასათიანი: „და როგორ იყო, მოგვიყევით... მას მოუნდა წასვლა თავად..."

ბიძინა ივანიშვილი: „მან შეაფასა სიტუაცია, მას ჰქონდა რამდენჯერმე ჩემთან ანალიზი, უფრო ადრეც, თუ გნებავთ, უფრო ადრეულ პერიოდებშიც ჰქონდა ამის მსგავსი შეკითხვები, რომ ხომ არ არის დრო რომ მე წავიდე, ხომ არ ჯობია, რომ წავიდე... ეს საუბრები გვქონდა ჩვენ და ნორმალურია ეს ყველაფერი, რამდენადაც მე უფროს მეგობრად მთვლიდა...

> **„ალია":**
> **რაღაც არა მგონია, ირაკლი ღარიბაშვილს, ბიძინა ივანიშვილის გარდა, სხვა უფროსი მეგობრები არ ჰყავდეს და დავიჯერო, ყველას ჩამოუარა და ჰკითხა, ჩემი წასვლის დრო ხომ არ მოვიდაო? ფაქტია, ივანიშვილი ადასტურებს, რომ ღარიბაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომის გადაწყვეტილება სწორედ ივანიშვილთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო. თუ უფრო ახლოს მივალთ რეალობასთან, ღარიბაშვილი ეახლა ქვეყნის დე ფაქტო მმართველს და ჰკითხა, დრო ხომ არ არის, წავიდეო. ეს ივანიშვილისეული ვერსიაა.**
> **კარგი, წავიდა, წავიდა, მაგრამ რატომ გაუშვა? თან ამბობს, პრემიერის პოსტზე წარმატებული იყოო, თან გაუშვა. სად არის ლოგიკა? თუ კაცი კარგი მენეჯერია, თავის საქმეს უძღვება. ადექი და დატოვე, რა. რეალურად კი, ირაკლი ღარიბაშვილი იმიტომ გადააყენა ივანიშვილმა, რომ მისი პრემიერობისას ქვეყნის ეკონომიკა უკან წავიდა, ხალხის ყოფა გაუარესდა, სოციალური მდგომარეობა კატასტროფამდე მივიდა, ლარი გაუფასურდა და ცხოვრება ძალიან გაძვირდა ამის გამო... ამას მეორე ფაქტორიც დაემატა. ლიბერალური ევროპა-ამერიკისთვის ბევრად მისაღები გიორგი კვირიკაშვილისთანა პოლიტიკოსი იყო, ვიდრე ღარიბაშვილი და ესეც გაითვალისწინა ივანიშვილმა. აი, ეს არის სიმართლე.**

სალომე ასათიანი: „და რატომ ფიქრობდა ასე, თუ თვლიდა, რომ წარმატებული ადამიანი იყო..."

ბიძინა ივანიშვილი: „ის, რაც მოხდა ჩემი წასვლით, ვთქვათ, რომელსაც ყურადღებას არ აქცევს არც ვთქვათ ანალიტიკოსი და არც ექსპერტი და შესატყვისს ჩემი აზრით შეფასებებს ვერ აძლევენ, პირველსავე წერილშიგანვსაზღვრე, რა დროით მოვიდოდა და როდის წავიდოდი... და მახსოვს მაშინდელი დამოკიდებულება პოლიტიკოსების, – ოოო, ამას ყველა ამბობს და ვინ წასულა?.. მართლაც არავინ წასულა..."

სალომე ასათიანი: (ნიშნისმოგებით, ღიმილით) „არა, ბოლომდე არ წახვედით..."

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, დამელოდეთ ერთ წუთს...

სალომე ასათიანი: „ხომ არ წახვედით?

ბიძინა ივანიშვილი: „რას ნიშნავს „არ წახვედით?"

სალომე ასათიანი: „ისევ იღებთ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში..."

ბიძინა ივანიშვილი: „მაცადეთ ჯერ, დავასრულო ეს ნაწილი... სად გინახავთ, რომელ ქვეყანაში გინახავთ, ერთი ქვეყანა მაინც დამისახელეთ, მოვიდა პიროვნება, შეაგროვა გუნდი, გაიმარჯვა და წავიდა... პრეცენდენტი არ არსებობს, ეცადნენ ეხლა ვიღაც „ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდა ბიჭები, მახსოვს აქუსთან შეხვედრა ჰქონდათ და რაღაც აბსურდზე ისაუბრეს, მაგრამ პრეცენდენტი არაა მსგავსი. არავის ამის შეფასება არ უნდა. მარტო ის გაინტერესებთ, რაც აინტერესებთ „ნაციონალურ მოძრაობას", როგორმე დაასაბუთოთ არაფორმალური მმართველობა, რომ ქვეყანა იღუპება და ინგრევა..."

> **„ალია":**
> **აქაც იტყუება ბიძინა ივანიშვილი და იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო. ის არსად წასულა, გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, ოფიციალურად მოიცილა ყველა პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მაგრამ დარჩა იმ არაფორმალურ მმართველად, რასაც თავად კატეგორიულად უარყოფს? რა შუაშია აქ „ნაცმოძრაობის" ინტერესები? რა, ბრმები და ყრუები ვართ და ვერ ვხედავთ და არ გვესმის, რომ ივანიშვილია ისევ ქვეყნის მმართველი? თანაც მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას ზუსტად იმხელა ძალაუფლება აქვს, რამდენიც პრემიერობისას ჰქონდა, მისხალი არ მოჰკლებია, მარტო პასუხისმგებლობის ტვირთი მოიშორა თავიდან. რაც შეეხება „ქვეყანას იღუპება და ინგრევა..." ამის საპასუხოდ არცერთი % არ მოკლებია საშემოსავლო გადასახადს ანუ იმდენივეს იდებენ ჯიბეში, როგორც ადრე!**

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, დავივიწყოთ „ნაციონალური მოძრაობა"...

ბიძინა ივანიშვილი: „არა, არა, თავიდან გავყვეთ... თუ გადადგომაზე მესაუბრებით, ამას საფუძველი უნდა ჰქონდეს..."

სალომე ასათიანი: „თქვენ თვლით, რომ წახვედით პოლიტიკიდან?"

ბიძინა ივანიშვილი: „იქნებ დამასრულებინოთ... გავიხსენოთ ძალიან კარგად, როგორ წავედი და პირველსავე განცხადებაში გავაკეთე ზუსტად რა დროს წავიდოდი და ზუსტად იმ შუალედში წავედი და დავალაგე როგორც საჭირო იყო და როგორც სჭირდებოდა ქვეყანას.

სალომე ასათიანი: (ღიმილით) „თუ წახვედით, ეხლა ეს წერილები..."

ბიძინა ივანიშვილი: „თუ გინდათ, რომ გაიგოთ ჩემი პასუხი მათქმევინეთ, რომ პასუხი გაიგოთ, მაყურებელი გვისმენს, მარტო თქვენ ხომ..."

სალომე ასათიანი: „მაინტერესებს, რას ეძახით წასვლას..."

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ და აგიხსნით ყველაფერს, რას ნიშნავს წასვლა, რომ პოლიტიკაში პრეცენდენტი არ ყოფილა მსგავსი ჯერ არცერთ ქვეყანაში... მოვედი იქ, იმ სფეროში, რომელიც აბსოლუტურად უინტერესო იყო ჩემთვის, მოვედი ერთადერთი ვალდებულების განცდით და გრძნობით, რომ ჩემს ქვეყანას მე შემიძლო და უნდა დავხმარებოდი... და ეს მოვახერხე, მოვედი და პირველსავე წელიწადში განვაცხადე: მოვალ ამას გავაკეთებ (ჩამოვთვალე), საოცარია პირდაპირ... გავაკეთე და ზუსტად იმ შუალედის დროში ავდექი და გადავდექი... უპრეცენდენტო რამ შევქმენი ქვეყანაში, სადაც არავის წასვლა აღარ უნდა, როგორც კი მოვლენ. ყველა პოლიტიკოსი...

> **„ალია":**
> **ტყუილად ფიქრობს ბიძინა ივანიშვილი, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომით ქართულ პოლიტიკურ რეალობაში განსაკუთრებული რამ დაამკვიდრა, ვითომ ახალი სტანდარტი. ხალხს დაანახვა, რომ შესაძლოა, პოლიტიკოსი, მაღალი თანამდებობის პირი არ იყოს მიწებებული პოსტს და გადადგეს, არ დახარბდეს ძალაუფლებას და ნებით დათმოს ის. ჯერ ერთი, ბიძინა ივანიშვილმა, 2012 წლის არჩევნების წინ, უამრავი დაპირება დაახვავა, ხალხს 4 წელიწადში სამოთხეში ცხოვრებას დაჰპირდა. კი არ უნდა გადამდგარიყო ვადამდე, 4 წლით უნდა დარჩენილიყო პოსტზე და ეს დაპირებები სრულად კი არა, ნაწილობრივ მაინც უნდა შეესრულებინა ხალხისთვის. მისი გადადგომა მსოფლიო პოლიტიკაში უპრეცედენტო მოვლენა კი არა, მე ვფიქრობ, უფრო გაქცევაა, აღებული ვალდებულებებისგან თავის არიდება. პოლიტიკიდან ვითომ წავიდა, პრემიერი აღარ არის და ხალხი ისევ მას სთხოვს შეუსრულებელ დაპირებებზე პასუხს და პრემიერი რომ ყოფილიყო, უფრო მეტს და მეტი ინტენსივობით არ მოსთხოვდა ხალხი? დიახ, გაიქცა და თავის უუნარო პოლიტიკურ გუნდსა და არაკვალიფიციურ ჩინოვნიკებს შეატოვა ეს პასუხისმგებლობა. მეორეც, პოლიტიკიდან წასვლასა და პრემიერის პოსტის ვადამდე დატოვებას მაშინ აქვს ფასი, მსოფლიოს მაშინ გააოცებ, როცა ძალაუფლებას სრულად დათმობ, სახლში წახვალ და მართლა რიგით მოქალაქესავით იცხოვრებ, ამ რიგით მოქალაქეს რა უფლებებიც აქვს კონსტიტუციით მინიჭებული, მხოლოდ იმ დოზით ჩაერევი ქვეყნის მართვის საქმეებში. ივანიშვილი კი პასუხისმგებლობას გაექცა, მაგრამ ძალაუფლება არ დათმო, ქვეყანას სახლიდან მართავს. აი, ეს მართლა უპრეცედენტო ფაქტია მსოფლიოში, ამგვარი ტიპის არაფორმალური მმართველი მსოფლიო ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს. ბრავო, ბატონო ბიძინა! დაპირებული დემოკრატიით — ვერა, მაგრამ ამით მართლა განაცვიფრეთ მსოფლიო!!!**

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, თქვენ ეხლაც აპირებთ, რომ მონაწილეობა მიიღოთ „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიაში, თქვენ ეხლაც წერილებით ესაუბრებით მოქალაქეებს... რას უწოდებთ წასვლას?"

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, დამელოდეთ... მარტო თქვენ არ გესაუბრებით, მე ვესაუბრები ქართველ ტელემაყურებელს და ძალიან გთხოვთ, რომ აზრი დამასრულებინეთ. თუ გინდათ თქვენ ისაუბრეთ და მე გავჩერდები, როგორ გნებავთ, თქვენ?

*გაგრძელება გვ. 27*

facebook



## დემურ გიორხელიძე:

აი, საზოგადოებრივი მაუწყებელი!

ოი, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა!

უი, საზოგადოებრივ მაუწყებელს!

უხ, საზოგადოებრივი მაუწყებლის!

ნუ, საზოგადოებრივი მაუწყებლით!

რად, საზოგადოებრივ მაუწყებლად!

გეყურება, საზოგადოებრივო მაუწყებელო!!!

პ.ს.

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ჰყოფნის პასუხისმგებლობა და

უმწიფარი ხალხის გაავსო პროგრამები...

ნეპოტიზმი უკვდავია საზოგადოებრივ სექტორში?!

არა!

ეს ტოტალიტარული წარსულის რეციდივებია, -

რითაც დაავადებულია საზოგადოების საკმაო ნაწილი.

facebook



## ირაკლი გოგავა

ივანიშვილის წერილში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ვიპოვე. მან გამოაცხადა ერის მიზანი უახლოესი 15 წლის მანძილზე - ეკონომიკის გ ა ო თ ხ მ ა გ ე ბ ა!

$40,000 აშშ ერთ სულ მოსახლეზე ნიშნავს, რომ ცხოვრების დონე გაუტოლდება ფინეთის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ კორეის, ისრაელის, ესპანეთის, იტალიის დღევანდელ დონეს. ამბიციური გეგმაა, თუმცა რეალური. ვფიქრობ, სწორედ ეს უნდა გახდეს ერის კონსოლიდაციის და ენერგიის მთავარი სამიზნე შემდეგ წლებში.

შარშან გამოქვეყნებულ ჩემს ეკონომიკურ პროგრამაში "700 დღე" ზუსტად ამ მიზნის მისაღწევი ნაბიჯები ავსახე.

facebook



**მერაბ როდონაია:**

აბა, ვის როგორ გიყვართ ბიძინა? ახლა ხო ყველაფრის უფლება გაქვთ ბიძოს წყალობით? შეგიძლიათ ეს უფლებები გამოიყენოთ და ჩამქოლოთ.

ჩემი ბლოგი

"იმის იმედი მაქვს, "უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი ხარისხი და მას დავაწიოთ ეკონომიკა"-ო რომ თქვით. აქამდე ხომ სულ პირიქით ხდებოდა. როგორც ამბობთ, "ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა ელიტური კორუფცია, ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს — არაფრისო."

...

დღეს სხვა რეალობაა, ბატონო ბიძინა და ბევრ პატარა ჯგუფს აქვს ყველაფრის უფლება, დანარჩენებს კი, როგორც ადრე - არაფრის."

ომელ ქუჩასაც არ უნდა დაუყვე, ყველგან ლომბარდებია; ბანკებზე და ონლაინ სესხებზე ალარაფერს ვამბობ. ვუყურებ და გული სიხარულით მევსება, დღიდან დღემდე როგორ მრავლდებიან კერძო ბიზნესში დასაქმებულები. დასაქმების პრობლემა ხომ მთავარია ყველა გამოკითხვაში. ნაცების დროსაც ეგრე იყო და ახლაც ასეა. საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვის 23 ათასით გაზრდა კი გონია ამ მთავრობას უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, მაგრამ მაინც... დასაქმებაზე გამახსენდა... თურმე, კერძო სექტორში დასაქმებული 475 ათასი დასაქმებული ხელფასს უხდის და ინახავს საჯარო სექტორში დასაქმებულ 275 ათასამდე ადამიანს და მათ ოჯახებს - კიდევ სამ იმდენ სულს. ეგ ლომბარდები და მიკროსაფინანსოებიც ხომ კერძო სექტორში ითვლება? მარკეტებიც? მე, ერთი რიგითი, პარტიული მრავალფეროვნებით დაბნეული მოქალაქე ვარ, ბატონო ბიძინა. კი არ მესმის მაგ ციფრების, თქვენ რომ გესმით ისე და რომ ვუყურებ, ქვეყანაში მევახშეები მუშაობენ მხოლოდ და ძირითადად ისინი გამოდიან გადასახადების გადამხდელები, ისინი "ქმნიან" დამატებით ღირებულებას ფულისგან, რომელსაც ყოველ წელს ახალ ვალად ვიღებთ... კაი, როგორც ამბობთ, ქვეყნის ვალი ბოლო ორ წელიწადში სადღაც მილიარდნახევრით გაიზარდაო მხოლოდ. მაგრამ ხომ გაიზარდა?! არ შემცირებულა... ახლა ვფიქრობ, როგორ დავფაროთ ეს ვალები და მოგებაზეც გავიდეთ, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ალბათ შენც ვერ მოიფიქრე, ბატონო ბიძინა, თორემ ხომ იზამდი რამეს?!... იმის იმედი მაქვს, "უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი ხარისხი და მას დავაწიოთ ეკონომიკა"-ო რომ თქვით. აქამდე ხომ სულ პირიქით ხდებოდა. როგორც ამბობთ, "ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა ელიტური კორუფცია, ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს — არაფრისო." დღეს სხვა რეალობაა, ბატონო ბიძინა და ბევრ პატარა ჯგუფს აქვს ყველაფრის უფლება, დანარჩენებს კი, როგორც ადრე - არაფრის. ასე, განუხრელად მივიწევთ "პროგრესისკენ". მართალია, "თუ ასეთი ზრდის ტემპს შევინარჩუნებთ" 2030 წლამდე სტაბილურ კეთილდღეობას არ გვპირდებით, მაგრამ გულწრფელობას მაინც ვერ დაგიკარგავთ, ბატონო ბიძინა და მეც წარმატებებს გულწრფელად გისურვებთ. იმიტომ, რომ მინდა ჩემს ქვეყანას წარმატებული (თუნდაც არაფორმალური) მთავრობა ყავდეს... მინდა ყავდეს წარმატებული პარლამენტიც. თქვენი წყალობით ხომ გაჩნდა არჩევანის თავისუფლება? ხომ თქვით, რომ "ადრე თეთრსა და შავს შორის ვირჩევდით, დღეს უკვე ბევრი ფერია"-ო? რომ "ყველა საკუთარ სიმართლეს ამტკიცებს, ყველა საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს. ამიტომ, გაცილებით რთულია მართებული არჩევანის გაკეთებაო". აქაც გეთანხმებით, ბატონო ბიძინა. რთულია და მეც ამ ციფრებსა და მრავალფეროვნებაში დავიბენი. ვერც ის გავიგე, თუ ყველაფერი ასე კარგადაა, რატომ არის ყველაფერი ასე ცუდად ირგვლივ? დავიბენი, ბატონო ბიძინა!

facebook



**ხათუნა ხოფერია:**

"სიცრუის მანქანა ათასგვარ ცილისწამებას ავრცელებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და პირად ჩემს მიმართაც. ამის მიზეზი, მხოლოდ ის კი არ არის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი მიმიძღვის მათ დამარცხებაში, სააკაშვილის გუნდის გაღიზიანებას კიდევ უფრო მეტად იმიტომ ვიწვევ, რომ ძალაუფლების დაბრუნებისთვის ბრძოლაში მათთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოვადგენ, რაშიც ნამდვილად არ ცდებიან. აუცილებლად გამოვიყენებ მთელ ჩემს რესურსს, რათა დროის უკან შემობრუნება ვერ შეძლონ და ქვეყანა ისევ საკუთარი სადისტური ექსპერიმენტების ლაბორატორიად არ გადააქციონ."—ბ. ივანიშვილი ახლა დედას ხომ არ შეაგინებდა!!!!.... უკან ველარ შემობრუნდებიანოოოო!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

# ძალიან ცუდად გამოიღვიძა გუბაზ სანიკიძემ, დააძინეთ ისევ რამენაირად!

**ლევან ლომიძე**

**მისაჯიროსნები**





**ადრეც თქვეს ვიღაცებმა, ბიძინა ივანიშვილი ილია ჭავჭავაძეაო. ხალხმა გაიცინა. ერთი-ორმა წამოიძახა: კი, ილიაა, მაგრამ მხოლოდ ერთ ნაწილშიო, ის საგურამოელ გლეხებს წყალს არ აძლევდა, ეს კიდევ სოლოლაკელებს ჰაერს არ აძლევსო**

აბა, ვნახოთ, გასულ კვირას ჩვენს პოლიტიკოსებსა და თანამდებობის პირებს რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ? საბედნიეროდ თუ საუბედუროდ (ეგ თქვენ შეაფასეთ), იმდენს ჩმახავენ, უნებლიეთ ცხონებული ავლიპ ზურაბიშვილი გახსენდება და მისი სულის გამოძახება გინდება. დავიწყოთ თავიდან, ანუ საპარლამენტო უმრავლესობიდან: მაგალითად, ქალბატონმა მანანა კობახიძემ ინგა გრიგოლიასთან თქვა, ბიძინა ივანიშვილი ილია ჭავჭავაძეს მაგონებსო:

**„მკრეხელობასა და გაზვიადებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ თავის დროზე, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა, მას ჰქონდა ძალიან დიდი ფასი და როლი. ახლა 21-ე საუკუნეა, სხვა საჭიროებებია, მე პირდაპირ არ ვამბობ, რადგან მას თვითონვე არ მოეწონება, არ უყვარს ასეთი მაღალი შეფასებები, მაგრამ ჩვენ კიდევ არ ვიცით ამ ადამიანის ფასი, თავისი შრომით, ენერგიით, მეცენატობით, რომელიც აუწონებელი და შეუფასებელია, მსგავსი არავის გაუკეთებია არც მეოცე და არც ოცდამეერთე საუკუნეში“.**

ნახეთ, ქალბატონი კობახიძე თვითონვე აღიარებს, ჩემი ნათქვამი ბიძინა ივანიშვილს არ მოეწონება, მაგრამ მაინც ვრისკავ და ვამბობო. რასაკვირველია, თუ ნორმალურად აზროვნებს, არც უნდა მოეწონოს, თუნდაც რამდენიმე დეტალის გამო: პირველი – ილია ჭავჭავაძე რომ იყო, ე.წ. საანგარიშო წერილი 4 წელიწადში ერთხელ კი არ უნდა დაწერო, პუბლიცისტური წერილების წერა და გამოქვეყნება უნდა შეგეძლოს თითქმის ყოველდღიურად; მეორე – აუცილებლად უნდა შექმნა ისეთი შედევრი, როგორიცაა „კაცია ადამიანი“. ბოლოს და ბოლოს, ხელისგულზე გყავდა დასმული ლუარსაბის პროტოტიპი, მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც მილიონებს აყრიდი და მისთვის „დუბინკებსაც“ კი ყიდულობდი, რათა ხალხისთვის თავ-ყბა გაეერთიანებინა; მესამე – ილია რომ იყო, მინიმუმ, ტყვია უნდა გესროლონ წიწამურში... ღმერთმა ყველა დაიფაროს ტყვიისგან, მაგრამ საერთოდ ვერ ვხვდები, რა საჭიროა ასეთი უგვანო შედარებები და ნორმალური აზროვნებიდან გადაცდომები? არჩევნები ახლოვდება და საჭიროა? შეიძლება ასეცაა... მე, უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ ასეთი მეთოდები ყოველთვის იწვევს საზოგადოებაში ზიზღსა და აგრესიას. ადრეც თქვეს ვიღაცებმა, ბიძინა ივანიშვილი ილია ჭავჭავაძეაო. ხალხმა გაიცინა. ერთი-ორმა წამოიძახა: კი, ილიაა, მაგრამ მხოლოდ ერთ ნაწილშიო, ის საგურამოელ გლეხებს წყალს არ აძლევდა, ეს კიდევ სოლოლაკელებს ჰაერს არ აძლევსო. აბა, პოეტი ეგ არ არის და პროზაიკოსი, სხვა რაში ჰგავსო? ამიტომ, ქალბატონო მანანა და სხვანო, ადამიანს „ილიაობას“ დრო ანიჭებს, ნუ ჩქარობთ, შეიძლება თქვენი გადმოსახედიდან ივანიშვილი ვახტანგ გორგასალივით გამოიყურება, მაგრამ ეს, უბრალოდ, მირაჟია. თქვენ ახლა უდაბნოში ხართ, რაღაც ძალიან გწყურიათ და გინდათ, ეს წყურვილი ვაზელინით მოიკლათ. სხვათა შორის, ივანიშვილს ჯანსულ ჩარკვიანის ქალიშვილმა, თაკო ჩარკვიანმა მიმართა „კაცურად“:

**„ვინც ხვალ დილით მოვა და გეტყვით, რომ თქვენ ხართ ილია, ან აკაკი, ან ვაჟა, ან ნიკოლოზ ბარათაშვილი, სასწრაფოდ გააგდეთ. იცოდეთ, რომ ისინი არიან თქვენი და საქართველოს მავნე მოქალაქეები“.**

სამწუხაროდ, საქართველოში მავნე მოქალაქეების დოლია, ისინი უფრო უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე არამავნეები. აგერ, მოსამართლე ლევან მურუსიძე, რომელმაც ათასნაირი მავნებლობა ჩაიდინა ღვთისა და ერის წინაშე, უსირცხვილოდ იძახის, სასამართლო ასეთი დამოუკიდებელი არასდროს ყოფილაო:

**„ყველა ვთანხმდებით, რომ ადრე ხელისუფლების მხრიდან იყო ჩარევები და გავლენები. დღეს სასამართლო უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე იყო ადრე“.**

ესე იგი, ტიპი აღიარებს, ადრე ჩვენს საქმიანობაში ერეოდნენ, ხელს ათასნაირ სიბინძურეზე მაწერინებდნენ, ახლა კი სრული თავისუფლება მაქვსო. მურუსიძეს ავიწყდება, ან ივიწყებს, რომ სასამართლო დღესაც არ არის თავისუფალი, რადგან მნიშვნელოვანი ბერკეტები კვლავ მის ხელშია. სადაც მურუსიძეა, იქ რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი?!

**„მე დღეს საქართველოში კონკურენტი**

გაგრძელება გვ.24

ოცდამესამე გვერდიდან

არ მყავს“! — აცხადებს მომღერალ-პოლიტიკოსი პაატა ბურჭულაძე:

„ჩვენ გავიმარჯვებთ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს და ჩვენმა კონკურენტებმაც კარგად იციან ეს. ამიტომაც ცდილობენ, რომ რამენაირად, შავი პიარით მოახდინონ ჩვენი დამცირება, მაგრამ ეს არ იმოქმედებს ხალხზე, რადგან ხალხს უნდა



ნორმალური ცხოვრება“.

დიახ, ხალხს რომ ნორმალური ცხოვრება უნდა, ეს არახალია, უკვე მოძველდა და იმავე ხალხს იმედიც კი გადაეწურა, მაგრამ რატომ უნდა გაიმარჯვოს ბურჭულაძის უსახურმა გარემოცვამ, რომელიც გავარვარებული „ნაციონალებით“ არის გადატენილი? კაცი, რომელიც საარჩევნო პროგრამას ბიძინა ივანიშვილისგან იპარავს და ამტკიცებს, პენსია 250 ლარი იქნებაო, არის კი მართლა უკონკურენტო? სასაცილოა პირდაპირ, რა გახდა ეს 250-ლარიანი პენსია, ყველა ამ ციფრით რატომ გვატყუებს? მოვლენ, მოგრიალდებიან, თბილ სავარძლებში ჩაგრიალდებიან და მერე იძახიან: უი, საქმეებში რომ ჩავიხედეთ, სულ სხვანაირად ყოფილა, გარედან უფრო იოლად ჩანდა, გვაცალეთ, ჯერ ჩვენს ოქროს „სარაიებს“ ავაშენებთ და მერე პენსიებსაც მოგიმატებთ, ოღონდ მეორე ცხოვრებაშიო. აგერ, 2012-ში ეს ხელისუფლება მოვიდა და პენსიების მომატების ნაცვლად კუბოების შესყიდვა დაიწყო „ოპტომ“, თქვენ ოღონდ დაიხოცეთ, დამარხვა ჩვენზე იყოს, მაგაზე არ შეგაწუხებთო. ვაააჰ, კაცოოო... საქართველოში კონკურენტი არ მყავსო, ეტყობა, დაავიწყდა, რომ აქვე უნდა დაამატოს, ბანის მიცემაში არ მყავსო, თან ოპრიწინ და ოპრიუკანო!

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი, გუბაზ სანიკიძე მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი უვიცის დაწერილია:

**„როგორც ჩანს, იქ ბევრი ადამიანი, რაღაც კოლექტივი მუშაობდა, რადგან სტილიც განსხვავებულია ერთმანეთისგან. როგორც ჩანს, სხვადასხვა საკითხები სხვადასხვა ადამიანებმა დაწერეს. რაც მთავარია, სამწუხაროდ, ჩემთვის ასევე დასტურდება ის, რომ ჩვენ არაფორმალურ მმართველობასთან გვაქვს საქმე იმიტომ, რომ დოკუმენტი დაწერილია პირველ მრავლობით პირში... მე ძალიან არ მინდოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მხარე ყოფილიყო და ერთ-ერთ პოლიტიკურ ბანაკში აღმოჩენილიყო. მე არ ვიცი, ასეთმა ჭკვიანმა კაცმა ასეთი შეცდომა რატომ დაუშვა. მან, ფაქტობრივად, თვითონ დაიდო თავის მაჯებზე ხელბორკილი... ეს არის საშუალოზე დაბალი დონის თამადის სიტყვები. ასევე, იქ ძალიან სერიოზული უვიცობაა, ანუ აბსოლუტურად უნიჭო კაცის დაწერილია“.**

ძალიან ცუდად გამოიღვიძა გუბაზ სანიკიძემ, დააძინეთ ისევ რამენაირად!.. არა, მთელი 4 წელიწადი რომ გძინავს და უცებ თვალებს გაახელ, შენ რა იცი, ვინ რა დაწერა და როგორ დაწერა? კი, ბატონო, წერილში ბევრი არაფრისმთქმელი ფრაზაა, მაგრამ შენ რა იცი, სიზმარში ნახე? არა, გუბაზ, შენი არ მჯერა, სხვას რომ ეთქვა, დავიჯერებდი. რა ქენი, მილიონი დოლარი იშოვე? ვერა? ჰოდა, ამიტომაც აღარ მოგისმენ, რომ გეშოვა, შენც „გენიოსი“ გახდებოდი და მოგისმენდი, შეიძლება ხმაც მომეცა, მაგრამ ახლა ველარ მოგცემ, უფულოს რატომ უნდა მივცე? ბიძინამ 5 თუ 7 მილიარდი იშოვა, შენ ერთი მილიონიც ვერ იშოვე, ახლა შენც არ გადმოდგე და არ დაიწყო, საქართველოში კონკურენტი არ მყავსო. თუ გადმოდგები, ისიც დააყოლე, რაში არ გყავს კონკურენტი, ძილსა თუ ჭამაში?!

ჩვენთან სიღარიბეში მყოფთა რიცხვი 500 ათასით, ანუ ნახევარი მილიონით შემცირებულა, რაც ეკონომიკური აქტივობისა და მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი ყოფილა, აბა, ეს იცოდით? ნუ იცინით, სწორედ ასე თქვა

## მინისტრები

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა:

**„2011 წელს მოსახლეობის 44,8%, ანუ 1 800 000 ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. ეს ადამიანები დღეში 2,5 დოლარზე მეტს ვერ ხარჯავდნენ. მსოფლიო ბანკის ბოლო კვლევებით, რომელიც ჩემთვის უკვე ცნობილია და რომელიც მალე გამოქვეყნდება, გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დღეში 10 დოლარზე მეტს ხარჯავენ და სიღარიბეში მყოფთა რიცხვი 500 000-ით შემცირდა“.**

ესე იგი, მსოფლიო ბანკის კვლევებით ეგრეა, თქვენ რას გრძნობთ, სულაც არ გვაინტერესებსო. ნათქვამია, ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს უყვებოდაო, ხალხი სულს ღაფავს და ესენი ზღაპრებს გვიყვებიან. ქუმსიშვილის თქმით, დღეს ქვეყანაში დასაქმებულია 1 780 000 ადამიანი:

**რა გახდა ეს 250-ლარიანი პენსია, ყველა ამ ციფრით რატომ გვატყუებს? მოვლენ, მოგრიალდებიან, თბილ სავარძლებში ჩაგრიალდებიან და მერე იძახიან: უი, საქმეებში რომ ჩავიხედეთ, სულ სხვანაირად ყოფილა, გარედან უფრო იოლად ჩანდა, გვაცალეთ, ჯერ ჩვენს ოქროს „სარაიებს“ ავაშენებთ და მერე პენსიებსაც მოგიმატებთ, ოღონდ მეორე ცხოვრებაშიო**



**„აქედან მილიონზე მეტი თვითდასაქმებულია. ჩემთვის, როგორც ეკონომიკის მინისტრისთვის, თვითდასაქმებული კარგია, თუ ის არის მეწარმე, თუმცა, ქართულ კულტურაში თვითდასაქმებული დასაქმებულად არ ითვლება, რაც ცალკე პრობლემაა. როცა ახალგაზრდა უნივერსიტეტს ამთავრებს, ის ფიქრობს, როგორ დაიწყოს კარგი სამსახური და არ ფიქრობს, როგორ წამოიწყოს ბიზნესი. ჩვენ გვინდა, მენტალური გარდატეხა. გვსურს, მოსახლეობამდე მივიტანოთ აზრი, რომ კერძო სექტორი ქმნის სამუშაო ადგილებს და არა სახელმწიფო სექტორი“.**

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 3 მილიონ 713 ათას 804 კაცი. დარწმუნებული ვარ, 713 ათას 804 კაცი უკვე გასული იქნება ქვეყნიდან. აქედან დასაქმებული ყოფილა 1 მილიონ 780 ათასი ადამიანი, დარჩა 1 მილიონ 220 ათასი ადამიანი. ჩვენ დღეს გვყავს 700 ათასამდე პენსიონერი, დარჩა 520 ათასი ბავშვი და მოზარდი. არა, ბატონო დიმიტრი, გეშლებათ, საქართველოში უმუშევრობა საერთოდ აღარ არსებობს. მე მესმის თქვენი, თავმდაბალი ადამიანი ხართ და არც ზედმეტი პიარი გსიამოვნებთ, მაგრამ ფაქტია, როგორც ჩვენმა წინაპრებმა თქვეს, ტარანი ხომ თვლით არის? ჰოდა, ამ „ტარანმა“ თქვა, საქართველოში ბედნიერებამ იფეთქა, მაგრამ გვიმალავენ, ხალხის ჯანმრთელობაზე უარყოფითად რომ არ აისახოსო. ამიტომ, გთხოვთ, ასეთი „ფეთქებადი მიღწევები“ ნელ-ნელა შეგვაპარეთ ხოლმე!

## Facebook ამბები



### მეგი გოცირიძე:

ჰააა გოგლა, გაუჩნდა ნაწოლები ჟვანიას, გადააბრუნეთ კაცო, რამდენი ხანია არ გიხსენებიათ და არ გადაგიტრიალებიათ საფლავში?! ხათუნა ხოფერიას სისხლიანი საფერფლე რომ ჰქონდა და მოსვლისთანავე უნდა დაგედოთ, ის საფერფლე მაინც დადეთ, თორემ კარს მოგვადგა არჩევნები, თქვე აფერისტო ხიხოუდავის ხიხო წიწილებო და დაგენგრევათ სიაფნდი ხუხლა თავზე ! ----- 9 თვე, ვისაც ონკოლოგიური ავადმყოფი ჟვანიას საქმის ექსპერტი ჩაჩუა გყავდათ უკანონო პატიმრობაში,არაადამინურად ეპყრობოდით და აიძულებდით ცრუ ჩვენება გამოგეძალათ.... ბოლოს იძულებულები გახდით სასურველი ჩვენება , რომ ვერ გამოსძალეთ და შეგეშინდათ ხელში არ ჩაგკვდომოდათ ციხიდან გამოგეშვათ......“ თუ გგონიათ ეს შეგრჩებათ, ძალიან მწარედ ცდებით!



### მერაბ შათირიშვილი:

გულწრფელი ძახილი ბიძინა ივანიშვილს!..

ბატონო ბიძინა, ეს-წუთია ვუყურე საზოგადოებრივ არხზე თქვენს ინტერვიუს და, მინდა, პირდაპირ გითხრათ - შეუფასებელია თქვენი ღვაწლი საქართველოს უახლოეს ისტორიაში, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამოუწურავია თქვენი ქველმოქმედება და სიკეთე ქართველი ხალხის მიმართ და, მესმის, გააზრებული მაქვს - თქვენი პასუხისმგებლობა და ჯვრისმტირთველობა - თქვენ შედიხართ პოლიტიკურ „კაზინოში“, სადაც 2012 წელს დიდი „კუვში“ მოიგეთ და ქართველი ერი დაღუპვას გადაარჩინეთ, თუმცა, შემრიგებლურმა, კოჰაბიტაციურმა ტაქტიკამ, თქვენსა და ჩვენს ნაღვაწს დიდი ზიანი მიაყენა და, გთხოვთ, ნუ შეხვალთ მეტად პოლიტიკურ „კაზინოში“, დამიჯერეთ, თქვენ უკვე გაქნილი, დაოსტატებული, ავანტურისტი „კრუპიები“ გეთამაშებათ და, შეჩერდით, აღარ შეხვიდეთ „კაზინოში“, თორემ საქართველოს წააგებთ, ჩვენ გვადროვეთ - ჩვენ, ვინც თქვენთან ერთად, 2012 წლის ეპოპეა შევქმენით, ჩვენ - უანგარო ადამიანები, შევალთ გადაგვარებულ, გახრწნილ ქართულ „კაზინოში“ და, ჩვენ ავიღებთ საკუთარ თავზე წაგება-მოგების შედეგებს...

თქვენ, მარტო, ნუ იღებთ ამხელა პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, გარწმუნებთ, ველარ შეძლებთ, რადგან არ იცნობთ ჩვენს დამპალ და პირად ინტერესებზე დახარბებულ პოლიტიკურ სვავებს...

ჩვენ, ყველაფერს ვილონებთ და გონს მოვიყვანთ თქვენივე ძალისხმევით გაფეტიშებულ რიგ პოლიტიკანებს და ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის მოსურნეებს კარიერის სურვილს წავუხდენთ...

ბატონო ბიძინა, მოგვანდეთ 2012 წლის ერთობლივი ნამოღვაწარი და, გთხოვთ, შეჩერდით, ნუ შედიხართ ქართულ პოლიტიკურ „კაზინოში“, თორემ საქართველოს წააგებთ!..



### თინათინ ხიდაშელი ბიძინა ივანიშვილის წერილზე:

ვახმე, დამაბრალეთ რაც გინდათ. წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე, ბოლოდან თავში და ასე, მიყვარს!

ქეთი ხუციშვილი -რესპუბლიკელებს ბიძინა მოგწონთ და მისი პარტია არა?/ ხო წახვედით ოპოზიციაში? რა უბედურებაა ეს ხოტბა- დიდების სესხმა, რა უბედურ ქვეყანაში ვცხოვრობთ

გიორგი ჩიტაიშვილი - განათლების რეფორმას, უნივერისტეტების გეგმების დასახვას 4 წელი დასჭირდა? არაფერი გაკეთებულია ამ მიმართულებით ჯერ ჯერობით გარდა გეგმების დასახვისა და პრეზენტაციისა (რემოდენიმე დღის წინ)

ილია ხელაია - როგორ კარგად წერს თურმე ?) სამაგიდოა ყველა ქართველისთვის

ნუკრი მაღრაძე -ბიბლიის გვერდით უნდა დავიდოთ ?

ილია ხელაია -ბიბლია გადავდოთ და ეს დავიდოთ

Facebook ამბები



**დემურ გიორხელიძე:**

გია ფაცურიას დავესესხე: "... [კრიმინალურ სამყაროში "იმათ, ვისაც" - შენ. დ.გ.-ს] კრიშის" იმედი აქვთ არიან ბოზები, ლახმაჩები, ნასედკები" - იხ. "ქურდულ კანონთა კრებული", ტომი I, 13-ე გვერდი, - "ლ.ბერიას სახელობის გამომცემლობა", ქ.პერმი, 1951 წელი. აი, ჩემი განზოგადება: "პოლიტიკაში "კრიშის" [გარე "კრიშა", შიგა "კრიშა", - რა მნიშვნელობა აქვს?!] იმედი ვისაც აქვთ და "კრიშით" "აკრიშავდნენ" ქართულ ე.წ. "პოლიტიკურ სცენაზე" [ანუ მეორე პლანის მსახიობების სცენაზე], - ნეტა, იმათ რა ჰქვიათ "პოლიტიკურ კანონთა კრებულის" შესაბამისად?! [არგამოცემული კრებული მაქვს მხედველობაში].



**კახა ძაგანია:**

ბურჭულაძეს მინდა ვკითხო მერაბიშვილს, ახალაიას და უგულავას პოლიტპატიმრებს, ხოლო სააკაშვილს პოლიტდევნილს ეძახის თუ დამნაშავეებს. მე როგორც ვიცი ბურჭულაძე მათ დამნაშავეებად არ მიიჩნევს )))

**ნიკა გვარამია:**



ასეა, პასუხი როცა არ აქვთ, შეურაცხყოფაზე გადადიან გრეჩიხას ყოფილი და ბიძინას ამჟამინდელი შნირები. თან ცოტა მოძველბიჭო-ჩაცუცქული ბირჟევიკ-პერეროსტაკ პს ისე, რა იყო, ჩემში მასკულინობის დეფიციტმა შეაწუხა თუ ჩემი პენისის პარამეტრები არ აკმაყოფილებს, მოლაპარაკე ტყემლის ჩირს? შენი დიაგნოზი მწადია ჩოგი ჩვაკჰარია

**გიორგი გაჩეჩილაძე**
593-30-28-70



# მიხეილ სააკაშვილი: „ცოტაც მოითმინეთ, ხალხო!!! ჩვენ მოვახერხებთ ჩვენი ქვეყნის ფეხზე დაყენებას და შევძლებთ, ავიხდინოთ ქართული ოცნება"!!!





წინა კვირას მკითხველებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამები და დაპირებები წარმოვუდგინე. ამ თემას დღესაც ვაგრძელებ.

რატომ აირჩია ქართველობამ 2003 წელს სააკაშვილი პრეზიდენტად. უმთავრესი დაპირება, საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება იყო. სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მაშინ კარგი ურთიერთობა ჰქონდა და შემდეგი სიტყვებით ამკობდა: „მე ვენდე პუტინს და არ შევმცდარვარ, პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს". რამდენიმე წლის შემდეგ კი – „ლილიპუტინი" სკამზე დადგეს და ისე მელაპარაკოს" და ა.შ.

სააკაშვილი ხალხის გულის მოსაგებად შემდეგ პიარხერხებსაც მიმართავდა: „მე და სანდრა 3-ოთახიან ბინაში ვიცხოვრებთ". „მე ხალხთან ერთად ვიფრენ თვითმფრინავით". „ჩემს მინისტრებს არ ექნებათ ძვირად ღირებული სახლები და მანქანები" და ა.შ. მიშას ეს ტყუილები თავის დროზე ხალხმა დაიჯერა.

2003 წლის შემოდგომაზე, ერთ-ერთ მიტინგზე გამოსვლისას შემდეგი „ისტორიული დაპირება" გასცა: „ჩემი პრეზიდენტობისას, თუნდაც 5 000-მა კაცმა რომ მოითხოვოს ჩემი გადადგომა, ეგრევე ქუდს დავიხურავ და წავალ!" სააკაშვილის კიდევ ერთ დაპირებას გაგახსენებთ – „მე არ მექნება არანაირი მორალური უფლება, მეორედ ვიყარო კენჭი პრეზიდენტობისთვის, თუ ჩემი მმართველობის პირველ ვადაში არ დავიბრუნებ სამხრეთ ოსეთს..."

2015 წლისთვის სააკაშვილი საქართველოს „გაბრწყინებასა" და წამყვანი ევროპული ქვეყნების გვერდით დგომასაც გვპირდებოდა:

„2015 წლისთვის ყველა სკოლა შვედეთისა და ჰოლანდიის სტანდარტების შესაბამისი იქნება. 2015 წლისთვის საქართველოს ყველა ქალაქს საერთაშორისო სტანდარტის გზა დააკავშირებს. 2015 წლისთვის საქართველოში 17 ჰესის მშენებლობა დასრულდება. 2015 წლისთვის ნავთობგადამამუშავებელი საწარმო ქვეყანას ნავთობპროდუქტებით მთლიანად დააკმაყოფილებს, რის შედეგადაც საქართველოში საწვავზე ფასები შემცირდება..." და ა.შ.

2006 წლის 14 თებერვალს, პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტი საქართველოს მზარდი ეკონომიკის მონაცემებს დაეყრდნო და ირწმუნებოდა, რომ იმ წელს საქართველო ნატო-ს წევრობის კანდიდატი გახდებოდა, ხოლო 2008 წლისთვის ჩვენს ქვეყანას ექნებოდა შანსი, ალიანსის წევრი ყოფილიყო. პრეზიდენტმა აღნიშნა: ნატო-ს წევრობა ნიშნავს, რომ „საქართველოს საზღვრები იქნება ნატო-ს საზღვრები და ამ საზღვრებს დაიცავენ არა მხოლოდ ჩვენი ტანკები და თვითმფრინავები, არამედ ათასობით დასავლური თვითმფრინავი"...

უკვე 2008 წელს სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს დიდი ბრძოლა ელის, რომ ეს არის ბრძოლა ეკონომიკის გადასარჩენად, სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად და სიღარიბის წინააღმდეგ. კიდევ სამი წლის შემდეგ ერთ-ერთ ტელეეთერში სააკაშვილმა მოსახლეობას აცნობა, რომ ბოლო წლებში სიღარიბის დონე საქართველოში 50%-დან 20%-მდე შემცირდა...

გავიხსენოთ მისი კიდევ რამდენიმე გამონათქვამი:

„გავიხსენოთ დიდი ილიას სიბრძნე. მე ძალიან ხშირად ვიმეორებ და ძალიან მიყვარს ეს სიტყვები – ყველამ ერთად და თითოეულმა ცალცალკე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ნაწილი ვართ ერისა და ამიტომ ჩვენი ბედნიერება უნდა ვეძებოთ მთელი ერის ბედნიერებაში და არა ცალკე. დიდი ილიას სიტყვები ლექსად, სიმღერით წარმოთქვა ჩვენმა მგოსანმა, ჩვენმა აკაკიმ: ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო! აი, აქ უნდა მივიდეთ ჩვენ, აი, ეს უნდა გავიაროთ, აი, ეს უნდა გავითავისოთ, ამით მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის ფეხზე დაყენება და მხოლოდ მაშინ შევძლებთ, ავიხდინოთ ქართული ოცნება"...

„ადამიანი იზომება თავისი ნიჭიერებით, წესიერებით, პატრიოტიზმით, შრომისუნარიანობით და არა რელიგიითა და ეთნიკურობით".

„საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყანა. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ბევრია ქართველი მუსლიმანი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ყველა ადამიანს ჰქონდეს წარმატებისა და კარიერის მიღწევის საშუალება. ჩვენ აქ გვესწრება დიმიტრი შაშკინი, მისი სახელიც და გვარიც რუსული წარმოშობისაა..."

„ამ გაქსუებულ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხალხს კი არა, თავიანთ კეთილდღეობას ემსახურებიან, ჩვენ გავისტუმრებთ მოუსავლეთში, აღარ იქნება კორუფცია და ყველანი იქნებიან ხალხის სამსახურში, ცოტაც მოითმინეთ, ხალხო!"

იმ წლებში საქართველოს მოსახლეობაში „მიშა მაგარიას" შესახებ ერთი ანეკდოტი დადიოდა. გულდასმით წაიკითხეთ ქვემომოყვანილი ეს „მარგალიტი" და თავად დარწმუნდებით, ქვეყანა რა ჭაობში იმყოფებოდა.

– ბატონო პრეზიდენტო, რატომ არ არის საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო და რა უშლის ხელს შესაბამისი რეფორმის გატარებას?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– ბატონო პრეზიდენტო, როდის შევა საქართველო ნატო-ში. ბოლოს და ბოლოს, გვეღირსება სრული ევროინტეგრაცია?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– ბატონო პრეზიდენტო, როგორ ფიქრობთ, უნდა დალაგდეს თუ არა ურთიერთობები რუსეთთან და როგორ გესახებათ კონფლიქტის მოგვარება?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– თქვენი ოპონენტები საუბრობენ ელიტურ კორუფციასა და შერჩევით სამართალზე, რას ეტყოდით მათ?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– რას გვეტყვით ოპოზიციის აქციებზე, მათ ძალიან ბევრი მხარდამჭერი გამოიყვანეს, აშკარაა, რომ ხალხი უკმაყოფილოა.

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– როგორ ხართ, ბატონო პრეზიდენტო?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– ვერა ხო? კარგი მაშინ კულტურაზე ვისაუბროთ. ენდი გარსიაზე რას ფიქრობთ, კარგად შეასრულა მან თქვენი როლი?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

– სიტყვა ადეკვატურის მნიშვნელობა იცით?

პასუხი: ჩვენ დავაგეთ გზები, გავანათეთ თბილისი და საქართველო, შემოგვდის ინვესტიციები და ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ახლა ამ დანარჩენს ცოტა დრო სჭირდება.

## მარგალიტები

შორეული 2000-იანი წლების შუახანებში, ერთ-ერთ ქართულ ფორუმზე საყურადღებო „მასალას" წავაწყდი. ამ „შემოქმედებასაც" უცვლელად შემოგთავაზებთ. კომენტარი მკითხველისთვის მიმინდია. იმ წლებში ასეთი „მდგომარეობისა" და „ფიცების" შექმნაში ბრალს ბატონ მიხეილს ვდებ.

„ახალგაზრდა ნაციონალის ფიცი

მე, „ნაციონალური მოძრაობის" წევრობის კანდიდატი, წევრად არჩევის შემთხვევაში, ვდებ საზეიმო ფიცს, რომ:

1. პრეზიდენტი მაგარია. დავდგები მის გვერდით ნებისმიერ სიტუაციაში, თანამდებობის მისაღებად.

2. დავთანხმდები ნებისმიერ შემოთავაზებულ თანამდებობას, თუნდაც ამ სამსახურის არა გამეგებოდეს რა.

3. ვილაპარაკებ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს მაშინაც კი, როცა ეს სიმართლე სიმართლეს არ შეესაბამება.

4. მზად ვარ, პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავიდე ოპოზიციაში, მოვევლინო მათ ერთ-ერთ ლიდერად და გადამწყვეტ სიტუაციაში ისევ უკან დავბრუნდე.

5. პრეზიდენტისა და პარტიის დასაცავად, მზად ვარ, უკმაყოფილო ხალხის შეკრების შემთხვევაში, აღვიჭურვო წყლის პარკებით, კისტის თოფით და სხვა საშუალებებით და გამოვიყენო ისინი სამშობლოს დასაცავად.

6. თუ ზემდგომი ორგანოები დამდებენ პატივს და ჩამსვამენ რომელიმე ბიზნესის წილში, მზად ვარ, პირად კეთილდღეობასთან ერთად აღნიშნული წილი მოვახმარო არჩევნებს, ოპოზიციონერთა მოსყიდვას და ასევე, ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

7. არჩევნების წინ, ქუჩაში მოსახლეობის გამოკითხვის დროს, მზად ვარ, დავდგე „რუსთავი 2"-ის კამერის წინ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და ვილაპარაკო ხელისუფლების წარმატებებზე.

8. ჩემი პარლამენტის დეპუტატად გაყვანის შემთხვევაში, მზად ვარ, ოთხი წლის განმავლობაში ვიჯდე მდუმარედ და ხმა მივცე უმრავლესობის მიერ შემოტანილ ნებისმიერ კანონპროექტს, თუნდაც ეს კანონპროექტი წაკითხული არ მქონდეს.

9. პიარის საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ, გადავიცვა ზეინკალ-შემდუღებლის ფორმა (მიუხედავად იმისა, რომელ თანამდებობაზე ვიქნები) და შევასრულო პრესკონფერენციის ფონის ფუნქცია.

10. თუ ამ პუნქტებიდან რომელიმეს დარღვევა გადავწყვიტე, მზად ვარ, წავიკითხო ამ ფიცის პირველი პუნქტი.

ნანა სულავა
599 07-01-89



### »მოთმინების ფიალა აივსო!

# „ციხის ოფიცერმა დამინახა, რომ „ალიას“ ვკითხულობდი და სასტიკად მცემა! თვალის ნერვი დამიზიანდა, რომელიც გლაუკომაში გადაიზარდა, ცალი თვალი მაშინვე დავკარგე“



**ერთი კვირის განმავლობაში უამრავმა გაწამებულმა ადამიანმა დამირეკა. ამჯერად ერთ ისტორიაზე შევჩერდებით. „ალიას“ ესაუბრება ყოფილი პატიმარი, პროფესიით ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, სერგო ჯაყელი (იგი 80-იან წლებში ლენინგრადის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი იყო, 90-იან წლებში — საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ეკონომიკისა და ფინანსების კათედრის გამგე; საქართველოს ელჩი სომხეთში; 2000 წლიდან ბიზნესშია):**

**სერგო ჯაყელი:**

– ჩემი დაპატიმრების დამკვეთები ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი იყვნენ, ეს ჩემს პროკურორს ჯარჯი წიკლაურს არ დაუმალავს.

ახალ („ოცნების“) ხელისუფლებას მოსვლისთანავე პირველი, რაც უნდა გაეკეთებინა იყო, რომ ასეულ-ათასობით უკანონოდ გასამართლებული ადამიანისთვის ბოდიში მოეხადა, პირდაპირ უნდა ეთქვა ჩვენთვის – სამართლიანობის აღდგენას ვერ ვახერხებთ, მოდით, ერთად მოვიფიქროთ დაჩქარების გზები, ამას იმიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილის ციხეებში გაცილებით მაღალი რანგის პროფესიონალები და მცოდნე-განათლებული ადამიანები იყვნენ, ვიდრე დღევანდელ ხელისუფლებაში და საკანონმდებლო ორგანოში.

ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს და კანონებსაც უკეთ ვფლობთ. როგორც იტყვიან, სამი-ოთხი წელიწადი „ოცნების“ მთავრობამ თითი-თითზე არ დააკარა და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში სული ამოგვხადა, ამდენ საჩივარს ხომ არ დავწერდით, ყველა უპასუხოდ რომ დარჩა. ციხიდან კი გამომიშვეს, მაგრამ ბოდიშის მოხდას ვინ ჩივის, პასუხს არ იძლევიან. როცა სახალხო დამცველს მივმართე ჩემი საქმის შესახებ, მიპასუხა, ჩემი კომპეტენცია არ არისო.

ადეიშვილის პროკურატურამ ჩემი ბიზნესი უკანონოდ დააყადაღა, მაგრამ გაყიდვა ვერ მოასწრო, ახლა დაყადაღებულ ქონებას „ოცნება“ მიყიდის! ხომ არის პარადოქსი! რომელ სამართლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი, მასხრად გვიგდებენ ისედაც მიწასთან გასწორებულ ადამიანებს.

ვანო მერაბიშვილსაც ეგონა, რომ ეს ქვეყანა მისი იყო და სულ იქნებოდა... დაილოცოს უფლის ძალა,

ჩემი პროკურორი „ნაცების“ დავალებების შემსრულებელი ჯარჯი წიკლაური, რომელმაც თეთრი ძაფით შეკერა საქმე, ახლა ვანო მერაბიშვილის პროკურორია.

მერაბიშვილი უკმაყოფილო იყო მისი ბრალმდებლით, როცა დაპატიმრებისას ვკითხე ჩემს პროკურორ წიკლაურს, უკანონოდ რატომ მიჭერ-მეთქი, მიპასუხა, – რა ვქნა, ორმა ადამიანმა, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა დამავალესო... ჩემი ახლობლები და ნაცნობები მეუბნებიან, ციხიდან ხომ გამოხვედი და ახლა დაივიწყე, რაც მოხდა, არაფერი გამოგივა, სხვა რამ გააკეთეო... ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ ზნეობრივი ტკივილი, ფიზიკურ ტკივილზე ძლიერია... ახლა თქვენს გაზეთთან დაკავშირებით ერთი ტრაგიკული ისტორია უნდა მოგიყვეთ: რუსთავის მე-8 იზოლატორში ხშირად ვკითხულობდი „ალიას“, ერთ დღეს, როცა „ციხის რაბოჩს“ მოვატანინე, მორიგე ოფიცერმა ლევან ბეშქენაძემ დამინახა, გამიყვანა საკნიდან, შენი პროფესორობა სულ მკიდია, ციხის რეჟიმია და აქაურ რეჟიმს უნდა დაემორჩილოო. მერე სასტიკად მცემა. არც ეს იკმარა და ჯალათმა ოფიცერმა ხელმეორედ ისევ გააგრძელა ჩემი ცემა. თვალის ნერვი დამიზიანდა, რომელიც გლაუკომაში გადაიზარდა, ცალი თვალი მაშინვე დავკარგე. „ოცნება“ რომ მოვიდა, ოპერაცია გამიკეთდა, მაგრამ მხედველობა მაინც არ ალმიდგა.

**„ჩემი ახლობლები და ნაცნობები მეუბნებიან, ციხიდან ხომ გამოხვედი და ახლა დაივიწყე, რაც მოხდა, არაფერი გამოგივა, სხვა რამ გააკეთეო... ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ ზნეობრივი ტკივილი ფიზიკურ ტკივილზე ძლიერია...“**

**— ბატონო სერგო, ბრალს რაში გდებდნენ, რატომ დაგაპატიმრეს?**

– განაჩენში მიწერია, 170-ე მუხლით სახელმწიფო კრედიტის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა, რამაც ზიანი მოიტანა. 2011 წელს დამაპატიმრეს და 7-წლიანი პატიმრობა მომისაჯეს. ყველაფერი ასე დაიწყო: ტენდერი მოვიგე, იაფი კრედიტის პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, წარვადგინე პროექტი კახა ბენდუქიძესთან, პროექტი ეხებოდა ბამბუკის ინდუსტრიის შექმნას საქართველოში, ბენდუქიძე ხელს არ მოაწერდა პროექტს, თუ არ მოეწონებოდა. გამოგვიყვეს კრედიტი, ჩემი მიზანი იყო, გაგვეყიდა არა მხოლოდ პროდუქცია, არამედ ახალი ტექნოლოგიები და პატენტები, ამის გაკეთებას ვაპირებდით და ნაბიჯებიც გადაიდგა. მე შევთავაზე ბამბუკის ინდუსტრია, არც ერთ ქვეყანაში არ იწარმოება ბამბუკი, მხოლოდ ჩინეთშია და ისიც მავნე პროდუქტებითაა შექმნილი. 8 ტექნოლოგია შევქმენი, რომელმაც მოიტანა თავისი რეზულტატი. ორი წელი ვმუშაობდით და ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, როცა საქმე ავაწყვეთ, მაშინ ჩაყო მთავარმა პროკურატურამ თავისი გრძელი ცხვირი ჩემს ბიზნესში და ღამის 2 საათზე მთავარ პროკურატურაში დამიბარეს. გამომძიებელმა ალიკო მგელაძემ მომატანინა დოკუმენტები და დანიშნა საფინანსო ექსპერტიზა. ფინანსურმა ექსპერტიზამ ჩემთან ერთად გადაამოწმა ყველა საჭირო დოკუმენტი და გამომძიებელ მგელაძეს აცნობა, რომ ჩემთან კითხვები არ ჰქონდა და რომ ყველაფერი წესრიგში იყო, რადგან უკანონო ვერაფერი იპოვა პროკურატურამ, მაშინვე მოიყვანა თავის ექსპერტი და შეაფასებინა ეს ტერიტორია, სადაც მე ავაშენე საწარმო ორჯერ ნაკლებად. სამხარაულის სამი დასკვნა მაქვს, სადაც მითითებულია თანხა და ის თანხა მე გადავიხადე. მაგრამ სამივე დასკვნა პროკურორმა ადვოკატს არ დააშვებინა. პროკურორი ჯარჯი წიკლაური როცა ჩემთან მოვიდა წინასწარ დაკავების იზოლატორში, მითხრა, – ვნახეთ ეკონომიკის სამინისტროს წერილი, სადაც წერია, რომ თქვენი პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ზემოდან დამირეკეს ადეიშვილმა და მერაბიშვილმაო. სააკაშვილის რეჟიმი სისტემურ დანაშაულზე იყო აგებული, დღევანდელ ხელისუფლებას ასეთი დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ სისტემურ შეცდომებს უშვებს, ამ შეცდომებმა „ოცნების“ ხელისუფლება შეიძლება სულ მალე მიიყვანოს იმავე დასასრულამდე. ჩვენ, სისხლიანი რეჟიმის მსხვერპლმა ადამიანებმა, „მიშველეთო“, კი არ უნდა ვიყვიროთ, არამედ სისტემის მოსალოდნელ კრახზე უნდა გავაგებინოთ, ჩვენზე კარგად არავინ იცის ეს ყველაფერი და თუ არ ესმით, უნდა გავაგებინოთ... თქვენმა გაზეთმა სერიოზული მოძრაობა დაიწყო სამართლიანობის აღდგენისთვის, ჩვენ კარგად გვესმის, ჯერ კიდევ სააკაშვილის დროინდელი კანონები მოქმედებს ქვეყანაში, იგივე პროკურორები და მოსამართლეები არიან თანამდებობებზე. ჩვენ ამ მოძრაობას სწორი მიმართულება შეიძლება მივცეთ, თუკი ხელისუფლება არ წავა ჩვენ მიერ შეთავაზებული გზით, მაშინ მეორე გზაა, მეორე გზა ქუჩაში გამოსვლა და რევოლუციის მოწყობაა, რადგან სხვა გზას არ გვიტოვებენ, რა ვქნათ, მოთმინების ფიალა მართლაც აივსო...

ქვეყანაში არსებული უმუშევრების დონე მუდამ გაიზრდება, თუ რეალურად არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა, სერგო ჯაყელმა საკუთარი ნიჭითა და ძალისხმევით გახსნა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება, სადაც დასაქმებული იყვნენ ჩვენი მოქალაქეები და ამ ადამიანის მიმართ „ნაციონალურმა რეჟიმმა“ მხოლოდ ტერორი გაიმეტა. ასეთი ადამიანების ნორმალური ცხოვრებისკენ შემობრუნება ის იქნება, რომ „ოცნებამ“ დაუბრუნოს თავისი ლეგიტიმური საკუთრება ბიზნესის მეპატრონეს და აღუდგინოს სამართლიანობა...

**ამ ბედკრულ ქვეყანაში ასეთი უამრავი ისტორიაა... ხელისუფლება ამ ხალხს არც უსმენს და მათი ბედი არ ანაღვლებს... ამიტომ „ალია“ აგრძელებს რუბრიკას „მოთმინების ფიალა აივსო“. დაგვირეკეთ და თქვენს ტრაგიკულ ისტორიებს ქვეყანას გავაგებინებთ. 599070189 — ნანა სულავა.**

## Facebook ამბები

facebook



**მერაბ შათირიშვილი:**

„ქართული ოცნებისგან“ არაფერი მიმიღია და არც არასდროს ველოდებოდი, ვერავინ დაიკვეხნის, ჩემზე მეტი, ან, მე, სხვაზე ნაკლები გამეკეთებინოს ჩემი ქვეყნისთვის... „ქართული ოცნების“ დამფუძნებელიც ვარ და ერთხელაც არ მისარგებლია პირადი კეთილდღეობისთვის, სამთავრობო პარტიის სიკეთეები არ გამომიყენებია (არ უნდა ვამბობდე, ჩემთან ნაქირავებ ბინაში რომ მობრძანდეთ, შესაძლოა სკამიც ვერ შემოგთავაზოთ), მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ შემწევს უნარი, ჩემს ქვეყანას უანგაროდ ვემსახურო... თქვენ, რომლებმაც „ქართული ოცნების“ სახელითა და შესაძლებლობებით წარმატებებს მიაღწიეთ (არ დატოვეთ თავის დროზე პოლიტიკური სიმაღლეები ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გამო, რისთვისაც, მე, გავემიჯნე ჩემს თანამებრძოლ გუნდს) რამ გაგამწარათ და, რამ გადაგაწყვეტინათ, ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა? იმის ნაცვლად, 2012 წლის მონაპოვარი არ გაიფანტოს, არ ისარგებლოს შიდა მტრებმა და ქვეყანა კვლავ კატასტროფის წინაშე დააყენოს - შევინარჩუნოთ და განვაახლოთ დაწყებული ბრძოლა და მოვიპოვოთ გამარჯვება ერთობლივი ფორმატით (არ აქვს მნიშვნელობა, პოლიტიკური დივიდენდები იქნება თუ - არა), ისევ პირად წარმატებებზე ორიენტირებთ?.. დამიჯერეთ, ისტორიულად გადამწყვეტი, საბედისწერო ჟამი უდგას საქართველოს და, თალგამს რაც მეტად გავწევთ სხვადასხვა მხარეს, მით მეტად დავასახიჩრებთ, ისედაც ხეიბარ საქართველოს!...

facebook



**ირინა სარიშვილი:**

მინდა მოგმართოთ ყველას, ვინც ამ ხელისუფლების დაცვის მიზნით პირველ არხზე დღევანდელი გადაცემის ჟურნალისტს აგინებს და ივანიშვილს გულაჩუყებული აქებს: თქვენ, ვინც მოუმზადებელს და უინტელექტოს სალომე ასათიანს უწოდებთ, არც ისეთი უგუნურები ხართ, რომ ვერ ხვდებოდეთ, რომ ყველაფერი პირიქითაა... თქვენი დღევანდელი რეაქციით კიდევ ერთხელ დასტურდება რომ დასკვნების გამოტანაში გონება კი არა შიში გმართავთ, შიში რომელიც გონებას გიბნელებთ! ეს არის შიში მომავალი, ახალი საქართველოსი, სადაც თქვენ საკუთარ ადგილს და ფუნქციას ვერ ხედავთ და ამის გამო მზად ხართ საკუთარ შვილებს, მათ შორის სალომე ასათიანს ტანკით გადაუაროთ! მესმის, რომ ძალიან აქტიურ ასაკში დარჩით უფუნქციოდ ,მაგრამ ეგებ ცოტა სხვანაირად შეხედოთ ყველაფერს! ეგებ მიხვდეთ რომ მომავალი ჩვენი შვილებისაა და თუ მათ გავყვებით და გადავყვებით ახალ საქართველოში, ჩვენც კარგად ვიქნებით და ჩვენი შვილებიც! ყველას, ვისაც შვილები გვიყვარს არა როგორც საკუთარი ამბიციების მომსახურე პერსონალი, არამედ როგორც ჩვენი მომავალი თაობა, გთხოვთ: შეჩერდით!!! არ გინდათ ქაოსი!!! არ ღირს შვილების დაკარგვა ამ ქაოსის გამო! დამიჯერეთ: ბევრად კარგად იგრძნობთ თავს თუ შვილების გვერდით დადგებით და არა გადაეღობებით მათ და ისევ უკან, ქაოსისკენ არ დაუწყებთ ქაჩვას! მომავალი ჩვენი შვილებისაა! ჩვენ მომავალში ჩვენი შვილების გვერდით დგომით მოვხვდებით მხოლოდ! თუ სხვა რამეს ვერ ხვდებით, შვილები ხომ მაინც გიყვართ?! სალომე ასათიანი ჩემი და თქვენი შვილია, რომელმაც დაასამარა დღეს ბიძინა ივანიშვილი როგორც ასეთი! ეს არის ჩვენი მომავალი თაობა — ამაყი, ნამდვილი, საკუთარი და არა ჩვენი შეცდომებით! თქვენც ხომ მშვენივრად ხვდებით ამას! დავუდგეთ გვერდით ჩვენ შვილებს! ისინი მართლები არიან და ჩვენზე ბევრად მაგრები! არ ღირს გაპოლიტიკოსებული მანიაკების გამო ქაოსში დარჩენა! გთხოვთ!!!

Facebook ამბები

facebook



**მალხაზ თოფურია:**

მაყვალა კორდინატორს მიუკაკენე მორიდებით, (მძიმე დღეები აქ საბრალოს) ვიფიქრე რამით ვანუგეშებ ამ საცოდავს, უკრაინელები უჯიშო რუსები არიანო ამტკიცებს, არა და ცოტა ხნის წინ კიოდა მეც უკრაინა ვარო.....დასაცინად მოხვედი? ისეთი საბრალო და განადგურებული ხმით მკითხა და გამიღო კარი გული მომიკვდა....არა მაყვალა ძალო იმის სათქმელად მოვედი, რომ ღირსეული მეტოქე ბძანდებოდით ნაციონალები, თქვენ კი არა აგერ, კართაგენი დაეცა, რომის იმპერია დაეცა, აცტეკების და მაიას ცივილიზაცია გაქრა, შუმერები აორთქლდენ, კონსტანტინოპოლი დაეცა, ნაპოლეონი და გიტლერი.....თუ დასაცინად არ მოხვედი ზარი რატომ არ დარეკე? ძაან რთულია ნაციონალის ლოგიკას ჩაწვდე, მით უმეტეს განადგურებულის, (მანამდე სულ ყოველდღე პრაზნიკები ქონდათ ამ ჩემისებს, წაგებული ომიც კი უხაროდათ და თვეში ერთხელ ხელისუფლებაშიც ბრუნდებოდენ) და რა მნიშვნელი აქ...? მეგონა გოგა ხაჩიძეს აჯავრებდი და ჩემ კარებზე აბარაბანებდი!, არა მაყვალა დეიდა ეგ რამ გაფიქრებინათ, პირიქით გასამხნევებლად მოვედი..... რა გვაქვს კიდე რამე შანსი? შანსი არა ვირის თავფეხი, უბრალოდ თანაგრძნობა მინდოდა გამომეხატა..... ვაიიი....... ისეთი აღრიალდა ვიფიქრე მთელი სამაყვალეთი, ტიტანიკზე უზის და იხრჩობიანო, მოღალატეებმა დაგვღუპეეეს! ჩამეხუტა და ისე გააგრძელოა მოთქმა....აბა აბა! ავყევი მეც, ვეღარასდროს დაბრუნდება მიშააა!!, ვერა ვერაა....ბანი მივეცი მეც და ვიგძენი კურცხალი, როგორ მომაწვა თვალზე, კუბლაშვილებმა არ გაიხარონ, მაგ ცალ ცალი კალოშით ჩამოთრეულმა მათხოვრებმა....არ გაიხარონ არააა (( უკვე ცრემლებში გადამივიდა მეც....ის სასიკტილე ჯაფარიძე მანახა ცოცხგაყრილი....აქანდაზიანად! (უფრო დავამძიმე მაყვალას წყევლა) გოგა ხაჩიძე ეგ ტაკიმასხარა ეგააა....ვაშაძე ეგ თახსირი არარაობაა..... აბა აბა რა გონდომებს ებარა ქვეყანა, .. მხარი აუბი ბოლომდე სტოპ!! არადამიანური ხმით იწივლა მაყვალა ძალომ.....რა იყო? დავიბენი.... ჩვენ ვიყავით გონდომები? აბა რა ჩემი ნუგზარიკოები იყავით? კითხვას კითხვა შევაგებე! აბა აქ დამელოდე და შევარდა ცოცხისთვის....წადი შენი ნაცისტი დედაც.... მივაგინე და მოვხიე ! ღმერთი რჯული გულწრფელად მინდოდა დამემშვიდებინა...)))

---

facebook




**თამაზ ჭეიშვილი:**

ბრთხილად ერო და ბერო! ხალხნო და ჯამაათნო,რა ჩემი შეხსენება გინდათ,დარწმუნებული ვარ უჩემოდაც იცით,მგრამ „გამეორება ცოდნის დედა არისო„. სხვადასხვა ნილბებით სიფათდამშვენებულ - შენილბული, ,,იუნგერ ზონდერ ცაიტუნგებათ,, დაყოფილი,ახალ პარტიებსა და პოლიტდაჯგუფებებში შემძვრალი ,,ნანაციონალური,, ვირთხები რევანშისთვის ემზადებიან! ბიბლია გვასწავლის - „სატანა ნებისმიერი სახით მოგვევლინება! გარდა ჯვრისა. სატანას ჟვრის ეშინია,,! დროა გავარჩიოთ სატანა ანგელოზისგან! ღმერთმა ნუ ქნას,ამ ახალგამოჩეკილმა პარტიებმა პარლამენტში შეაღწიონ! თუ ეს მოხდა , პარლამენტშივე გაერთიანდებიან უმრავლესობად და მოგვევლინება„ნაციონალური მოძრაობა-2,, ოღონდ გავეშებული,გაცოფებული და რევანშისტულად განწყობილი! აი,მაშინ ა მოგონილი იქნება ეჯოვის, იაგოდას და კალიგულას ხუშტურები, „ახალი ნაციონალები„ სისხლის კალოს მოგვიწყობენ! თქვენ ძალიანაც კარგად იცით ვინც არიან „რევ ა ნ შ ი ს ტ უ ლ ი ძალები,ცხვრის ქურქით რომ ცდილობენ შენილბვას,,! დაგიჩოქებთ, გევედრებით, უეჭველად მიდით 8 ოქტომბერს არჩევნებზე, ახელილი თვალებით და საღი ი გონებით მიდით! არ გინდათ არც ერთი პ ა რ ტ ი ა ? გ ა დ ა შ ა ლ ე თ ყველა,ოღონდ თქვენ კუთვნილ ბიულეტენს მტერს ხელში ნუ ჩაუგდებთ!!

---

*ოცდამეორე გვერდიდან*

სალომე ასათიანი: „არა, კითხვას არ პასუხობთ...“

ბიძინა ივანიშვილი: (ბრაზობს) „ეს კითხვა ხუთჯერ გაიმეორეთ და პასუხს არ ელოდებით და როგორ მოვიქცე?

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, გისმენთ...“

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, თუ გინდათ პასუხი ჩამოვაყალიბო, უკვე მეხუთედ ერთი და იგივეს იმეორებთ, რომ წავედი თუ არ წავედი და... გიხსნით ამ პროცესს საერთოდ, მინდა, რომ მაყურებელსაც შევახსენო ძალიან კარგად... (აგრძელებს) უპრეცენდენტო რამ მოხდა მსოფლიოში და ამაზე აქცენტს არავინ არ აკეთებს და მათ რიცხვში თქვენც არ გაინტერესებთ თუ როგორ მოხდა, რომ მოვედი, გადავალაგე, ზუსტად რაც ვთქვი და ზუსტად იმ დროის შუალედში, რაც დავასახელე, 2-დან 3 წელს შორის, ზუსტად ორწელიწადნახევარში გადავდექი ჩემი სურვილით, ხელისუფლების ზენიტში მყოფი პიროვნება... და გუნდი, რომელიც მე მოვიყვანე, რა თქმა უნდა ჩემ პრინციპებს იზიარებდნენ და მათთან საუბარი მე დასაწყისშივე მქონდა, სანამ მოვიდოდით და ხელისუფლებას ავიღებდით. მათ რიცხვში ღარიბაშვილი აქტიურად მუშაობდა ოპოზიციაში ყოფნის დროს და ძალიან კარგად იცოდა ის ფასეულობები, რასაც მე პატივს ვცემდი. აი, რა კარგად გცემთ პასუხს... ამიტომ, სულაც არ არის გასაოცარი, როდესაც მან იმოღვაწევა გარკვეული დრო, შეასრულა ძალიან ბევრი ფუნქციები, რაც შეეძლო გააკეთა და თვითონ დასვა რამდენჯერმე კითხვა, – ხომ არ არის დრო, რომ მეც წავიდე, გაემეორებინა ის, რაც მე გავაკეთე, რაც მე დავაფუძნე ქართულ პოლიტიკაში და არა მარტო ქართულ პოლიტიკაში...

სალომე ასათიანი: (ნიშნისმოგების ღიმილით) „ღარიბაშვილი აღარ წერს წერილებს, არ იღებს მონაწილეობას...“

ბიძინა ივანიშვილი: (აწყვეტინებს) „დამაცადეთ, დავასაბუთო ის, რაც შემეკითხეთ... ხუთჯერ მოგიწიათ შეკითხვის დასმა და ვერაფრით ბოლომდე ვერ ჩავედი, მე გისაბუთებთ როგორ წავედი და რატომ წავიდა ღარიბაშვილი... თქვენ კითხვა დამისვით. ღარიბაშვილი ვაიძულე და ისეთი ტონალობა იგრძნობა, თითქოს, რაღაც ბერკეტებით მე ვაიძულე, ეს ბერკეტი გახლდათ სწორედ ჩემი პრინციპი ცხოვრებისეული და ის, რაც შემოვიტანე მე პოლიტიკაში... ის, რაც ძალიან სჭირდებოდა ქართულ პოლიტიკას, ახალგაზრდა პოლიტიკას და გამოუცდელ პოლიტიკას, რომ მოდიოდნენ და წასვლა აღარ უნდოდათ, წასვლის სურვილი აღარავის არ გააჩნდა მათ რიცხვში, ბოლო პრეზიდენტი როგორც იქცეოდა, როგორც ცვლიდა კონსტიტუციას, ეს მე დავაფუძნე და ამ თამასას პატივს სცემენ ჩემი გუნდის წევრები დღესაც და ღარიბაშვილს ეს კითხვა პირველად არ დაუსვამს, მაშინ, როდესაც გადადგა ის, ამას მუდმივად, წელიწადი არ გავიდოდა, ან ექვსი თვე, შევხვდებდი და შემეკითხებოდა, ხომ არ არის, ბატონო ბიძინა, ჩემი წასვლის დროც, თქვენ წახვედით ღირსეულად, ძალიან ვაფასებთ, ძალიან უყვარხართ ხალხს, ძალიან მოეწონათ თქვენი ნაბიჯები, ხომ არ არის დრო, რომ მეც გადავდგა შესატყვისი... ეს ადრეც დაუსვამს კითხვები, მე ჩემს აზრს გამოვთქვამდი ყოველთვის, შეიძლება ადრეც ვუთხარი წახვიდე, ან ეხლაც ვურჩიე არ წახვიდე პრინციპულად, ხომ არ ჯობია უფრო გვიან... არ ყოფილა იქ ჩემი პრინციპული პოზიცია, რომ გინდა თუ არა, ხუთ წუთში როგორმე ეხლა გადადექი...

სალომე ასათიანი: „გასაგებია...“

ბიძინა ივანიშვილი: (კმაყოფილი სახით) „აი, ნახეთ, რა კარგად აგიხსენით... ვაფასებდით ერთდროულად, ის თამასა, რაც მე შემოვიტანე, ის სიმაღლეები, რაც პოლიტიკაში დავსახე, ის თამაშის წესები... რა თქმა უნდა გუნდის წევრები მას პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ...“

სალომე ასათიანი: „ანუ თქვენ თვლით, რომ თქვენ ისევე წახვედით პოლიტიკიდან, როგორც ღარიბაშვილი?..“

ბიძინა ივანიშვილი: (ხმას უწევს, ჟურნალისტის კითხვა რომ გადაფაროს) შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ, თუ მე არ დამრჩებოდა ის წონა ჩემი და სიმძლავრე ჩემი არის მხოლოდ ჩემდამი ხალხის დამოკიდებულებით... დამოკიდებულებაში და არა სხვაში, რომ ფული გამაჩნია და არა სხვა რაღაცა და კარგი ოჯახი მაქვს...“

სალომე ასათიანი: „ეხლა ხომ შეიძლება გკითხოთ?.. თუ...“

ბიძინა ივანიშვილი: „ეხლა ვასრულებ... (არ აცდის და აგრძელებს) ღარიბაშვილი სწორედ ამ პრინციპით ღარიბაშვილმა გადაამოწმა კიდევ ერთჯერ, გადავაფასეთ კიდევ ერთჯერმოვლენები, რომელიც მოხდა მისი პრემიერობის დროს, ხოდა მე ვთქვი, რომ იქნებ, ცუდი არ იყოს...

სალომე ასათიანი: „გასაგებია... ეხლა რატომ აპირებთ ჩართვას წინასაარჩევნო კამპანიაში, თუ წახვედით პოლიტიკიდან?“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენც უნდა ჩაერთოთ წინასაარჩევნო პოლიტიკაში... ყველა ქართველს და ყველა მოქალაქეს...“

სალომე ასათიანი: „არა... თქვენ კონკრეტული ძალის საარჩევნო კამპანიაში, ხომ „ქართული ოცნების“...

ბიძინა ივანიშვილი: „რას ნიშნავს „კონკრეტული ძალის საარჩევნო კამპანიაში“? ყველა მოქალაქეს აქვს ვალდებულება და ძალიან ვთხოვ, ვინც მისმენს, ყურადღებით გაითავისოს ეს ყველაფერი, რომ სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, ვისაც უყვარს თავის ქვეყანა, ვინც პატივს სცემს მოქალაქეობას ჩვენი ქვეყნის, მას უნდა ჰქონდეს ყველაზე მინიმალური პასუხისმგებლობის განცდა, რომ ამ პროცესში მიიღოს მონაწილეობა, იმდენად, რამდენადაც შეუძლია თვითეულს... ყველაზე მინიმალური თვითეულმა მოქალაქემ ყველაზე ცოტა, რაც უნდა გააკეთოს, მოახერხოს და გაანალიზოს პროცესები, შეხედოს იმ ძალებს, ვინც აპირებენ პოლიტიკაში მოსვლას, გააკეთოს ანალიზი და ყუთთან მივიდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს, თავის არჩევანი გააკეთოს და არა, ივანიშვილის... ყველას ჰგონია, რომ რატომღაც ივანიშვილს უნდა და ივანიშვილისაა ეს ქვეყანა... ყველა მოქალაქისაა თანაბრად, არაფერს არ ველოდები ამ არჩევნებისგან მეტს, რაც თვითეული მოქალაქე... ნებისმიერი მოქალაქე თავისი უფლებებით, უნდა გაითავისონ ეს პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ამ პროცესში უნდა მიიღონ მონაწილეობა, მათ უნდა აირჩიონ ისეთი მთავრობა, რომელიც მათ სურვილებს გაითვალისწინებს და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს, აი, ესეთი მოქალაქე გახლავართ მეც... აი, კითხვის ნიშანი ჩნდება სულ და რაც თქვენ გაგაჩნიათ ეხლა და მაგას გავუსვამ ხაზს, რომ მე, როგორც თქვენ ჩამოთვალეთ დასაწყისში, რომ გამაჩნია ვთქვათ, რაღაც ასეთი ფინანსები, კიდევ გამაჩნია ჩემი წარსული, კიდევ რაღაც გამიკეთებია და ეს შემდგომ, მაქვს გარკვეული გავლენა... ეს გავლენა, კიდევ ერთჯერ შეგახსენებთ, ეს ჩემი გავლენაა, მხოლოდ ერთ რამეში ვხურდავდები, ესე ვთქვათ, რომ ეს არის ხალხის ნდობა... შესაბამისად, ის, რომ მე პარტიას მხარს დავუჭერ, დავუჭერ იმ ძალას მხარს, რომელიც მგონია, რომ ქვეყანას პროგრესისკენ წაიყვანს, ანდა სწორი მიმართულებით განავითარებს, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, მე ამის უფლება მაქვს და არაფერს არ ვაჭარბებ... მაგრამ ის, რომ მე ძალაუფლება გამაჩნია და ეს აშფოთებს ძალიან ბევრ ოპონენტს, თქვენც კითხვას ვერ შორდებით, რა ვქნა ეხლა, რა ვუყო ეხლა ამ ძალაუფლებას, როგორ მოვიქცე?..

> **„ალია“:**
>
> **ბიძინა ივანიშვილის ძალაუფლება ხალხის ნდობას ეფუძნება თუ არა, ეს უკვე ვთქვი და აღარ გავიმეორებ. თუმცა, რა უნდა უყოს ამ ძალაუფლებას, ამას კი ვიტყვი — უნდა დათმოს ბიძინა ივანიშვილმა ეს ძალაუფლება, უნდა მოეშვას კულუარებიდან ქვეყნის მართვას, მიხედოს თავის პარტიას — „ქართული ოცნება — დემოკრატიულ საქართველოს“ და რა უფლებასაც პარტიის თანადამფუძნებლისა და მთავარი დამფინანსებლის სტატუტი აძლევს, იმ დოზით ჩაერიოს პარტიის მართვაში. სახელისუფლებო ბერკეტები კი აუცილებლად უნდა დათმოს. დემოკრატიულად ასეა და ავტოკრატიულად ზუსტად ისე, ივანიშვილი რომ იქცევა.**

სალომე ასათიანი: „მოვშორდებით მაგ კითხვას, სხვა ბევრი საკითხიც გვაქვს, მაგრამ კიდევ ერთი რამ... ბევრს გაუჩნდა ეს კითხვა, ძალიან მოცულობით წერილში, სადაც აფასებთ ამ განვლილ ოთხწელიწადნახევარს, არ ახსენებთ თქვენ ირაკლი ღარიბაშვილს, ახსენებთ ძალიან ბევრჯერ სააკაშვილს, კვირიკაშვილს...“

ბიძინა ივანიშვილი: (გაკვირვებით) „არც სხვებს არავის ვახსენებ მე...“

სალომე ასათიანი: „როგორ არ ახსენებთ?!.. (იღიმის) სააკაშვილი ძალიან ბევრჯერ ახსენეთ...

ბიძინა ივანიშვილი: „კვირიკაშვილი ერთჯერ ვახსენე მხოლოდ, როდესაც... გუნდიც ერთჯერ ვახსენე, თქვენ წარმოიდგინეთ... „ქართული ოცნება“, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროთ, მხოლოდ ერთჯერ ვახსენე...

სალომე ასათიანი: „ხომ მაგრამ, ის ხომ მთავრობას ხელმძღვანელობდა იმ პერიოდში, რომელ პერიოდსაც თქვენ აღწერთ ამ წერილში... და ის საერთოდ არ არის ნახსენები, მაშინ, როცა ძალიან ბევრჯერ, ათჯერ, თუ მეტჯერ არის, მიხეილ სააკაშვილი ნახსენები...“

ბიძინა ივანიშვილი: „აგიხსნით, ეს ძალიან მარტივი გასაგებია... ეს იყო ის გუნდი, რომელიც მართავდა მანამდე, სანამ ჩვენ მოვიდოდით, ჩემის ხელმძღვანელობით და ღარიბაშვილიც ჩვენი გუნდის წევრი იყო, ეს ნორმალური პროცესია, ეს მახსოვს, მეტრეველმა დასვა კიდევ რაღაც მსგავსი გაუგებარი შეკითხვა, რომ ეს იყოო, სულო? ისო ნაციონალებს იხსენებსო... როდესაც ანალიზს აკეთებს პოლიტიკოსი... და თუნდაც არაპოლიტიკოსი, ბიზნესმენი, ან სხვა ვინმე, ის პერიოდებს აუცილებლად ედარება, სხვას რას უნდა შეედაროს, უნდა შეადაროს წინა პერიოდს, რა იყო და რა არის დღეს და რას აპირებ ხვალ... ეს მარტივი ანალიზის ფორმულაა, შესაბამისად, მინდოდა თუ არ მინდოდა, უნდა წინა პერიოდი გამეხსენებინა და იმასთან შედარებით, რა გავაკეთეთ და რა ხდება დღეს და რა გვინდა გავაკეთოთ ხვალ... ამიტომ, ძალიან მარტივი პასუხია, მე უნდა მეხსენებინა აუცილებლად „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს რა გვქონდა სიტუაცია, რა გადავიბარეთ ჩვენ და იმის შემდგომ, რა გავაკეთეთ...

> **„ალია“**
>
> **უკვე დავიღალეთ იმის შეხსენებით, რა საშინელი ქვეყანა გადაიბარა ბიძინა ივანიშვილმა, დავიღალეთ „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ მმართველობის სტილის შედარებით. გავიგეთ, რომ სააკაშვილი და „ნაციონალები“ არ ვარგოდნენ, ისიც ვიცით უკვე, რომ ახლა ციხეებში „დუბინკით“ თუ „უდუბინკოდ“ აღარ აუპატიურებენ ხალხს. თქვენ და თქვენმა „ქართულმა ოცნებამ“ კი ის გააკეთეთ, რომ ბევრს მონატრეთ „ნაციონალები“. ეს სწორედ იმის გამო ხდება, რაც თქვენ გააკეთეთ. რა გააკეთეთ? ხალხს მთავარი დაპირება არ შეუსრულეთ, სამართლიანობა არ აღადგინეთ**

გაგრძელება გვ. 32

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



# „დღეს შეიძლება გაამართლო ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც მთელი სახელმწიფო სტრუქტურაა მოწოდებული, რომ დასაჯოს“

**„ყველა მებრძოლი ადვოკატი დღეს უფრო შემოსავლიანია, რადგან წინა წლებისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ადვოკატებს დღეს უკვე გვაქვს შედეგი“**



ადვოკატობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესიაა, რადგან კანონის ჩარჩოებში, სამართლებრივი კუთხით გიწევს არაერთი ადამიანის დაცვა, მათი უდანაშაულობის დამტკიცება, რომ პატიმრობა აარიდო. ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი პროფესიით ადვოკატი, „საქართველოს ადვოკატთა გაერთიანების“ დირექტორი ტარიელ კაკაბაძეა:

**— რატომ და როდის აირჩიეთ საადვოკატო საქმიანობა?**

– ბავშვობიდან მსურდა, ადვოკატი ვყოფილიყავი, რადგან პატარაობიდანვე ყველაზე მეტად რაც მძულდა და რაც ჩემზე უარყოფითად მოქმედებდა, იყო ადამიანების დაჩაგვრა... სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო მთელ თავის ძალაუფლებას ბოროტად იყენებს ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც არ ჰყავთ დამცველი, არ ჰყავთ პატრონი და მფარველი... იშვიათად შემხვედრია სისხლის სამართლის საქმე, სადაც სახელმწიფო თავის უზარმაზარ ძალაუფლებას, უზარმაზარ გავლენას უარყოფითად არ იყენებდეს პიროვნების წინააღმდეგ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ავირჩიე ადვოკატობა, რადგან აქ ვხედავ ყველაზე მეტად ჩემს როლს სწორედ დაჩაგრული ადამიანის დასაცავად.

**— იურიდიული განათლება საქართველოში მიიღეთ?**

– სხვათა შორის, სკოლა დავამთავრე საქართველოში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ვცხოვრობდი ძალიან ცნობილ ამერიკელ იურისტთან, ადვოკატთან, ბატონ მარკ კობთან, რომელთანაც გავიარე საკმაოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკა და ჩემი პირველი ნაბიჯები, როგორც დამწყებმა იურისტმა, სწორედ ამ ადამიანთან ერთად გადავდგი. ძალიან ბევრ კონფერენციაში, მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებში მივიღე მონაწილეობა, რაც შემდეგ საქართველოში ძალიან დამეხმარა. დამთავრებული მაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, რამდენიმე წლის განმავლობაში ვატარებდი ლექციებს, უცხოელ სტუდენტებს სამართალს ვასწავლიდი, დღეს კი 100 პროცენტით ვახორციელებ საადვოკატო საქმიანობას, თუმცა პერიოდულად ვატარებ ტრენინგებსა და საჯარო ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

**— თქვენი შეფასება მაინტერესებს: რა არის ადვოკატობა?**

– ადვოკატობა, ჩემი აზრით, არის უნიკალური პროფესია, მას აქვს ძალიან ბევრი ისეთი პლუსი, რომელიც სხვა პროფესიებს ნაკლებად აქვთ. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პლუსი: ადვოკატობა ძალიან დიდ თავისუფლებას განიჭებს, შენ არ ხარ დამოკიდებული შენზე ზემდგომ ადამიანზე, უფროსზე და არ ხარ ვალდებული, ვიღაცის მითითება რაღაცის სანაცვლოდ შეასრულო – შენ შენი მორალური პრინციპებისა და კანონის ჩარჩოებში შეგიძლია განახორციელო ნებისმიერი ქმედება, შეგიძლია თავად აარჩიო, ვისი ინტერესები უნდა დაიცვა და თავად დასახო სტრატეგია, როგორ დაიცვა პიროვნება. არის შემთხვევები, როდესაც მოგმართავენ ადამიანები, რომელთა ინტერესების დაცვაც არ გსურს და გაქვს საშუალება, უარი უთხრა, მაგრამ შენ ასევე შეგიძლია აარჩიო ისეთი კონკრეტული პიროვნება, რომელსაც აუცილებლად და თან დიდი სიამოვნებით დაეხმარები. საერთოდ, ყველა პროფესია პატივსაცემია, მაგრამ სხვა პროფესიებისგან – მაგალითად, მოსამართლისგან, პროკურორის პროფესიისგან განსხვავებით, შენ გაქვს არჩევანის თავისუფლება.

პირადად მე, ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმ ადამიანის პიროვნებას, ხშირ შემთხვევაში მისი ოჯახის წევრების პიროვნულობასაც, ვინც უნდა დავიცვა. თუ მე ვგრძნობ, რომ ადამიანი უდანაშაულოა, რომ ეს ადამიანი არის ღირსი, იყოს დაცული, თავისუფალი და თუ ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი არ არის საზოგადოებისთვის საფრთხე, რა თქმა უნდა, მე მას აუცილებლად დავიცავ.

**— საქართველოში რამდენად რთულია საადვოკატო საქმიანობა?**

– საბედნიეროდ, უნდა აღვნიშნო, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ადვოკატობა დღეს საქართველოში არის დაფასებული პროფესია. რა თქმა უნდა, ისეთი დაფასებული არა, როგორც ევროპულ ქვეყნებში და დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოებში, მაგრამ იმაზე დაფასებულია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ოდესმე ყოფილა. დღეს თუ ადვოკატი რეალურად იბრძვის, აქვს ცოდნა, არის შეუპოვარი, ის შეძლებს დაჩაგრული ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვას, რომ მას აარიდოს უკანონო პატიმრობა.

**— თქვენი შემოსავალი როგორია?**

– რა თქმა უნდა, კონკრეტულ ციფრებს ვერ დაგისახელებთ ახლა, მაგრამ გეტყვით, რომ დღეს შემოსავალი არის უკეთესი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ყველა მებრძოლი ადვოკატი დღეს უფრო შემოსავლიანია, რადგან წინა წლებისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ადვოკატებს დღეს უკვე შედეგი გვაქვს.

**— ყველაზე გამორჩეული საქმე რომელი გახსენდებათ ახლა?**

– თქვენც კარგად იცით, რომ სხვადასხვა პერიოდებში ბევრი გამამართლებელი განაჩენი მქონია და იცით, როგორ არის? პარალელს გავავლებ: როგორც შვილებს ვერ გამოარჩევ ერთმანეთისგან, ასეა აქაც – ყველა ჩემი მოგებული საქმე მიყვარს, ვამაყობ და ერთმანეთისგან ვერ გამოვარჩევ (იღიმის). თუმცა ძალიან ბევრ მძიმე საქმეს გაუვლია ჩემს ხელში, მქონია სამოხელეო დანაშაული, რომელშიც ყოფილი მაღალჩინოსანი გავამართლე. ასევე, პოლიციის წინააღმდეგობის საქმეში, ჯგუფურ ბრალდებაში გავამართლე; ყაჩაღობაში ბრალდებულის საქმეში, სადაც ბრალდების მხარე მოწმეებს სასტიკად მოექცა და უდანაშაულო ადამიანზე დაადებინა ხელი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**— თქვენ ძალიან დაკავებული სამუშაო გრაფიკი გაქვთ, ოჯახისთვის როგორ იცლით?**

– მართლაც, ძალიან ხშირ შემთხვევაში, 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობ, ჩემთვის არ არსებობს შაბათ-კვირა, „უიქენდები“... ხშირად ჩემი მეგობრები, რომლებიც საჯარო სამსახურებში არიან დასაქმებულები, აღნიშნავენ – ადვოკატებს რა უჭირთ, მათ ისეთი პროფესია აქვთ, რომ თავისუფლად შეუძლიათ, დაალაგონ თავიანთი გრაფიკიო. რეალურად კი, მე გაცილებით უფრო მეტ დროს ვატარებ მუშაობაში, ვიდრე იგივე საჯარო სფეროში მომუშავე ადამიანები, რომლებიც საღამოს 6-7 ან თუნდაც 11 საათის მერე მაინც მიდიან სახლში და ისვენებენ. მე კი, ხშირ შემთხვევაში, ღამის გათენება მიწევს, რომ სასამართლო პროცესებისთვის მოვემზადო, რომელიც ხანდახან დღეში 4-5 მაქვს. ამის გამო, არამარტო ოჯახის წევრები, მეგობრებიც ხშირად მსაყვედურობენ, რომ მათთვის ვერ ვიცლი.

**— ორიოდე სიტყვით პოლიტიკაზეც ვისაუბროთ...**

– ერთს ვიტყვი: დღევანდელ სიტუაციაში იურისპრუდენციის, კონკრეტულად კი სისხლის სამართლის კუთხით, ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უკეთესი დროა, ვიდრე წინა ხელისუფლებების პერიოდში. დღეს შეიძლება გაამართლო ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც მთელი სახელმწიფო სტრუქტურაა მოწოდებული, რომ დასაჯოს.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**ირაკლი ზაქარეიშვილი:**

**არისტოტელე: "ხშირად ადამიანები სიკეთეს ანგარებით აკეთებენ, რათა მისგან დავალებული ამყოფონ ადამიანი და "სიკეთით" გამოიჭირონ... მათ სურთ გავლენის ქვეშ მოაქციონ ისინი და თავს მოახვიონ საკუთარი ნება. ანგარებით მაკეთენელნი იქვე ელიან ამ საზღაურს და თუკი "სიკეთის გუდაში" ჩამწყვდეულმა გათავისუფლება მოინდომა, წინააღმდეგობა გასწია — უმალვე უმადურებაში და სიბილწეში იქნება დადანაშაულებული თავისი "კეთილის მქნელისაგან"... სიკეთისა და მოყვასისადმი ამგვარი დამოკიდებულება შეზღუდული აზროვნების, ამპარტავნებისა და ბოროტი ნაკლოვანებების მიმანიშნებელია."**



facebook




**ცოტნე გამსახურდია:**

**ბავშვები გაიყვანეთ, უზრდელობები უნდა ვთქვა:**

**ყველა იმ ადამიანს მოუტყან გამზრდელ-მშობელი, ვინც სხვის ფიზიკურ ნაკლზე აპელირებს, როცა სათქმელი სხვა აღარ დარჩენია! სალომე ასათიანი საკუთარი ერთი თვალით გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე თქვენ - ორით, და გონებით. აი, მამათქვენებს რომ უკეთ ეყურებინათ, სად ყოფდნენ, ეგება ასეთები არ გამოსულიყავით!**

facebook



**მეგი გოცირიძე:**

**ყოველივე ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე მოვითხოვ , დაუყოვნებლივ მიეცეს ივანიშვილის დასმული პლასტელინის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში !**

**ივანიშვილს კი აეკრძალოს მიხეილ სააკაშვილის ხსენება!**

**მარგველაშვილმა, განზრახ მკვლელობის მუხლითა და მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებული პატიმრები შეწყალა .**

**საკუთარ ცოლის ძმას მისჯიდან 2 წელიწადში 17 წლიანი სასჯელი მოუხსნა და შეიწყალა.**

**მაკა ჩიჩუას ძმა ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის იხდიდა სასჯელს.**

**გარდა ამისა, მარგველაშვილმა შეიწყალა გიორგი ოქროპირიძეც, რომელიც 19 წლის ლევან თალაკვაძის განზრახ მკვლელობისათვის იჯდა ციხეში. მარგველაშვილის მიერ ოქროპირიძის შეწყალების შემდეგ (სასჯელის განახევრება), ის "უდოთი" გამოვიდა და მალევე მორიგი მკვლელობაც ჩაიდინა - 27 წლის ლაშა მახარაძე მოკლა.**

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

Facebook ამბები



**ირაკლი გოგავა:**

ეს ვინ ჩამოუყვანიათ?! "ძვირფასი" რობერტ ვექსლერი - ყოფილი კონგრესმენი ფლორიდიდან. მხილებული იქნა ფულის გათეთრებაში, გააყალბა ფინანსური დოკუმენტები და მოუწია კონგრესის დატოვება. გადავიდა ენჯეოში, რომელიც არბულ-ებრაულ ურთიეთობებზე მუშაობს. და კიდევ: ვექსლერი გადასახადებს უმალავდა აშშ-ს მთავრობას. ფიქტიური რეგისტრაცია გაიარა სიდედრის სახლში ფლორიდაში, ვითომ იქ ცხოვრობდა. რეალურად კი მერილენდში და ვაშინგტონში იყო. ეს იმიტომ, რომ ფლორიდის რეგისტრაციით გადასახადებს გაცილებით ნაკლებს იხდი ამერიკაში. რამდენი ჩაურიცხა ნეტავ პატივცემულ ვექსლერს თემურ იაკობაშვილმა(იგულისხმე სააკაშვილი) აქ ჩამოსვლისთვის? P.S. გვახსოვდეს ერთი: ნებისმიერი უცხოელი, რომელიც ნაციონალებს მხარს უჭერს მხოლოდ მერკანტილური ინტერესით მოქმედებს. ნორმალური უცხოელი მოღვაწე მათთან კავშირით რეპუტაციას არ შეილახავს. ასეთი განწყობაა აშშ-იც და ევროპაშიც.



**ქეთევან ქარდავა ბრიუსელიდან:**

შეთანხმებამდე ჯერ ვერ მივედით. მიზეზად სიფრთხილის გამოვლენის აუცილებლობა სახელდება და სირიის გამო შექმნილი მიგრაციის პრობლემები!!! საქართველომ ყველაფერი შეასრულა და პასუხს ელის. შეასრულეთ, დააკმაყოფილეთ მოთხოვნები, კრიტერიუმები, კარგები ხართ, მოწინავე, ლიდერები-ვისმენტ ყველა პრესკონფერენციაზე. საკმარისი მაინც არ არის. უკრაინა, კოსოვო გაცილებით რთულ სიტუაციაში არიან. ევროპას განსაკუთრებით76 მილიონიანი თურქეთისტვის გაუჭირდება უვიზოკარის გაღება. ველოდებით მომავალ კვირას!

გიორგი ბარამიძე – ფაქტია პროცესი შეყოვნებულია და ევროკავშირი ვითარებას აკვირდება. ხეგლეჯიას მიერ რუსთავი 2-ის მიტაცების მცდელობა პროცესს ხელს ნამდვილად არ უწყობს, რაზეც ვაფრთხილებდითკიდეც. მთავრობაკი ამას მალავს და პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ივანიშვილის უნიათო მთავრობის მავნებლობის გამო ჩვენი ხალხი, რომელმაც დაიმსახურა უვიზო რეჟიმი, არ დაიჩაგროს!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# „გადმოდგა, ტრაკი გვიჩვენა უილიამსმა რობამა, მაინც ვერ გამოიღვიძა დავითაშვილმა კობამა!..“





**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**



უილიამსი რობინზონ – მომღერალი. როგორც თვითონ თქვა, 7 თვე არ უმღერია და ღელავდა. გადავუხადეთ მილიონები, ტრაკი დაგვანახა და წავიდა. კაი ფული იშოვა. თქვა, საქართველო ძალიან მომეწონა, მაგრები ხართო. ჩვენ რა დაგვრჩა? არაფერი, მხოლოდ სამი თითის კომბინაცია და აშვერილი ტრაკის ფოტოები. არადა, რაც იმას გადავუხადეთ, 5-6 სერიოზულ ფერმას ავაშენებდით, ძროხებს მოვწველიდით და ბავშვებს დავანაყრებდით. არ გინდოდათ რძე და ყველი, მე რა ვქნა, რა გავაკეთო? თუმცა, რაც შემეძლო, გავაკეთე, ლექსი დავწერე:

*„გადმოდგა, ტრაკი გვიჩვენა*
*უილიამსმა რობამა,*
*მაინც ვერ გამოიღვიძა*
*დავითაშვილმა კობამა!*
*მეჭიაურმა დაწყევლა*
*ნატო და ბარაკ ობამა,*
*ხეირი არ მოგვიტანა*
*ჩახუტებამ და ძმობამა!*
*ბიკენტის სალობიედან*
*გუბაზი იწყებს გინებას,*
*მილიონს ველარ შოულობს,*
*ბიძინამ ასე ინება!*
*ჩვენ ვერაფერი გავიგეთ*
*პოლიტიკური მოდისო,*
*თინიკო ღრუბლებს არ ესვრის,*
*კახეთში სეტყვა მოდისო!*
*გადმოდგა, ტრაკი გვიჩვენა*
*უილიამსმა რობამა,*
*გუშინწინ კიდევ დაგვმოძღვრა*
*სუბელიანმა კობამა!*
*ქვეყანა უკვე წალეკა*
*უვიცობამ და ბოდვამა,*
*აღმართში უცებ გვიწია*
*ათასნაირმა ცოდვამა“!*

გაგიკვირდებათ, ჩვენ სულ გენიოსურ რაღაცებს ვაკეთებთ, მაგრამ მაინც ცუდად ვცხოვრობთ. მაგალითად, შეგვიძლია, 29 მილიონი ლარი გამოვყოთ ჩამოწერილი მომღერლების ჩამოსაყვანად და ვამტკიცოთ, რომ ეს განავითარებს ტურიზმს. არა, განა არ ვიცით, რომ აქ ფული კეთდება და უკვე ჩამქრალი ვარსკვლავები მხოლოდ შირმაა? კი, ვიცით, მაგრამ მაფიოზების ერთი ნაწილი თუ ფულს ჭამს, საზოგადოების გაბრიყვებულ-ახუნტრუცებული ნაწილი ტყუილს ჭამს და 300 ლარსაც იხდის 1 ბილეთში. აბა, როგორ, სიმონ, ხომ უნდა განვავითაროთ ტურიზმი კი არა და... მეტრაკეობა?! ერთხელ ცხონებულმა ვახუშტი კოტეტიშვილმა მკაფიო კაფია დაწერა, სულ რაღაც ერთსტროფიანი და ამაში ჩატია თავისი სათქმელ-სადარდებელი:

*„გავიბითურეთ სამშობლო,*
*მართლაც სამოთხის სადარი.*
*სხვა საქართველო კი არა,*
*თვით საქართველო სად არი“?!*

აბა, სად არი? არ არი, მორჩა, გაქრა, უვიცობამ, უნიჭობამ და ყაჩაღობამ შეჭამა. იცით, ამ ბოლო დროს საგონებელში ვარ ჩავარდნილი: ესე იგი, ვაკვირდები და ეს ქვეყანა ყველაზე მატად იმ ადამიანებს ჰკიდიათ ფეხებზე, რომლებსაც სამშობლოზე დარდი სამსახურებრივადაც კი ევალებათ. დიახ, ჩვენ ისინი ავირჩიეთ, თანამდებობებზე დავნიშნეთ, სადავეები ჩავაბარეთ და ხელფასებს ვუხდით იმაში, რომ 24 საათი თუ არა, 8 საათი მაინც საქართველოზე უნდა იდარდონ. არა, ესენი საერთოდ დარდობენ კი არა, არც კი ფიქრობენ – სხედან კაბინეტებში, სვამენ ყავას, იღებენ სელფებს, დებენ ფოტოებს „ფეისბუკზე“ და წერენ პოსტებს: „დღეს ჩემს ნიკუშას დაბადების დღე აქვს, მომილოცეთ“, „დილას გაზზე ლობიო დავადგი და მიიწვა“, „ერთი თვის წინ გარდაიცვალა 98 წლის ბებია, ვინც არ მომისამძიმრა, დავბლოკავ“, „ვერ ვიძინებ, მეზობელი რემონტს აკეთებს“... რაღა ბევრი გავაგრძელო? როგორც ერთი უცნობი პოეტი ამბობს, ამათ, უბრალოდ, იღბალი აქვთ, თანამდებობები ლოტოში მოიგეს, თორემ ადრე ქინძის კონებს ყიდდნენ. რასაკვირველია, „მექინძეს“ ან „მექისეს“ რომ საუფროსო ადგილზე დასვამ, ქვეყანაზე არ იდარდებს, ის შინაგანად მაინც „მექინძედ“ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქინძი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია, გლეხი კაცითვინ მაინც არავინ არ არი:

*„ბევრი ვიცი იღბლიანი,*
*რომ ყიდიდა ქინძის კონებს,*
*ერთხელ ავსებს ლოტოსა და*
*თავქვეშ იდებს მილიონებს.*
*როცა ვრჩები ვაზის მოვლას,*
*საქეიფოდ ვიწვევ ჯონდის,*
*ზუსტად რთველის წინა ღამეს*
*კაკლის სიმსხო სეტყვა მოდის.*
*შევიძინე ფუტკარი და*
*შამპანურით იყო წუწვა...*
*ამ ფუტკარმაც თაფლის ნაცვლად*
*სუნიანი იწყო პრუწვა.*
*სულ ყელში მაქვს წაჭერილი,*
*არ მეღირსა საწყალს შვება...*
*ვისაც კაბა გადავაძრე,*
*ჩემზე ორჯელ დიდი ება.*
*ხან მგონია, კაცთან ვდგავარ,*
*ბოლოს აღმოჩნდება „ლედი“.*
*არაფერში არ მიმართლებს...*
*ასეთია ჩემი ბედი“!*

ეტყობა, ჟამი დაგვიდგა ისეთი, ვერ ავყევით, ვერაფერი გავუგეთ და დავიბენით.

## 6 – 12 ივნისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – პირადი ცხოვრება გპირდებათ, რომ კაშკაშა და დასამახსოვრებელი იქნება, თუმცა რამდენად ხანგრძლივად, ეს უკვე რთული სათქმელია. დიდი ალბათობით, პარტნიორის მინუსები, რომელთაც, როგორც წესი, რთულად ეგუებით, კვლავ იჩენს თავს, რასაც ჩხუბი და ნერვების შლა მოჰყვება. იქნებ შეძლოთ და რაღაც-რაღაცებზე, უბრალოდ, თვალები დახუჭოთ? წინააღმდეგ შემთხვევაში, არცთუ სასიამოვნო ამბებია მოსალოდნელი.

**სამსახური** – მოლაპარაკებებსა და შეთანხმებების გაფორმებაში დიდი წარმატებები გელით.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 ივნისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – მცდელობა, რაიმე ხელახლა წამოიწყოთ, წარმატებით არ დასრულდება. თუ ფიქრობთ, რომ პარტნიორს კვლავაც ისე უყვარხართ, როგორც ურთიერთობის დასაწყისში და თქვენი არანაირი გამოხტომა ნერვებს არ უშლის, ცდებით. მოგიწევთ, ის ხელახლა მოხიბლოთ, რასაც საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდება, ბევრად უფრო მეტად ორიგინალური უნდა იყოთ, ვიდრე წარსულში.

**სამსახური** – თუ წარმატების მიღწევა გსურთ, ჩაატარეთ სარეკლამო კამპანიები და მსგავსი აქციები, რათა თქვენს საქმიანობას გარშემომყოფებმა საჭირო ყურადღება მიაქციონ.

**სასიკეთო დღეები:** 9 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 ივნისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – თუ თავისუფალი ხართ და ახალი ურთიერთობის დაწყებაზე უარს არ იტყვით, პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ იმას, რამდენად მზრუნველია თქვენი პოტენციური პარტნიორი. მაგალითად, ახსოვს თუ არა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში მომხდარა, ცდილობს თუ არა, დაგიცვათ უსიამოვნებებისგან. სხვათა შორის, მოსალოდნელია სამსახურებრივი რომანი, რომლის აფიშირებისგან თავი მაქსიმალურად დიდხანს უნდა შეიკავოთ.

**სამსახური** – კვირა წარმატებულია კარიერული წინსვლისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 11, 12 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 ივნისი.



მაია იასეშვილი
599 94-64-58



# რომელ რიცხვში დაბადებულები არიან უიღბლონი?

**როგორ მივაღწიოთ სასურველ მიზანს და რა არის ჩვენს ბედისწერაში დამნაშავე. გვესაუბრება პარაფსიქოლოგი ნინო ვარსიმაშვილი:**

– საკუთარ თავთან მარტო დარჩენილებმა უნდა გაარკვიონ, საკუთარ თავს ხმამაღლა უნდა ჰკითხოთ, რა გსურთ ყველაზე მეტად. ყველა არ არის განებივრებული სურვილების ასრულებით, ვიღაცას უმართლებს და ვიღაცას – არა. გიფიქრიათ, ვინ არის დამნაშავა, რატომ დაიბადა ვიღაც იღბლიანი და ვიღაც – უიღბლო? ძალიან ცოტამ თუ იცის იმის შესახებ, რომ ადამიანის დაბადების ზოგიერთი რიცხვი მიანიშნებს ცხოვრების გზის შესახებ. ადამიანის ციფრული მონაცემებით პარაფსიქოლოგები და ნუმეროლოგები ვიგებთ, რომ ადამიანი მძიმე კარმით ან საგვარეულო წყევლით მოევლინა ამ ქვეყანას და თუ ის კარმული ტვირთი არ განეიტრალდა, ბედნიერებაზე ფიქრიც არ ღირს, ამიტომაც ვიდრე იმას გაარკვევთ, ჯადო ხომ არ გაქვთ გაკეთებული, საკუთარი დაბადების დღე გაიხსენეთ. ასეთ ციფრებს მიეკუთვნება – 8, 17, 23, 26, 2, 11, 20, 29, 13, 22, 5, 14, 31, 9, 18, 27, 3, 12, 21, 30.

**— რაღა დარჩა?**

– მართალი ბრძანდებით, თითქმის არაფერი. გამოდის, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მძიმე კარმით იბადება, არც ის არის გასაკვირი, იმის გათვალისწინებით, რამდენ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ ცოდვას სჩადის თითქმის ყოველდღე ადამიანი. ამ მძიმე კარმულ დღეებში დაბადებულ ადამიანებს ბედნიერებაში არ გაუმართლებთ, „დაუქორწინებელი გვირგვინის" საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან. და თუ მაინც მოახერხებენ ოჯახის შექმნას, ზოგიერთ მათგანს შვილი არ გაუჩნდება, ან კარიერაში ექნებათ გაუმართლებლობა და პრობლემები.

**— თუ ადამიანი მძიმე კარმით დაიბადა, ამას ასტროლოგებიც იგებენ?**

– რა თქმა უნდა, კარგი ასტროლოგი ნათანური რუკის შედგენის დროს აუცილებლად იგებს, როგორი კარმით დაიბადა ადამიანი, პირადი ჰოროსკოპი კი კარმულ მისიაზეც მიანიშნებს და ცხადი ხდება, რა უნდა გააკეთოს მძიმე კარმის გასანეიტრალებლად. ეს პარაფსიქოლოგებისა და ნუმეროლოგების კონკრეტული სამუშაოა, ეზოთერულ ცოდნაზეა დაფუძნებული. სხვათა შორის, ფენშუისაც დიდი წვლილი მიუძღვის წარმატებების მოსაზიდად, მაგრამ კოსმოენერგეტიკული გაწმენდა პირველი ნაბიჯია ადამიანის ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე.




ადამიანის ცხოვრების სამი პროგრამა არსებობს, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, რაიმე კონკრეტული ხაზით წარვმართოთ ცხოვრება, მაინც პროგრამულ ჯგუფში ვართ მოქცეულები და თუ არ ვიცით, რომელ პროგრამაში მოვხვდით, ვერ შევქმნით ჰარმონიულ ცხოვრებას. გვინდა ბედნიერი ვიყოთ, მაგრამ ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. პირველი პროგრამა დაბადების პროგრამაა, რომელშიც შედის დაბადების რიცხვი, მეორე პროგრამაა – ადამიანის ენერგეტიკული შესაძლებლობები, ამაში ერთიანდება ტრანსი, ბიოველი და კოსმიური ენერგია. მესამე პროგრამაა – შავი კარმა, მასში შედის მძიმე ავადმყოფობა, მძიმე ბედი, უბედური შემთხვევა, უცაბედი გარდაცვალება და ა.შ. შავი კარმა არის საგვარეულო წყევლა, რომელიც გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად წინაპართაგან გადმოგვეცემა და ოთხ თაობაზე გადადის. სამწუხაროდ, ადამიანი კარმას არ ირჩევს, მას თან დაჰყვება. უცოდველი ადამიანი არ არსებობს, ნებით თუ უნებლიეთ, ყოველდღე ვცოდავთ, მაგრამ არის ცოდვის ისეთი სახეები, რომელიც განსაკუთრებულად ამძიმებს კარმას. მაგალითად, როცა ადამიანი სიყვარულს არქმევ შენს საქციელს და ვინმეს ოჯახს უნგრევ, ამით იმძიმებ კარმას. ასეთი ცოდვები პარაფსიქოლოგიურად არ იწმინდება, თუ თვითონ არ მოინანია საკუთარი შეცდომები.

**— მძიმე კარმის განეიტრალება შეუძლებელია?**

– ზემოხსენებული ცოდვების განეიტრალებაზე მხოლოდ პარაფსიქოლოგი ვერ იზრუნებს, თუ ადამიანმა ბიოველი გაიწმინდა და მაინც ცოდვებით გააგრძელა ცხოვრება და თან ის ცხოვრების წესი აირჩია, რაც კოსმიურ და ზნეობრივ კანონებს ეწინააღმდეგება, ვერც ერთი სპეციალისტი ვერ უშველის და ვერავინ შეძლებს მისი ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლას. შეიძლება რაიმე გარემოებებმა გამოუსწოროს ეკონომიკური მდგომარეობა და მოეჩვენოს, რომ საქმე კარგად მისდის, მაგრამ ძალიან მალე დარწმუნდება, რომ ყველაფერი მოჩვენებითი და ხანმოკლეა. თუ ადამიანმა თვითონ არ გადაწყვიტა, გაანეიტრალოს თავისი მძიმე კარმა და ისეთი ცხოვრება არ დაიწყო, რომელიც ზნეობრივ ფასეულობებს არ ეწინააღმდეგება, მაშინ საშველი აუცილებლად არსებობს. არსებობს თანდაყოლილი კარმა, რომლის განეიტრალებაც შესაძლებელია, მაგრამ ადამიანები თვითონაც ქმნიან თავიანთი საქციელის კარმას, რადგან იმ მიზეზშედეგობრივი კავშირის შედეგია, რომელიც ადამიანის ცხოვრების წესიდან მოდის. ხშირად გვითქვამს, ჩვენი ცოდვები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ასე მარტივად არ ხდება, როცა ირღვევა კოსმიური ბალანსი, უფალი ხედავს და ჩვენს თითოეულ ნაბიჯზე რეაგირებს. მძიმე კარმის შემსუბუქება, როგორც თანდაყოლილის, ისე შექმნილის, შესაძლებელია, თუკი ადამიანი თვითონ ისურვებს.

**— კიდევ რამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უიღბლობა?**



– ენერგოზემოქმედებამ, ავის მოსურნეთა ფიქრებმა, ეს ყველაფერი ხომ ჩვენკენ არის მომართული. ასეთი მძიმე პროგრამების განეიტრალების შემთხვევაში, ადამიანები წარმატებას ადვილად აღწევენ, მაგრამ მათი უიღბლობისა და წარუმატებლობის ხანგრძლივობას სწორედ ის ურთიერთობა იწვევს, რომელიც ჩვენში საყოველთაოდ არის გავრცელებული. ბევრი ადამიანი არ იჯერებს ჯადოს არსებობას, ეს ხელსაყრელი მომენტია ბოროტი ადამიანისთვის, ჯადო თავისთავად არ გაივლის, თუ კარმაა პრობლემის მიზეზი, მაშინ კორექტირება შესაძლებელია. ჯერ უნდა განსაზღვროთ, მძიმე კარმამ რა პრობლემები შეიძლება შეგიქმნათ, ის ან ოჯახს ვერ შექმნის, ან შვილი არ შეეძინება, ანდა კარიერას ვერააწყობს, მიწიერების მიუხედავად, ან სუსტი ჯანმრთელობით დაიბადება. თუ ადამიანმა თავისი კარმული მისია ასტროლოგისგან გაიგო ან პარაფსიქოლოგისგან, ამ მისიის შესრულებასაც შეუძლია თანდაყოლილი კარმის განეიტრალება. ყველა ადამიანს ვურჩევ, გაიგოს, რა მისიით მოავლინა განგებამ და შეასრულოს თავისი კარმული მისია. ასეთ შემთხვევაში ადამიანებს გარანტირებული აქვთ ბედნიერი ცხოვრება.

## 6 –12 ივნისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – სცადეთ, გააანალიზოთ პარტნიორთან ან მეუღლესთან ურთიერთობა ბიზნესის მიმართულებით. სავარაუდოდ, მოსალოდნელია გაუგებრობები: ყურადღება მისი მხრიდან ხან გადაჭარბებული იქნება, ხან კი – ძალიან მინავლებული. შეეცადეთ, როგორმე სიტუაცია დაარეგულიროთ. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი თხოვნები კონკრეტული უნდა იყოს: მინიშნებების გარეშე. რაც უფრო ფხიზლად იქნებით და თავს გააკონტროლებთ, მით უკეთეს შედეგებს მიიღებთ.

**სამსახური** – გამოიყენეთ მომენტი ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად.

**სასიკეთო დღეები:** 7, 10 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 ივნისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – წინ იმდენი ნაცნობობა გელით, ყველას და ყველაფრის გადახარშვა შესაძლოა, გაგიჭირდეთ კიდეც. ამის მიუხედავად, ხანგრძლივი ურთიერთობის პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. რაც შეეხება მუდმივ ურთიერთობას, შეამჩნევთ, რომ პარტნიორი ერთ ადგილზე დგომას ამჯობინებს, მომავალს საკმაოდ მუქ ტონებში ხედავს. შეიძლება ითქვას, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული თქვენს ინიციატივებზე.

**სამსახური** – ბევრად მეტი ყურადღება დაუთმეთ თქვენი საქმის განვითარებას.

**სასიკეთო დღეები:** 6 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 ივნისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – პირად ცხოვრებაში გამყინვარებაა მოსალოდნელი. მართალია, ახლობლებს მთელი ძალით არწმუნებთ, რომ პარტნიორის მოძიების სურვილი გაქვთ, სინამდვილეში, თავს მარტო ბევრად კომფორტულად გრძნობთ. მეტიც, ამაში ბევრად მეტ პლუსს ხედავთ, ვიდრე მინუსს. დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ თქვენს ცხოვრებაში ახალი ადამიანების გამოჩენას, რადგან, თუ ურთიერთობა წამოიწყეთ, მისი გაწყვეტა ძალიან გაგიჭირდებათ.

**სამსახური** – თუ გსურთ, ფუჭად არ იშრომოთ, დროში გაწელილ და უშედეგო პროექტებზე უარი უნდა თქვათ.

**სასიკეთო დღეები:** 7 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 ივნისი.

## 6 –12 ივნისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – თუკი ფიქრობთ, რომ დროა, ოჯახი შექმნათ, მიმდინარე კვირა შესანიშნავია იმისთვის, რათა პერსპექტიული ურთიერთობა წამოიწყოთ. შესაძლოა, რომანი გააბათ ადამიანთან, რომელთანაც წარსულში მხოლოდ მეგობრობა გაკავშირებდათ და უფრო სერიოზულზე არც ერთი არ ფიქრობდით. საერთო ჯამში, მიმდინარე კვირა ბევრ სიურპრიზს გიმზადებთ და არ არის გამორიცხული, სიტუაცია საკმაოდ არასტანდარტულად განვითარდეს.

**სამსახური** – არ ჩაიციკლოთ წარსულზე, თამამად იმზირეთ მომავლისკენ!

**სასიკეთო დღეები:** 11, 12 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 ივნისი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – პირადი ცხოვრება დამოკიდებული იმაზე, რამდენად მზად ხართ თავგადასავლებისთვის. სანამ ამ საკითხზე დაფიქრდებით, გაითვალისწინეთ, რომ საკმაოდ საინტერესო და მოულოდნელ შეთავაზებებს მიიღებთ, თუმცა რამდენად პერსპექტიული იქნება ეს ყველაფერი, მხოლოდ თქვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მუდმივ ურთიერთობებში იძულებული გახდებით, ოჯახის უფროსის როლი მოირგოთ. და ეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სხვა თქვენს გარეშე ვერ მიიღებს, არამედ იმიტომაც, რომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისამებრ მოგიწევთ, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე.

**სამსახური** – კვირა მშვენიერია წარსულის გეგმების რეალიზებისთვის.

*სასიკეთო დღეები:* 8 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 ივნისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – ყველაფერი ბრწყინვალედ ლაგდება. მიიღებთ იმას, რაც გსურთ. თქვენ გიგებენ, განებივრებენ, ყველა სურვილს გისრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად გრძნობთ თავს პარტნიორთან და გსურთ, მუდმივად მარტოები იყოთ, დღის სინათლეზე მაინც უნდა გამოჩნდეთ ხოლმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, გრძნობები გახუნდეს, ერთფეროვნებისგან ერთმანეთის მიმართ ინტერესი დაკარგოთ.

**სამსახური** – მიმდინარე კვირა შესანიშნავია ერთობლივი, კოლექტიური საქმიანობისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 6 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 ივნისი.



**მაია იასეშვილი**

599 94-64-58



**რუბრიკის სტუმარია მსახიობი დონარა გვრიტიშვილი:**

# „ყოველთვის წინასწარ ვგრძნობ, რაც უნდა მოხდეს“



– სხვა ბავშვივით მეც მეოცნებე ვიყავი, ჩემი გონებისა და ფიქრის სამყაროში ყოველთვის არსებობდნენ ზღაპრული პერსონაჟები, ვისაც ვბაძავდი, მინდოდა ლამაზი ვყოფილიყავი. როცა მეუბნებოდნენ ლამაზი ხარო, ეს ჩემი ოცნებების აცხადება მეგონა. მსახიობობა ბავშვობიდანვე გადავწყვიტე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე „ჟიზელის“ ნახვამ, ბალერინა არ გავხდი, მაგრამ დავიჯერე, რომ თეატრი და ჯადოსნური სამყარო ისაა, სადაც სიკვდილიც არ არის საშიში. ამ დღიდან დავიწყე ფიქრი თეატრზე, გარდაცვალებაზე, რომელიც სხვა განზომილებაში გადასვლაა და არა, სიცოცხლის დასასრული. ოცნება დღემდე მიყვარს და მჯერა, რომ ოცნების მატერიალიზება შესაძლებელია, რადგან ბევრი ოცნება ამხდენია.

**— ზოდიაქოთი ვინ ხართ და არის თუ არა ჰოროსკოპის კრებული თქვენი ერთ-ერთი სამაგიდო სახელმძღვანელო?**

– ზოდიაქოთი ტყუპები ვარ, გადაწყვეტილებების მიღებისას მერყევი ვარ, რაიმეს შეძენის დროს, სანამ ვინმე არ დამიდასტურებს, რომ ის მიხდება, რის ყიდვასაც ვაპირებ, ვერ ვყიდულობ. ტყუპებს გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება ამეთვისტო და ამეთვისტოს სამაჯური ჩემი განუყრელი ნივთია, რომელიც ყოველთვის მიკეთია, რაც ჩემს მერყევ ბუნებას აბალანსებს. ჩემი მერყევი ბუნება მხოლოდ შენაძენთა არჩევაში გამოიხატება, დანარჩენ სხვა საკითხებში მყარი ვარ. ასტროლოგია მაინტერესებს, თუმცა ჰოროსკოპის კრებული ჩემი სამაგიდო წიგნი არ არის, ყველა დღეს ვიღებ ღმერთის საჩუქარს და ყოველი დღის გათენება მიხარია. ვცდილობ, მზის სხივი, სითბო და სიხარული მოვფინო ჩემს ცხოვრებას, ოჯახის წევრებს ვესალმები. მისალმება აზრობრივი დატვირთვის, კეთილი სურვილის გამოხატვისა და ლოცვის ტოლფასია, ამიტომაც ითვლება ულირს საქციელად სალმის გარეშე ჩავლა განაწყენებულ ადამიანებთან, ტყუილად როდის არის ნათქვამი – სალამი ღვთისააო. წარმატების მოზიდვაში მეხმარება პოზიტიური აზროვნება, იმედიანი სიტყვა, რომელსაც არ ვაკლებ არც საკუთარ თავს და არც გარშემო მყოფებს, ისეთ ადამიანთა გარემოცვაში ყოფნას ვცდილობ, ვინც სკეპტიკურად არ უყურებს ცხოვრებას და ამჩნევს ნებისმიერი ფაქტისა და მოვლენის დადებით მხარეებს და მხოლოდ ცუდსა და საშინელზე არ აკეთებს აქცენტს. ყველა ადამიანს აქვს იმის შანსი, იყოს ბედნიერი.

**— როგორ გაქვთ განვითარებული მეექვსე გრძნობა?**

– ჩემი მეექვსე გრძნობა აღემატება კიდეც დანარჩენ ხუთს, მშვენიერი ინტუიცია მაქვს, ყოველთვის წინასწარ ვგრძნობ, რაც უნდა მოხდეს, ჩემი სურვილის დამოუკიდებლად ვდგები ცუდ ხასიათზე და მალევე ვიგებ ამბავს, რომლის გამოც ხასიათი შემეცვალა. ასევე, მოულოდნელ სიხარულს ვგრძნობ წინასწარ და ყოვლად უმიზეზოდ ვულიმი გამვლე-გამომვლელს. ამ დროს იმდენ სიხარულს იტევს გული, მთელ ქვეყანას რომ გასწვდება.

> **„თუ გარდაცვლილი მამა დამესიზმრა, უკვე ვიცი, რომ ჩემს შემოქმედებაში საინტერესო სიახლეა მოსალოდნელი“**

**— ქალბატონო დონარა, უსმენთ სიზმრების ენას თუ გაღვიძებისთანავე ივიწყებთ, რაც გესიზმრათ?**

– ჩემი აზრით, სიზმარი არის მოსალოდნელი ამბის მესიჯი, რომლის წაკითხვაც საჭიროა. თუ გარდაცვლილი მამა დამესიზმრა, უკვე ვიცი, რომ ჩემს შემოქმედებაში საინტერესო სიახლეა მოსალოდნელი, ან რაღაც ცხოვრებისეული სიკეთე მელოდება. მეტად ყურადსაღებია რამდენჯერმე ნანახი ერთი და იმავე შინაარსის სიზმარი, რამდენჯერმე დამესიზმრა ძალიან ახალგაზრდას ვითომ კბილები დამცვივდა, უახლოეს დროში დედა გარდამეცვალა, თუმცა მანამდე არ ვიცოდი, რომ კბილების დაცლა ახლობლის სიკვდილის მომასწავებელი იყო, მაგრამ სიზმარშივე მქონდა უსიამოვნო გრძნობები, კარგი სიზმრებიც მიცხადდება და თითქმის ყოველთვის ყურადსაღებია ჩემთვის ძილის დროს მიღებული ინფორმაცია, რადგან წინასწარმეტყველების ერთადერთი ფორმაა ჩემთვის მისაღები, ეს არის სიზმარი.

**— გინდათ თქვათ, რომ წინასწარმეტყველების სხვა ფორმებისთვის არ მიგიმართავთ?**

– სპირიტიზმით არ დავინტერესებულვარ, რადგან გარდაცვლილთა სამყაროსთან ურთიერთობის ეს ფორმა შიშის გრძნობას უფრო იწვევდა ჩემში, ვიდრე დაინტერესებას. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობაში მკითხავთან ვყოფილვარ, ძალიან მაინტერესებდა ის ყველაფერი, რაც ჩემს მომავალს უკავშირდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ არ მიცხადდებოდა მკითხავების ნათქვამი, ამ გატაცებამ გამიარა. ამიტომ სიზმრით მიღებული ინფორმაცია უფრო სანდო და საიმედო მგონია, ვიდრე ვინმეს ნათქვამი, ვისაც ფულს გადაუხდი მომავლის ამოცნობაში.

**— ცოტა ხნის წინ გამოსულ ქართულ სერიალში „პარადოქსი“, მთავარ როლს თამაშობთ, თქვენი გმირი მეუღლეს უკრძალავს ვამპირებზე საუბარს. რეალურ ცხოვრებაში თუ გჯერათ ვამპირიზმისა და ენერგოზემოქმედების?**

– რა თქმა უნდა, არსებობს ენერგოზემოქმედება, ჯადო, გათვალვა, ვამპირიზმი, ჩემი ინტუიციის წყალობით ყოველთვის ვგრძნობ გვერდით ვამპირებს და გავურბივარ მათთან ურთიერთობას. ვცდილობ, არავის დონორი არ გავხდე, რადგან ენერგოვამპირიზმს უამრავი ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანისთვის. ვცდილობ, ჩემი ენერგია სიკეთეს, ოჯახს, მეგობრებსა და პროფესიულ საქმეს მოვახმარო, ვამპირთაგან მიტაცებული ენერგიის აღდგენა იოლი არ არის. როგორც ასტროლოგები ამბობენ, მიმდინარე თვე შავი მაგიის ზემოქმედების პერიოდია, ვცდილობ, ეს დრო მშვიდ გარემოში გავატარო, რადგანაც წელიწადის ეს დრო, ასტროლოგების თქმით, ყველაზე სახიფათო პერიოდად არის მიჩნეული მაგიური სურვილების განსახორციელებლად.

**— თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი დღე, რასაც სასწაულთა ქრონიკაში განიხილავთ?**

– ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბავი ჩემთვის ქრისტიანული სასწაულია. ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის ძალიან მიყვარს შობა, სწორედ ამ დღეს დაიბადა ჩემი შვილიშვილი ლაზარე, რომელიც ძალიან მინდოდა ამ დღეს დაბადებულიყო. უდიდეს სიხარულს მგვრის წარსულთან შეხვედრა, საოჯახო ალბომის დათვალიერება, სადაც აღბეჭდილია ის დღეები, როცა ყველაფერი გამორჩეულად მიხაროდა და დღემდე არ გამნელებია სიხარულით გამოწვეული შთაბეჭდილებები. სასწაულია ჩემთვის ყოველი ახალი როლი თეატრსა და კინოში, ყოველთვის ვგრძნობ ღმერთის წყალობასა და მფარველობას.

## 6 –12 ივნისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – შესაძლოა, ჰორიზონტზე კონკურენტები გამოჩნდნენ. არ შეშინდეთ, სერიოზული არაფერია, თუმცა ამის მიუხედავად, დაფიქრდით: თუ მეუღლე სხვას ეფლირტავება, ეს იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ თქვენი ერთობლივი ცხოვრება ერთფეროვანია და სიურპრიზების მოწყობა დიდი ხანია, მიგავიწყდათ? საერთო ჯამში, კარგს იზამთ, თუ საყვარელ ადამიანს ყურადღებას არ მოაკლებთ და ურთიერთობას უფრო მრავალფეროვანს გახდით.

**სამსახური** – არ დაისახოთ დიდი და რაც მთავარია – ავანტიურული გეგმები, რადგან დიდია რისკი, რომ ბევრს დაკარგავთ.

**სასიკეთო დღეები:** 7 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 10 ივნისი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – უნდა ელოდეთ თუ არა ახალ ურთიერთობებს? რა თქმა უნდა! ერთი ეგ არის, ძალიან ამჩატდებით. შესაძლოა, მართლა შეგიყვარდეთ, ან ურთიერთობა სერიოზულად არც კი განიხილოთ. შედეგად, არ არის გამორიცხული „ტრადიციული შეცდომები“ დაუშვათ, რასაც, ბუნებრივია, კვლავ განშორება მოჰყვება. რაც შეეხება ურთიერთობას მეუღლესთან ან მუდმივ პარტნიორთან, შესაძლოა, ის იმედგაცრუებული დატოვოთ, რისი მიზეზიც თქვენი უყურადღებობა გახდება.

**სამსახური** – არ ღირს ახალი პროექტების წამოწყება.

**სასიკეთო დღეები:** 6, 8 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 ივნისი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – თავდაჯერებულობა იმდენად გაგიძლიერდებათ, რომ იმ ურთიერთობაშიც კი, რომელშიც დამოკიდებულის პოზიციაზე იყავით, ლიდერის კვარცხლბეკს დაიკავებთ. მართალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერს წერტილს დაუსვამთ, მაგრამ ინიციატივის ხელში ჩაგდება მდგომარეობას ბევრად შეგიმსუბუქებთ.

**სამსახური** – სამუშაო მოგემატებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ანაზღაურებაზე ეს არ იმოქმედებს.

**სასიკეთო დღეები:** 7 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 ივნისი.

ოცდამეშვიდე გვერდიდან

**ქვეყანაში, 9 წელი ხალხს სულს რომ ხდიდა, ის ხალხი არ დასაჯეთ, ქვეყანაში სამართლიანობა არ დაამკვიდრეთ. სულთმობრძავ „ნაციონალებს“ რეანიმირების საშუალება მიეცით, მომაკვდავები ჯერ გამოცოცხლდნენ, მერე შეფერიანდნენ და ბოლოს ისე მოღონიერდნენ, ხელისუფლებაში მოსვლით იმუქრებიან. ამით, ბიძინა ბატონო, სრულად გააუფასურეთ და გააფერმკრთალეთ ის ღვაწლი, რაც 2012 წელს გაუკეთეთ ქართველ ხალხს „ნაციონალების“ მოშორებით. „ნაციონალების“ მოძლიერებისა და ხელისუფლებაში მათი დაბრუნების პერსპექტივის რეალობად ქცევაში პირადად თქვენ და თქვენი კოალიციის წევრებს მიგიძღვით დიდი წვლილი. თუ უკან უნდა დაგებრუნებინათ, რატომღა გაუმართეთ ქართველ ხალხთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და რატომ მოაშორეთ ხელისუფლებას? ყოფილიყვნენ, მაგათი დედაც ვატირე, ისევ მაგათი ყოფნა სჯობდა, მაგათ წასვლას და უკან მობრუნებას. აბა, წარმოიდგინეთ, ეს დამთხვეული, მანიაკი სააკაშვილი და მისი სადისტი ძალოვნები, შურისძიების წყურვილით აღვსილნი რომ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, რა მოხდება? ის მოხდება, რომ თქვენ და თქვენი გუნდის წევრები ხელს დაგვიქნევთ, უცხოეთში წახვალთ და სააკაშვილს თავს არ შეაჭმევინებთ, მიშა და მისი მკვლელები კი იმათზე იყრიან ჯავრს, ვინც აქ დავრჩებით — ქართველ ხალხზე.**

ბიძინა ივანიშვილი: „ცალკეული პიროვნებები და მათ რიცხვში ღარიბაშვილიც, არავინ არ დამისახელებია გუნდის წევრებად და ჩემს თავსაც არ გამოვყოფდი, განსაკუთრებით არ ვუსვამდი ხაზს, რომ ივანიშვილმა გააკეთა, ვთქვათ, ისევე, როგორც ღარიბაშვილისთვის არ უნდა გამესვა ხაზი. ამის საჭიროება არ ჩანდა ამ წერილში და იმ მოდელში, რომელიც მე შევთავაზე მოსახლეობას ანალიზში... (პაუზა) რა თქმა უნდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თუ არ შევედარებოდი, მაშინ რა მეჩვენებინა ხალხისთვის, რა გაკეთდა, რით შეიცვალა სიტუაცია...“

სალომე ასათიანი: „სანამ გადავიდოდეთ იმ პუნქტებზე, რომელიც აღწერილი გაქვთ წერილში, ამ წერილში მართლაც ძალიან ბევრი სფეროა და ჩვენ გვინდა ყველას შევეხოთ მეტ-ნაკლებად, მაგრამ სანამ გადავიდოდეთ, ერთი საკითხი კიდევ გვინდა რომ გკითხოთ, ორი მნიშვნელოვანი სფეროა პრინციპში გამოტოვებული წერილიდან, ერთი განათლების სფერო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან დაიძაბა მდგომარეობა, თქვენ იცით ალბათ, რა პროცესები განვითარდა...

ბიძინა ივანიშვილი: (გაკვირვებული სახით) „თქვენ ფიქრობთ, ეს უნდა დამეწერა წერილში?

სალომე ასათიანი: „არა, არ ვამბობ მაგას, ბატონო ბიძინა...“

ბიძინა ივანიშვილი: ამ წერილის აზრს, ეს ესადაგებოდა, რომ უნივერსიტეტის გამოსვლები უნდა აღმეწერა?! სულაც არ არის გამოტოვებული...“

სალომე ასათიანი: „არა, არა... განათლების რეფორმაში...“

ბიძინა ივანიშვილი: „შეკითხვას რომ მისვამთ, თანაც ამბობთ, რომ წერილშია გამოტოვებული უნივერსიტეტის გამოსვლები... ჩემი აზრით, ამ წერილის შინაარსი ამასთან არ იყო ახლოს...“

სალომე ასათიანი: „რატომ, უნივერსიტეტში რეფორმა რომ არ განხორციელებულა და ახალი პრემიერ-მინისტრი ეხლა ამბობს, რომ...

ბიძინა ივანიშვილი: „ისედაც დიდია წერილი ძალიან, ერთი მინუსი გააჩნია ამ წერილს...“

სალომე ასათიანი: „განათლების სფერო, ხომ უმნიშვნელოვანესია, ხომ დამეთანხმებით...“

ბიძინა ივანიშვილი: „რა თქმა უნდა რომელიც ბევრი ანალიტიკოსის აზრით, მსოფლიოში უძველესი ოქროს მაღარო იყო, რომელიც განადგურდა...“

ბიძინა ივანიშვილი: (აწყვეტინებს) „იცით კარგად ეგ თემა?!“

სალომე ასათიანი: „საყდრისზე არ გვსურს საუბარი... ასევე ბევრი ანალიტიკოსის თქმით...“

## ბრავო, ბატონო ბიძინა! დაპირებული დემოკრატიით — ვერა, მაგრამ ამით მართლა განაცვიფრეთ მსოფლიო!!!

და როცა წარმატებებზე ვსაუბრობთ, შეიძლებოდა დამატებით მეხსენებინა, რომ განათლებაშიც ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია ახალმა გუნდმა.... თუ ამის გამორჩენა გაქვთ მხედველობაში...

**„ალია“:**

**„თუ ერთწლიანი გეგმები გაქვს, ბრინჯი დათესე, თუ ათწლიანი გეგმები გაქვს, ხეები დარგე, ხოლო თუ ასწლიანი გეგმები გაქვს, განათლება მიეცი ბავშვებს“, — ეს კონფუციმ თქვა და დიახაც, მართალია აქ ჟურნალისტი სალომე ასათიანი: იმ ვეებერთელა ეპისტოლეში ბიძინა ივანიშვილს არ უნდა გამოეტოვებინა განათლების სფერო, გვერდი არ უნდა აევლო მისთვის. არც ერთი ქვეყანა არ განვითარებულა განათლების წინსვლის გარეშე და არც საქართველოა გამონაკლისი. ბიძინა ივანიშვილს რომ ჰკითხო, შორსმჭვრეტელი კაცია, ქვეყნის განვითარების შორეული გეგმები აქვს საქართველოს მომავალთან დაკავშირებით, განათლების განვითარების გარეშე კი არც ერთ მის გეგმას განხორციელება რომ არ უწერია, წესით, ეს უნდა იცოდეს. თუმცა, ეტყობა, ბიძინა ივანიშვილის გეგმები მხოლოდ 10-წლიანია და კონფუცის ფორმულის თანახმად, ხეების დარგვითაც იმიტომ არის ამ ბოლო დროს გატაცებული.**

სალომე ასათიანი: „ასევე გამოტოვებულია კულტურის პოლიტიკა...“

ბიძინა ივანიშვილი: (არ ასრულებინებს) „...და ის კულტურის სფეროშიც თუ ეს გაქვთ მხედველობაში, შეიძლებოდა გამესვა ხაზი, რომ გარკვეულმა გუნდმა გარკვეული წარმატებები მივიღეთ და დიდი წარმატებებიც, შეიძლება ხაზი გავუსვათ როგორც განათლების, ისე კულტურის მიმართულებით... თუ ეს გნებავდათ კი, მაგრამ არა ისე, რომ უნივერსიტეტის გამოსვლები უნდა ამეწერა...“

სალომე ასათიანი: „თუმცა იგივე კულტურის პოლიტიკის მემკვიდრეობის მართვის თვალსაზრისით, ყველაზე ბევრი კრიტიკა და ყველაზე დიდი პროტესტი, მოქალაქეების ჯგუფში გამოიწვია რამდენიმე ფაქტმა, მათ შორის იყო საყდრისის აფეთქება ამ ხელისუფლების პირობებში...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ წერილის გარჩევა არ გინდათ...“

სალომე ასათიანი: „არა მივაღწევთ იქამდე, ბატონო ბიძინა...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ წაკითხული გაქვთ წერილი? “

სალომე ასათიანი: „რა თქმა უნდა, მივალთ წერილამდე, ჩვენ ბევრი დრო გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ...“

ბიძინა ივანიშვილი: „როგორა გვაქვს ბევრი დრო, ერთი საათი გვაქვს სულ და ეს წერილი არის ძალიან ფართო... კი ბატონო, გავყვეთ, თქვენ როგორც გნებავთ...“

სალომე ასათიანი: „საყდრისი,

ბიძინა ივანიშვილი: (არ აცლის კითხვის დასმას) „არა... რომ ახსენეთ საყდრისი, რისთვის ახსენეთ საყდრისი?..“

სალომე ასათიანი: „იმისთვის, რომ გამოტოვებულია კულტურის პოლიტიკა და ძალიან ბევრი რამდენიმე ფაქტორი...“

ბიძინა ივანიშვილი: „და საყდრისი უნდა მეხსენებინა, თქვენი აზრით ამ წერილის შინაარსი საყდრისის თემას მიესადაგებოდა?!..

სალომე ასათიანი: „ასეთივე პრობლემური ბევრი ანალიტიკოსის აზრით, ასეთივე საფრთხის ქვეშ არის თბილისის ისტორიული...“

ბიძინა ივანიშვილი: „საყდრისი არ იყო პრობლემური, პრობლემური ეს არის „რუსთავი-2“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის მიერ შექმნილი ხელოვნურად...“

**„ალია“:**

**არა, ბატონო ბიძინა, აბა, საყდრისის თემას როგორ მიესადაგებოდა თქვენი წერილი? ის ხომ თქვენი და თქვენი გუნდის საეჭვო მიღწევებით იყო გაჯერებული და საყდრისი, რომელიც „შავი ლაქაა“ თქვენი მმართველობისა, იქ რა სახსენებელი იყო? წერილის არსს დაამახინჯებდა, არა? საყდრისის ოქროს მაღაროს სწორედ თქვენი პრემიერ-მინისტრობის დროს მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი — 2013 წლის 5 ივლისს და სწორედ ამის შემდეგ გაანადგურეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ოქროს მაღარო ისე, რომ მისი უმცირესი ნაწილი იქნა მხოლოდ შესწავლილი. აი, ამიტომ გაურბიხართ ამ თემას. ხედავთ? თქვენი პრემიერმინისტრობისას ამ დანაშაულზე არ იღებთ პასუხისმგებლობას და ახლა, როცა არანაირი სახელმწიფო პოსტი არ გიჭირავთ და ქვეყანას მართავთ, რა უმსგავსობებიც ხდება ქვეყანაში, იმათზე აიღებთ პასუხისმგებლობას? მეტი არაა ჩემი მტერი. ერთიც: „საყდრისის თემა“ „რუსთავი 2“-ისა და „ნაციონალების“ აგორებული არ არის თქვენი და თქვენი გუნდის დისკრედიტაციისთვის, ეს ყველამ კარგად იცის. საყდრისის დაცვის კომიტეტში ის ხალხი იყო, ვინც „ნაცმოძრაობას“ იმ დროს ებრძოდა, როცა თქვენ ჯერ კიდევ აფინანსებდით მას. მერე ეს ხალხი 2012 წელს გამოგყვათ „ნაციონალებთან“ უთანასწორო ბრძოლაში. ჩემს კოლეგას, ნინო მიქიაშვილს, რომელიც საყდრისში ათენ-ალამებდა, „ნაციონალი“ ან მისი მომხრე უწოდო, სირცხვილია. თუ რამ ჯოჯოხეთი ტრიალებდა სააკაშვილის რეჟიმის დროს, ყველაფერი აქვს გამოვლილი. მოკლედ, ჩაიჭერით, ბატონო ბიძინა, ჩაიჭერით.**

სალომე ასათიანი: „რას ბრძანებთ?! საყდრისი რატომ არ იყო პრობლემური?“

ბიძინა ივანიშვილი: „იმას ვბრძანებ... თუ გაქვთ თქვენ საყდრისი შესწავლილი, მე და თქვენ ვისაუბროთ, სხვაზე დაყრდნობით არა, თქვენ რა იცით საყდრისის გარშემო, მე სიამოვნებით, ვხედავ, რომ თქვენ წერილი არ გაინტერესებთ და გინდათ ის სკანდალური საკითხები განიხილოთ, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ წერდა ხელოვნურად...

სალომე ასათიანი: „წერილამდე მივალთ, სკანდალური არ არის, ეს არის ის, რაც...

ბიძინა ივანიშვილი: „თუ გნებავთ, მაგ მიმართულებით წავიდეთ. რა შუაშია საყდრისი...“

სალომე ასათიანი: „თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ თქვენი კრიტიკოსი, ხომ შეიძლება, რომ სხვა ჯგუფებიც იყვნენ კულტურის დამცველები, ურბანისტები...“

ბიძინა ივანიშვილი: „ოღონდაც ობიექტური უნდა იყვნენ... ობიექტური უნდა იყოს ის კრიტიკა და საფუძველი უნდა ჰქონდეს... ამიტომ გეკითხებით, საყდრისი როდესაც ახსენებთ თქვენ...

სალომე ასათიანი: „საყდრისი, რომელიც მსოფლიოს მეცნიერების დიდი ნაწილის იყო სავარაუდოდ, უძველესი ოქროს ქვეყანა...“

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ... როდესაც ახსენებთ საყდრისს თქვენ და მსოფლიოს იშველიებთ, გეკითხებით, თქვენ იცით, ეს საკითხი, თუ ყურმოკრული გაქვთ სადღაც, რომ გამოჰყევით ამ საკითხს და გაჩვენოთ, რომ იქ კარგის მეტი არაფერი არ მომხდარა...

სალომე ასათიანი: „თქვენ გვითხარით...“

ბიძინა ივანიშვილი: „არა, რა გითხრათ მე... თქვენ პრეტენზია გაქვთ, რომ ცუდი მოხდა რამე იქა?..“

სალომე ასათიანი: „რა მოხდა, კარგი რა მოხდა გვითხარით...“

ბიძინა ივანიშვილი: „კითხვას რომ მისვამთ, მიეცით მას...“

სალომე ასათიანი: „კი... და არა მარტო მე...“

ბიძინა ივანიშვილი: „სხვებს თავი დაანებეთ, თქვენთან ვარ მე დღეს ინტერვიუზე... თქვენ თუ კითხვა გაგიჩნდათ საყდრისის მიმართულებით, ჩამოგიყალიბეთ რა კითხვა გაქვთ და მე პასუხს გაგცემთ...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, აქ მე ჩემ აზრებს კი არ ვაჟღერებ, ეს არის ის, რაც...“

ბიძინა ივანიშვილი: (კითხვას არ ასრულებინებს) „თქვენ აზრი უნდა ჩამოგიყალიბდეთ, ეს აზრი შეიძლება ყველამ მოისმინოს და თქვენ როდესაც სვამთ კითხვას..“

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, მოგახსენებთ... ბევრი მეცნიერის აზრით იყო მსოფლიოსთვის უძველესი ოქროს მაღარო და უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლი, რომელიც სასამართლოს განჩინებით შეჩერებული იყო იქ ოქროს მომპოვებელი სამუშაოები, კულტურის სამინისტრომ ამ ხელისუფლების პირობებში, თქვენ უკვე აღარ ბრძანდებოდით პრემიერ-მინისტრი, მაგრამ მაინც, მიიღო გადაწყვეტილება და საყდრისის ძეგლი დღეს განადგურებულია. იქ შეუძლებელია მუშაობა...“

ბიძინა ივანიშვილი: „ეხლა მაგას როდესაც ამბობთ თქვენ, კიდევ გეკითხებით, თქვენ ახსენეთ – „საყდრისის ძეგლი განადგურებულია“...

სალომე ასათიანი: „აფეთქებულია...“

ბიძინა ივანიშვილი: „რა არის აფეთქებული?!“

სალომე ასათიანი: „საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო“

ბიძინა ივანიშვილი: „მაღაროა აფეთქებული, რაც უნდა აფეთქებულიყო... ახლა მე გიპასუხებთ, რაც ათასჯერ არის განხილული და ნაპასუხები. ვინც ვერ ჩერდება და ვერ წყნარდება, რატომ გახსენებთ „ნაციონალურ მოძრაობას“, მხოლოდ ესენი ვერ წყნარდებიან, მათ უნდათ, რომ თეთრი შავად წარმოაჩინონ, ადრე შავს თეთრად აჩენდნენ, დღესაც და დამოკიდებულებასაც იმიტომ გახსენებთ, რომ წერილში უამრავი საინტერესო თემებია და ჩვენ შეგვიძლია დღეს საყდრისზე გავჩერდეთ ამ გადაცემაში და მე მზად ვარ ამისთვის და მარტო საყდრისზე ვისაუბროთ და თქვენც გამომყევით...“

სალომე ასათიანი: „არა მარტო... ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ძალიან ბევრი საერთაშორისო პროფესორები, „ნაციონალური მოძრაობა“ რატომ გახსენდებათ ყოველთვის?“

ბიძინა ივანიშვილი: (ბრაზობს) „უნდა მომისმინოთ... თუ გინდათ თქვენ ისაუბრეთ და მე მოგისმენთ მაშინ...“

სალომე ასათიანი: „გისმენთ, მაგრამ რატომ გახსენდებათ მარტო „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის, როგორც თქვენი კრიტიკოსი, ამ აზრზე იყო ძალიან ბევრი საერთაშორისო ექსპერტი...“

ბიძინა ივანიშვილი: (გამომცდელი მზერით) „ჩამოთვალეთ, აბა?“..

სალომე ასათიანი: „მაგალითად, ბოხუმის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ტომას შოლერი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი არქეოლოგია...“

ბიძინა ივანიშვილი: „რას ამბობდა?“

სალომე ასათიანი: „ის ამბობდა, რომ ეს არის მსოფლიოში უძველესი ძეგლი, მსოფლიოში უძველესი, სავარაუდოდ ოქროს მაღარო და მისი აფეთქება მისთვის იყო წარმოუდგენელი და ძალიან დიდი დანაშაული... და არა მარტო ის, ძალიან ბევრი ქართველი, არაქართველი ექსპერტი...“

ბიძინა ივანიშვილი: (აზრს არ ასრულებინებს) „მაგასაც გაცნობილი ვარ და ესე არ იყო, როგორც თქვენ ხატავთ მაგ სიტუაციას, რა თქმა უნდა გერმანელების...“ (არ ასრულებს აზრს)

სალომე ასათიანი: „კარგი რა მოხდა, თქვენ გვითხარით მაშინ...“

ბიძინა ივანიშვილი: „კარგი რაც ჰქონდა მაგ ადგილს, რასაც ჰქონდა სიძველესთან კავშირი, ყველაფერი ამოღებულია და უნიკალური მუზეუმის მშენებლობა...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, ოთხი გვირაბიდან მხოლოდ ერთის ნახევარი იყო იქ შესწავლილი, როგორ არის ყველაფერი ამოღებული...“

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, დამელოდეთ... ჩვენ შეგვიძლია ეს პოლემიკა დღეს ვერ დავასრულოთ და შეგვიძლია, ორი დღეც მოვანდომოთ. მე შეხვედრილი ვარ ყველასთან, მათთან, უფრო ადრეულ პერიოდში, როდესაც პრემიერი ვიყავი, იმ გუნდთან „მწვანეებსაც“ ეძახდნენ თავის თავს და ბუნების დამცველებს, დავარწმუნე და არაფერი სათქმელი არ ჰქონდათ და ესე შემდგომ, ეს მთელი ისტორიები რომ გავიხსენოთ, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გადაცემა დღეს მივუძღვნათ საყდრისს და გენიალურად წაიყვანთ ამ საღამოს, ამ წერილთან დაკავშირებით კარგად გამოგივათ ძალიან, ეს თემები ათასჯერ გავლილია და ათასი ნაპასუხებია, ვისაც უნდა პასუხის გაგება, პასუხი ამოწურვითი იყო იქ ყველასთვის, რომ რასაც ჰქონდა ფასი, ისტორიასთან კავშირი რასაც ჰქონდა, იმ ადგილში რომ მუზეუმი ვერ აშენდებოდა და სახიფათო იყო და ესე შემდგომ და ვერავინ რომ ვერ ჩადიოდა, ესეც განხილული იყო, ზუსტად სადაც თქვენ მიანიშნებთ, ყველა არდაფექტი ამოღებულია, ყველა ფოტო გადაღებულია, ფინანსდება ეს... “

სალომე ასათიანი: „არ არის ეს ასე,

ბატონო ბიძინა...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ ჩასული ხართ, ნამყოფი ხართ?

სალომე ასათიანი: „არ არის ყველა არდეფაქტი ამოღებული...

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ გაქვთ ეს განცდა და განწყობა, რომ თქვენ ესე გინდათ, რომ გამოხატოთ...“

სალომე ასათიანი: „მე გაცნობილი ვარ ძალიან ბევრ კვლევას, ოთხი გვირაბიდან შესწავლილი იყო მხოლოდ ერთის ნახევარი, როგორ არის ყველა ამოღებული?“

ბიძინა ივანიშვილი: „მე დავასრულე ამ კითხვაზე პასუხი, თქვენ თუ გნებავთ გააგრძელეთ, მაყურებელს მოუყევით...“ (ჩუმდება)

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, გასაგებია... კიდევ ერთი მოკლე თემა...“

ბიძინა ივანიშვილი: (აწყვეტინებს) „ვასრულებ მაყურებლისთვის, იქ რაც იყო ფასიანი ყველაფერი ამოღებულია, გადაღებულია...“

სალომე ასათიანი: „არა, ეს ასე არ არის...“

ბიძინა ივანიშვილი: „მე ჩემ აზრს ვამბობ, დაელოდეთ ძალიან გთხოვთ,

სალომე ასათიანი: „ყველაფერი ამოღებული როგორ შეიძლება იყოს?“

ბიძინა ივანიშვილი: „მე თქვენ არ გესაუბრებით მხოლოდ, მე მინდა მაყურებელს შევახსენო იგივე, თქვენ ვხედავ, რომ ვერ დაგარწმუნებთ ვერაფერში, ამიტომ მე მინდა მაყურებელს შევახსენო, რომ იქ რაც ფასეული იყო, ყველაფერი გადაღებულ და ამოღებულია, მუზეუმის დაფინანსება მიდის და კულტურის სამინისტრო ჩართულია, თვითონ ინვესტორები ვინც არიან და ვინც იქ არის კარიესის მეპატრონედ წარმოგვიდგებიან დღეს, ფინანსები გამოყვეს იმაზე მეტი, რაც საჭიროა და საუკეთესო მუზეუმი ექნება საქართველოს და იქ შეუძლიათ, ისეთ ადგილზე აშენდება თანაც, რომ შეუძლიათ მივიდნენ და ნახონ ის, რასაც ჩვენ სიძველეებთან ჰქონდა კავშირი... არის მომენტები აშენებული მუზეუმები გადაუტანიათ, კულტურა და ძეგლები გადაუტანიათ, მსოფლიოში ძალიან ბევრი პრეცენდენტია, აქ რაც მოხდა, მოხდა ძალიან ფაქიზად და ყველაფერი კარგად...

სალომე ასათიანი: „ყველაფერი ამოღებული არ არის ბატონო ბიძინა, თქვენ არასწორ ინფორმაციას გაწვდიან...

ბიძინა ივანიშვილი: „გავიგე, რომ თქვენ არ გჯერათ, გასაგებია თქვენი პოზიცია, თქვენ შეგიძლიათ მაყურებელს კიდევ შეახსენოთ ეხლა, რომ თქვენ თანახმა არა ხართ, მაგრამ მე ვესაუბრები მაყურებელს და ვუსხნი რაც მოხდა რეალურად, გასაგებია, რომ თქვენთვის ეს საკმარისი არ არის... თქვენ ცალკე შეგიძლიათ მიუძღვნათ ამას კიდევ ერთი გადაცემა, ჩემს გარეშეც... ეხლა იქნებ შეეცადოთ რისთვისაც მოვედი და შეგახსენებთ, რომ მე როდესაც ვისურვე მოსვლა „პირველ არხში“ და დაგეკონტაქტეთ და პოსკრიპტუმშიც დავწერე, რომ წერილია ძალიან დიდი და მე მოვახერხებ მაყურებელს სატელევიზიო გადაცემაში გავაკეთო აქცენტები ამ წერილზე... თქვენ თავშიც შეგახსენეთ, გუშინაც გამოვგზავნე სპეციალურად ჩემი წარმომადგენელი, რომ კითხვები გამოგეგზავნათ, რომ წერილი არის ძალიან ფართო და ამომწურავი ყოფილიყო პასუხი,

სალომე ასათიანი: „კი ბატონო... ჩვენ კითხვებს არავის არ ვუგზავნით, ბატონო ბიძინა...“

ბიძინა ივანიშვილი: „ეს იყო პირველი შემთხვევა, რაც მე გთხოვეთ... კი ბატონო, ეს თქვენი უფლებაა...“

სალომე ასათიანი: „ეს რადიო „თავისუფლებაა და არა „საზოგადოებრივი მაუწყებელი“...

ბიძინა ივანიშვილი: „მე მოვედი ტელევიზიაში იმიტომ, რომ ეს წერილი გავაშუქოთ და თქვენ გადაცემა მიგყავთ ისე, რომ საყდრისი და უნივერსიტეტის სტუდენტების გაფიცვას მივუძღვნათ ჩვენი გადაცემა დღევანდელი... გასაგებია, თქვენ გაქვთ ამის უფლება და წაიყვანეთ, თუმცა ამ პირობით მე აქ არ მოვსულვარ, შეგახსენეთ უბრალოდ და ტელემაყურებელს შევახსენებ...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, პირობები ჩვენთან არ არის, ჩვენ ვისაუბრებთ წერილზეც...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ წაიკითხეთ წერილი?“

სალომე ასათიანი: „რა თქმა უნდა...“

ბიძინა ივანიშვილი: „პოსკრიპტუმი ნახეთ?“

სალომე ასათიანი: „კი, კი და სხვა თემებზე, რა კითხვებიც გაჩნდა...“

ბიძინა ივანიშვილი: „ნახეთ, რა მივანიშნე იქ, რა წერია პოსკრიპტუმში, გახსოვთ რა წერია?“

სალომე ასათიანი: „მოდით, ნუ ვკარგავთ დროს, ერთი კითხვა აუცილებლად უნდა დაგისვათ, ვინაიდან ეს არ არის ჩემი კითხვები, ეს არ არის ჩემი პროგრამა და ჩემი პიროვნული რაღაც დამოკიდებულებები, არსებობს ბევრი კრიტიკული მოსაზრება, რომლის შესახებ თქვენი აზრის მოსმენა უნდა საზოგადოებას... რაც ეხება კიდევ ერთი თემა კულტურის პოლიტიკიდან გამომდინარე და შემდეგ აუცილებლად გადავალთ იმ წერილზე...“

ბიძინა ივანიშვილი: „რამდენს აპირებთ გადაცემის წაყვანას, რამდენ დროს აძლევთ, სამ საათს?“

სალომე ასათიანი: „პანორამა თბილისზე“ აუცილებლად უნდა გკითხოთ ბატონო ბიძინა, ისეთივე საფრთხის ქვეშაა ძველი თბილისი, როგორიც იყო საყდრისი... ესე ამბობენ...“

ბიძინა ივანიშვილი: (ბრაზობს და ცინიკურად ეკითხება) „ესეც კარგად გაქვთ შესწავლილი? „პანორამა თბილისი“ კარგად გაქვთ შესწავლილი?

სალომე ასათიანი: „მე კითხვებს დაგისვამთ... შესწავლაზე არ არის, თქვენგან გვინდა პასუხების მოსმენა...“

ბიძინა ივანიშვილი: „პანორამა თბილისზე“ პასუხია მარტივი, ათასჯერ გავეცი პასუხი...“ (არ ასრულებს)

სალომე ასათიანი: „მაგალითად, ქართველი ურბანისტი ზურაბ ბაქრაძე თვლის, რომ ჯერ კიდევ თქვენი სასახლის სოლოლაკის ქედზე აშენება იყო უხეში ჩარევა ქალაქის ლანდშაფტში...“

ბიძინა ივანიშვილი: „ელისაშვილიც მოიყვანეთ მანდ ციტატა, არ გნებავთ?“

**აბა, წარმოიდგინეთ, ეს დამთხვეული, მანიაკი სააკაშვილი და მისი სადისტი ძალოვნები, შურისძიების წყურვილით აღვსილნი რომ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, რა მოხდება? ის მოხდება, რომ თქვენ და თქვენი გუნდის წევრები ხელს დაგვიქნევთ, უცხოეთში წახვალთ და სააკაშვილს თავს არ შეაჭმევინებთ, მიშა და მისი მკვლელები კი, იმათზე იყრიან ჯავრს, ვინც აქ დავრჩებით — ქართველ ხალხზე.**

სალომე ასათიანი: (აგრძელებს) „რადგან ამ პროექტმა არ გაითვალისწინა ქედის განაშენიანების ტენდენცია, ის რომ ქედის ბოლოს აგებული იყო ნარიყალა და მისი თხემი აღიქმებოდა ქალაქის ბირთვის თითქმის ყველა წერტილიდან, ამ ურბანისტის აზრით, თქვენი ბიზნესცენტრი გახდა ნარიყალას ერთგვარი ორეული და ამით დაირღვა ავთენტური განლაგება ქალაქისა...“

ბიძინა ივანიშვილი: (ჩაეჭრება) „ამის გარდა წაგიკითხავთ სხვა გამონათქვამები?“

სალომე ასათიანი: (აგრძელებს) „...ხოლო „პანორამა თბილისს“ ძალიან ბევრი ანალიტიკოსი, ასევე მათ შორის, საერთაშორისო, ამბობს, რომ ამით საბოლოოდ დაირღვევა ქალაქის ავთენტური სახე...“

ბიძინა ივანიშვილი: „დაილუპა ქალაქი...“

სალომე ასათიანი: „ჩვენ გვინდა მოვისმინოთ, თქვენ რატომ არ იზიარებთ ამ კრიტიკას და რატომ გადაწყვიტეთ თავიდანვე აი, აქ, აშენება, ჯერ თქვენი რეზიდენციის და შემდეგ, „პანორამა თბილისის?“

ბიძინა ივანიშვილი: „მე მინდა მაყურებელს შევახსენო რისთვის მოვედი ტელევიზიაში და იმასაც შევახსენებ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით, ამომწურავი პასუხები გავეცი გადაცემებში „ჯიდიესში“, როდესაც მქონდა, შევახსენებ, როგორ ცრუბდნენ იქ ელისაშვილი და ის გუნდი, ვინც ამ თემას ხელოვნურად წევდნენ, იმასაც შევახსენებ ტელემაყურებელს, რომ უცხოური არქიტექტორებიც ბევრი იყვნენ ჩართულნი, საქართველოში ცნობილი არქიტექტორების აზრიც ბევრი იყო გამოთქმული და იქ აბსოლუტურად ყველაფერი იყო დაცული... გასაგებია, თქვენ ეხლავე მოგახსენებთ, რომ თქვენ ეს არ დაგაკმაყოფილებთ, მაგრამ ამ კითხვაზე მეტს აღარ გპასუხობთ. გააგრძელეთ შეკითხვა...“

**„ალია“:**

**„პანორამა თბილისი“ რა ხილი იქნება, მოუხდება თუ დაამახინჯებს ძველ თბილისს და ამ პროექტიდან რა ფინანსურ თუ სხვა სახის მოგებას ნახავს ქვეყანა, ეს სხვა საქმეა. აქ მთავარი სხვა რამეა. როცა მიხეილ სააკაშვილმა „პამპერსად“ წოდებული „მშვიდობის ხიდი“ ააშენა, ეს ისე გააკეთა, კაციშვილს არაფერს დაეკითხა, არც ურბანისტები ჩარია საქმეში, არც არქიტექტორები და თავის ხოშზე, იტალიელ არქიტექტორს შეუკვეთა ხიდი და გადო კიდეც მტკვარზე. შე შობელძაღლო, ამხელა ხიდს აშენებ და ჰკითხე, რა, ხალხს, უნდა თუ არა? იქნებ უკეთეს ვარიანტს გთავაზობენ, ან იქნებ შენს ამ ხუშტურს იწონებენ კიდეც? ეს თბილისელები დააფასე, ადამიანებად მიიჩნიე და საქმის კურში ჩააყენე, რას და როგორ აკეთებ. არა, დამთხვეულმა სააკაშვილმა თბილისელები ძაღლადაც არ ჩააგდო. ეს ძალიან ეწყინათ თბილისელებს და ასეც უნდა ყოფილიყო, ეს თბილისელები იყვნენ მერე ბრძოლის იმ ავანგარდში, 2012 წელს რომ გაუმართეს სააკაშვილსა და მის ბანდას. შეურაცხყოფილად იგრძნო ხალხმა თავი, როცა სააკაშვილმა არავის არაფერი ჰკითხა და ხიდი გადო მდინარეზე. ბიძინა ივანიშვილიც ასე მოიქცა. თბილისელები არც მან ჩააგდო არაფრად, არავის არაფერს დაეკითხა და ისე დაიწყო „პანორამა თბილისის“ განხორციელება. კაცო, რეფერენდუმი ჩაატარეო, იმას ხომ არავინ გეუბნება, ამხელა, მრავალმილიონიან პროექტს აკეთებ ქალაქში, ძველი თბილისის იერსახეს ცვლი და განსჯის საგნად აქციე. სანამ მის აშენებას დაიწყებდი, გეკითხა იმ ხალხისთვისაც, ვისაც ამ საქმეში ჭკუა მოეკითხება, ამ ქალაქზე გული შესტკივა და ეს ქალაქი უშენებია. ერთი კაცის ხუშტურით აშენდა „მშვიდობის ხიდი“ და ერთი კაცის ხუშტურით შენდება „პანორამა თბილისიც“. ასეა და მერე სწყინს ამ კაცს, სააკაშვილის გვერდით რატომ მახსენებთ ხოლმეო.**

სალომე ასათიანი: „ასეთივე კოლექტიური წერილი მიიღო ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავრობამ ამ თემაზე და ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ამბობს იგივეს, რასაც რასაც ქართველი ექსპერტი...“

ბიძინა ივანიშვილი: „ბევრი არა, უამრავი, იქნებოდა კარგი...“

სალომე ასათიანი: „მე შემიძლია ჩამოგიათვალოთ, ესენია: მსოფლიოს ძეგლთა ფონდის ბრიტანელი წარმომადგენელი ორგანიზაციების ევროპა ნოსტრას ტრადიციული შენობის არქიტექტურის და ურბანიზმის საერთაშორისო ქსელის მე-20 საუკუნის საზოგადოების გლობალური მემკვიდრეობის ფონდის ასე შემდეგ და ასე შემდეგ... კიდევ შემიძლია ჩამოთვალო...

ბიძინა ივანიშვილი: „გააგრძელეთ, გააგრძელეთ... თქვენი გადაცემა ხომ არ რჩება, გააგრძელეთ...“

სალომე ასათიანი: „ყველა ამ ორგანიზაციის და ანალიტიკოსის აზრით, ეს პროექტი „პანორამა თბილისი“ საფრთხეს უქმნის ძველი თბილისის ავთენტურ სახეს და მისი განვითარება არ შეიძლება. იმასაც ხომ ვერ ვიტყვით, რომ ეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ მართულია და რატომ არ იზიარებთ ამ კრიტიკას, ან რატომ არ გინდათ, რომ... იცნობთ ამ წერილს?“

ბიძინა ივანიშვილი: „გაქვთ კიდევ კითხვა?

სალომე ასათიანი: „კი, რა თქმა უნდა...“

ბიძინა ივანიშვილი: „აბა გააგრძელეთ... “

სალომე ასათიანი: „ამაზე არ მცემთ პასუხს...“

ბიძინა ივანიშვილი: „პასუხი უამრავი მაქვს გაცემული, მაგრამ თქვენ გაგება არ გინდათ, იმ პასუხების შესაბამისად, მე მინდა სხვა მოვასწროთ კიდევ...“

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, მაშინ გადავიდეთ პოლიტიკურ საკითხებზე... „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური პარტია, წერილს იწყებთ პარტია „ქართული ოცნების“ სამომავლო პერსპექტივებით, აღნიშნავთ, რომ ჩატარდა ყრილობა, აირჩიეს ახალი თავმჯდომარე და მოქალაქეებს მოუწოდებთ, რომ კვლავ დაუჭირონ მხარი იმ ძალას, რომელმაც პროგრასი მოიტანა, ამ პროგრესს თქვენ აღწერთ ძალიან დეტალურად წერილში, მაგრამ მოდით, ჩვენც გვითხარით, რატომ უნდა დაუჭიროს მოქალაქეებმა მხარი ამ პარტიას, თქვენი აზრით, ვინაიდან ბევრი ასევე ანალიტიკოსის აზრით, ეს პარტია თავის თავში მოიცავს ძალიან ბევრ იმ ნაკლს თუ მანკიერებას, რაც ზოგადად ახასიათებს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს, კერძოდ, იდეოლოგიურ სიჭრელეს, ამორფულობას, პარტიას არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობის ისტორია, ის როგორც კი შეიქმნა, მაშინვე ხელისუფლებაში მოვიდა და შეეზარდა გარკვეულწილად ხელისუფლების სტრუქტურებს, ასევე ეს პარტია საზრდოობს თქვენი დიდწილად ავტორიტეტით და თქვენს მიმართ ხალხის ნდობით... აი, რას ეტყოდით მაყურებელს, რატომ უნდა დაუჭიროს მან მხარი „ქართულ ოცნებას“?

ბიძინა ივანიშვილი: „მარტივი პასუხია, რატომ უნდა დაუჭიროს მხარი „ქართულ ოცნებას“, მანამ, სანამ მივიდოდი მაგ ადგილამდე, რომელიც თვქენ ამოირჩიეთ ეხლა, რატომ უნდა დაუჭიროს ხალხმა მხარი „ქართულ ოცნებას“, მთლიანი ანალიზი მაქვს გაკეთებული, ვიხსენებ წარსულს, ვიხსენებ აწმყოს, ვიხსენებ როგორი დაგვხვდა ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ შედეგად აშენებული ქვეყანა და რა მოვახერხეთ ოთხი წლის განმავლობაში, ამის აღწერის შემდგომ და ამაში მონაწილეობას ღებულობდნენ „ქართული ოცნების“ წევრები, დღევანდელი მთავრობა, პარტიის ლიდერი და პარტიის წევრები, რომლებიც მთავრობაში არ არიან, პარლამენტში მოღვაწეობენ, სწორედ ამ გუნდმა მოახერხა და საოცრება მოახდინა... თუ ვინმეს ანალიზის უნარი გააჩნია და წარმოიდგენს, საქართველოში ნაცხოვრებია მითუმეტეს, რეალობა კარგად, უცხოელებს უჭირთ, საქართველოში ნაცხოვრებს უფრო კარგად... ის რეალობა, როგორი იყო საქართველო 2012 წლამდე და როგორია დღეს...“

სალომე ასათიანი: „ეს ხომ კოალიციურად მოხდა? ეხლა თქვენ კოალიციური პარტნიორები აღარ ხართ, ეხლა ცალკეა „ქართული ოცნება“...

ბიძინა ივანიშვილი: „შეიძლება თქვენ კითხვას ვუპასუხო?“

სალომე ასათიანი: „კი ბატონო...“

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, მაშინ...“

სალომე ასათიანი: „მეც ხომ შეიძლება რაღაც დავაზუსტო, რომ...“

ბიძინა ივანიშვილი: „კი მაგრამ, თუ პირველს არ ვუპასუხე, მეორეზე როგორ გაგცეთ პასუხი?“

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, იგივე კითხვაა ეს...“

ბიძინა ივანიშვილი: „შემდეგ ჩამეკითხეთ, დამასრულებინეთ და ჩამეკითხეთ... თან კოალიციის წევრებს თუ შემახსენებთ, მათაც იგივე მონაწილეობა მიიღეს, როგორც პარტიის წევრებმა და კოალიციაზე ცალკე ვისაუბროთ, რატომ დაიშალნენ და როგორ... თქვენ რა გინდათ თქვათ, რომ პარტიას რატომ მივაწერთ ყველაფერს?“

სალომე ასათიანი: „ეხლა, დამოუკიდებლად „ქართულ ოცნებას“ რატომ უნდა დაუჭიროს მხარი მოქალაქეებმა, ეხლა ხომ სხვა განლაგება გვაქვს? ეს აღარ არის უკვე კოალიცია, რომელიც მოვიდა ავტორიტარიზმის დასამარცხებლად...“

ბიძინა ივანიშვილი: „იმ კოალიციაში... რახანც კოალიციაზე გადაერთეთ, მაშინ გავაკეთოთ მაგის განმარტება და დავუბრუნდეთ თქვენს პირველ კითხვას, კოალიციაში რა თქმა უნდა გადამწყვეტი როლი და ფუნქცია შეასრულა სწორედ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ახალმა პარტიამ, კოალიციის წევრებსაც და კოალიციურ პარტიებსაც ჰქონდათ თავისი წვლილი და როლი, ვის რამდენი ჰქონდა და როგორ ჰქონდა ყველაზე კარგად გამოჩნდება ხალხის შეფასებით არჩევნებში, შევაფასოთ და გადავაფასოთ... მე კი ვფიქრობ, რომ ლომის წვლილი გააჩნდა ახალ პარტიას, ეს პროცესებიც, ლომის წვლილი გაიტანა ახალმა პარტიამაც... რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება“ იყო

გაგრძელება გვ. 34

Facebook ამბები



**გიორგი გუგავა:**

არამარტო დავწევივართ არამედ ჩამოგვიტოვებია ევროპა, თვალი დაუდგეს ევროპას)))))) სერიიდან შუშის სასახლის ზღაპრები: "დღეს მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგით საქართველო რეგიონში ლიდერია და, გარდა ამისა, მთელი რიგი მაჩვენებლებით უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ესპანეთი, პოლონეთი, იტალია, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და სხვა."

ანი სირბილაძე -სხვა ქვეყანაში ან საერთოდ სხვა რეგიონში ხომ არ ვცხოვრობთ? აშკარა აცდენაა ან ის ვერ გაერკვია ან ჩვენ.. საერთოდ სამშობლო საფრანგეთზე ხო არ ამბობს და ერევა??



**ლეონიდ ჩერნოვეცკი:**

ძვირფასო მეგობრებო! ჩემი ყოველი დღე ჩვენი უფლის იესო ქრისტესადმი ლოცვით იწყება. მას მადლობას ვუხდი იმისათვის, რომ ჩემი შვილები ჯანმრთელები არიან, გახარებულები და თვითგანვითარებისთვის ყველა საჭირო პირობა აქვთ! ვიმედოვნებ, თქვენგან ყურადღება არც თქვენს შვილებს აკლიათ.

სამწუხაროდ, საქართველოში ათასობით ბავშვია, რომლებსაც ნორმალური სათამაშო არ უნახავთ, ნაყინი და ტკბილეულიც კი არ გაუსინჯავთ. ამ ბავშვებს მშობლების ყურადღება აკლიათ, ან საერთოდ არ ჰყავთ ისინი! თქვენ ყოველდღე ხვდებით ასეთ ბავშვებს ქუჩებსა თუ სხვა ადგილებში!

ბავშვთა დაცვის დღეს, მოგმართავთ როგორც სამი შვილის მამა და რვა შვილიშვილის ბაბუა - ნებისმიერ დაუცველ ბავშვს სიხარული აჩუქეთ და სანაცვლოდ ის თავისი ღიმილით დაგასაჩუქრებთ! დაე, ეს ღიმილი თქვენ და თქვენს ახლობლებს მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყვეთ!

ნიკოლოზ ვაშაკიძე – .... ეს ლეონიდ ჩერნოვეცკი კუდმოჭმული მორიელივით მაინც დარბის უაზროდ ფეისბუკსივრცეში ? რაღა უნდა კიდევ? ამდენი ხალხი გააბითურა, ბოდიშიც არ მოიხადა და კიდევ რაღაც "ჭკვიანობებს" პოსტავს, ძალიან უცნაური კაცია ? , რბილად რომ ვთქვათ. ?

*ოცდამეცამეტე გვერდიდან*

კოალიციის სახელი... შეიძლება ახლა დავუბრუნდე კითხვას, რატომ ვაძლევთ ხმას ამას, თუ თქვენ აღარ გაინტერესებთ და სხვა კითხვაზე გადავიდეთ?“

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, თუ რამე გაქვთ კიდევ სათქმელი?“

ბიძინა ივანიშვილი: „იმიტომ, რომ პირველი კითხვიდან კოალიციაზე გადამიყვანეთ და პირველი კითხვა ხომ გადააგდეთ და ეხლა ახალს მისვამთ და როგორ ვქნათ, როგორ წავიდეთ, იმას შეიძლება რომ ვუპასუხო, რაც თავში დასვით? რატომ ვუჭერთ მხარს პარტიას „ქართულ ოცნებას – დემოკრატიულ საქართველოს“? კიდევ შევახსენებ და შეგახსენებთ თქვენც, წერილში არის ძალიან კარგად აღწერილი, მანამდე, ეს ბოლო ნაწილია წერილის, სადაც თქვენ ჩახვედით და საიდანაც კითხვას მისვამთ, როგორი საქართველო მივიღეთ ჩვენ და გადმოვიბარეთ და რა მოხდა ამ ოთხი წლის განმავლობაში, არასრული ოთხი წლის განმავლობაში, რამდენი მიღწევები მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“ დემოკრატიულმა საქართველომ“, ეხლა ამ პარტიაზე ვსაუბრობთ და ისე, კოალიციის ნამოღვაწარია რა თქმა უნდა ეს, ერთად აღებული, თუ კოალიციაზე გინდათ საუბარი, რახანც პარტიაზე მკითხეთ, ამ პარტიას ლომის წვლილი აქვს, მაშინ მე დაწვრილებით აღვწერ ყველა მიმართულებით, პირველი ადამიანის უფლებები, სად იყო და სად მოვედით დღეს, ადამიანის უფლებებით საქართველო, ევროპის განვითარებულ ქვეყნებს შეიძლება შეედაროს...

**„ალია“:**

**ევროპის რომელ განვითარებულ ქვეყანას ადარებთ საქართველოს, ბატონო ბიძინა? გერმანიას? ბელგიას? საფრანგეთსა თუ ავსტრიას? ამ ქვეყნებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დემოკრატიული გზით ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტები და მთავრობები მართავენ და არა ერთი კაცი და მის მიერ ხელდასხმული კლანის წევრები. თანაც, ეს კაცი, ანუ თქვენ, სახლიდან მართავთ ამ ქვეყანას. ასეთ შეურაცხყოფას საკუთარ ხალხს ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ მიაყენებენ მმართველები. მოდით, აქ გავჩერდეთ, თორემ განვითარებულ ევროპამდე იმდენი რამ გვიკლია, ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, „ალიას“ 1 თვის ნომრები არ მეყოფა.**

სალომე ასათიანი: „ამაში თქვენ შემოგედავებოდათ, განსაკუთრებით უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით...“

ბიძინა ივანიშვილი: „როგორ მოვიქცე მე არ ვიცი, რა ვქნა, პასუხს არ მამთავრებინებთ...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, აქ ხომ მონოლოგი არ იქნება, მე ხომ უნდა გიპასუხოთ საპასუხო კრიტიკული შეკითხვით...“

ბიძინა ივანიშვილი: (ცხარობს) „თუ მე არ ვთქვი აზრი, თქვენ როგორ უნდა მიპასუხოთ... თუ თქვენ კითხვას პირველს არ ვუპასუხე...“

სალომე ასათიანი: „ადამიანის უფლებებით როგორ შეიძლება შეედაროს საქართველო ევროპულ ქვეყნებს, როცა ყველა საერთაშორისო ანგარიშის თანახმად, ქვეყანაში ძალიან რთული პრობლემებია, უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით, სამუშაო უფლებების დაცვის თვალსაზრისით...“

ბიძინა ივანიშვილი: „სად წაიკითხეთ? თქვენ ნახეთ წერილში აღწერილი რომ მაქვს მე...“

სალომე ასათიანი: „წერილში ვნახე, რა თქმა უნდა...“

ბიძინა ივანიშვილი: „რომელი კვლევა გაქვთ ნანახი თქვენ საერთაშორისო ორგანიზაციის მოტანილი?“

სალომე ასათიანი: „იქნება ეს საერთაშორისო ამნისტია, იქნება ეს ფრიდონ ჰაუსი, იქნება ძალიან ბევრი იქნება ეს საქართველოს ომბუდსმენი, რომელიც ძალიან ხშირად საუბრობს უმცირესობების უფლებების შელახვაზე... თქვენ როგორ გესახებათ საქართველო, რომელიც ეჯიბრება ევროპის ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით?“

ბიძინა ივანიშვილი: „საოცრებაა... საოცარია პირდაპირ, წერილი წაკითხული გაქვთ? “

სალომე ასათიანი: „წერილი წაკითხული მაქვს, სხვა ანგარიშებიც წაკითხული მაქვს... “

ბიძინა ივანიშვილი: „იმიტომ, რომ იქ ყველაფერი აღწერილი მაქვს მე...“

სალომე ასათიანი: „თქვენ კი აღწერილი გაქვთ, მაგრამ სხვები სხვანაირად აღწერენ...“

ბიძინა ივანიშვილი: „სად არის ეს სხვები, მაჩვენეთ...“

სალომე ასათიანი: „მოგიტანეთ უკვე მაგალითები...“

ბიძინა ივანიშვილი: „რა მაგალითები მომიტანეთ? აბა სად არის, შეფასებები რაც არის საერთაშორისო შეფასებები რაც არის, ყველა რეიტინგი განხილული მაქვს და მოტანილი მაქვს და ყველგან აბსოლუტურად არის უალრესად დიდი წინსვლა, ყველა მიმართულებით: ადამიანის უფლებები, დემოკრატიის ხარისხი, მთავრობის ეფექტიანობა, მედიის თავისუფლება და... როგორ მოვიქცეთ ეხლა, რა ვქნათ? წინასწარ გთხოვეთ, რომ თუ რამე გქონდათ სხვა ციფრები თქვენ, სხვათა შორის, ჩემი წარმომადგენელი მოვიდა, შეგიძლიათ წარმოადგინოთ აქ, სქემები გვაჩვენოთ, რომ ესე კი არ არის მე რაც მოვიტანე და რაც აქ მიწერია წერილში, აი, ესეა და აჩვენეთ ტელემაყურებელსაც... თქვენ აზრს რომ გამოთქვამთ კრიტიკულს და არაფერი არ გაგაჩნიათ მასალები...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, ჩემი აზრი არ არის ეს, ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები...

ბიძინა ივანიშვილი: „საერთაშორისო ორგანიზაციების ციტატები მე მოყვანილი მაქვს..“

სალომე ასათიანი: „...რომლებიც „ამნესითენეიშენალი“ ბოლო ანგარიშში საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში სხვათა შორის...“

ბიძინა ივანიშვილი: „გაუარესდა?“

სალომე ასათიანი: „არა, გაუარესდა არა, მაგრამ პრობლემებია.“

ბიძინა ივანიშვილი: „შეგიძლიათ ქვეყანა დაასახელოთ, სადაც პრობლემები არ არის?“

სალომე ასათიანი: „თქვენ ბრძანებთ, რომ საქართველო შეედრება ევროპულ ქვეყნებს, ევროპულ ქვეყნებს საქართველო არ შეედრება... ეხლა რა ვითარება გვაქვს...“

ბიძინა ივანიშვილი: „მე ხომ კონკრეტულად მიგანიშნებთ, რაც მთავრობის ეფექტიანობის კუთხით ჩვენ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასად ვუსწრებთ...

**„ალია“!**

**ისევ დაგვცინით, ბატონო ბიძინა!**

**თუ მთავრობა ეფექტურია, ეს, პირველ რიგში, ეკონომიკას უნდა დაეტყოს. ქართული ეკონომიკა კი სულს ღაფავს. თუ მთავრობა ეფექტურია, ეს უპირველესად მე და ჩემს ოჯახს უნდა დაგვეტყოს, მაგრამ ჩვენც სულს ვღაფავთ, რომელ ეფექტურობაზეა ლაპარაკი, როცა ამ მთავრობის არაკვალიფიციურობისა თუ დანაშაულებრივი უცოდინრობის გამო, ვერც ერთი გლობალური ეკონომიკური პრობლემა ვერ გადაიჭრა ქვეყანაში. რაც თქვენ და თქვენი უნიათო მთავრობა მართავთ ამ ქვეყანას, ცხოვრება ორჯერ გაძვირდა, სოციალურად დაუცველთა და ნაგვის ურნებთან ლუკმაპურის მაძიებელთა რიცხვმა მოიმატა. იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობა ეფექტურია, პირველ რიგში, ეკონომიკა ვითარდება, მერე, ეგრევე გადასახადები მცირდება. თუ ეფექტურია თქვენი მთავრობა, მაშინ ადექით და 20-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი 10 პროცენტამდე შემიმცირეთ, გამინახევრეთ. აი, ეს მე და ჩემს ოჯახს შეგვეხება, დაგვეტყობა და კვერს დაგიკრავთ, რომ მთავრობა ეფექტურია და ტაშსაც მოვაყოლებ. არა, ამას ვერ აკეთებს თქვენი არაეფექტური მთავრობა, ეკონომიკას ძვრა ვერ უყო, პირიქით, უკან დასწია და ამ არაეფექტური მთავრობის წევრებისა და სხვა მათნაირი უსაქმური ჩინოვნიკების შესანახად, ჩემი ჰონორარის ყოველი 100 ლარიდან 20 ლარს ვიხდი ბიუჯეტში.**

სალომე ასათიანი: „ადამიანის უფლებების, სამართლიანი სასამართლო კვლავ პრობლემურია, გაუმჯობესება შესაძლოა არის ზოგიერთ სფეროში, მაგრამ ევროპულ ქვეყნებთან შედარება მაინც შეიძლება ნაადრევი იყოს, ამას ვგულისხმობ მხოლოდ...“

ბიძინა ივანიშვილი: „რატომ არის ნაადრევი, მე მომყავს ვინც აკეთებს ამას მსოფლიო ბანკი აკეთებს და შვიდი წამყვანი ორგანიზაციის კვლევებია...“

სალომე ასათიანი: „მსოფლიო ბანკები ადამიანის უფლებებს არ აფასებს...“

ბიძინა ივანიშვილი: „წაიკითხეთ წერილი, კიდევ გეკითხებით... ავიღოთ წერილი და ციტატები მოვიყვანოთ იქიდან...“

სალომე ასათიანი: „წერილის გარდა კიდევ ანგარიშები წავიკითხეთ სხვადასხვა ორგანიზაციის“...

ბიძინა ივანიშვილი: „სად არის მერე, მოიტანეთ... აჩვენეთ მერე ტელევიზიით მაყურებელს, აჩვენეთ, გამოდგით, აბა...“

სალომე ასათიანი: (ეძებს ქაღალდებში ციტატას) „შემიძლია ვიპოვო ციტატა, ოღონდ ცოტა დრო დამჭირდება, ამისთვის ნამდვილად...“

ბიძინა ივანიშვილი: (ცხარობს) „უნდა მომზადებულიყავით გადაცემისთვის, ესე როგორ შეიძლება... ჩემი არ გაგიგიათ და თქვენი არ მოგიტანიათ, ესე როგორ წავიყვანთ გადაცემას?“

სალომე ასათიანი: (კიდევ ეძებს ქაღალდებში ციტატას) „მომზადებული ვართ ნამდვილად, თუ მაინცდამაინც ციტატა გნებავთ, მაგრამ გეუბნებით, რომ...“ (თან ეძებს)

ბიძინა ივანიშვილი: „იმიტომ, რომ მე რაც აღვწერე წერილში მქონდა ყველაზე საბუთები და არგუმენტები, თქვენ არგუმენტების გარეშე გინდათ ამის უარყოფა ყველაფრის და რა გადავცეთ ეხლა მაყურებელს, მე არ ვიცი... “

სალომე ასათიანი: „კარგით, ისევ გავაგრძელოთ „ქართული ოცნების“... ციტატა შემიძლია ვიპოვო, უბრალოდ, ამაზე დრო წავა, ამაზე ცოტა მოგვიანებით...“

ბიძინა ივანიშვილი: „კარგი იქნება... და კარგი იქნება თუ წერილსაც წაიკითხავთ და იმასაც მიაქცევდით ყურადღებას, საიდან მაქვს ამოღებული ეს და მინიშნებები მაქვს მე, ვისია ეს კვლევები და საიდან არის ეს გამოქვეყნებული...“

სალომე ასათიანი: (კვლავ ეძებს) „ერთი წუთით...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ შეგიძლიათ სპეციალური გადაცემა მიუძღვნათ ამ თემას, მაგის დროც გექნებათ და საშუალებაც...“

სალომე ასათიანი: (თან ეძებს) ერთი წუთით, თუ მაინცდამაინც ციტატას მთხოვთ, ცოტა ხანს უნდა დამელოდოთ, იმიტომ, რომ მე არ მეგონა, თუ ასე...“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემი ციტატები არ გაწყობთ, რაც მოვიტანე?.. იმას არ ეთანხმებით? მე რაც მიწერია წერილში და რომ არ ეძებოთ და მე მოვედი აქ კიდევ ერთჯერ შეგახსენებთ, ტელემაყურებელსაც შევახსენებ, პოსკრიპტუმში მიგანიშნებდით, რომ ჩვენ წერილი უნდა გაგვერჩია და ის უნდა გაგეკრიტიკებინათ თქვენ, რასაც ვწერდი... “

სალომე ასათიანი: „ეხლავე, ერთი წუთით... ძალიან დიდი ბოდიში, რადგან ჩაწერაა, ვისარგებლებ ამით და...“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩაწერა არა, თქვენ არა გაქვთ უფლება ეს გადაშალოთ, მე ასე ამიხსნეს, რომ ეს მთლიანად თავიდან ბოლომდე უნდა აჩვენოთ ეს პროცესი როგორც მიდის, მე მგონი ყველაზე საინტერესო ეს არის ინტერვიუში, როგორ მიგყავთ თქვენი ინტერვიუ...“

სალომე ასათიანი: „ვაი, ვერ ვპოულობ...“

ბიძინა ივანიშვილი: „ნუ, ხვალ იპოვით მაგას და მერე მომახსენეთ ცალკე...“

სალომე ასათიანი: „ვიპოვი, მაგრამ დიდი ბოდიში, დრო დაიკარგება... “

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენ 15 წუთი დაგვრჩა, მე როგორც ვხედავ...“

სალომე ასათიანი: „არა, 15 წუთი არა, ჩვენ ხომ საათსა და 20 წუთზე ვართ შეთანხმებული?“

ბიძინა ივანიშვილი: „საათი და 20 წუთი სუფთა დრო იქნება, თუ რეკლამით?“..

სალომე ასათიანი: „ეგ აღარ ვიცი... სუფთა დრო...“

ბიძინა ივანიშვილი: „მე მითხრეს, რომ სუფთა დრო საათი იქნება და 20 წუთი რეკლამას დაეთმობა...“

სალომე ასათიანი: „აი, მაგალითად, ორგანიზაცია „ჰიმნრაივოჩის“ ანგარიში, როცა საუბარია ადამიანის უფლებებზე, მოგეხსენებათ, წამება როგორი დიდი პრობლემა იყო, ამ მხრივ ციხეებში მდგომარეობის უკეთესობაზე მართლაც ყველა საუბრობს, მაგრამ ბოლო ანგარიშში წერს, ყოფილი ოფიციალური პირების მიერ თითქოს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებამ გააჩინა შეკითხვები, ამ გამოძიებები საქმეებიდან გამომდინარეობდა, თუ შერჩევითი სამართლის და პოლიტიკურად მოტივირებული დევნის შედეგი იყო...“ ეს ერთი ციტატა...“

ბიძინა ივანიშვილი: „გიპასუხოთ გინდათ?“

სალომე ასათიანი: „კი, რა თქმა უნდა...“

ბიძინა ივანიშვილი: „ვუპასუხოთ მაგას და შემდეგ იმოძებნეთ მანამდე.. თქვენ ეჭვები გაქვთ, რომ ეს პოლიტიკური დევნის შედეგი იყო, ვინც ციხეში არიან დღეს და...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, აქ ჩემზე არ არის საუბარი, აქ ლაპარაკია საერთაშორისო ავტორიტეტიანი ორგანიზაციის შეფასება...“

ბიძინა ივანიშვილი: „გასაგებია, ე.ი. ეჭვი გააჩინა... ეჭვის გაჩენა არ ნიშნავს იმას, რომ ეს საბუთია და მე საბუთები მოგიტანეთ თქვენ, სადაც რეიტინგებში ესეთივე ადგილები უჭირავს საქართველოს... “

სალომე ასათიანი: „რომელ რეიტინგზეა საუბარი?“

ბიძინა ივანიშვილი: „ეჭვი შეიძლება ნებისმიერმა პოლიტიკოსმა საზღვარგ-

არეთ... (არ ასრულებს) თქვენ შეგახსენებთ მაშინ ერთ-ერთ კონგრესმენს, ამერიკის, რომელმაც მოუწოდა ამერიკის ფინანსთა სამინისტროს, დააყადაღოს ანგარიშები, იმიტომ და იმიტომ, რომ ივანიშვილი ასე... ნებისმიერი პოლიტიკოსის გამოთქმა თქვენ თუ გაინტერესებთ, ასეთ გამოთქმებს ძალიან ბევრს ნახავთ საქართველოშიც და საქართველოს გარეთაც, „ნაციონალური მოძრაობის" მეგობრები მყავს მხედველობაში. ის, რომ ეჭვს გამოთქვამს ვიღაც, რომ ეს დაპატიმრებები, რომელიც მოხდა საქართველოში, შეიძლება პოლიტიკურად მოტივირებული იყო..."

სალომე ასათიანი: (აწყვეტინებს, არ ასრულებინებს) „სამართლიანი სასამართლო მოგეხსენებათ, ერთ-ერთი..."

ბიძინა ივანიშვილი: (ბრაზდება, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებს) იქნებ დამასრულებინოთ, თქვენ წაიკითხეთ ციტატა და ამდენი დრო დახარჯეთ, თანაც ბევრი ეძებეთ და იქნებ, მაყურებელს ავუხსნათ, რა მოხდა ციტატის შემდგომ... ხომ უნდა ავხსნათ, ეს ციტატა რატომ მოიტანეთ... თუ მონოში გინდათ საუბარი, მე რატომ მეძახდით, დამდგარიყავით თქვენ და გესაუბრათ... თუკი შეკითხვას სვამთ, გავაკეთოთ მასზე რეაქცია, თქვენ წაიკითხეთ ეხლა ამონარიდი, რომ ეჭვს იწვევს ის დაპატიმრებები, რომელიც საქართველოში ხდება და შეიძლება ის პოლიტიკურად მოტივირებული იყოს. თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით, განათლებითაც ჟურნალისტი ხართ? იმიტომ, რომ დღეს ძალიან ბევრი ტელევიზიებში მუშაობენ, მაგრამ განათლებით ჟურნალისტი არ არის, თქვენ ესე ხართ, ხომ?

სალომე ასათიანი: (პასუხის ნიშნად თავს უქნევს)

ბიძინა ივანიშვილი: „როდესაც თქვენ ამ კითხვას სვამთ, ან იზიარებთ, ან არ იზიარებთ, ჟურნალისტი კრებს მას, რასაც თვითონ ეჭვი აქვს და თანხმობაში მოდის მასთან. შესაბამისად, მე მინდა შემოგიბრუნოთ ეს კითხვა, ის დაპატიმრებები, რაც საქართველოში მოხდა, იქიდან თქვენ უნდა ამოირჩიოთ, რომელი გაქვთ მხედველობაში, ან ყველა ერთად და მე ჩამოვთვლი მაშინ, რასაც გავიხსენებ... თქვენ გაქვთ ეჭვი, რომ ეს პოლიტიკური მიზეზით არიან დაპატიმრებული და მათ სამართლებრივად არ ჰქონდათ არავითარი დარღვევები?

სალომე ასათიანი: „მე არ მაქვს ეჭვი, ამას საერთაშორისო ამნისტიის..."

ბიძინა ივანიშვილი: „ამ კითხვას როდესაც სვამთ და ანდა, იმეორებთ, თქვენთან თანხვედრაში უნდა იყოს, მაინც გიპასუხებთ, რომ..."

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, ამ გადაცემაში კითხვებს ჩვენ ვსვამთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „დავასრულებ კითხვას... "

სალომე ასათიანი: „ეს ჩემი კითხვა არ არის, როგორ აგიხსნათ..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ არავითარი როლი არ გაგაჩნიათ? ეს ხომ თქვენ ამოირჩიეთ? თქვენ ჩემი არ მოგეწონათ და მოძებნეთ თქვენი, მას ეთანხმებით..."

სალომე ასათიანი: „კი ბატონო, მოდით, გავაგრძელოთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „ეხლა პოლემიკაში ხომ შეიძლება შეკითხვა დაგისვათ, რატომ თქვენ ამას ეთანხმებით, უნდა დააზუსტოთ, თქვენ ყველა პატიმარი, რომელმაც მიიღო პატიმრობა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ, ყველა მიგაჩნიათ პოლიტპატიმრებად და ესე გამოხატავთ, თუ ვინმე სხვა, დააზუსტეთ ეს და მე გიპასუხებთ..."

სალომე ასათიანი: „კითხვებს ამ გადაცემაში ჩვენ ვსვამთ, ბატონო ბიძინა, ეს არ არის ჩემი მოსაზრება, ეს იყო საერთაშორისო ამნისტიის, მაგრამ ნუღარ გავჩერდებით ამ თემაზე, რადგან „ნაციონალური მოძრაობის" მემკვიდრეობაზე ვსაუბრობთ და თქვენი წერილის დიდი მონაკვეთი მართლაც აგებულია ამ მმართველობის მანკიერების ხაზგასმაზე, ახსენებთ მაშინდელი პატიმრების..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ მაშინ ცხოვრობდით საქართველოში? თქვენ ამაზე ეთანხმებით ჩემს წერილს? "

სალომე ასათიანი: „ესეთი რამ მინდა გკითხოთ... თქვენ ამბობთ ამ წერილში..."

ბიძინა ივანიშვილი: „მე მინდა თქვენი პოზიცია დავინახო... სულ რაღაცას მეკითხებით, ჩემს აზრს არ იზიარებთ..."

სალომე ასათიანი: „ჩემი პოზიცია რატომ გაინტერესებთ, ბატონო ბიძინა? ესე იქცევიან ჟურნალისტები, ეს არის ჩემი მოვალეობა..."

ბიძინა ივანიშვილი: „მეც ვიცი რა არის ჟურნალისტი, მე ნუ ამიხსნით ეხლა, რა არის ჟურნალისტიკა, ძალიან გთხოვთ..."

სალომე ასათიანი: „თქვენ გსურთ მე ყველაფერში დაგეთანხმოთ? თქვენ რომ მოდიოდით ფიქრობდით, რომ ჩვენ ყველაფერში უნდა დაგეთანხმოთ, თუ როგორ არის საქმე?"

ბიძინა ივანიშვილი: „ღმერთმა დამიფაროს, მე მაინტერესებს თქვენი პოზიცია, თქვენი პოზიცია არის ის, რომ რასაც მე ავღწერ, ეს ყველაფერი ეჭვს იწვევს, თქვენ მოგყავთ ახალი ციტატა, ესე იგი მას იზიარებთ და ამაზე როდესაც გეკითხებით რა გაქვთ მხედველობაში, იძახით რომ მე თქმის უფლება არა მაქვს... ეს თქვენ დამისვით კითხვა, დააბნიოთ უნდა მაყურებელი, რაც თქვით, მაგრამ პასუხს არ... კითხვას როდესაც სვამთ, იმ კითხვაში თქვენ თქვენი პასუხისმგებლობა გაგაჩნიათ..."

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, წერილში ამბობთ: „ბევრი რამ, ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რეალური სურათი იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა..." საუბრობთ განვლილ წლებზე. თქვენი აზრით, რომ განვავრცოთ ეს აზრი, ხომ შეიძლება? რა გავიგეთ ჩვენ მოქალაქეებმა 2012 წლის შემდეგ..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ რამე გაიგეთ, რაც მოხდა? თქვენ პირადად, ჟურნალისტმა..."

სალომე ასათიანი: „ერთი საარჩევნო ციკლი მთავრდება, ჩვენ ვისმენთ ძალიან ბევრ განცხადებას იმაზე, რომ სისხლიანი 9 წელი, ჯალათები, წამება, ასე შემდეგ...

ბიძინა ივანიშვილი: „ვისგან ისმენთ, ჩემგან ისმენთ?"

სალომე ასათიანი: „მთავრობის ძალიან ბევრი წარმომადგენლისგან..."

ბიძინა ივანიშვილი: „მხოლოდ მთავრობისგან?"

სალომე ასათიანი: „კონკრეტულად, რა გავიგეთ, დავუშვათ, სისტემურობის შესახებ. რამდენად სისტემური იყო წამება იმ პერიოდში, რა გავიგეთ მოსმენების შესახებ? ვინ დაისაჯა იმ 26 ათასი ფაილის გამო, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა, რამდენად უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს იმის გარანტია და ან იმედი, რომ ამ ვითარებაში, როცა არაფერი რეალურად არ გაგვიგია, მასშტაბზე, ვერტიკალზე, სადამდე მიდის კვალი 26 ათასი ფაილს ერთი მოხელე თავისით ვერ ჩაწერდა, ხომ? რომ ეს სისტემა დღესაც არ არსებობს და არ განაგრძობს მოქმედებას?

ბიძინა ივანიშვილი: (ცხარდება დასმული კითხვის გამო) „მთავარი ეგაა თქვენი კითხვის, რომ დღეს რა გვეშველება, რომ დღეს არის უარესი, ხომ თუ როგორ სვამთ კითხვას?"..

სალომე ასათიანი: „რა გავიგეთ, როგორ შეფასდა, თქვენი აზრით, რამდენად სწორად, იურიდიულად, სამართლებრივად და პოლიტიკურად შეფასდა წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა და რამდენად მოხდა შესაბამისად სისტემური სტრუქტურული გარდაქმნა.

ბიძინა ივანიშვილი: (ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს) „მაგაზე ახლა უამრავი გადაცემები იყო, უეამრავი პროკურატურის მოხსენებები იყო, უამრავი პოლიტიკოსების გამოსვლა იყო, რომელი ერთი ჩამოვთვალო ამ პროცესებს ალბათ, რამდენიმე დღე დასჭირდება... "

სალომე ასათიანი: „კონკრეტულად ვისაუბროთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენი კითხვა ვერ გავიგე?.."

სალომე ასათიანი: „წინა ხელისულებისგან დარჩა 26 ათასი ფაილისგან შემდგარი არქივი..."

ბიძინა ივანიშვილი: „მაგრამ ნაწილი ხომ გაანადგურეს..."

სალომე ასათიანი: (აგრძელებს კითხვას) „რომელიც მოიცავდა როგორც სექსუალური შინაარსის ჩანაწერებს, ასევე პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების შეხვედრებს და ა.შ. გაანადგურეს ნაწილი, 144 ფაილი, რომელიც სექსუალური და პირადი ცხოვრების ამსახველი იყო, მაგრამ საზოგადოებამ კვლავაც არ იცის, საერთოდ მიმდინარეობს თუ არა გამოძიება აი, ამ დიდ საქმეზე, ამ 26 ათას ფაილზე... აღიძრა საქმე რამდენიმე ჩანაწერზე, ეხლა რომელმაც გამოჟონა..."

ბიძინა ივანიშვილი: (არ ასრულებინებს კითხვას) „მე პროკურორი არა ვარ, შეგიძლიათ ზუსტად პროკურატურას დაუსვათ ეგ კითხვები ზუსტად და ზუსტად მიიღებთ პასუხებს რამდენი გამოძიება მიდის..."

სალომე ასათიანი: (იცინის) „პროკურორი უარს გვეუბნება გადაცემაში მონაწილეობაზე, მაგრამ იმედია გვესტუმრება..."

ბიძინა ივანიშვილი: „ვიღაც მოვა იქიდან და მაგ ინფორმაციის ამოკრება შეიძლება იქიდან თავისთავად... თავისუფლად... ეხლა მე ამ ინფორმაიით მზად არ მოვედი, თორემ რომ მცოდნებოდა, რომ თქვენ პროკურატურაზე უნდა ძირითადად მესაუბრა, რამდენი გამოძიება მიდის, მე მოვითხოვდი ამ მასალებს, რაც არის სივრცეში, ამოვკრიბავდი ინტერნეტიდან, მათ რიცხვში პროკურატურის ვებ-გვერდიდან ამოვკრებდი ამას ყველაფერს და მოგიტანდით... საუბედუროდ არ გამაფრთხილეთ, თორემ..."

სალომე ასათიანი: „ამავდროულად, მოსმენების კანონები, რომელიც მიიღო უკვე თქვენმა ხელისუფლებამ..."

ბიძინა ივანიშვილი: „შეგახსენებთ, რომ თქვენ ამ წერილის ირგვლივ უნდა გეტრიალათ და თქვენ ამაზე უარს ამბობთ..."

სალომე ასათიანი: „წერილის ირგვლივ ვტრიალებთ, თქვენ ამ წერილში მემკვიდრეობას აფასებთ, ამბობთ, რომ ბევრი რამე გავიგეთ, რა გავიგეთ?"

ბიძინა ივანიშვილი: „გასაგებია, გასაგებია... თქვენ ამ წერილს რომ გაჰყვეთ, არსენა ოძელაშვილამდე ჩახვიდეთ და იქ ვკითხოთ პროცესები როგორ მთავრდებოდა..."

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, თქვენ საუბრობთ, რომ ბევრი რამე ჩვენ გავიგეთ, წინ წავედით..."

ბიძინა ივანიშვილი: „მეტს აღარ შეგეკამათებით, დასვით კითხვა და მე გიპასუხებთ... გააგრძელეთ... აბა სად არის კითხვა, სად გავჩერდით, გაიმეორეთ კითხვა რაა? რამდენი გამოძიება მიმდინარეობს პროკურატურაში?

სალომე ასათიანი: „მოსმენების შესახებ არავინ არ დასჯილა, ბრალიც არავის წაყენებია..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ ესე იცით?"

სალომე ასათიანი: „კი... და კანონი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მიიღო მოსმენებთან დაკავშირებით, უკვე გასაღები, რომელიც დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საკონსტიტუციო სასამართლომ ახლახან სცნო არაკონსტიტუციურად... რა გარანტია უნდა ჰქონდეს მოქალაქეს იმისა, რომ ეხლა კიდევ... იმის გათვალისწინებით, რომ არც არავინ დასჯილა, ჩვენ არ ვიცით, სისტემა როგორ შეხვდა მზად, როგორ შეიცვალა და ამ ხელისუფლების პირობებშიც არაერთი მოქალაქე ამბობს, რომ მასზეც განხორციელდა ფარული თვალთვალი..."

ბიძინა ივანიშვილი: „კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე ამისთვის არ მოვედი მზად, გაქვთ ფაქტები თქვენ დასაბუთებული?

სალომე ასათიანი: „მე ვიცი რასაც ამბობს ეკა მიშველაძე, ამ არხის ყოფილი ჟურნალისტი..."

ბიძინა ივანიშვილი: „საბუთი აქვს რამე?

სალომე ასათიანი: „ალეკო ელისაშვილი, ნიკა გვარამია... ბევრი ამბობს..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენც შეგიძლიათ თქვათ, რომ ივანიშვილი მოვიდა ჩემთან მოსასმენად... და შეგიძლიათ ამით დაასრულოთ... ფაქტების გარეშე როგორ შეიძლება ჟურნალისტმა ისაუბროთ, რამე ფაქტი მოიტანა? "

სალომე ასათიანი: „მათ აქვთ ამის ფაქტები... ეს ადამიანები ამას ამბობენ და..."

ბიძინა ივანიშვილი: „არა, განცდები ძალიან ბევრს, მე გვარს არ დავასახელებ..."

სალომე ასათიანი: „თქვენ არ გაინტერესებთ, რომ ამ ქვეყნის მოქალაქე ამბობს, რომ მათ უთვალთვალებენ?"

ბიძინა ივანიშვილი: „როგორ ვქნათ ჩვენ, პარალელურად ვისაუბროთ? თქვენ ასე ხართ მიჩვეული?. როდესაც კითხვას სვამთ, თქვენ ისევე აგრძელებთ კითხვის დასმას და ჩემი პასუხი აღარ ისმის და როგორ მოვიქცეთ, იქნებ ახალი თამაშის წესები შემოვიღოთ რაღაცა..."

სალომე ასათიანი: „კარგით..."

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, დამელოდეთ, ამაზე უნდა გავაკეთო რეაქცია... თქვენ სვამთ კითხვებს დაუსაბუთებელს, რომ მოქალაქეები ამბობენ... ეს ეხლა პრინციპი, გეწყინებათ თქვენ და ეს მეთოდი, როდესაც საბუთი არ გააჩნიათ და ძირითადად ოპონენტი ახალი ხელისუფლების, გაჰყავთ ისევ „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც აღვირახსნილად ცრუობს, სიცრუეზე ჰქონდა ქვეყანა აგებული და ძალადობაზე, დღესაც რაც შეუძლიათ იგივეს აგრძელებენ და თქვენც ზუსტად იმ კონტექსტში ჯდებით... "

სალომე ასათიანი: „თქვენ არ გჯერათ ამ მოქალაქეების, არ გაინტერესებთ ის, რას ამბობენ მოქალაქეები..."

ბიძინა ივანიშვილი: „ნებისმიერი მოქალაქე, ჟურნალისტიც რომ არ იყოს, მას იმის საფუძველი უნდა გააჩნდეს და არგუმენტები უნდა ჰქონდეს და საბუთი შესატყვისი..."

სალომე ასათიანი: „საფუძველი არის ის, რომ ამბობენ ამ ქვეყნის მოქალაქეები..."

ბიძინა ივანიშვილი: „ამბობენ, ესე ხომ ყველაფერი შეგიძლიათ... ეს ხომ ყვითელი მედიაა მხოლოდ, თქვენ ხომ ბრძანდებით დღეს საზოგადოებრივი არხზე, ამას ხომ საზოგადოება აფინ-

გაგრძელება გვ. 36

Facebook ამბები

facebook



**ზაზა სიამაშვილი:**

შეკითხვა პრემიერს, პრეზიდენტს, შსს მინისტრს და საზოგადოებას.... დღეს მთელი დღე ისმის ამ ბლანჟეიანი პიჟონის გამოსვლა, ტაკიმასხრობა.... ამას კიდევ არ მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ მუქარა, სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების მცდელობა, შანტაჟი, პროვოკაცია, ცილისწამება.... რაც ჩამოვთვალე, ეს ქმედებები არ ისჯება ჩვენი კანონით თუ ამ გვარამიას აქვს ამის უფლება??? ან მის ტელევიზიას?! რა ხდება, რა ქვეყანაში ვართ???? ვერაფერი გამიგია.... გამოდის ეს ვაჟბატონი და პრემიერს და იუსტიციის მინისტრს, მოსამართლეს აბრალებს - წინასწარ დაიწერა განაჩენიო...... ველოდები, რომ პროკურატურა უნდა დაინტერესდეს მისი ამ „მოსაზრებით"...ამ მასხარას გონება ვინ მისცა, მაგრამ თუ ,,გონივრული ეჭვი'' ულიტინებს, - დაჰკითხეთ და მოჰკითხეთ.... სპორტსმენები ხომ კარგად შეაქუჩეთ და ლამის 6 საათი დასაკითხად გყავდათ??? ამ ნაპროკურორალს თუ ნამინისტრალს არ ეხება თუ განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს და ესეც არ ვიცით??????? ქვეყანაა, სახელმწიფოა თუ უკანა ეზო????? ამის ბჟუტურზე რომ კომენტარს აკეთებს მეგობარი ქვეყნის ელჩი, ეს რას მივაწეროთ???????? ამოქმედდით, დროულად მიიღეთ ზომები..... ახლა ეს ოჯახში კი არ უნდა ნებივრობდეს, დაკითხვაზე უნდა გყავდეთ..... მართლა არ მესმის რა კინოს ვუყურებ რა სპექტაკლის მონაწილე ვარ....

facebook



**მერაბ როდონაია:**

გილიოტინასა და სახრჩობელას შორის აცრთულია არჩევანის გაკეთება, ბატონო ბიძინა, მაგრამ, თქვენი ლოგიკით, შეიძლება არჩევანის თავისუფლებად ჩაითვალოს. ... ბიძინა ივანიშვილი: ''წელს მთელი საზოგადოება პოლიტიკური სიმწიფის გამოცდას ვაბარებთ. ადრე თეთრსა და შავს შორის ვირჩევდით, დღეს უკვე ბევრი ფერია, გაჩნდა არჩევანის თავისუფლება — ყველა საკუთარ სიმართლეს ამტკიცებს, ყველა საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს. ამიტომ, გაცილებით რთულია მართებული არჩევანის გაკეთება''

ოცდამეთხუთმეტე გვერდიდან

ანსებს, თქვენ საზოგადოება გაფინანსებთ ჩვენი და ეხლა თქვენ მონაჭორებით...“

სალომე ასათიანი: „საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ის მოსმენები, სწორედ საზოგადოებას აინტერესებს, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ის მოდელი მოსმენებისა, რამდენიმე თვის წინ...“

ბიძინა ივანიშვილი: „მაშინ უნდა დაბრუნდეს ეს განხილვაში...“

სალომე ასათიანი: „რომელიც მიიღო ახალმა ხელისუფლებამ, გასაღები დარჩა საპოლიციო სტრუქტურებში... ანუ რეალურად, ამ მხრივ, რაც წინსვლა გვაქვს, თქვენ ხომ საუბრობთ წერილში, რომ წინსვლა გვაქვს, წერილიდან გამომდინარე გეკითხებით ამას...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ არ იცით რა წინსვლა გვაქვს? შეგახსენებთ მაშინ...“

სალომე ასათიანი: „ჩვენ თქვენგან გვინდა მოვისმინოთ, მე რატომ მისვამთ შეკითხვას, ბატონო ბიძინა?“

ბიძინა ივანიშვილი: „იმიტომ, რომ თქვენ სუყველაფერში ეჭვს გამოთქვამთ, ამდენი მოსმენა ნახეთ, ამდენი გამოქვეყნდა, ამდენი დასაბუთდა...“

სალომე ასათიანი: „თქვენ კითხვაზე პასუხს არ მცემთ, გეუბნებით, რომ ამდენი არგუმენტი მოგიყვანეთ...“

ბიძინა ივანიშვილი: „არ მისმენ შვილო და როგორ უნდა გაგცე პასუხი... (ხარხარებს) ერთს რომ დამისვამთ, დამელოდეთ, არ ვილაპარაკებთ სასამართლოზე, სანამ ამაზე არ გიპასუხებთ... “

სალომე ასათიანი: „თუ გვიპასუხებთ, გისმენთ...“

ბიძინა ივანიშვილი: (იცინის) „კარგია... როდესაც სვამთ კითხვას, პასუხს დაელოდეთ, რდესაც ამტკიცებთ, რომ მე კითხვებზე არ გპასუხობთ, ამის საფუძველი უნდა გქონდეთ... როდესაც თქვენი კითხვა დაკონკრეტებული არ არის და უსაფუძვლოა, იმაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია... როდესაც თქვენ ამბობთ, რომ ვიღაცეები ამბობენ, ეს არ არის კითხვა, მე მაინც გიპასუხებთ, რა წინსვლა გვაქვს... არცერთი შემთხვევა არ არის დღეს, თუ... 26 ათასი რომ დაასახელეთ, ამდენი კადრი რომ გადაღებული იყო, ასეულობით მილიონი დახარჯული იყო და ხალხი ამით იყო დაკავებული, რომ პირადი ცხოვრების კადრებს იღებდნენ ძირითადად, ეს ყველაფერი გამომზეურდა და დოკუმენტურად იყო დასაბუთებული და დამტკიცებული, დღეს თქვენ არცერთი ფაქტი არა გაქვთ მოყვანილი იმისა, რომ დღევანდელ დღესაც უსმენენ და ძალიან დიდ ეჭვს გამოთქვამთ... მე გეკითხებით, ამავე დროს ხშირად შემახსენებთ, რომ მე შეკითხვის უფლება არა მაქვს, მე მოქალაქე ვარ და ჩემი უფლებები მაქვს ისევე, როგორც თქვენ ჟურნალისტი ხართ და...“

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, ეს არ არის პასუხი...“

ბიძინა ივანიშვილი: „შემახსენეთ ერთი, რა არ არის პასუხი, რომ არცერთი საბუთი არა გაქვთ, არცერთი არგუმენტი არა გაქვთ...“

სალომე ასათიანი: „საბუთი რა უნდა გვქონდეს, ფარული ჩანაწერი მოგიტანოთ, დავუშვათ რომელიმე მოქალაქის და აქ გაჩვენოთ, თუ როგორ? ამბობენ მოქალაქეები...“

ბიძინა ივანიშვილი: „აბა სხვანაირად როგორ შეიძლება ყველაფერი ვთქვათ, ამბობენ თქვენზე ეხლა... დავიწყო, რომ აი, ამას... მერე თქვენ პასუხი უნდა გასცეთ იმაზე?“..

**ახლა, ბიძინა ივანიშვილის ლოგიკას თუ მივყვებით, ვინც „ნაცმოძრაობას“ გაემიჯნება, ყველას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, მეტიც, ამ ხალხს სახელმწიფო პოსტები და გავლენა უნდა ვუბოძოთ. ეს ნორმალურია?**

სალომე ასათიანი: „კონკრეტული მოქალაქეები ამბობენ, რომ მათზე არის უკანონო თვალთვალი და თქვენ...“

ბიძინა ივანიშვილი: „მერე იმ მოქალაქემ თუ არ დაასაბუთა, რა ვქნათ?“

სალომე ასათიანი: „ეს ალბათ საპოლიციო სტრუქტურების გადასაწყვეტია, მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ მათი არ გჯერათ, რომ...“

ბიძინა ივანიშვილი: „რა თქმა უნდა, თუ საბუთი არა აქვთ, როგორ დავიჯერო, თუ არგუმენტი არ ჰქონდა, არ ჰქონდა დოკუმენტი იმის, რომ ეს ესეა, თუ არ მტკიცდება, აბა რა ვქნათ... “

სალომე ასათიანი: „აქვთ, მაგრამ მე ხომ არ ვნახავდი ამას?“..

ბიძინა ივანიშვილი: (მრავალმნიშვნელოვნად, ცინიკურად) „თქვენ როგორ ნახავდით, მაგისთვის ხომ არ გცალიათ? თქვენ შეკითხვები უნდა დასვათ მხოლოდ... გააგრძელეთ, აბა?“..

სალომე ასათიანი: „კარგით, რაც შეეხება სასამართლოს... თქვენ ბრძანებთ, რომ სასამართლო დღეს თავისუფალია, მიუხედავად იმისა, რომ მოგვწონს თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილებები, ან კონკრეტული მოსამართლე... ევროსაბჭოს კიდევ ერთი ციტატა რომ მოგიტანოთ: „საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო კვლავაც იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც ყველაზე დაბალია ნდობა სასამართლოს მიმართ ის აღიქმება ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ინსტიტუტად“. რაც ყველაზე მთავარია...“

ბიძინა ივანიშვილი: „საიდან კითხულობთ მაგას?“

სალომე ასათიანი: „ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის ანგარიში“...

ბიძინა ივანიშვილი: „ეხლა ერთ რამეს შეგახსენებთ...“

სალომე ასათიანი: „ერთი წუთით, კითხვა დამასრულებინეთ... ორი მთავარი ფუნდამენტური რამ, რაც უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს რეფორმაში, მოსამართლეების დანიშვნის წესის შემოღება, მკაცრი გაწერილი კრიტერიუმებით პარლამენტის მიერ და საქმეების ელექტრონული განაწილება მოსამართლეებს შორის, იქ რომ ჩარევის ფაქტორი არ ყოფილიყო სუბიექტური... ამის ფონზე...“

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ მე მგონი გადაცემა მონოლოგში უნდა წაიყვანოთ... იმიტომ, რომ კითხვები რომ შეამოწმოთ, ამ გადაცემაში თქვენ 80 პროცენტს საუბრობთ, მე 20 პროცენტს, იმდენს საუბრობთ... იცით, რომ პარლამენტში არის ახალი რეფორმა სასამართლოსი, მოსამართლეების დანიშვნის შესახებ მესამე მოსმენაზეა მისული, თქვენ გაარკვიეთ და გადაეცით ტელემაყურებელს, რისთვის ჩერდება... და კიდევ შეგახსენებთ, მე მაქვს კონკრეტული ამონარიდი მოტანილი ჩემს წერილში, სადაც სასამართლოს მხრივ, მთავრობის გამჭვირვალობის, კორუფციის, საქართველომ ძალიან დიდ წინსვლას და მაქსიმალურ ციფრს იკავებს რეიტინგში, რაც კი ჰქონია საქართველოს ამდენი წლის განმავლობაში... თქვენ ეხლა ევროსაბჭოზეც შეგახსენებთ ერთს, რაღაც ამონარიდს რომ კითხულობთ საიდანღაც, ევროსაბჭომ ოდესღაც სამარცხვინოდ მათი, ესეთი შეცდომებიც შეიძლება მოხდეს, როდესაც „იმედი“ დაუბრუნდა საკუთარ მეპატრონეს, განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლება კერძო ტელევიზიას არბევს და ეს მოახერხეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და პირიქით, მე როდესაც ვიყავი სტრასბურგში ჩასული, შევახსენე, რომ მსგავსი შეცდომები აღარ მოუვიდეს. თქვენ როგორც ჟურნალისტი, როდესაც ეძებთ, ყოველთვის მიაგნებთ რაღაც ყურმოკრულს მაინც, საით წაიყვანოთ თქვენი გადაცემა... ეს დამოკიდებულება ჩემთვის გასაგებია და გააგრძელეთ, მე რაც შეიძლება გიპასუხებთ კითხვებზე...“

სალომე ასათიანი: „რამდენად არასწორი უნდა იყოს ერთი ადამიანის პერსონიფიცირება ვთქვათ, ყველა მანკიერების სახედ, თქვენ რა თქმა უნდა იცით, რომ ლევან მურუსიძის სანდრო გირგვლიანის და სხვა არაერთი გახმაურებული საქმეების მოსამართლის ამბავმა სააშკარაოზე გამოიტანა ის პრობლემები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ამ სფეროში, იუსტიციის სფეროში, სამართლის სფეროში. როცა მოსამართლის დანიშვნის თვალსაზრისით, ის, რომ გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს, ის, რომ მათი წინა რეპუტაცია არ არის შესწავლის საგანი, მურუსიძესთან შეხვედრები გამართეთ თქვენც პრემიერ-მინისტრის რანგში და შემდეგ თქვენმა მემკვიდრე შემდგომმა პრემიერმაც, ღარიბაშვილმაც. თქვენ მას სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიც კი უწოდეთ, თუ შეიძლება ესეთი რამ რომ გკითხოთ, რატომ შეხვდით მას იუსტიციის საბჭოს მდივანს და არა, საბჭოს თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს და რატომ უწოდეთ მურუსიძეს გარანტი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და როგორ ფიქრობთ, ის, რომ თქვენ ის დაახასიათეთ ასე, იყო თუ არა გადამწყვეტი ფაქტორი იმაში, რომ მურუსიძე დღეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა.

ბიძინა ივანიშვილი: „შეიძლება ციტატა ჩემი ამოიღოთ, რომ მე ასე დავახასიათე? იმიტომ, რომ მე ეჭვი მეპარება თქვენ რასაც ლაპარაკობთ, რომ ეგრე არ იყო, მაგრამ მაინც გიპასუხებთ მაგ კითხვაზე. გაქვთ ციტატა ჩემი ნათქვამი? “

სალომე ასათიანი: „თქვენ მას უწოდეთ გარანტი სასამართლოს დამოუკიდებლობისა...“

ბიძინა ივანიშვილი: „ეგ ამოჭრილი იყო კონტექსტიდან და ეხლა გასაგებია, ეგეც საიდან არის მეთოდი ესეც ცნობილი მეთოდია, მაგრამ მე მაინც კითხვებს ვუპასუხებ ტელემაყურებელს ალბათ აინტერესებს, ოღონდაც დამელოდეთ და დამასრულებინეთ კითხვა წინასწარ გთხოვდით ამას... მართლაც შევხვდი მურუსიძეს, მურუსიძე იყო დანიშნული კუბლაშვილი თავმდომარე იყო სასამართლოში მაშინ, შევახსენებ მაყურებელს, მეორე პირად მდივნად, სასამართლოს მდივნად დანიშნეს მურუსიძე და ორი თუ სამი თვე იყო ამის შემდეგ გასული, როდესაც ეს მოხდა ჩემი პრემიერობის ერთი წლის თავზე როგორც ვიხსენებ, მართლაც შევხვდი მას, მანამდე შევხვდი კუბლაშვილს, ამასაც შევახსენებ ტელემაყურებელს და მასთანაც მქონდა საუბარი ერთადერთი და თხოვნაც, რომ როგორმე სასამართლო იყოს სამართლიანი და კანონს მოუსმინონ და გათავისუფლდნენ ძველი გუნდის ზეწოლისაგან და ახალი გუნდი არ იკადრებს და არც უკადრებია, რომ ჩაერიოს სასამართლოს სისტემაში და მართლაც ეს დავიცავით ჩემი პრემიერობის დროსაც, და ჩემი აზრით, განუხრელად გრძელდება დღევანდელი ხელისუფლების დროსაც, რომ ახალი ხელისუფლება სასამართლოს სისტემაში არ ჩაერევა და ძველისგან მოვახერხეთ გათავისუფლება, ასეთივე შეხვედრა მქონდა მე მართალი გითხრათ, ერთი წლის განმავლობაში კუბლაშვილს მანამდე ერთი წლით ადრე შევხვდი და მისი ქმედებიდან გამომდინარე რაც ხდებოდა სასამართლოში, რა დღეში იყო პროკურატურა საქმეებს უშლიდა სასამართლო და შემდგომ, არ წამომილია მე ამაზე დოკუმენტაცია და თუ გნებავთ ცალკე გამოგიგზავნით, რამდენად უჭირდა პროკურატურას მუშაობა კრიმინალს წინასწარ პატიმრობას არ უსჯიდა და ეს შემდგომ ძალიან აბრკოლებდა და აფერხებდა, ვნახე რომ კუბლაშვილი ვერ გამოდიოდა ამ გავლენიდან და მოვახერხე შეხვედრა მურუსიძესთან და იმედი გამოვთქვი მაშინ ახალგაზრდაზე, რომ იქნებ, როგორმე მოახერხოთ და გათავისუფლდეთ...

სალომე ასათიანი: (აწყვეტინებს) „თქვენ მაშინ იცოდით, რომ ის გირგვლიანი საქმის მოსამართლე იყო, აი, რომ შეხვდით, იცოდით მაშინ?“

ბიძინა ივანიშვილი: „არ გიპასუხებთ კითხვაზე, სანამ პასუხს არ დავასრულებინებთ... (აგრძელებს) და ვთხოვე მას და გავუმეორე იგივე, რომ იქნებ შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და როგორმე მოახერხე და გათავისუფლდე ძველი ხელისუფლების წნეხისგან. და გარანტიას გაძლევ, რომ ახალი ხელისუფლება არ ჩაერევა და ასე შემდგომ, ამავდროულად წუხილი გამოითქვა იქ ჩემთან ერთად ფინანსთა მინისტრიც იყო, რომ მათ ხელფასები ჰქონდათ ძალიან დაბალი, რეალურად გახსოვთ, რომ სასამართლო მიკერებული იყო პროკურატურაზე და პროკურატურა მართავდა, ნოტარიუსის როლს ასრულებდნენ და ბეჭედს არტყამდნენ მხოლოდ, და ძალიან დათრგუნული იყო სასამართლო, რამეთუ ეს სისტემა ასეთი იყო, პროკურორი და ადეიშვილი განაგებდა მთლიანად და მბრძანებლობდა, მოსამართლეებს პრაქტიკულად, შეიძლება მსხვერპლად დავასახელოთ მოსამართლე იმ სისტემის, როგორი სისტემაც არსებობდა მაშინ... მე ვპირდებოდი, რომ დაჟინებით არ ჩაერევა ხელისუფლება, ყველა პირობას შეგიქმნით, როგორმე გათავისუფლდეთ ძველებისგან, და მოახერხოთ სასამართლოს მიეცეს სტატუსი, რომ სამართლიანია სასამართლო. ხელფასებიც მე მგონი 70-80 პროცენტით გავუზარდეთ, მათ წლების განმავლობაში არ გაზრდიათ ხელფასი, როდესაც სხვა სტრუქტურებში, სახელმწიფოში ხელფასები იზრდებოდა, მათი მმართველობის დროს, მათ რიცხვში პოლიციაში იყო გაზრდილი და პროკურატურაში, ესეც შეუსრულეთ, იმის შემდგომ პროცესები როგორც განვითარდა, არავის ხმა არ ამოუღია, შევახსენებ ტელემაყურებელს, რომ როდესაც მურუსიძე აირჩიეს მეორე კაცად სასამართლოში, ეს იყო 2013 წელს, არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ის ცუდი კაცია და არავის კრიტიკული ნათქვამი არ გამოუთქვამს...

**„ალია“:**

**როცა იუსტიციის საბჭოს მდივნად ლევან მურუსიძეს ირჩევდნენ, დიდი გაწევ-გამოწევა იყო თავად მოსამართლეთა წრეში. ადვოკატები, ჟურნალისტები, პატიოსანი პოლიტიკოსები და რიგითი მოქალაქეებიც ლამის ჭკუაზე გადავიდნენ, როცა გაიგეს, რომ მურუსიძე იუსტიციის საბჭოს მდივნად იყრიდა კენჭს. თავიდან ხალხს ეს ხუმრობა ეგონა, იმდენად დაუჯერებელი ამბავი იყო. ხუმრობა იმიტომ, რომ ბევრი უფლებადამცველი და იურისტი ირწმუნებოდა საფუძვლიანად, რომ ლევან მურუსიძეს არაერთი უკანონო განაჩენი ჰქონდა გამოტანილი და მათ საფუძველზე მის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაწყებულიყო. ამას ისიც დაამატეთ, რომ მურუსიძემ შეუმსუბუქა სანდრო გირგვლიანის მკვლელებს სასჯელი. ივანიშვილმა რა გააკეთა? მურუსიძეს დიდი პატივით შეხვდა, სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტი უწოდა, ფაქტობრივად, დაჭერას გადაარჩინა. მეტიც, დაწინაურებაში ხელი შეუწყო. რა, არ იცოდა ივანიშვილმა, ვინ იყო მურუსიძე? ჩინებულად იცოდა, მაგრამ ეს კაცი თავის სახელისუფლებო დაფაზე სჭირდებოდა პაიკად და არ გაწირა. მერე რა, რომ კანონი არაერთგზის ჰქონდა დარღვეული? ბიძინა ივანიშვილია ამ ქვეყნად კანონიც და სამართალიც და ის წყვეტს, ვინ დაიჭიროს და ვინ გაუშვას. გიორგი ქადაგიძეს, ეროვნული ბანკის უკვე ყოფილ პრეზიდენტს, 2013 წელს დაჭერას უპირებდა თავად ივანიშვილი, მაგრამ არ დაიჭირა, რადგან მსოფლიო ბანკის ერთმა დიდმოხელემ სთხოვა. აჰა, მეტი რაღა გინდათ? დღეს, არაერთ დანაშაულში საფუძვლიანად მხილებული და უკვე პროკურატურისგან ბრალწაყენებული „ნაციონალთა“ ლიდერები რომ „ბლატაობენ“, ციხეში რომ უნდა ისხდნენ და პარლამენტში არიან, ეს ნეტავ ვისი ბრალია? ეჭვი მაქვს, მათი ხელშეუხებლობის შესახებ სთხოვეს ივანიშვილს და მანაც მისცა ეს ხელშეუხებლობის გარანტია. მთხოვნელი კი იცით, რამდენია? ამერიკისა და სხვა ქვეყნების ელჩები, სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერები, პარლამენტების გავლენიანი წევრები, ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის დეპუტატები, იგივე მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი კიდევ. ლობისტები „ნაციონალებს“ ოხრად ჰყავთ და ივანიშვილთან სათხოვნელად, თავიანთ თითო გარეწარზე, თითო გავლენიან უცხოელ პოლიტიკოსს უპრობლემოდ გამოძებნიან. დღეს საქართველოში ერთი კაცის ნებაზეა დამოკიდებული მართლმსაჯულება და ეს ერთი კაცი კიდევ სასამართლო რეფორმაზე ლაპარაკობს. სირცხვილია, რა.**

ბიძინა ივანიშვილი: „ამის შემდგომ როგორც გაგრძელდა და როგორც გამოიტანეს გირგვლიანის თემა და მურუსიძე იხატება დღეს ისე, რომ მურუსიძეს არათუ სასამართლო, ექვსი თვე დაუკლო გირგვლიანს, არამედ მისი ბრალია რაც მოხდა და როგორც მოხდა, მე ტელემაყურებელს შევახსენებ კიდევ ერთჯერ, რომ ჯერ პარლამენტმა იმდროინდელმა მართულმა პარლამენტმა სასწრაფოდ ერთ დღეში სამი მოსმენით მიიღო და შეცვალეს კანონ-

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ები ამ მუხლით და პრაქტიკულად გაუნახევრეს, ვინც მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ პრეზიდენტმა ამნისტია გამოუცხადა, იმის შემდგომ კიდევ უმაღლესმა სასამართლომ და იქ მურუსიძის როლი...“

სალომე ასათიანი: „გასაგებია... ეს ყველაფერი გასაგებია...“

ბიძინა ივანიშვილი: „არ არის გასაგები... მე ტელემაყურებელს ვესაურები... დამელოდეთ, დამელოდეთ, არ არის გასაგები... “

სალომე ასათიანი: „არ არის სწორი პერსონიფიცირება და ერთი ადამიანის გამოყვანა მთელი სისტემის მანკიერების სიმბოლოდ, ეს ცხადია, მაგრამ მოსამართლე, რომელიც ერთხელ დაყვება აღმასრულებელი ხელისუფლების ნებას, ასეთი მოსამართლეების შენარჩუნება სისტემაში, თან მით უმეტეს მაღალ რანგზე...“

ბიძინა ივანიშვილი: „სისტემა, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ადეიშვილის და სააკაშვილის მიერ აწყობილი იყო ისეთი, როგორიც იყო... ესენი იყვნენ მსხვერპლნი იმ სისტემის, ეს სისტემა როგორიც იყო მე აღვწერე და კიდევ გავიმეორებ... შესაბამისად, ჩვენ გვქონდა არჩევანი, ან უნდა მოვქცეულიყავით როგორც მოიქცა სააკაშვილი, გახსოვთ, რაც უქნეს მოსამართლეებს, ან უნდა დაველოდებოდით და მე მგონი სწორი გზა ავირჩიეთ, რომ ახალი ხელისუფლება არ ჩარეულიყო და სასამართლოს თვითონ მოეხერხებინა გათავისუფლებულიყო ძველი ზეწოლისაგან... და ის, რომ მდივნად დანიშნულზე კითხვა არ გააჩნდა არავის, მეორე პიროვნებად დანიშნეს მურუსიძე, უფრო გვიან, როდესაც მურუსიძეზე ამხელა ტალღა აგორდა, ამ ტალღებს ვინ აგორებს და აგიტაციის მანქანა ვის აქვს, ეს კარგად ვიცით ვისი ხელწერაა... დამელოდეთ ძალიან გთხოვთ... ვისი ხელწერაა, ეს ძალიან კარგად ვიცით, რომ ამას მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ახერხებს და რატომ ააგორეს ტალღა მურუსიძეზე და რატომ მოხდა ეს, ჩემში საპირისპირო ეჭვს კი არ ბადებს, რომ ის ცუდად იქცევა დღეს, ძალიან დიდი ალბათობით, მან მოახერხა და გათავისუფლდა „ნაციონალური მოძრაობის“ ზეწოლისაგან... ამიტომაც ეს ზეწოლა და ეს მანქანა ვინ ააგორა მურუსიძის წინააღმდეგ, ვისი მართულია...

სალომე ასათიანი: „ეხლა რამდენად უნდა ჰქონდეს მოქალაქეს იმის გარანტია, რომ „ქართული ოცნების“ ზეწოლას არ დაემორჩილებიან ესეთი მოსამართლეები?“

ბიძინა ივანიშვილი: „როგორ ვისაუბრო აღარ ვიცი...“

სალომე ასათიანი: „არა, თქვენ უკვე ბევრი ისაუბრეთ, ბატონო ბიძინა, მეც უნდა დაგისვათ კითხვები, ესე არ შეიძლება...“

ბიძინა ივანიშვილი: „კითხვებზე პასუხი თუ არ გავეცი თქვენ კითხვებს, მაშინ დადექით და თქვენი კითხვებით ისაუბრეთ მხოლოდ...“

სალომე ასათიანი: „ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ ეხლა, საარჩევნო წელია, მოგეხსენებათ... ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე მიდის, სააპელაციო სასამართლოში, უზენაეს სასამართლოშიც წავა... ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმე, იქნება ეს „რუსთავი-2“–ის საქმე, იქნება ეს კაბელების საქმე, ასევე ძალიან ბევრი გამოთქვამს, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომ ეს არის პოლიტიკური საქმე და რომ იქ რეალურად არც მოტივი იკვეთება და საერთოდ, არც საიდუმლო შესყიდვების წესი აქვს სახელმწიფოს შემუშავებული... ბევრი პოლიტიკური საქმე წყდება ისე, როგორც აწყობს ხელისუფლებას... ამ ვითარებაში, როცა არც მოსამართლე ინიშნებიან გამჭვირვალედ, როცა არც საქმეების განაწილების წესია ჯერჯერობით შემოღებული ელექტრონული, რატომ უნდა ჩათვალოს მოქალაქემ, ამ ქვეყნისამ, რომ სასამართლო არის თავისუფალი წნეხისგან?“

ბიძინა ივანიშვილი: „დაასრულეთ?“

სალომე ასათიანი: „კი...“

ბიძინა ივანიშვილი: „შევახსენებთ ტელემაყურებელს, მურუსიძეზე ვსაუბრობთ და ვაგრძელებ ამ თემას, რომ აგორება, აგიტაციური მანქანა, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მოგონილია საქართველოში, ამას მეტი ვერავინ და ვერცერთ შემთხვევას ვერ დაასახელებთ, რომ ხელისუფლების მიერ ნებისმიერი თემა წამოწეული იყოს და რამდენიმე კვირის და თვის განმავლობაშიც დაეჭირათ, მსგავსი არ მომხდარა, თუმცა უამრავი მეხსიერება ჰქონდა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა ეს მათივე ხელწერაა და რა თქმა უნდა ეს მანიშნებელია იმის, ამხელა ზეწოლა მურუსიძის, ვთქვათ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათგან მართული მედიისა და ენჯეოების მხრიდან, მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს ჩემი აზრით, რაც სასიამოვნო უნდა იყოს საზოგადოებისთვის, რომ მან მოახერხა და თავი დააღწია „ნაციონალური მოძრაობის“ ზეწოლას. სწორედ ეს აღიზიანებს „ნაციონალურ მოძრაობას“, ამისივე მაგალითია ძალიან კარგი, რაც ხდება დღეს „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, ნახეთ უახლოესი ჩანაწერები და ნახეთ უახლოესი გამოსვლები, ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილე გვარამია, რომელიც მართავს დღეს „რუსთავი-2“-ს და მისი დამოკიდებულება სასამართლოსა და მუქარა და უხეში გამონათქვამები... ეს გაღიზიანება, კიდევ ერთჯერ შეიძლება მივიჩნიოთ სასიამოვნო ფაქტორად იმისთვის, რომ შესაძლოა სასამართლოს ძალიან ბევრმა მოხელემ მოახერხა და თავი დააღწია ძველი ხელისუფლების ძალადობას. ახალ ხელისუფლებას მცდელობაც არ ჰქონია ამის ფაქტი არ არსებობს და ძალიან კარგი, ეს თამასა უნდა შევინარჩუნოთ, სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი და მათ უნდა მოახერხონ და სამართლიანობა აღადგინონ და ემსახურონ ქვეყანას და კანონს... აი, მურუსიძესთან დაკავშირებით კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებდი, მურუსიძის ქცევაზე მეტი სამარცხვინო ჩემთვის გახლდათ ის, მე იშვიათად ვუყურებ ტელევიზორს, მაგრამ პირდაპირ ეთერში ვნახე დებატები მურუსიძესა და შავგულიძეს შორის, რომელიც გახლდათ ადვოკატი გირგვლიანის, ჩემდა გასაოცრად მას ბევრი პროცედურული დარღვევები ჰქონდა, ის რომ არ გაასაჩივრა თავის დროზე და შემდგომ, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი გახლავთ ის, რომ შავგულიძემ იკადრა და პოლიტპატიმრად დაასახელა უგულავა, რომელიც ვთქვათ არის იმ ძირითადი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი რომ პატიმარი ყოფილიყო, ასეთივე კონტექსტში შავგულიძე მასაც პოლიტპატიმრად მოიხსენიებდა, თქვენც ცდილობდით ვთქვათ, როდესაც ეჭვს გამოთქვამდით, რომ ეს დაპატიმრებები...

> „ალია“:
>
> **ლევან მურუსიძემ დააღწია თუ არა თავი „ნაცმოძრაობის“ გავლენას, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ეს კაცი შესაძლოა, თამაშობს და ისეთ კრიტიკულ მომენტში აღმოჩნდეს ისევ „ნაცმოძრაობის“ მხარეს, ბიძინა ივანიშვილს თავბედი აწყევლინოს. თუმცა, დავუშვათ, რომ თავი დააღწია „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ გავლენას. სააკაშვილის გუნდის გავლენას თავი დააღწიეს კოტე კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ, გიორგი მელაძემ, გიორგი ვაშაძემ. ღიად ასე ჩანს, მათ მიშას პარტია დატოვეს. დღეს-ხვალ სააკაშვილსა და მის პარტიას, ალბათ, კიდევ ბევრი მიატოვებს. მათ შორის კი, ეჭვი არ მეპარება, ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, სისხლის სამართლის დანაშაულში რომ არის ეჭვმიტანილი და 9 წელიწადი ხალხს სისხლს უშრობდა. ახლა, ბიძინა ივანიშვილის ლოგიკას თუ მივყვებით, ვინც „ნაცმოძრაობას“ გაემიჯნება, ყველას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, მეტიც, ამ ხალხს სახელმწიფო პოსტები და გავლენა უნდა ვუბოძოთ. ეს ნორმალურია? დღეს „ნაციონალი“ დამნაშავენი გვაშინებენ, არ დაგვიჭიროთ, თორემ ეს პოლიტიკური დევნა იქნებაო, ხვალ კი დაგვამადლიან, — „ნაციონალებს“ ვუღალატე და მეტი რა გინდათ, ხელი არ მახლოთო. ახლა როლანდ ახალაიამ და გიორგი ბარამიძემ რომ „ნაცმოძრაობა“ დატოვონ, გამოდის, ყველა დანაშაული უნდა შევუნდოთ, რაც მათ წარსულში ჩაუდენიათ. სამართლებრივად პასუხს ხომ ვერ მოვთხოვთ, ვერც მორალურად შევედავებით რამეს, წარსულისას ვერაფერს მოვკითხავთ, ამას ივანიშვილი გვიკრძალავს. ბოდიშის მოხდასაც კი ვერ მოვთხოვთ, რადგან მათი მორალური ქმედების მთავარი განმსაზღვრელი ის ყოფილა, დარჩებიან თუ არა „ნაცმოძრაობაში“. ეს იგივეა, 10 წლის ბოზობის შემდეგ ქალმა ბოზობას თავი დაანებოს და იძახოს, ქალიშვილი ვარო. ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ კანონი და სამართალია ამ ქვეყანაში, იმ მორალურ კრიტერიუმებსაც გვიდგენს, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ, სხვათა განსჯის უფლებასაც გვართმევს, როგორც ეს ჟურნალისტ სალომე ასათიანს წაართვა და რომლის პროფესიული მოვალეობაც სწორედ ეს გახლავთ.**

> **ხალხი ბრძენია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ამ მარტივი ჭეშმარიტებისა არ სჯერა. საკუთარ თავზე ჭკვიანად მას ხომ ამქვეყნად არავინ მიაჩნია და ამის დასტურია ეს და სხვა მრავალი ინტერვიუ და მისი წერილები**

სალომე ასათიანი: „არის ასეთი ეჭვები ბატონო ბიძინა და ამ ეჭვებს უნდა გაეცეს აუცილებლად პასუხი... შევცვალოთ საუბარი...“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემთვის პრობლემა არ არის ის, რომ მურუსიძემ ექვსი თვე მინიმუმი დაკლება მოახერხა სასჯელის და სხვა სასჯელები ნახეთ, როგორ გაანახევრა პრეზიდენტმა რა ქნა, პარლამენტმა რა ქნა, საბჭომ რა ქნა...“

სალომე ასათიანი: „მურუსიძე არ არის მხოლოდ ერთი შემთხვევა, მურუსიძე არის სიმპტომი იმისა, როგორ მოხდა ცვლილება სისტემის...“

ბიძინა ივანიშვილი: „დამელოდეთ, დამელოდეთ... და როგორ გადატყდა ეს ყველაფერი მურუსიძეზე!.. დაასრულეთ და გავაგრძელებ მერე მე...“

სალომე ასათიანი: „არა, ეს არის მხოლოდ სათქმელი, უნდა გადავიდეთ სხვა თემაზე...“

ბიძინა ივანიშვილი: „არა, ეს უნდა დავასრულო ჯერ... თქვენ არა ხართ ბატონი ჩემი, თქვენ ხართ ჟურნალისტი და მე მინდა ტელემაყურებელს ვესაუბრო და ავუხსნა საკითხები, რომელსაც თქვენ სვამთ... შესაბამისად, უბედურება ის კი არაა, რომ მურუსიძეზე ამხელა ეჭვებია და ეჭვი ნებისმიერ მოსამართლეზე შეიძლება გამოვთქვათ, ადეიშვილის სისტემა ჩვენ შევინარჩუნეთ და მას მივეცით საშუალება თვით გადარჩენის და თვით განწმენდის... და ამის დასტური გახლავთ ის, ჩემი აზრით, რომ მასზე ამხელა თავდასხმაა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, ეტყობა ახერხებენ მოსამართლეები თავის დახსნას... ჩემთვის უბედურება არის ის, რომ მათ არჩევანი არ ჰქონდათ. მურუსიძის ადგილზე მაშინ, ნებისმიერი მოსამართლე ისევე მოიქცეოდა... მთელი სასამართლო კორპუსი იყო ტყვე...“

სალომე ასათიანი: „მაშინ რატომ არ წავიდა სასამართლო სისტემიდან,

ბიძინა ივანიშვილი: „შეცვლა ამ მოსამართლეების არ შეგვეძლო კანონით და კანონიერად ჩვენ დავემორჩილეთ კანონს და...“

სალომე ასათიანი: „კიდევ რომ მოხდეს ესეთი რამე... რატომ უნდა იყოს დამოკიდებული სასამართლო ხელისუფლების კეთილ ნებაზე, ერთხელ თუ არჩევანი არ ჰქონდა და მან ესეთი გადაწყვეტილება მიიღო, ეს ხომ შეიძლება კიდევ მოხდეს?

ბიძინა ივანიშვილი: „შესაბამისად, ჩვენ არ გვქონდა სხვა გზა და მე ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გზა ავირჩიეთ, მხოლოდ ამ გზით ევოლუციით და არა რევოლუციით, შეიძლება იყოს სასამართლო სამართლიანი და დამოუკიდებელი. ჩემთვის რა თქმა უნდა რთული იყო ის პროცესი, რომელიც ჩვენ გავიარეთ და სასამართლოსთან დაკავშირებით ჩემი აზრით ერთადერთი სწორი არჩევანი გავაკეთეთ, რომ ჩვენ არ ჩავერიეთ და თვითონ სასამართლომ იბრძოლოს რომ თავის თავი გადაირჩინოს... ჩემთვის იყო აუხსნელი ის, რომ სასამართლო სისტემას არჩევანი არ ჰქონდა და შავგულიძეს უამრავი არჩევანი ჰქონდა, დღეს ვერავინ მასზე პოლიტიკურად ვერ დომინირებს, ამ დროს კაცმა, რომელიც გირგვლიანის ადვოკატი გახლდათ და პოლიტპატიმრად დაასახელა ის ხალხი და იმ გუნდის წევრები, ვინც ეს უბედურება დაატრიალეს ქვეყანაში და გირგვლიანს რა მოუხერხეს, ჩემთვის ეს უფრო დიდი სირცხვილია და ტრაგედიაა...“

> „ალია“:
>
> **2012 წელს, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ კოალიციას ქმნიდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ურჩევდა, ამ კოალიციაში არ შეეყვანა „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“. აფრთხილებდნენ, ეგ ანტიქართული და ფსევდოლიბერალური ძალები კრიტიკულ ჟამს გიგანებენ, ზურგში დანას ჩაგარტყამენო. საზოგადოების ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა ივანიშვილმა და ეს პარტიები კოალიციის მთავარ დასაყრდენად აქცია. შალვა შავგულიძე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია და დღეს თუ გიგი უგულავას პოლიტპატიმრად აცხადებს, ივანიშვილს ეს არ უნდა გაუკვირდეს. შალვა შავგულიძე მან აქცია დეპუტატად. ჯერ სად არის, მის მიერ აღზევებული პოლიტიკოსები კიდევ არაერთხელ გამოუთხრიან ძირს. ასე ხდება, როცა ხალხს არ უჯერებ. ხალხი ბრძენია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ამ მარტივი ჭეშმარიტებისა არ სჯერა. საკუთარ თავზე ჭკვიანად მას ხომ ამ ქვეყნად არავინ მიაჩნია და ამის დასტურია ეს და სხვა მრავალი ინტერვიუ და მისი წერილები.**

სალომე ასათიანი: „მოდით, გადავიდეთ სხვა თემაზე, საგარეო ურთიერთობებზე... წერილში მთელი ქვეთავი ეთმობა საგარეო ურთიერთობებს... რამდენჯერმე იმეორებთ მკაფიოდ...“

ბიძინა ივანიშვილი: (აწყვეტინებს) „სანამ გადავიდოდეთ, შეიძლება კითხვა გავაგრძელოთ, თქვენთვის საინტერესო ძალიან, ჟურნალისტიკას ვეხებოდით...

სალომე ასათიანი: „დრო ძალიან ცოტა დაგვრჩა...“

ბიძინა ივანიშვილი: „მე ვიცი დრო თქვენ როგორც მოკალით, უკვე საინტერესო არაა, ჩვენ წერილს ვერც საგარეოს მოვახერხებთ და შევეგუე უკვე მე ამ თემას... მე მინდა შეგახსენოთ თქვენ არხთან და თქვენ სადაც ვთანამშრომლობთ...“

სალომე ასათიანი: „რატომ ვერ მოვახერხებთ, ბატონო ბიძინა?“

ბიძინა ივანიშვილი: „იმიტომ, რომ თქვენ ესე გაინტერესებთ, თქვენ საუბრობდით ძირითადად... ეხლა მეც მინდა რაღაც შევახსენო ტელემაყურებელს და ძალიან საინტერესო ამბებს მოგიყვებით თქვენც... თქვენ ტელეარხთან დაკავშირებით და სხვა მედიასთან დაკავშირებით დღეს რა ხდება, უახლოეს დღეებს გეუბნებით, ორი-სამი დღის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ „რუსთავი-2“, რომელიც პირდაპირ ეთერში შუქდება სასამართლო, აქვე შეგახსენებთ, ჩემ წერილზე საინტერესო რეპლიკებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, თქვენთვისაც საინტერესო იქნება... „პირველი არხი“, რომელსაც ოფიციალურად აქვს უფლება სასამართლო სისტემაში შევიდეს და ეს ჩაიწეროს და სხვა ტელევიზიებსაც გადასცეს, ერთი კამერის უფლებაა, როგორც მე ვიცი, სასამართლოში შესვლის, თქვენმა „პირველმა არხმა“ რატომღაც

სალომე ასათიანი: „ჩემი არ არის, ბატონო ბიძინა, მე რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი ვარ, მე აქ არ ვმუშაობ, ეს არის ერთობლივი პროექტი რადიო „თავისუფლებისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის...“

ბიძინა ივანიშვილი: „მაშინ, „პირველ არხს“ შევახსენებ, კი ბატონო, კარგი... ეს უფლება გადასცა მხარეს, დაინტერესებულ „რუსთავი-2“-ს და

გაგრძელება გვ. 38

facebook



**დემურ გიორხელიძე:**

აჰა, იგი დ ე მ ო ნ ტ ა ჟ ი...

ერთ დროს ბელადებისა [პრეზიდენტებისა და ა.შ.],

ერთ დროს მხსნელებისა [სხვანი და სხვანი და ა.შ.],

მარჩენლებისა [აი, რომ გეგონა გარჩენდა...]

და

გადამყენებლებისა [მოლოდინი შეუძლებლისა!].

მოკლედ, ასეა!

არადა, რომ უჭირთ შეელიონ ამ

"ნეტარ განცდას სხვისმოიმედეობისა?!

მაგრამ რეალობა ასეთია...

მსხვრევის პროცესი დაწყებულია...

დაამსხვრიე შენში მითი!

ზაქარია ლაშქარაშვილი: ბიძინა, ბუძინა, ბაძინა სახელები არაფერ შუაშია, ფულიზიცინას ვირუსია გავრცელებული, დამკვიდრებული ქვეყანაში და ხალხს, ერს ეს ვირუსი ღუპავს! ფულის კერპია დამკვიდრებული და ერი იძახის მართმადიდებლები ვართო, უფალს სიტყვიერათ ადიდებენ და საქმით სატანას ემორჩილებიან და თაყვანს ცემენ, ერისა, ანუ რიგითი ადამიანებისგან რა გასაკვირია და ეკლესიის უმრავლესობა უარესს არ სჩადის? ასევე თქვენც ვისაც თითქოდა შეგენებული გაქვთ, მაგრამ ინდივიდუალურად გამოთქვამთ თქვენს მოსაზრებებს და არ ერთიანდებით საზოგადო ეროვნულ საქმიანობაში თქვენც იგივეს აკეთებთ, თქვენც ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებთ! საუბარს ვაგრძელებ დასმულ შეკითხვების შემდეგ.

facebook



**ირინა სარიშვილი:**

„ივანიშვილმა ძალიან დაიპატარავა თავისი მასშტაბები... უნიჭო კაცის დაწერილი წერილი... " — გუბაზ სანიკიძე

რათა გუბაზ? შენი წონისა ველარ ეტევა ყოფილი ნიჭიერის მასშტაბურ სიაში?

გეეხსნა ) 4 თითზე )

სტატუსი: წინასაარჩევნო მშობიარობათა სეზონი გაიხსნა

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ●

*ოცდამეჩვიდმეტე გვერდიდან*

საკუთარ პროცესს ის აშუქებს, მან ეს ფუნქცია არ შეასრულა, მაგრამ უფრო საინტერესოს გეტყვით... თანხვედრა მოხდა ის, რომ „რუსთავი-2"–ის სასამართლო მიდის და ამავდროულად, „იმედის" სასამართლო პროცესი მოხვდა თანხვედრაში... როდესაც „იმედი" დაარბიეს, გახსოვთ ალბათ, ხომ? 2007 წელს, ამ სასამართლოს გაშუქება ისევ „პირველ არხს" უნდა შეესრულებინა, თუ „პირველი არხი" არ შედის, ის უთმობს სხვა არხს და დაუთმო იმედს... „იმედის" ერთ-ერთი წამყვანი – სიჭინავა იყო დაკითხვაზე, ეს ყველაფერი მე ვიცი „ჯიდიესის" ჟურნალისტისგან, „იმედმა" აიღო ეს უფლება „პირველი არხიდან", „იმედს" უნდა ჩაეწერა ეს, როდესაც „ჯიდიესიდან" მოსთხოვეს ჩანაწერი, უთხრეს რომ წაეშალა პასუხად, ვერ გადასცეს ეს ჩანაწერი, და ყველაზე საოცარი რაცაა, რომ ამ დღეს სწორედ, ჟურნალისტისგან გამოტანილ ინფორმაციას გეუბნებით, სასამართლოდან, როდესაც „რუსთავი-2"-ის ტაშ-ფანდურა მიდის და პირდაპირ ეთერში გადასცემენ, ისევ „პირველი არხმა" გადასცა მას ეს უფლება, დაინტერესებულ მხარეს, ჩემი აზრით გაუგებრობაა ყველაზე ცოტა და მეორე სასამართლოს შემთხვევაში, ისევ „პირველმა არხმა"ეს უფლება გადასცა „იმედს", დაზარალებულ ტელევიზიას, რომელმაც ეს ინფორმაცია არ გამოიტანა გარეთ და იქ რა იყო საინტერესო შეკითხვები, იქ ფარულავა, რომელიც გახლდათ დარბევის შემდგომ დანიშნული „იმედში", რომელიც მთავრობამ გადაიტანა თავის მართველობაში, თავისუფალ მედიაზე როდესაც ვსაუბრობდით, ესეც საინტერესოა, მაქვს პრეტენზია, რომ დღეს აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულებაა მთავრობის მხრიდან, როგორ ურეკავს გიგი უგულავა ფარულავას, მეზონიშვილი აძლევს ჩვენებას, რომელიც იყო იქ ერთ-ერთი პროდიუსერი, ისევ „იმედში", როგორ ურეკავს გიგი უგულავა ერთი წლის თავზე „იმედის" დირექტორს მეზონიშვილი აძლევდა ჩვენებას, რომ არ გააშუქონ 7 ნოემბრის დარბევის თემები და რა თქმა უნდა „იმედმა" არ გააშუქა. ესაა საოცრება და ამ დროს, „იმედის" ყოფილი „იმედელი" „რუსთავი-2"-ის სასამართლოზეა მისული და მხარდაჭერას უცხადებს და მოქმედი...

სალომე ასათიანი: (აწყვეტინებს) „კარგით, გასაგებია... ეს ალბათ ამ ტელევიზიების მესვეურებს უნდა მოვკითხოთ, მე არ წარმოვადგენ ტელევიზიას..."

ბიძინა ივანიშვილი: „არა, დამოკიდებულება მინდა გაჩვენოთ..."

სალომე ასათიანი: „მესმის, გასაგებია... უნდა გადავიდეთ სხვა თემაზე, ბატონო ბიძინა, თუ შეიძლება... "

ბიძინა ივანიშვილი: „პირველი არხის" ქცევა, „იმედის" ქცევა... ძალიან გთხოვთ, იქნებ მოასწროთ... „იმედის" ჟურნალისტები, ნაცვლად იმისა, რომ დღეს იხსენებდნენ...

სალომე ასათიანი: „უნდა მოვასწროთ ბატონო ბიძინა, ქრონოლოგის დრო არ არის... ძალიან დიდი ბოდიში, გავიგეთ, გასაგებია, სხვა თემაზე უნდა გადავიდეთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „მაინც უნდა დავასრულო, ნუ შემიშლით ხელს... „იმედის" ჟურნალისტები, დღეს ნაცვლად იმისა, იხსენებდნენ, რა დღეში იყო ტელევიზია და ეს სასამართლო მიდის, არც „იმედმა" გააშუქა, არც „პირველმა არხმა" გააშუქა, არც „მაესტრომ" არ გააშუქა... ის, რაც ხდებოდა ამ სასამართლოზე, არცერთმა არ გააშუქა..."

სალომე ასათიანი: „წერილიდან კითხვების დასმას ვერ მოვასწრებთ, ბატონო ბიძინა..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ უკვე გახვედით ამ წერილიდან..."

სალომე ასათიანი: „რატომ გავედით, სასამართლოსაც ვეხებით..."

ბიძინა ივანიშვილი: „არცერთი კითხვა ამ წერილიდან არ დაგისვამთ..."

სალომე ასათიანი: „როგორ არ დაგვისვამს... თქვენ ყველაფერს ეხებით ამ წერილში..."

ბიძინა ივანიშვილი: „შესაბამისად მე თქვენ მოგყვებით ეხლა, გავიგე თქვენი წაყვანის წესი და ვცდილობ, მეც რაღაც მივიღო ამ ინტერვიუდან..."

სალომე ასათიანი: „აი, კითხვა სწორედ წერილიდან... დავიწყოთ

ბიძინა ივანიშვილი: „არცერთმა ტელევიზიამ ეს არ გააშუქა და აინტერესებთ მხოლოდ „რუსთავი-2" და სოლიდარობას უცხადებენ „რუსთავი-2"-ს...

სალომე ასათიანი: „გასაგებია... უნდა გავაგრძელოთ, უნდა გადავიდეთ სხვა თემაზე, თუმცა მედია ცხადია, ძაან კომპლექსური თემაა, მაგრამ საგარეო ურთიერთობები რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავთ, ძალიან მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული წერილში ის, რომ საქართველოს საგარეო კურსი და ორიენტირი ერთმნიშვნელოვნად არის ევროატლანტიკური მიმართულება, თუმცა იქვე წერთ, აი, ციტატა მომყავს თქვენი წერილიდან: „დასავლური კურსი არ ნიშნავს, რომ პატივისცემით არ მოვექცევით მეზობლებს და არ გავითვალისწინებთ მათ ინტერესებს.. საქართველოს ყველაზე ძლიერი მეზობელი რუსეთია, რომლის ინტერესიც სწრედაც ინტერესი, როგორც ვიცით არის ის, რომ საქართველოს ხელი შეუშალოს ევროატლანტიკურ სვლაში..." კონკრეტულად რომ გვითხრათ, თქვენი წერილიდან გამომდინარე, როგორ გესახებათ ამ ორი მიზნით მიღწევა, საქართველომ გააგრძელოს სვლა ევროატლანტიკური მიმართულებით და თან, გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესი, რომელიც არის სწორედ ის, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს სვლას ევროატლანტიკური მიმართულებით..."

ბიძინა ივანიშვილი: „კი ბატონო, ეს არის საკმაოდ რთული პროცესი და შემთხვევით არა მაქვს ხაზი გასმული ამაზე, რომ ჩვენი სვლა, ჩვენი სტრატეგია, რომ ჩვენ გვინდა გავხდეთ ევროატლანტიკური სივრცის წევრი, ეს არ მოდის წინააღმდეგობაში რუსეთის ინტერესებთან, თუმცა დღევანდელ ხელმძღვანელობას, რუსეთისას, მიაჩნია, რომ ეს სახიფათოა, მათ სახელმწიფოსთვის. გასაგებია, ჩვენ ეს ინფორმაცია ვიცით, მიუხედავად ამისა, ჩვენ დაჟინებით ვაგრძელებთ და გავაგრძელებთ მომავალშიც, რომ საქართველომ მიაღწიოს იმ მიზნებს, რაც მის სტრატეგიული ინტერესია, აუცილებლად ჩვენ უნდა გავხდეთ ნატოს წევრი ქვეყანა, აუცილებლად ჩვენ უნდა მოვახერხოთ და შევიდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანაც გავხდეთ, ამას დრო სჭირდება, ჩვენ მოთმინებით უნდა გავაგრძელოთ და გავამაგროთ და გავაღრმავოთ დემოკრატიული ინსტიტუტები, ავაყვავოთ ჩვენი ეკონომიკა, და დაველოდოთ სწორ დროს, როდესაც რუსეთიც გააცნობიერებს, ჩვენი პარტნიორი ქვეყნებიც, შეძლებენ და დაინახავენ, რომ დროა საქართველო გახდეს წევრი ნატოს თუ ევროკავშირის და ჩვენ მოთმინებით ამას ყველაფერს დაველოდოთ და გავაგრძელოთ ამ მიმართულებით სვლა..."

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, რას ელოდებით რუსეთისგან, საპასუხოდ ამ უფრო რიტორიკის ცვლილებაზე, დამოკიდებულების შეცვლაზე, პირველ ეტაპზე, როცა გაჩნდა ეს დაპირება, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას შეძლებს ხელისუფლება ევროატლანტიკური კურსის პარალელურად, ბევრს ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ ზედმეტი ოპტიმიზმი იყო ხელისუფლებაში იმისა, რომ რუსეთიც შეცვლიდა თავის დამოკიდებულებას. ამას ადასტურებს დიდწილად თქვენი განცხადებებიც, ჯერ კიდევ პრემიერმინისტრის რანგში, 2013 წლის ივლისში საოკუპაციო ხაზთან მაშინ საზღვრის გადმოწევის პირველ შემთხვევებს თქვენ გაოცებით ხვდებოდით და აცხადებდით, რომ ეს რუსეთის ინტერესებში არ შედისო... ეხლა შეგვიძლია მაყურებელს პატარა ნაწყვეტი შევთავაზოთ, მოვისმინოთ განცხადება, რომელიც თქვენ სოფელ დვანში გააკეთეთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „კარგად მომზადებულხართ, ეხლა შეგაქებთ, როგორც ჟურნალისტს..."

სალომე ასათიანი: „ბატონო ბიძინა, ჩვენ კარგად ვემზადებით..."

ბიძინა ივანიშვილი: „კი, კარგია..."

სალომე ასათიანი: „თუ შეიძლება გავუშვათ ეს ჩანაწერი..."

ბატონი ბიძინა დვანში, საერთაშორისო ურთიერთობებზე...

მიმდინარეობს ჩანაწერი:

„ეს არ ჯდება არავითარ ფორმატში, არავითარ ინტერესებში, თვითონ რუსეთის, იმის შემდგომ, რომ ჩვენ გარკვეული ნაბიჯები გავაკეთეთ სავაჭრო ურთიერთობის დალაგებასთან დაკავშირებით და ქართული პროდუქცია შევიდა რუსულ ბაზარზე, იგრძნობა ბევრი პოზიტიური ნაბიჯი, იგრძნობა, რომ ჩვენ შემდგომ ნაბიჯებს გადავდგამთ, მუდმივი რეისები შეიძლება დაინიშნოს, ვიზის გაიოლება და გაუქმებაზეა საუბარი და ამ დროს, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ისეთი პროცესები, რაც აბსოლუტურად გაუგებარია, ძალიან ბევრ კითხვებს ბადებს და შემაშფოთებელია. ამაზე მეტს ალბათ, უფრო მკაცრად ვერ განვიხილავ, ყველა უწყება რაც შეიძლებოდა ჩვენ ჩავაყენეთ საქმის კურსში და სვამთ ამ კითხვებს და ვითხოვთ პასუხს...."

სალომე ასათიანი: „ეხლა, როცა ბევრი წელი გავიდა და ვიცით, რომ მას შემდეგ, 2013 წლის შემდეგ რუსეთმა არათუ არ შეცვალა ეს მავთულხლართების გავლების პოლიტიკა, არამედ კიდევ უფრო ინტენსიურიც გახადა... აი, როგორ შეაფასებდით თქვენს მაშინდელ დამოკიდებულებას... მართლაც ზედმეტად ოპტიმისტური..."

ბიძინა ივანიშვილი: „ისევე როგორც დღეს, როგორც მაშინ... რა არ მოგწონთ ამ პასუხში?.."

სალომე ასათიანი: „თქვენ ამბობდით, რომ ეს რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა, რას ნიშნავს ეს?"

ბიძინა ივანიშვილი: „რა არ მოგწონთ იმ პასუხში? რას ვამბობდი?"

სალომე ასათიანი: „რას გულისხმობდით, როცა ამბობდით, რომ რუსეთის ინტერესებში არ შედის..."

ბიძინა ივანიშვილი: „იქ ხომ კარგადაა განმარტებული ყველაფერი..."

სალომე ასათიანი: „ეხლა კიდევ განგვიმარტეთ, რას გულისხმობდით..."

ბიძინა ივანიშვილი: „იგივე გავიმეორო?"

სალომე ასათიანი: „არა, რას გულისხმობდით, რომ რუსეთის ინტერესებში არ შედის მავთულხლართების გავლება..."

ბიძინა ივანიშვილი: „ხომ ყველაფერი განვმარტე იქ, როდესაც რეისები ალვადგინოთ, ვიზას გაუქმებაზე ვსაუბრობთ, სავაჭრო ურთიერთობებს ვაღრმავებთ, ხომ ყველაფერი ავხსენი..."

სალომე ასათიანი: „მაგრამ, მაშინ თუ რუსეთის ინტერესებში არ შედის, რატომ გაგრძელდა ეს პოლიტიკა ასე ინტენსიურად მას შემდეგ..."

ბიძინა ივანიშვილი: „რა პოლიტიკა?"

სალომე ასათიანი: „მავთულხლართების გავლებისა საზღვრებზე..."

ბიძინა ივანიშვილი: „ხოდა, რასაც იქ ვამბობ, დღესაც იგივე შემიძლია გავიმეორო, იქ რაც ვთქვი, ერთი-ერთზე შემიძლია გავიმეორო დღესაც..."

სალომე ასათიანი: „რუსეთის ინტერესში არ შედის, მაგრამ ხდება, ამას გულისხმობთ?"

ბიძინა ივანიშვილი: „იქ რაც ვთქვი, დღესაც ერთი-ერთზე შეიძლება გავიმეორო... თქვენ კითხვა სადა გაქვთ დამატებითი?.."

სალომე ასათიანი: „კითხვა არის შემდეგში, თუ ეს არ არის რუსეთის ინტერესებში, მაშინ რას გულისხმობდით როცა ამბობდით... რუსეთის ინტერესი ხომ სწორედ ის არის..."

ბიძინა ივანიშვილი: „იქ ხომ ყველა კითხვა დავსვი, ეს აღმაშფოთებელია, ეს შემაშფოთებელია, იმის შემდგომაც კიდევ მოხდა მოვლენები, რაც ბევრ კითხვებს იწვევს... თქვენ კითხვა სადა გაქვთ, სხვანაირი ქცევის საშუალება გვაქვს? სხვანაირად რომ მოვიქცეთ? ხელისუფლება სხვანაირად უნდა იქცეოდეს?"

სალომე ასათიანი: „არა, რას ელოდებდით რუსეთისგან, რატომ ამბობდით? მავთულხლართების პოლიტიკა ეს ემოციური საკითხია, აქციები იმართება, ბევრი ამას იყენებს მართლაც ესეთი ურაპატრიოტული პათოსისთვის, მაგრამ..."

ბიძინა ივანიშვილი: „სად არის რომ მოლოდინი არ გამართლდა, ან გადაჭარბებული ვთქვი, ჩვენ სავაჭრო ურთიერთობა, მიუხედავად ამისა, რომ ჩვენი ძირითადი თემა, რაც გვაქვს რუსეთთან, ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ძმები აფხაზები და ოსები, ტერიტორიებით არ ვიწყებ, რადგან მათთან უნდა ალვადგინოთ ურთიერთობები, ამ პროცესებში მათი ფუნქცია როგორი როლიც ითამაშა რუსეთმა, არის ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესის საწინააღმდეგო... ამის დათმობის გარეშე, ეს იქნება ჩვენი პრინციპული მომავალშიც, რომ მთლიანად რუსეთთან ურთიერთობა ვერ დალაგდება, სანამ ჩვენ ამ პროცესებს ვერ გადავწყვიტავთ დადებითად, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადავდგით, მაშინ ვთქვი, წერილშიც ვიმეორებ, იქაც ნათქვამი და ახსნადია, მაგრამ თქვენ ეხლა რა გაინტერესებთ, თქვენი კითხვა..."

სალომე ასათიანი: „ამ პოზიტიური ნაბიჯების პასუხად ხომ არ მოხდა ის, რომ..."

ბიძინა ივანიშვილი: „მარტო რუსეთი იქცევა ესე?"..

სალომე ასათიანი: „...საქართველოს საკითხს დაეკარგა აქტუალობა საერთაშორისო ასპარეზზე, უკრაინის კრიზისი პარალელურად, როცა კეთდება ძალიან ბევრი განცხადება, მაღალი რანგის პოლიტიკოსებისგან..."

ბიძინა ივანიშვილი: „სადა გაქვთ საბუთი, რომ დაეკარგა, რის საფუძველზე დაეკარგა?..."

სალომე ასათიანი: „...როცა

რუსეთმა დააწესა სანქციები უკრაინასთან დაკავშირებით, რომელ განცხადებებში ახსენებენ ხოლმე საქართველოს დავუშვათ უკრაინასთან ერთად და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის... მეორე მნიშვნელოვანი საკითხი რაც არის, ერთი რამ გვაინტერესებს, თქვენი აზრით, მართლაც საინტერესოა თქვენი შეფასება..."

ბიძინა ივანიშვილი: (ცინიკურად) „მე მგონი თქვენი შეფასება უფრო საინტერესოა გაცილებით, ვიდრე ჩემი... ჩემსას არ უსმენთ თქვენ საერთოდ და თქვენი მაინტერესებს..."

სალომე ასათიანი: „მავთულხლართების საკითხის განხილვის დროს..."

ბიძინა ივანიშვილი: „გადავედი იმაზე, რომ თქვენ მოგისმინოთ..."

სალომე ასათიანი: „მთავარი მსხვერპლი მავთულხლართების პოლიტიკისა არის ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს ამ ოკუპირებულ რეგიონებთან..."

ბიძინა ივანიშვილი: „თქვენ დაიწყეთ და სულ სხვა რამეზე გადახვედით... გააგრძელეთ, გააგრძელეთ..."

სალომე ასათიანი: „თქვენ იცით, რომ ხალხი უკიდურესად გაჭირვებაში ცხოვრობს და ხშირად ფიჩხის ან ჯონჯოლის შეგროვებაზეც კი მიდის ძალიან დიდ რისკზე, რომ მათ დააპატიმრებენ..."

ბიძინა ივანიშვილი: (ცინიკურად მიმართავს) „თქვენ ყვებოდით რომ საერთაშორისო ასპარეზზე დავკარგეთ და ახლა, რაღაც ფიჩხზე გადახვედით... ხაზი არ დაგეკარგოთ, უბრალოდ შეგახსენეთ, რომ გააგრძელოთ..."

სალომე ასათიანი: „არა, ისევ იგივე შეკითხვა არის... მათ აპატიმრებენ, ისინი მიჰყავთ ცხინვალის იზოლატორში, ჩასაფრებული არიან ხოლმე ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან მოსაზღვრეები, ანუ ამ ადამიანების ყოფა არის გაუსაძლისი, მეორე კონფლიქტურ რეგიონთან უკვე ისიც ვიხილეთ, რომ საქართველოს მოქალაქე საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე უბრალოდ, ფაქტობრივად დახვრიტეს, მოკლეს, საშინელი ტრაგედია მოხდა სულ ახლახან... აი, ესეთი რამ გვაინტერესებს, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების პარალელურად, როცა არსებობს ბევრი ფორმატი, თქვენც შემოიღეთ დამატებით კარასინ-აბაშიძის ფორმატი, ჟენევის დისკუსიები, არსებობს სხვადასხვა კრიზისების და მათზე რეაგირების ინციდენტების მართვის ჯგუფები, როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხერხდება ის, რომ რაღაცნაირად მიიღწეს მდგომარეობა, რომ ამ ადამიანების ცხოვრება მაინც ესეთი გაუსაძლისი არ იყოს, რუსეთი ამ დათმობაზე მაინც წავიდეს..."

ბიძინა ივანიშვილი: „იდეა გაქვთ რამე?"

**„ალია":**

**თურმე ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს იდეა, როგორ დარეგულირდეს კონფლიქტურ რეგიონებში ვითარება ისე, რომ შეჩერდეს ქართული მიწების ოკუპაციის პროცესი, ქართველების გატაცებები და მკვლელობები. ეგ იდეა, ბატონო ბიძინა, შერიგებისა და თანასწორობის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტს, მინისტრთა საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას მოსთხოვეთ. ჩვენ, ხალხი, ამ უწყებებს ტყუილად ვინახავთ, ათეულობით მილიონს ვახარჯავთ, მაგრამ მათი გაკეთებული საქმე ჯერ არავის უნახავს და ერთი იდეა რაა, ის მაინც არ უნდა ჰქონდეს ოთხ უწყებას ერთად?**

სალომე ასათიანი: „ეს საკითხი ისმება..."

ბიძინა ივანიშვილი: „რაც შეგვიძლია ვაკეთებთ, ახლა თქვენი იდეა მაინტერესებს..."

სალომე ასათიანი: „რა კეთდება საამისოდ, რა კეთდება?"

ბიძინა ივანიშვილი: „რაც კეთდება, ნუ ათასჯერ გაშუქებულა ეს..."

სალომე ასათიანი: „რა კეთდება, რუსეთთან ისმება ეს საკითხი, რომ დავუშვათ, არ იყოს ესეთი დაპატიმრებები იმ ადამიანების, რომ უფრო ლმობიერად მოეპყრან იქ ხშირად ხანდაზმულ ადამიანებსაც აპატიმრებენ... თქვენ გვითხარით რა კეთდება საიმისოდ, რომ მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ყოფა გაუმჯობესდეს თუ რუსეთთან ნორმალიზებაზეა საუბარი..."

ბიძინა ივანიშვილი: (მიმართავს ტელემაყურებელს) „მე მოკლედ კიდევ შევახსენებ ტელემაყურებელს, რომ ესეთია რეალობა, ჩვენ რაც შეგვიძლია ვაკეთებთ, ვიხმართ ჩვენს მეგობრებს, ვაკეთებთ განცხადებებს... (ჟურნალისტს მიმართავს) თქვენ იქნებ სხვა იდეა გაქვთ, გააცანით ტელემაყურებელს..."

სალომე ასათიანი: „ამ დამოკიდებულებამ ალბათ თავიდანვე იჩინა თავი, ჯერ კიდევ 2012 წელს ჩვენ გვახსოვს, რომ „ქართულ ოცნებას" საარჩევნო პროგრამაში ეწერა საქართველოს ფაქტორი აღარ უნდა არსებობდეს დასავლეთს და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივ საკითხთა ნუსხაშიო... თუმცა სულ რამდენიმე წლის შემდეგ, 2015 წლის მიუნხენის კონფერენციაზე მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დასავლეთს სწორედ იმას საყვედურობდა, რომ დაივიწყეს საქართველოზე რუსეთის აგრესია, აგვისტოს ომზე შესაბამისი რეაგირება არ მოხდა, რუსეთს არ დაუწესდა სანქციები..."

ბიძინა ივანიშვილი: (დამცინავად) „პირდაპირ ჩემი წერილიდან საუბრობთ, რა... როგორ გამომრჩენია ეს კითხვები... მე ეხლა მაინტერესებს ძალიან..."

სალომე ასათიანი: „აი, თქვენ როგორ გესახებათ ამ ორი პოზიციის... ხომ არ იყო წინააღმდეგობები..."

ბიძინა ივანიშვილი: „მე ის უფრო მაინტერესებს, თქვენ როგორ გესახებათ... როგორც მესახებოდა ვთქვი, მაგრამ ახლა თქვენი მაინტერესებს?"

სალომე ასათიანი: „მე გეკითხებით თქვენ, თუ წერს კოალიცია, რომ არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივ საკითხთა ნუსხაში საქართველო, თვითონ ამბობს ამას, მაშინ რატომღა საყვედურობს პრემიერ-მინისტრი დასავლეთს იმას, რომ საქართველო არ დაიცვა რუსეთის აგრესიისგან?"

ბიძინა ივანიშვილი: (მშვიდად, მაგრამ გაღიზიანებული) „გააგრძელეთ, კიდევ გექნებათ თქვენ რამე..."

სალომე ასათიანი: „თქვენ არ მპასუხობთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „არ ვიცი თქვენ რა გინდათ, მე ვერ გავიგე... გააგრძელეთ, ალბათ კიდევ გექნებათ და ტელემაყურებელს იქნება ახალი გზებიც აჩვენოთ, მე ვერ გავიგე თქვენ რა გინდათ და..."

სალომე ასათიანი: „თქვენ არ თვლით, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია და ამაში წინააღმდეგობას ვერ ხედავთ..."

ბიძინა ივანიშვილი: „გააგრძელეთ, იქნება შემდეგი კითხვა გავიგო..."

სალომე ასათიანი: „ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, რას ნიშნავდა ეს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები..."

ბიძინა ივანიშვილი: „გააგრძელეთ... თქვენ ძალიან საინტერესოდ მომზადებული ხართ..."

სალომე ასათიანი: „ამ საკითხზე არ გსურთ საუბარი... მაშინ მოდით, დავუბრუნდეთ ისევ კონკრეტული კითხვა უნდა დაგისვათ, ისევ ერთ-ერთი დაპირება, რომელიც კოალიციას ჰქონდა როცა მოდიოდა იყო ის, რომ სააკაშვილისეული ნულოვანი ტოლერანტობა, როცა ყველანი ციხეში და ადამიანი ძალიან პატარა დანაშაულზეც კი ძალიან დიდი დროით მიდიოდნენ ციხეში და ძალიან დიდ გადასახადებს იხდიდნენ საპროცესოს და ასე შემდეგ, შეიცვლებოდა... განსაკუთრებით, იყო საუბარი ნარკოპოლიტიკის ცვლილებაზე, თქვენ იცით, რომ საქართველოში ძალიან დიდი პრობლემაა ის, რომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის, მიკროდოზებისთვის ადამიანების დასჯა, მათი ციხეში გაშვება..."

ბიძინა ივანიშვილი: „იქნებ არ ამოჭრათ, ძალიან გთხოვთ.... მე ძალიან მაინტერესებს თქვენი გამოსვლა, მერე მოვუსმინო ცალკე, კიდევ ვისწავლო... გააგრძელეთ..."

სალომე ასათიანი: „არა, რატომ უნდა ამოვჭრათ, არაფერი არ ამოიჭრება..." (იცინის)

„17 ივნისს შესრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც დაიღუპა მოქალაქე ლევან აბზიანიძე, ის იძულებით წაიყვანეს ნარკოტესტირებაზე, შარდმდენი დაალევინეს და ის დაიღუპა, სულ რამდენიმე დღის წინ პატიმრობა და მაღალი ჯარიმა მიესაჯა ახალგაზრდა ბიჭს კოტე ჯაფარიძეს 2 გრამის გამო, 0,9 მეასიათასედი მეზომორფინისთვის ზის ციხეში მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი და ძალიან ბევრი ასეთი შემთხვევა, პრემიერ-მინისტრი ახალი, ამბობს, რომ ნარკო მოხმარების გამო ადამიანის დასჯა არ შეიძლება, მას სჭირდება საზოგადოების თანადგომა და ექიმების დახმარება, მაგრამ ეს რეპრესიული პოლიტიკა მაინც არ იცვლება...."

ბიძინა ივანიშვილი: (დაღლილი სახით ეკითხება) „რეპრესიული პოლიტიკა ჩვენი მთავრობის მხრიდან, ხომ?"

სალომე ასათიანი: „ნარკომომხმარებლების მხრიდან მათი ციხიში გაშვება, იძულებითი შემოწმება ნარკოტიკის მოხმარებაზე... "

ბიძინა ივანიშვილი: „რეპრესიული პოლიტიკა არ იცვლება, დღევანდელი მთავრობა გყავთ მხედველობაში, რომ რეპრესიებითაა დაკავებული..."

სალომე ასათიანი: „დიახ... ისე, ძალიან ბევრი მიკროდოზების გამო მომხმარებელი და არა გამსაღებელი, ცხადია, გამსაღებელზე ლაპარაკი არ არის... თუ შეგიძლიათ ამაზე რომ გვითხრათ თქვენი აზრი, როგორ აფასებთ ამ პოლიტიკას? თქვენ გაქვთ თუ არა აზრი ამასთან დაკავშირებით?"

ბიძინა ივანიშვილი: „რა უნდა გითხრათ არ ვიცი, რა უნდა გითხრათ?"..

სალომე ასათიანი: „უნდა დაისაჯონ თუ არა ადამიანები ნარკოტიკის მოხმარებისთვის, მხოლოდ..."

ბიძინა ივანიშვილი: „კანონი განსაზღვრავს ამას, მე ხომ კანონს არ ჩამოვცილდები..."

სალომე ასათიანი: „ეს კანონი ხომ მიღებულია ავტორიტარულ პერიოდში, სააკაშვილის პერიოდში..."

ბიძინა ივანიშვილი: „კანონი არ მოგწონთ, როგორიც არის? რაზე მეკითხებით თქვენ? კანონი შეიცვალოს თუ არა, დღეს როგორც ექცევიან ნარკომანებს, ეგ არის შეკითხვა?"

სალომე ასათიანი: „ნარკოტიკის მომხმარებელთა დასჯის შესახებ თქვენი აზრი გვაინტერესებს..."

ბიძინა ივანიშვილი: „კანონი როგორია?"

სალომე ასათიანი: „არა, თქვენ რას ფიქრობთ? ხო, კანონი როგორია თქვენი აზრით?"

ბიძინა ივანიშვილი: „არ ვიცი, ამისთვის მზად არა ვარ მე დღეს, კანონი არ წამიკითხავს ამაზე, თქვენ იცით მე მგონი კარგად და მაინტერესებს ძალიან..."

სალომე ასათიანი: „ამას ბევრი ამბობს, ამას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაერო, ყველა ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაცია ამბობს, რომ მომხმარებელთა დასჯა არ შეიძლება..."

ბიძინა ივანიშვილი: „მე პასუხი მაქვს კანონის მიხედვით, თუ კანონი არ მოგწონთ, უნდა წამოწიოთ წინადადება და შეიძლება კანონი შეიცვალოს..."

სალომე ასათიანი: „კანონის შესახებ იყო საუბარი 2013 წელს და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაბლოკა, რომ უფრო ლიბერალური გამხდარიყო ეს კანონი..."

ბიძინა ივანიშვილი: „ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი... გააგრძელეთ, თქვენ გექნებათ კიდევ რამე მომზადებული აუცილებლად..."

სალომე ასათიანი: „სულ ცოტა დრო გვრჩება და მაშინ მოდით, თქვენ მოგისმენთ მაშინ, ორი წუთი გვრჩება და თუ რაიმე დაგრჩათ სათქმელი ბატონო ბიძინა, მოგისმენთ, ორი წუთი გვრჩება გადაცემის დასრულებამდე..."

ბიძინა ივანიშვილი: „დიდი მადლობა, მადლობელი ვარ ძალიან, ძალიან საინტერესო გადაცემა იყო, ძალიან საინტერესო ჟურნალისტი გავიცანი, მოხიბლული ვარ... და კიდევ ერჯერ შეგახსენებ და შევახსენებ ტელემაყურებელს, რომ პოსკრიპტუმში მე აღვნიშნავდი, ეს საკითხი განსაკუთრებით ბოლო საკითხია, რამდენად ესადაგება ვთქვათ ამ წერილს, ეს ტელემაყურებელმა გადაწყვიტოს, თქვენ ესე გგონიათ, პრინციპში მე პოსკრიპტუმშიც აღვნიშნავდი და მაყურებელს კიდევ შევახსენებ, რომ მოვედი ტელევიზიაში იმისთვის, რომ წერილში აღწერილ პრობლემებთან და წარსულთან, თუ აწმყოსთან თუ მომავალთან დაკავშირებით, ჩემი ხედვები კიდევ ერთჯერ გამეზიარებინა და სიტყვიერად მომეხსენებინა ტელემაყურებლისთვის. როგორც მოვახერხე ეს, და როგორც მოვახერხეთ მე და თქვენ, ამას მაყურებელი შეაფასებს, დიდი მადლობელი ვარ ესეთი გადაცემისთვის, ძალიან მომზადებული მოხვედით..."

სალომე ასათიანი: „თქვენც ძალიან დიდი მადლობა, რომ გვესტუმრეთ გადაცემაში, შესაძლოა რაიმე კითხვები არ მოგეწონნათ, მაგრამ ეს ყველაფერი გამომდინარე იყო, იმ ოთხი წლის შეფასებიდან და ძალიან ბევრი საკითხი წამოვჭრერით ასევე შევეხეთ იმას, რომელიც თქვენ წერილში იყო, თუმცა მხოლოდ ამ წერილს ვერ შევეხებოდით, ვინაიდან ძალიან ბევრი კომპლექსური რამ მოხდა, ამ ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ ხომ შევეხეთ ძალიან ბევრ საკითხს წერილიდან გამომდინარე... (იცინის)

ბიძინა ივანიშვილი: „კი მაგრამ, მე წერილისთვის მოვედი..."

სალომე ასათიანი: „წერილსაც ხომ შევეხე..."

ბიძინა ივანიშვილი: (სიცილით) „წერილს შეეხეთ კი, რაღაც ქაღალდები გეჭირათ ხელში... კარგია, დიდი მადლობა, კარგით..."

სალომე ასათიანი: „დიდი მადლობა თქვენ... ბიძინა ივანიშვილი იყო ჩვენი სტუმარი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, კოალიცია „ქართული ოცნების" დამფუძნებელი, თქვენ უყურებდით გადაცემა „ინტერვიუს".

Facebook ამბები

facebook



**ირინა სარიშვილი:**

ხაინდრავამ ხალხი რა უმადურია, 100 ათას დოლარს ეგონა ბიძინა მიცემდა და რო არ მიცა იმიტომ უპირისპირდებაო...

რასაც შეპირდა, იმას ელოდა ხალხი...

სწორად რომ არ ელოდა ეს სხვა თემაა...

დღესაც რომ იგივე შეცდომა შეიძლება დაუშვას და სხვა ფულიანს მოატყუებინოს თავი, ესეც ფაქტია...

მაგრამ ხაინდრავას ხომ ეს არ აწუხებს!

ხაინდრავა დღეს ბიძინა ივანიშვილის ერთ—ერთი დიდი ლელვის ფოთოლია...

ხალხს რასაც შეპირდა ის შენ მოგცა ლელვის ფოთოლო!

და რო რამე სხვაც ხალხისთვის დაპირებულს შენ მოგცემს!

და არა იმიტომ რომ ძალიან ჭკვიანი ხარ, არამედ იმიტომ რომ საზღვარი არ გაქვს ნაძირლობაში და მანამ სანამ ხალხი იმას ვერ მიხვდება რომ უფასო ფულს კი არა შრომის და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს უნდა დაელოდოს ხელისუფლებისგან, მანამდე შენნაირი ნაძირლები იბოგინებენ, ყველა ბინძურ ხვრელში გამძვრალო "მადლიერო" ხაინდრავა!

facebook



**სოფიო ხორგუანი:**

ჩვენ გვაქვს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც ევალება ყველა ჯგუფის ინტერესების შესაბამისი გადაცემები ჰქონდეს. ევალება ;) კერძო ტელევიზიის მფლობელებს არ ევალებათ ანგარიში გაუწიონ ვინმეს. ჰოდა, ამდენი რეიტინგული და საინტერესო გადაცემა თუ არსებობს და არ სჭირდებათ კერძო ტელევიზიებს, გადაბარგდენ საზოგადოებრივ მაუწყებელში. ეშველება საზოგადოებრივსაც და კერძო ტელეკომპანიებიც მიხედავენ თავიანთ თავს

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## რძე აუცილებელია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ უფროსებისთვისაც



სუფრას რომ ჩიტის რძე არ აკლია, ამაყები არიან ხოლმე ოჯახის უფროსები, მაგრამ საკუთარ ორგანიზმს რომ აკლებენ ძროხის რძეს, ეგ არაფერი?! მერე, თქვე კაი ხალხო, სად ჩიტის და სად ძროხის რძე - რომელი უფრო ადვილი საშოვნელია? რასაკვირველია, ამ უკანასკნელის და ნუ ჩაიგდებთ ჯანმრთელობას საფრთხეში, არ შეიძლება?!

ამერიკელი და ავსტრალიელი მეცნიერების ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ რძე და რძის პროდუქტები უფროსებისთვისაც ისევე აუცილებელია, როგორც ბავშვებისთვის.

აღნიშნული ფაქტი მათ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაამტკიცეს.

კერძოდ, მთელი 35 წლის მანძილზე მეცნიერები 600 მოხალისეს სწავლობდნენ – აფიქსირებდნენ მათ ყოველდღიურ რაციონს, აკვირდებოდნენ მათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას და ასე შემდეგ. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ გულის პრობლემების რისკი გაცილებით დაბალი იყო იმ რესპონდენტებში, რომლებიც რძეს ან რძის პროდუქტებს რეგულარულად იღებდნენ.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ რძე არტერიებს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ ელასტიკურობა, რაც გულ-სისხლძარღვთა სისტემას სერიოზული უსიამოვნებებისგან იცავს.

*myjane.ru*

## 28 წლის ამერიკელმა გოგონამ შეტყობინებებისა და ზარების რეკორდი მოხსნა




ალბათ, არავის გიფიქრიათ, რომ შესაძლებელი იყო მობილური ტელეფონით წუთში 2.6 ათასი ზარის გაშვება. ეს უახლესი მონაცემებია, თორემ სხვა გადარეულმა შეყვარებულმა შესაძლოა, მომავალში რეკორდი გააუმჯობესოს და 3 ათას ზარამდეც ავიდეს. გააჩნია, სიგიჟის რა ზღვარზე იქნება ტრფობის ალით დამწვარი კონკრეტული ობიექტი.

ყოველ შემთხვევაში დღეს ზარებისა და მესიჯების რეკორდსმენი 28 წლის ამერიკელი გოგონაა, რომელმაც დაშორება ვერაფრით გადაიტანა და ყოფილ შეყვარებულთან კვირის განმავლობაში 77.693-ჯერ დარეკა და 41 ათასი შეტყობინება გაუგზავნა.

ხომ წარმოგიდგენიათ ამ უწყვეტი ზარ-შეტყობინების მიმღები ობიექტის ფსიქიკური მდგომარეობა. ჰოდა, ადგა და პოლიციაში განაცხადა, შედეგად კი გოგონა ციხეში აღმოჩნდა.

ასე დასრულდა მოუნელებელი სიყვარულის ამბავი

*plus.kvira.ge*

## შეიქმნა ყურსასმენი, რომელიც სინქრონულ თარგმანს ჩაანაცვლებს



მათთვის, ვისთვისაც მოგზაურობისას ენობრივი ბარიერი გადაულახავი იყო და ამის გამო წუხდა, უკვე შექმნილია ყურსასმენი, რომელიც სინქრონულ თარგმანს ჩაანაცვლებს.

ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების გადასათარგმნად გუგლი აღარ დაგჭირდებათ, ყურსასმენი სრულად გადათარგმნის საუბარს.

მაგალითად, თუ იტალიელს ეკონტაქტებით, მას თავის ყურსასმენში თქვენი საუბარი იტალიურად ესმის, თქვენ კი თქვენს ენაზე.

ასე რომ, შეგიძლიათ, ისეთ ქვეყნებშიც წავიდეთ, სადაც საერთაშორისო ენები არათუ არ იციან, არამედ არაფერი სმენიათ. ჩვენ ყველას გავუგებთ.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

ფენომენი **ნინო გაფრინდაშვილი**, რენტგენული ხედვითა და ტელეპატიის უნარით დაჯილდოებული პარაფსიქოლოგი, ხედავს ადამიანის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, დაავადებებსა და ცხოვრებისეულ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებს, ასევე, მათი მოგვარების გზებს. მუშაობს დისტანციურადაც ნებისმიერ შორ მანძილზე (უცხოეთშიც). შეუძლია, დაგეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში და დააკმაყოფილოს თქვენი ცნობისმოყვარეობა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

ტელ: 599-348-547, 591-640-107.

## პატარებს ქლორიან წყალს ნუ გააკარებთ!



გარდა იმისა, რომ ქლორიანი წყლის მიცემა არ შეიძლება ჩვილისთვის, თურმე, ასევე, არ ყოფილა რეკომენდებული ასეთი სასმელის მიღება მომავალი დედიკოებისთვის, რადგან, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, დაქლორილ წყალს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შექმნა, ჯერ კიდევ, მუცელში მჯდომი პატარასთვისაც შეძლებია.

ბრიტანელი მკვლევარების თქმით, ბავშვებში, რომელთა დედები ფეხმძიმობის დროს ქლორიან წყალს სვამდნენ, სხვადასხვა ანომალიის განვითარების რისკი მნიშვნელოვნად მატულობს, რაშიც დამნაშავე დაქლორვისთვის საჭირო ტრიგალომეთანი ყოფილა.

კერძოდ, ქლორიანი წყლის მიღება, შესაძლოა, შემდეგი ანომალიების ჩამოყალიბების მიზეზი გახდეს: გულის შიდაპარკუჭოვანი კვეთების დეფექტი, ღარები სასაზე და ანენცეფალია.

*mamindom.ru*

## რატომ მიაბეს ბეტონის ბლოკს 15 თვის ბავშვი?



ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ფოტო, რომელზეც 15 თვის გოგონა შივანი ფეხითაა მიბმული ბეტონის ბლოკზე. პატარამ მთელი დღე ასე გაატარა 40-გრადუსიან სიცხეში!

ფოტო გადაღებულია ინდოეთის ქალაქ ახმადაბადში, შუა ქუჩაში.

მთავარი ის არის, რომ მთელი დღის მანძილზე ბავშვს არავინ მიუახლოვდა. როდესაც, როგორც იქნა, შეამჩნიეს, გადაწყვიტეს, გაეგოთ ასეთი სისასტიკის ჩადენის მიზეზი.

აღმოჩნდა, რომ პატარა გოგონას ასე საკუთარი მშობლები მოექცნენ. მშობლები ამბობენ, რომ ბავშვის ასე ინტერესებიდან გამომდინარე მოიქცნენ. დედა და მამა საგზაო კომუნიკაციების სამსახურში მუშაობენ. მთელ დღეს ატარებენ სამშენებლო მოედანზე. სამაგიეროდ, 250 რუპიას (დაახლოებით $3,7) იღებენ დღეღამეში. ეს ფული მათ მხოლოდ საკვებზე ჰყოფნით, ძიძა მათთვის ფუფუნებაა...

„არ შეგვიძლია ბავშვების სახლში დატოვება, ჩვენ ხომ მუდმივად ქალაქიდან ქალაქში გადავდივართ სამშენებლო ბრიგადასთან ერთად, ღამე კი კარვებში გვძინავს. ჩვენ არ გვყავს ნათესავები, ვისთანაც შევძლებდით ბავშვების დატოვებას, ამიტომ თან მიგვყავს. მთელი დღის მანძილზე ბავშვებს მხოლოდ შესვენების (სადილის) დროს ვხედავთ. საკვები მხოლოდ მათ გამოსაკვებადაა საკმარისი.

ამჟამად ავტოსტრადის გვერდით ვმუშაობთ და გვეშინია, ბავშვებს მანქანა არ დაეჯახოს. უფროსი 5 წლისაა. მას უკვე ესმის, რა საშიშროებაა ქუჩაში და ამიტომ გზაზე არ გამოდის. გოგონა კი ჯერ საკმაოდ პატარაა და მანქანა რომ არ დაეჯახოს, იძულებული ვართ, სანამ ჩვენ შორს ვართ, ის რაიმეზე მივაბათ“, – ასე ხსნის ყოველივეს 23 წლის სარტა კალარა, გოგონას დედა.

საქველმოქმედო ორგანიზაცია Save the Children India-ს აქტივისტებმა გადაწყვიტეს, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაქციონ ინდოელი ბავშვების პრობლემებისადმი. მათი მონაცემებით, ინდოეთში 40 მილიონამდე სამშენებლო სამუშაოა, სადაც მუშახელის მეხუთედს ქალები შეადგენენ. მათ უმრავლესობას კი ისეთივე პრობლემა აწუხებს, როგორიც შივანს აქვს.

*mshoblebi.ge*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ძმარი — წონის დაუძინებელი მტერი



იაპონელმა მეცნიერებმა ზედმეტი წონისგან შეწუხებული ადამიანებისთვის ნამდვილად სასიამოვნო და სასარგებლო დასკვნა გამოიტანეს – სიმსუქნესთან ბრძოლისას მათ დიდი წარმატებების მიღწევაში... ძმარი დაეხმარებათ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საუკუნეებია, რაც ძმარი სხვადასხვა სახის დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატებში გამოიყენება. კერძოდ, ძმრის მჟავით არეგულირებენ არტერიულ წნევას, სისხლში შაქრის შემცველობას.

ახლა კი აღმოჩნდა, რომ ძმარი ცხიმების გამოყოფასაც დიდ წინააღმდეგობას უწევს.

იაპონელმა სპეციალისტებმა პირველ ეტაპზე ექსპერიმენტი თაგვებზე ჩაატარეს, რომლებიც ორ ნაწილად გაყვეს – პირველ შემთხვევაში მღრღნელები მხოლოდ ზედმეტად კალორიული საკვებით მარაგდებოდნენ, მეორე შემთხვევაში კი საკვებს ძმრის მჟავაც ემატებოდა. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფში თავმოყრილმა თაგვებმა 10-15 პროცენტით ნაკლები ცხიმი მოაგროვეს.

*medkarta.com*

## ამერიკელმა მძღოლმა „ბეემვე“ „იაგუარსა“ და „მერსედესზე“... გააჩერა



უცნაური სათაური გამოვიდა, არა? რას ვიზამთ, ასეა და - სწორედ „იაგუარსა“ და „მერსედესზე“ გააჩერა ამერიკელმა მამაკაცმა თავისი „ბეემვეს“ მარკის ავტომობილი.

სამწუხაროდ, ფოტო არცთუ ისე ხარისხიანია, რადგან სათვალთვალო კამერის ჩანაწერიდანაა ამოღებული, თუმცა ტრაგიკომიკური შემთხვევის აღქმა მაინც შეიძლება.

თურმე, მძღოლს გაზისა და მუხრუჭის პედლები აერია, რის გამოც „ბეემვეთი“ „იაგუარსა“ და „მერსედესზე“ ავიდა.

რაც ყველაზე ცუდია, მძღოლს „ბეემვე“ ნაქირავები ჰყავდა და ამიტომ სამივე ავტომობილის თავიდან ბოლომდე შეკეთება მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, დაზღვევამ არ უშველა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ* *etotupo.ru*

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი ბიორბი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე (577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია 574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.15

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.